



სილოვან რამიშვილი – დაიბადა 1935 წლის 5 ოქტომბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდ-ვანში. 1956 წელს დაამთავრა სიდნაღის რაიონის ქალაქ წნორის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1959 წელს ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. 1960 წელს მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში – ხოლო შემდგომ სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გაიარა გზა რიგითი ინჟინერ-კონსტრუქტორიდან პროექტის მთავარ კონსტრუქტორამდე. ამასთან, ბოლო წლებში ასრულებდა განყოფილების უფროსის მოვალეობას. ავტორია რამდენიმე სამეცნიერო შრომისა და 25 გამოგონებისა სასოფლო-სამეურნეო პროცესების მექანიზაციის დარგში. ცხოვრობს თბილისში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

სსსრტული აზრები

სილოვან რამიშვილი

ს ი ლ ო ვ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

# სსსრტული აზრები



თ ბ ი ლ ი ს ი  
2015

სილოვან რამიშვილი

ს  
ს  
ა  
ა ზ რ მ ბ ი  
ტ  
უ  
ჯ  
ი

თბილისი

2015

*კუძღვნი ჩემს საყვარელ შვილიშვილებს,  
ანუკა და ლევან ჯანდიერებს*

მსოფლიოს ბრძენთა ნააზრევი, გარდა ძირითადი საქმიანობისა, წარმოჩენილია მათი აფორიზმებით, რომლითაც მიმოფენილია მსოფლიოს ხალხთა მხატვრული თუ მეცნიერული ლიტერატურა.

„ნამდვილი სიბრძნე სიტყვამცირეა“ – ამტკიცებდა ლევ ტოლსტოი და უდავოა, რომ სწორედ ასეთია ჭეშმარიტი აფორიზმი.

აფორიზმს, როგორც აზრტევად, ორიგინალურ სიბრძნეს დიდი სიკეთე მოაქვს ადამიანისათვის – ლაკონურად, სხარტად გვაჩვენებს ცხოვრების სწორ გზას და გვარკვევს მის ზიგზაგებში, გვანუგეშებს გაჭირვებაში, გვეხმარება წინააღმდეგობათა გადალახვაში, ახდენს აღმზრდელით გავლენას, აფართოებს სულიერ თვალსაწიერს, აყალიბებს მორალურ რწმენას, აღვიძებს აზროვნების სურვილსა და უნარს, წარმოადგენს აზრის კატალიზატორს, ხელს უწყობს იდეების წარმოქმნას, უზრუნველყოფს სიტყვების ზღვრულ ეკონომიას და ამდიდრებს რიტორიკულ ხელოვნებას.

მოზღვაებული მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა დღის წესრიგში აყენებს მოცულობატევადი სტილის გამოყენებას, რის გამოც აფორისტიკა პერსპექტიული ლიტერატურული ჟანრი ხდება.

წიგნი წარმოადგენს 2010 წელს გამოცემული სხარტული აზრების გადამუშავებულ და შესებულ ვარიანტს, შედგენილია თემატურად, თემები და აზრები დალაგებულია ალფავიტის მიხედვით და მოცემულია განსხვავებული ასოებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ კრებული მკითხველს დაეხმარება აზრტევადი, სხარტული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

სილოვან რამიშვილი  
2015 წ.

© სილოვან რამიშვილი, სხარტული აზრები, 2015

ISBN 978-9941-0-7431-8

დაიბეჭდა სტამბა “პეტიტში”

გარეკანის დიზაინის ავტორი სილოვან რამიშვილი

## აღამიანი, აღვილი, აღვილი

1. აღამიანად არ იბადებიან, აღამიანად ყალიბდებიან.

\* \* \*

2. აღამიანად ის უნდა გრძნობდეს თავს, ვისი გონებაც  
გრძნობაზე ბატონობს.

\* \* \*

3. აღამიანად რომ იწოდებოდე, უნდა ასრულებდე აღამიანის  
მოვალეობას.

\* \* \*

4. დიდ აღამიანად ყველა ვერ აღიზრდება, მაგრამ კარგ  
აღამიანად ყველა უნდა ჩამოყალიბდეს.

\* \* \*

5. აღამიანები ასერხებენ ბავშვებად დაბერებას.

\* \* \*

6. აღამიანები თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს  
გაჭირვებისას ავლენენ.

\* \* \*

7. აღამიანები სხვადასხვა გზით მიისწრაფიან ბედნიერებისაკენ.

\* \* \*

8. აღამიანები უნაკლონი გახდებოდნენ, საკუთარ ნაკლზეც ისე  
რომ მსჯელობდნენ, როგორც სხვისაზე.

\* \* \*

9. აღამიანები ქმნიან იმას, რაც შემდგომში ისევ აღამიანების  
შთაგონების წყარო ხდება.

\* \* \*

10. აღამიანები ყველაზე მეტად ბავშვობაში ჰგვანან  
ერთმანეთს.

11. **ადამიანები** შენ მიმართ კეთილები არიან, სანამ შედარებით ქვედა საფეხურზე ხარ, გაუტოლდები თუ არა, ყურადღებით არიან, ხოლო როცა გაუსწრებ, შურის თვალთ დაგიწყებენ ყურებაც.

\* \* \*

12. **ადამიანები** ჩვენზე ისეთი შეხედულების არიან, როგორი ინფორმაციაც აქვთ. ინფორმაციის ცვლასთან ერთად, იცვლება შეხედულებაც.

\* \* \*

13. **ადამიანები** ძალიან ჰგვანან და ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

\* \* \*

14. **ადამიანები** წარსულში მოგონებებს ხედავენ, ხოლო მომავალში – იმედებს.

\* \* \*

15. არ არსებობენ ერთნაირი გემოვნების **ადამიანები**.

\* \* \*

16. როცა **ადამიანები** არ იცავენ კანონებს, არც კანონები იცავენ ადამიანებს.

\* \* \*

17. **ადამიანებმა** ერთმანეთის სიყვარული რომ მოახერხონ, ყველა ადამიანი უნდა იყოს.

\* \* \*

18. დიდმა **ადამიანებმა**, არ შეეძლოთ რა ჩვენთან დარჩენა, საკუთარი ნააზრევი დაგვიტოვეს.

\* \* \*

19. **ადამიანებს** კი არ უნდა ებრძოდე, ადამიანებისთვის უნდა იბრძოდე.

\* \* \*

20. **ადამიანებს** უნდა შეეგუო. არავინაა ზუსტად ისეთი შენ რომ გინდა, მათ შორის არც შენ.

\* \* \*

21. საყვარელ **ადამიანებს** გულის სიღრმეში ასაფლავებენ.

22. ადამიანებში თუ რამ კარგი არსებობს შენ უნდა დაინახო, ცუდი კი თვითონ დაგენახება.

\* \* \*

23. ადამიანზე არასოდეს თქვა – ვიცნობო, თუ არ იცნობ მის სულიერ სამყაროს.

\* \* \*

24. ადამიანზე სხვასთან ილაპარაკე მხოლოდ ის, რასაც პირადად ეტყობი.

\* \* \*

25. არასასიამოვნო ადამიანთან ყოფნას მარტოობა სჯობს.

\* \* \*

26. ადამიანი ადამიანისათვის მგელი არ არის და არც მგელია მგლისთვის ადამიანი.

\* \* \*

27. ადამიანი, ამქვეყნად შემდგომ მოსულთ ცხოვრების საძირკვლად უნდა დახვედეს.

\* \* \*

28. ადამიანი ანგელოზად იბადება და ადამიანად მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყალიბდება.

\* \* \*

29. ადამიანი ან სიკეთის, ან ბოროტების მატარებელია, ან ორივესი ერთად, ხოლო ორივესაგან თავისუფალი ადამიანი არ არსებობს.

\* \* \*

30. ადამიანი არსებობაზე ბევრს ფიქრობს, მაგრამ რისთვის უნდა იარსებოს – ნაკლებად.

\* \* \*

31. ადამიანი არსებობს დროში და არა დრო ადამიანში.

\* \* \*

32. ადამიანი ბავშვობას მიაფრენს, ახალგაზრდობა მიჰყავს, ხოლო სიბერეს მიათრევს.

\* \* \*

33. ადამიანი ბრძნიერებაში მარტოა იმიტომ, რომ სხვა არ

სჭირდება, ხოლო უბედურებაში – იმიტომ, რომ სხვას არ სჭირდება.

\* \* \*

34. ადამიანი ბუნების შვილია.

\* \* \*

35. ადამიანი განათლების შესაბამისად მეტყველებს.

\* \* \*

36. ადამიანი განუმეორებელია.

\* \* \*

37. ადამიანი დანაშაულის სიძულვილით და უდანაშაულობის სიყვარულით ერთნაირად უნდა იყოს განმსჭვალული.

\* \* \*

38. ადამიანი დანაშაულს დაუსჯელობის იმედით სჩადის.

\* \* \*

39. ადამიანი დროის დროებითი თანამგზავრია.

\* \* \*

40. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც თავისი სისუსტის გასაძლიერებლად იარაღი შექმნა.

\* \* \*

41. ადამიანი ერთი სისულელის თქმით იმდენს კარგავს, რომ ათასი ჭკვიანურის თქმითაც ვეღარ დაიბრუნებს.

\* \* \*

42. ადამიანი – ეს სხეულია, ადამიანობა კი აზრები.

\* \* \*

43. ადამიანი თავისი აზროვნების სადარი არსებაა.

\* \* \*

44. ადამიანი თუ არ გძულს, ეს არ ნიშნავს, რომ ის გიყვარს.

\* \* \*

45. ადამიანი თუ საკუთარი შრომით გამდიდრდება, მის მოხმარებასაც მოახერხებს.

\* \* \*

46. ადამიანი თუ სხვას სიკეთეს უკეთებს, მისგანაც იგივეს ითხოვს.

47. ადამიანი იბადება არა მარტო იმისათვის, რომ იცოცხლოს, არამედ იმისათვის, რომ იცხოვროს.

48. ადამიანი ის დიდებული განძია, რომელსაც მეორედ ვერავინ შექმნის.

\* \* \*

49. ადამიანი ისეთია, რასაც ფიქრობს და არა, რასაც აკეთებს.

\* \* \*

50. ადამიანი ისეთივე მონღომებით უნდა გაურბოდეს ბოროტებას, რა მონღომებითაც მიელტვის სიკეთეს.

\* \* \*

51. ადამიანი მანამ არის და რჩება ადამიანად, სანამ ადამიანთა თანაცხოვრების ჰუმანურ პრინციპებს აღიარებს და იცავს.

\* \* \*

52. ადამიანი მანამდეა ბავშვი, სანამ დედასა და სათამაშოს შორის არჩევანს სათამაშოზე აკეთებს.

\* \* \*

53. ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ისევე იცვლება, როგორც მისი საცხოვრებელი გარემო.

\* \* \*

54. ადამიანი მისი ნამოღვაწარით ფასდება.

\* \* \*

55. ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ იცის მისთვის ყველაზე დიდი უბედურება – სიკვდილი მომავალშია ჩასაფრებული, მაინც მომავლის იმედით ცოცხლობს.

\* \* \*

56. ადამიანი მოღის არსაიდან და მიღის არსაით.

\* \* \*

57. ადამიანი მხოლოდ აწმყოში ქმნის და აწმყოშივე იყენებს ყველაფერს.

\* \* \*

58. ადამიანი მხოლოდ სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს.



59. ადამიანი მხოლოდ სხვის სიკვდილს ტირის.

\* \* \*

60. ადამიანი ნიჭის მხოლოდ მცირე ნაწილის რეალიზაციას ახერხებს ცხოვრებაში.

\* \* \*

61. ადამიანი პირველ რიგში საკუთარი ინტერესების დამცველი არსებაა.

\* \* \*

62. ადამიანი, რასაც ქმნის, ადამიანისთვის ქმნის.

\* \* \*

63. ადამიანი, რომელიც ვერ ხვდება, რომ საჭესთან არ უნდა დაჯდეს, იღუპება.

\* \* \*

64. ადამიანი, რომელიც ფულს შოულობს და ოჯახს არ ახმარს, ვერასოდეს იცხოვრებს უკეთესად, ვიდრე დღეს ცხოვრობს.

\* \* \*

65. ადამიანი, რომელსაც ყველა სძულს, როგორც წესი, ყველას სძულს.

\* \* \*

66. ადამიანი რომ სიკეთის მხარეს მოაქციო, უნდა დაარწმუნო სიკეთის უპირატესობაში.

\* \* \*

67. ადამიანი საოცარი მანქანაა, რომლის მართვასაც სიკვდილამდე სწავლობს.

\* \* \*

68. ადამიანი საოცრებათა შემოქმედია.

\* \* \*

69. ადამიანი სითბოს მაშინ ასხივებს, როცა მის გონიერებას თბილი გული ახლავს.

\* \* \*

70. ადამიანი, სიკვდილზე რომ ახალგაზრდობიდან ფიქრობდეს, ცხოვრებას უკეთ შეეწყობოდა.

71. ადამიანი სიტყვებით ლაპარაკობს და ფიქრობს კიდეც.

\* \* \*

72. ადამიანი სიყვარულის გრძნობის დაკარგვის პროპორციულად კარგავს ადამიანობასაც.

\* \* \*

73. ადამიანი სწორედ მაშინაა ყველაზე უარესი, როცა თავი ყველაზე უკეთესი ჰგონია.

\* \* \*

74. ადამიანი სხვას უფრო სწორად აფასებს, ვიდრე საკუთარ თავს.

\* \* \*

75. ადამიანი, სხვისგან მიღებულმა მოჭარბებულმა სიკეთემაც კი შეიძლება ბოროტებასთან მიიყვანოს.

\* \* \*

76. ადამიანი ტანჯვით გამოიცდება და არა ნეტარებით.

\* \* \*

77. ადამიანი უკვდება იმას, ვისთვისაც ცოცხლობდა.

\* \* \*

78. ადამიანი უნდა გიყვარდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას იმსახურებს.

\* \* \*

79. ადამიანი უნდა ისწრაფოდეს, იყოს მაღალი მორალის მქონე. ზნეკეთილი ადამიანი ყველა საზოგადოებისთვის სასურველი წევრია.

\* \* \*

80. ადამიანი უნდა ცოცხლობდეს იმისათვის, რისთვისაც ღირს სიცოცხლე, ან მოკვდეს იმისათვის, რისთვისაც ღირს სიკვდილი.

\* \* \*

81. ადამიანი უწყვეტად მიისწრაფვის მომავლისკენ და წარსულში კი ხვდება.

\* \* \*

82. ადამიანი ყველაზე ადვილად საკუთარ თავს პატიობს.

83. ადამიანი ყველაზე გამბედავი მაშინ ხდება, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

\* \* \*

84. ადამიანი ყველაზე მეტად ადამიანს სჭირდება.

\* \* \*

85. ადამიანი ყველა თავის სურვილს ისევე ვერ მიწვდება, როგორც ცის სიმაღლეს.

\* \* \*

86. ადამიანი ყველაფერს ისე ექცევა, როგორც მას აფასებს.

\* \* \*

87. ადამიანი ყველაფერს მომავლისთვის აკეთებს.

\* \* \*

88. ადამიანი ყოველთვის იცვლება და მუდამ ის არის, რაც არის.

\* \* \*

89. ადამიანი ყოველთვის მხოლოდ თავის თავს ეტყვის სრულ სიმართლეს.

\* \* \*

90. ადამიანი ცდილობს დაივიწყოს სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არასდროს დაივიწყებს მას.

\* \* \*

91. ადამიანი ცვლის ცხოვრებას, ხოლო ცხოვრება – ადამიანს.

\* \* \*

92. ადამიანი ცოცხალს თუ ნაკლებად შეუნდობს რამეს, გარდაცვლილისთვის ამას უყოყმანოდ აკეთებს. ქართველები კარგად ამბობენ – „მისი შესანდობარი იყოსო“.

\* \* \*

93. ადამიანი ცუდს რომ ჩამოაშორო, უკეთესით უნდა დააინტერესო.

\* \* \*

94. ადამიანი ხალისით საუბრობს თავის საამაყო საქმეზე, ხოლო სამარცხვინოზე დუმს.

95. ადამიანი ხვალისთვის მეტს ზრუნავს და აკეთებს, ვიდრე დღეისათვის.

\* \* \*

96. არასოდეს დაამცირო ადამიანი ეროვნების ან აღმსარებლობის გამო, შეაფასე იგი მხოლოდ პირადი თვისებების მიხედვით.

\* \* \*

97. გულგატეხილი ადამიანი ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც ცხოვრებაზე ხელი ჩაქნეული აქვს.

\* \* \*

98. დიდებული ადამიანი უღირსის გვერდით კარგავს ღირსებას, ხოლო უღირსი – ვერაფერს იძენს.

\* \* \*

99. დიდი ადამიანი ერისთვის ღვთისგან ნაბოძები კიბეა სიმაღლეების დასაპყრობად.

\* \* \*

100. ზოგი ადამიანი ცხოველის თვისებებს ამჟღავნებს, ხოლო ზოგი ცხოველი – ადამიანისას.

\* \* \*

101. თუ ადამიანი არ ამბობს, რომ სხვებზე უკეთესია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე არ ფიქრობს.

\* \* \*

102. თუ ადამიანი არ ამბობს სისულელეს, ეს არ ნიშნავს, რომ ჭკვიანია.

\* \* \*

103. თუ ადამიანი არაფერს აკეთებს, უნდა ჩათვალო, რომ არც არსებობს.

\* \* \*

104. თუ ადამიანი გძულს, სჯობს მოშორდე, ვიდრე დამალო სიძულვილი.

\* \* \*

105. თუ ადამიანი კარგავს თავის თავზე კონტროლს, ის კარგავს ადამიანობას.

106. თუ ადამიანი თავს იქებს, ჩათვალე, რომ ბრიყვია.

\* \* \*

107. თუ ადამიანი ძალიან გიყვარს, ნაკლს ძნელად შეამჩნევ.

\* \* \*

108. მასწავლებლის ვალია, ბავშვის სულში კეთილი ადამიანი ჩაასახლოს.

\* \* \*

109. როცა ადამიანი ამბობს, არ მინდა სხვისგან ჭკუის სწავლებათ, არ იცის, რომ რაც იცის, ისიც სხვისი ჭკუის ნაყოფია.

\* \* \*

110. როცა ადამიანი დაუმსახურებლად მიაღწევს რამეს, თავი მეტის ღირსი ჰგონია.

\* \* \*

111. როცა ადამიანი ძალიან გიყვარს, ზოგჯერ მისი სისულელეც მოგწონს.

\* \* \*

112. სიკვდილით დაკარგული ადამიანი გაცილებით ღირსეულია, ვიდრე – უსაქმურობით.

\* \* \*

113. ყველას ადამიანი ჰქვია, მაგრამ ყველა ვერ ყალიბდება ადამიანად.

\* \* \*

114. ცოცხალ არსებათა შორის ადამიანი – ეს ევერესტია მთებს შორის.

\* \* \*

115. ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბება ადამიანის მიერ ხდება.

\* \* \*

116. ადამიანის ადამიანობას ღიღი დაფასება აქვს.

\* \* \*

117. ადამიანისათვის საუკეთესო დახმარებაა, მისცე საშუალება, თავისი შრომით იცხოვროს.

118. ადამიანისათვის სრული უზრუნველობა უფრო აუტანელია, ვიდრე მოჭარბებული საზრუნავი.

\* \* \*

119. ადამიანისათვის უკეთესია ბუნებას შეეგუოს, ვიდრე შეცვალოს.

\* \* \*

120. ადამიანის არსებობას ბუნებასთან მისი თანაარსებობა უზრუნველყოფს.

\* \* \*

121. ადამიანის ბუნებაა ასეთი, ვისაც ამარცხებს დიდად წარმოაჩენს, ხოლო ვინც ერევა – პატარად.

\* \* \*

122. ადამიანის დაბადებისას იბადება მისი არსებობის პრობლემებიც.

\* \* \*

123. ადამიანის დაბადებასთან ერთად იბადება მისი სიკვდილის განაჩენიც.

\* \* \*

124. ადამიანის მომავალი – მომავალი აწმყოა.

\* \* \*

125. ადამიანის მრისხანება უგუნურების რეჟიმში გადასვლაა.

\* \* \*

126. ადამიანის მშენიერება სწრაფად წარმავალია, ხელოვნებაში აღბეჭდილი მშენიერება კი დიდხანს უმკლავდება დროს.

\* \* \*

127. ადამიანის ნამოღვაწარი პირუთვნელად მისი სიკვდილის შემდეგ შეფასდება.

\* \* \*

128. ადამიანის რელიგიურობა ზრდის მის სულიერ სიმტკიცეს.

\* \* \*

129. ადამიანის სასოწარკვეთილებას გამართლება არ აქვს.

130. ადამიანის სატანჯველი თვალებიდან ცრემლად იღვრება.  
\* \* \*
131. ადამიანის სახეც და თვალებიც ლაპარაკობენ.  
\* \* \*
132. ადამიანის სიკეთეც და მანკიერებაც ძალაუფლებასთან ერთად იცვლება.  
\* \* \*
133. ადამიანის სულიერად დაცემა მისსავე პროპორციულად ამცირებს მის ფიზიკურ თვისებებს.  
\* \* \*
134. ადამიანის სულიც ისეთივე მონღომებით ითხოვს საზრდოს, როგორც სხეული.  
\* \* \*
135. ადამიანის ტვინი აზრის წყარო და ცოდნის საცავია.  
\* \* \*
136. ადამიანის ტვინი ატომს ჰგავს. პატარა ატომი დიდ ენერგიას იტევს, ხოლო ტვინი – დიდ გონიერებას.  
\* \* \*
137. ადამიანის ქველმოქმედების ხარისხს უფრო მეტად სათნოება განსაზღვრავს, ვიდრე სიმდიდრე.  
\* \* \*
138. ადამიანის შესაძლებლობები, მიაღწიოს დასახულ მიზნებს, იმდენად ჩამორჩება რეალობას, რამდენადაც მისი წარმოდგენა საკუთარ ცოდნაზე აღემატება მის ცოდნას.  
\* \* \*
139. ადამიანის ცხოვრების გზა ვერ ასცდება ვერც სიკეთეს და ვერც ბოროტებას.  
\* \* \*
140. ადამიანის წარმოშობის ხანა იმდენად შორეულია, რომ არავის არაფერი ახსოვს მის შესახებ.  
\* \* \*
141. ადამიანის ხელთ არსებული ყოველგვარი ძალა უძლურია ადამიანთა სიმრავლის წინაშე.

142. ადამიანის ხორციელ საზრდოს წონას აქვს ფასი, სულიერისას კი – აზრს.

\* \* \*

143. ბევრითი ადამიანის უსაქმობა ტანჯვაა.

\* \* \*

144. დიდი ადამიანის ნაკვალევი განათებული გზაა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის.

\* \* \*

145. დიდი ადამიანის შეცდომა უფრო ძვირი ჯდება.

\* \* \*

146. როცა ბუმბერაზი ადამიანის გვერდით მოღვაწეობ, ის ერთნაირად გჩრდილავს და განათებს კიდეც.

\* \* \*

147. პოზიტიური ადამიანიც ნეგატივში (ფოტოფირში) ნეგატიურია.

\* \* \*

148. რამდენი ადამიანიცაა ამქვეყნად, იმდენი ცხოვრების გზა არსებობს.

\* \* \*

149. ადამიანმა ამტკიცოს ყოვლისმცოდნეობა იგივეა, ამტკიცოს, ღელაზე აღრე დაბადება.

\* \* \*

150. ადამიანმა გმირობა რომ ჩაიდინოს, საგმირო საქმემ მისი სულიერი სამყარო შესაბამის სიმაღლემდე უნდა აიყვანოს.

\* \* \*

151. ადამიანმა რამდენიც არ უნდა იცოცხლოს, მაინც ჰკონია, რომ უდროოდ კვდება.

\* \* \*

152. ადამიანმა რომ იცოდეს, როდის მოკვდება, უთუოდ დაასწრებდა მას.

\* \* \*

153. ადამიანმა საზოგადოებას უნდა მოუტანოს სიკეთე, თორემ თავის გამოკვებას მხეცებიც ახერხებენ.



154. ადამიანმა, სანამ ძლიერია, უნდა გაითვალისწინოს მომავალი უძლურება.

\* \* \*

155. ადამიანმა საქმიანობით უნდა ამტკიცოს საკუთარი ადამიანობა.

\* \* \*

156. ადამიანმა სიკეთე სანაცვლო სიკეთის იმედით კი არა, სიკეთის რწმენით უნდა აკეთოს.

\* \* \*

157. ადამიანმა უნდა იცოდეს არა მარტო ის, თუ როდის დაიბადა, არამედ ისიც, თუ რისთვის დაიბადა.

\* \* \*

158. ადამიანმა უნდა შეძლოს, გრძნობები დაუმორჩილოს გონებას.

\* \* \*

159. ცოცხალს ადამიანობა მოეთხოვება, მკვდარს კი სახელი.

\* \* \*

160. ადამიანში რაც მეტი ადამიანობაა, მით მეტია სიკეთე.

\* \* \*

161. ადამიანში უმთავრესი ადამიანობაა.

\* \* \*

162. თუ არ მიისწრაფი ადამიანობისაკენ, შორდები მას.

\* \* \*

163. ადამიანს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მტერიც ადამიანია.

\* \* \*

164. ადამიანს ვერც გინება დააკლებს და ვერც ქება შემატებს რამეს, მისი მტერიც და მოყვარეც მისი საქმიანობაა.

\* \* \*

165. ადამიანს ზუსტად სხვა ვერავინ შეიცნობს, მხოლოდ მან იცის, რაც არის.

\* \* \*

166. ადამიანს თავის გამოსაჩენად სათანადო ასპარეზი სჭირდება. კარგი ჯარისკაცი ლაშქრის სათავეში არაფერი

იქნება, ხოლო გენერალი – ჯარისკაცის ადგილზე – მხოლოდ კარგი ჯარისკაცი.

\* \* \*

167. ადამიანს თუ ვერ იხსენებ, არც არის გახსენების ღირსი.

\* \* \*

168. ადამიანს, თუნდაც ყველაფერზე მიუწვდებოდეს ხელი, საკუთარი თუ არაფერი აქვს, უკიდურეს ღარიბად ჩათვლის თავს.

\* \* \*

169. ადამიანს თუ სიკეთეს უკეთებ გულით უნდა გააკეთო.

\* \* \*

170. ადამიანს თუ სიკეთე ჭეშმარიტად ახარებს, ბოროტებას არასდროს დაუძეგობრდება.

\* \* \*

171. ადამიანს იმდენი რომ შეეძლოს, რამდენიც განრისხებისას ჰგონია, მართლაც უზომოდ ძლიერი იქნებოდა.

\* \* \*

172. ადამიანს ისტორიაში შესვლის დიდმა სურვილმა შეიძლება დიდი ბოროტება ჩაადენინოს.

\* \* \*

173. ადამიანს მეტი შეუძლია, თუ სასურველ საქმეს აკეთებს.

\* \* \*

174. ადამიანს მიწა აცოცხლებს და მკვდარს უკან იბრუნებს.

\* \* \*

175. ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობა იმისათვის აქვს, რომ პასუხისგება არაფერზე დასჭირდეს.

\* \* \*

176. ადამიანს, რაც უფრო დიდი მიზნები აქვს, მით უფრო დაუნდობელია მათი შესრულების გზაზე.

\* \* \*

177. ადამიანს, რომელიც არც თვალთახედვას უჯერებს და არც ყურთასმენას აფასებს ჯეროვნად, სინანულის კოცონი დაწვავს.

178. ადამიანს, რომელსაც მოძრაობა ეზარება, არც სიცოცხლე ეხალისება.

\* \* \*

179. ადამიანს რომ უთხრა, სულელი ხარო, თავს შეეგაკლავს. ზოგიერთი კი, სწორედ გასულელებამდე სვამს და კარგავს გონიერებას.

\* \* \*

180. ადამიანს საჭიროს დავიწყება ხშირად აწუხებს, არასაჭიროს დავიწყებას კი ვერც ამჩნევს.

\* \* \*

181. ადამიანს სიამოვნებს იმაზე მეტად წარმოჩენა, ვიდრე არის, – ამას კი სიკეთე არავისთვის მოუტანია.

\* \* \*

182. ადამიანს სხვისი სიხარული უნდა ახარებდეს და ჭირი დახმარებისთვის განაწყობდეს.

\* \* \*

183. ადამიანს უნდა ჰქონდეს არა ყველაფერი, არამედ ის, რაც სჭირდება.

\* \* \*

184. ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი, შეეგუოს ჭირსაც და ლხინსაც.

\* \* \*

185. ადამიანს უპრობლემოდ უნდა შეეძლოს სხვისი უპირატესობის აღიარება.

\* \* \*

186. ადამიანს ფიზიკურ ნაკლზე არც უნდა მიანიშნო და არც ისარგებლო ამით.

\* \* \*

187. ადამიანს ყველაფერი ბუნებამ ასწავლა.

\* \* \*

188. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს პასუხი სამ კითხვაზე: რა გაუკეთებია, რას აკეთებს და რის გაკეთებას აპირებს.

189. ადამიანს შემსუბუქებული სასჯელი ისევე უნდა შეურაცხყოფდეს, როგორც ზედმეტად დამძიმებული.

\* \* \*

190. ადამიანს ცილისწამება აიძულებს თავი იმართლოს.

\* \* \*

191. გაბრაზებულ ადამიანს ყველაფერი ერთად ღალატობს: გონებაც, თვალიც და ყურიც.

\* \* \*

192. თუ ადამიანს კითხვა უყვარს, უსაქმოდ არასოდეს დარჩება.

\* \* \*

193. კარგიც და ცუდიც აღელვებს ადამიანს, საშუალო კი შეუშინვეელია.

\* \* \*

194. კოლექტივი აყალიბებს ადამიანს.

\* \* \*

195. მოულოდნელობა აბნევს ადამიანს.

\* \* \*

196. ჩვენ ადამიანს ვუწოდებთ მასაც, ვინც მხეცის სახელს იმსახურებს.

\* \* \*

197. ცუდ ადამიანს კი არ უნდა ებრძოდე, არამედ – ადამიანში ცუდს.

\* \* \*

198. „სალამი ღვთისაა“, მაგრამ ადამიანსაც უნდა მიესალმო.

\* \* \*

199. ზოგადადამიანურ ღირებულებებს თავისუფალი ადამიანები ქმნიან.

\* \* \*

200. ადვილს, სადაც მზე ვერ შეიხედავს, სრულყოფილება აკლია.

\* \* \*

201. რასაც ადვილად მოიპოვებ, ძვირფასიც უბრალოდ ჩანს.

202. რაც ადვილად კეთდება, ის ადვილად ნადგურდება.

\* \* \*

203. ადვილი მისახვედრია რას ამბობს სახე, ძნელია მიხვედრა სურს გულს.

**ავადმყოფობა, ავი, ავკაცობა, ავტორიტეტი,  
აზრი, აზროვნება, ათასწლეული,  
აპრძალვა, ალაფი, ალკოჰოლი,  
ალყა, ამბავი, ამოქანთი**

204. ავადმყოფის გამოჯანმრთელება სიკვდილის გადავადებაა.

\* \* \*

205. ავადმყოფობა აძლიერებს ჯანმრთელობის სურვილს, ჯანმრთელობა ავადმყოფობისას კი – არასოდეს.

\* \* \*

206. ავადმყოფობაზე ფიქრი თვითონაა ავადმყოფობა.

\* \* \*

207. ავადმყოფობა სასჯელია ცხოვრების ნორმალური წესის დარღვევისათვის.

\* \* \*

208. თუ გახსოვს, რა ჰქვია ამ ავადმყოფობას, ესე იგი, ჯერ არ გაქვს სკლეროზი.

\* \* \*

209. ავადმყოფობის პროფილაქტიკა ყველაზე გონივრული მკურნალობაა.

\* \* \*

210. ერს თავისი საუკეთესო შვილები ავანგარდის წინა რიგებში უნდა ჰყავდეს მოქცეული.

\* \* \*

211. ავ სიტყვას კეთილი სიტყვით უნდა დაუპირისპირდე.

\* \* \*

212. ავი დედამთილის პატრონი რძალს უხდის სამაგიეროს.

213. ავი სადედამთილო ავი რძლის ღირსია.  
\* \* \*
214. ავის დაგმობა სიკეთის ამალლებაა.  
\* \* \*
215. მოყვასისათვის ავის მსურველი თავად მოიმკის ავს.  
\* \* \*
216. აკაცობა ფუტკარი არ არის, რომ გიკბინოს და მოკვდეს, ყოველი აკაცობა შობს ახალ აკაცობას.  
\* \* \*
217. მაღალი ავტორიტეტიც ძალაუფლებაა.  
\* \* \*
218. თუ გაქვს ღრმა აზრები, არასოდეს ჩაიძირები.  
\* \* \*
219. განსხვავებულ აზრებს მაღალგანვითარებული გონება იძლევა.  
\* \* \*
220. მაღალ აზრებს დიდი სიკეთე მოაქვს.  
\* \* \*
221. ჯერ გამოუთქმელ აზრზე შენ ბატონობ, გამოთქმული კი შენზე.  
\* \* \*
222. აზრი აცოცხლებს კაცობრიობას.  
\* \* \*
223. აზრი და ძალა უერთმანეთოდ რეალობებს ვერ ქმნიან.  
\* \* \*
224. აზრი, თუ არ ანათებს, გზას ვერ გაიკვლევს.  
\* \* \*
225. აზრი მართავს ადამიანს.  
\* \* \*
226. აზრი მეტი არსებობს, ვიდრე სიტყვები.  
\* \* \*
227. აზრი მობილიზებას უკეთებს ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს.

228. აზრი მოქმედების წინამძღოლია.  
\* \* \*
229. აზრი, რომელიც არ იმსახურებს ყურადღებას, არც აზრის სახელს იმსახურებს.  
\* \* \*
230. აზრი სიკეთის გარეშე ბოროტებაა.  
\* \* \*
231. აზრი უმიზეზოდ არ იცვლება.  
\* \* \*
232. აზრი უხილავი ძალის მქონეა.  
\* \* \*
233. აზრი წარმოშობს ახალ აზრს.  
\* \* \*
234. ბევრია აზრი, რომელიც უაზრობაა.  
\* \* \*
235. კარგად ნათქვამი აზრი გაიძულებს, დაიმახსოვრო იგი.  
\* \* \*
236. კარგი აზრი არაფერია, თუ ცხოვრებაში არ გამოიყენება.  
\* \* \*
237. კარგია აზრი, რომელიც რეალიზებამდე არ კვდება.  
\* \* \*
238. მოსმენით ითესება აზრი.  
\* \* \*
239. საკუთარია აზრი, სანამ სხვამ არ იცის.  
\* \* \*
240. სასიკეთო აზრი შენ მოგივიდა თუ სხვამ მოგაწოდა, ორივე ერთნაირად სასარგებლოა.  
\* \* \*
241. სრულყოფილი აზრი სრულყოფილ ნაყოფს იძლევა.  
\* \* \*
242. უკვდავი აზრი და ადამიანი ერთად იბადებიან.  
\* \* \*
243. ყოველი ახალი აზრი აღრმავებს განათლებას.

244. ჯერ **აზრი** იქმნება და მერე — საქმე. საქმის სიკეთე აზრის სიკეთეშია.

\* \* \*

245. ჯერ **აზრი** უნდა სრულყო და მერე შეუდგე საქმეს.

\* \* \*

246. არავინ იცის ყველას **აზრი** ყველაფერზე და ამიტომაც ხშირია აზრთა გამეორება.

\* \* \*

247. **აზრის** დამალვა რომ არ შეიძლებოდეს, წუთში დედამიწას ქაოსი მოიცავდა.

\* \* \*

248. **აზრმა** რომ იზეიმოს, საქმედ უნდა იქცეს.

\* \* \*

249. **აზრმა** უნდა დაგატყვევოს, რომ საქმედ აქციო.

\* \* \*

250. **აზრს** სჭირდება შალაშინი.

\* \* \*

251. **აზრში** არ არის საქმე, საქმეში კი არის აზრი.

\* \* \*

252. ადამიანის ადამიანობას მისი **აზროვნება** უზრუნველყოფს.

\* \* \*

253. მხოლოდ კრიტიკული **აზროვნება** ქმნის პროგრესს.

\* \* \*

254. მაღალ **აზროვნებას** მოაქვს უკვდავება.

\* \* \*

255. ცხოვრება გვაიძულებს **აზროვნებას** და მოქმედებას.

\* \* \*

256. საღად **აზროვნების** უნარი ადამიანობის ნიშანია.

\* \* \*

257. ცუდი ჩვევები ცუდი **აზროვნების** შედეგია.

\* \* \*

258. დააკვირდი ადამიანს, რას როგორ აკეთებს და მიხვდები, როგორ **აზროვნებს**.



259. ვინც კარგად აზროვნებს, ის კარგად მოქმედებს.

\* \* \*

260. სხვისგან ნასწავლს შენი ნააზრევიც უნდა ახლდეს.

\* \* \*

261. ათასწლეულები ისე გადიან, რომ წამსაც არ გამოტოვებენ.

\* \* \*

262. აზრის აკრძალვა უკეთეს აზრს შეუძლია და არა დადგენილებას.

\* \* \*

263. აკრძალვა აძლიერებს სურვილს.

\* \* \*

264. აკრძალვადამიანის ნააზრევი, ეს იგივეა თავისი სიმდიდრე საფლავში ჩააყოლო.

\* \* \*

265. ყველაფერი წარსულის საალაფოა.

\* \* \*

266. ალკოჰოლის მოჭარბებული სიყვარული საკუთარი თავის სიძულვილია.

\* \* \*

267. ალყაში მოქცეული ფრთებს ვერასოდეს გაშლის.

\* \* \*

268. ახალი ამბები ძალიან მალე ძველდება, ძველი კი დიდხანს ინახება.

\* \* \*

269. თუ იცი, რომ ქვევრი იმავს ამოგახებს, არ უნდა ჩასძახო.

**არაპინი, არამზადა, არარაობა,  
არმალი, არსებობა, არჩევანი, არწივი,  
ასაკი, ასვლა, ასკარეზი, ატომი,  
აუცილებლობა, აფორიზმი**

270. არაინაა ყოველთვის ერთნაირი.

\* \* \*

271. არაინ შეგიძლება, თუ თავს არ შეაძლებ და არაინ შეგძლება, თუ თავს არ შეგაძლებს.

\* \* \*

272. არავის უთხრა ხმამალა ის, რაც საკუთარი თავისთვის ჩუმად არ გითქვია.

\* \* \*

273. არამზადა რომ გაიცნო, სამწუხაროდ, ერთხელ მაინც უნდა იწვნიო მისი არამზადობა.

\* \* \*

274. ჩვენ ვიყავით არარაობა, სიცოცხლე გვაჩუქეს და სიკვდილის შემდეგ უცბად რომ არ დავუბრუნდეთ არარაობას, უნდა დავტოვოთ მომგონებელიც და მოსაგონარიც.

\* \* \*

275. იზრდება სიმაღლე, იზრდება მხედველობის არეალი.

\* \* \*

276. არსებობა შეუძლებელია ვიღაცასთან თანაარსებობის გარეშე.

\* \* \*

277. რაც არსებობს, მხოლოდ აწმყოში არსებობს.

\* \* \*

278. არჩევანი სიკეთესა და ბოროტებას შორის, ყოველთვის სიკეთის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

\* \* \*

279. სწორი არჩევანი ბედნიერების წყაროა.

\* \* \*

280. სწორი და სასურველი არჩევანი შეცდომასთან არასოდეს მიგიყვანს.

281. შენ გაქვს საკუთარი აზრი, თუ სხვასაც დაეკითხები, გექნება არჩევანი.

\* \* \*

282. არწივი ბელურას ფრთებით ბელურობასაც კი ვერ შეძლებს.

\* \* \*

283. არწივი წიწილისათვის მიწაზე არ დაეშვება.

\* \* \*

284. ასაკი ანადგურებს ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს.

\* \* \*

285. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება სიცოცხლის ფასიც.

\* \* \*

286. ასაკის მატებასთან ერთად ახლობლების სიყვარული კი არა, მისი გამოხატვის შესაძლებლობები მცირდება.

\* \* \*

287. ასაკის შესაბამისი გონიერება ყველას მოეთხოვება.

\* \* \*

288. მალლა ნელა აღიზარ, დაბლა სწრაფად ეშვები.

\* \* \*

289. თუ ასპარეზი არა გაქვს, თავს ვერაფრით გამოიჩინ.

\* \* \*

290. ატომი ადამიანს ვერ გადაურჩა, ვნახოთ, ადამიანი თუ გადაურჩება ატომს.

\* \* \*

291. აუცილებელია სიყვარულის სიყვარული და სიძულვილის სიძულვილი.

\* \* \*

292. აუცილებლობა გვიმორჩილებს.

\* \* \*

293. აუცილებლობაც ბრძანებაა.

\* \* \*

294. შეგონება, სენტენცია, მაქსიმა თუ სხარტულა აფორიზმად რომ იქცეს, საუკუნეებს უნდა გაუძლოს.

295. აფორიზმები წიგნის ნათელი ადგილებია.  
\* \* \*
296. აფორიზმები ცხოვრების გაკვეთილებია.  
\* \* \*
297. აფორიზმები ცხოვრების რეცეპტებია.  
\* \* \*
298. აფორიზმების კრებული წიგნი კი არა სიბრძნის კალაა დაზვავებული.  
\* \* \*
299. აფორიზმების კრებული გზაა ადამიანობის მწვერვალებისაკენ.  
\* \* \*
300. აფორიზმებს თუ იცნობ, ავტორის გონიერებასაც და სულიერ სამყაროსაც იცნობ.  
\* \* \*
301. აფორიზმი ადამიანის აზროვნების სიღრმის საზომია.  
\* \* \*
302. აფორიზმი ავტორის სიბრძნით ამდიდრებს მსმენელის გონიერებას.  
\* \* \*
303. აფორიზმი ბრალს სდებს ბოროტებას და იცავს სიკეთეს.  
\* \* \*
304. აფორიზმი ისე მოსწყდება ხოლმე ბაგეებს, როგორც ისარი მშვილდს და ისარივით ხვდება მიზანს.  
\* \* \*
305. აფორიზმი მოკლე ტექსტში შეყურსული სიბრძნეა.  
\* \* \*
306. აფორიზმი, რომლისგანაც აზრის დაურღვევლად თუნდაც ერთი სიტყვის ამოკლება შეიძლება, აფორიზმი კი არა, მოთხრობაა.  
\* \* \*
307. აფორიზმი სიბრძნესთან მისასვლელი უმოკლესი ბილიკია.

308. აფორიზმი სიბრძნისმეტყველებაა.  
\* \* \*
309. აფორიზმი სიბრძნის ნაყოფია, რომელიც გზას გვინათებს.  
\* \* \*
310. აფორიზმი სიბრძნის ფორმულაა.  
\* \* \*
311. აფორიზმი უყვარს იმას, ვინც აზრს სხარტად გამოთქვამს.
312. აფორიზმი ყოველთვის სიბრძნეა, ხოლო სიბრძნე ყოველთვის არაა აფორიზმი.  
\* \* \*
313. აფორიზმი შეკუმშული სიბრძნეა.  
\* \* \*
314. აფორიზმი ჩირაღდანით ანათებს გონებას.  
\* \* \*
315. აფორიზმი ჭკუის ერთი ულუფაა.  
\* \* \*
316. წონადია ის აფორიზმი, რომელიც გვკარნახობს ჭეშმარიტებას.  
\* \* \*
317. ჭეშმარიტი აფორიზმი იცოცხლებს, სანამ იცოცხლებს კაცობრიობა.

**აღზრდა, აღმართი-დაღმართი, აჩქარება,  
აშუკარა, აწმყო, ახალგაზრდობა,  
ახლობელი, ახალშობილი**

318. ადამიანს აყალიბებს ბუნება და აღზრდა.  
\* \* \*
319. გაზრდა წლებია, აღზრდა – თვისებები.  
\* \* \*
320. ყოველი წაკითხული წიგნი ემსახურება აღზრდას.

321. ყოფაქცევა შეესაბამება **აღზრდას**.

\* \* \*

322. **აღზრდილი** აღმზრდელის გამეორებაა.

\* \* \*

323. ვისაც **აღზრდის** ნაკლები შესაძლებლობა აქვს, მას მეტი შვილი ჰყავს.

\* \* \*

324. უცოდინარი **აღმზრდელი** უცოდინარებს მოამრავლებს.

\* \* \*

325. არც ვაჟკაცის **აღმზრდელს** აკლია ვაჟკაცობა.

\* \* \*

326. **აღმზრდელსა** და **აღსაზრდელს** შორის სიყვარულია საჭირო.

\* \* \*

327. **აღმართ-ღაღმართი** სიგრძით ერთნაირია, გასავლელად სხვადასხვა.

\* \* \*

328. **აღმართში** მხოლოდ დაგუბებული წყალი ადის.

\* \* \*

329. რომ დაეწიო, ფეხი უნდა **აუჩქარო**.

\* \* \*

330. კითხვის ნიშანს ბევრი უცნობი რამ გამოაქვს **სააშკარაოზე**.

\* \* \*

331. **აწმყო** ის მატარებელია, რომლითაც ადამიანს ერთხელ უწევს მგზავრობა და ისიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

\* \* \*

332. **აწმყო** მუდმივად მიიღტვის მომავლისკენ, და უწყვეტად წარმოებს მომავლის წარსულად გადაქცევის პროცესი.

\* \* \*

333. **აწმყო** მოძრავი უსასრულობაა.

\* \* \*

334. **აწმყო** რეალურად არსებული ერთადერთი დროა. ის

განუწყვეტლივ მოძრაობს წარსულიდან მომავლისკენ. მხოლოდ აწმყოში მიმდინარეობს ყოველგვარი მოვლენა (მოქმედება), რომლის შედეგადაც იქმნება და ნადგურდება ყოველივე არსებული. შექმნილი აწმყოსთან ერთად მოძრაობს და თან ატარებს შექმნის მომენტიდან მასზე წარსულ აწმყოში მიმდინარე მოვლენების მოქმედების კვალს, სანამ არ განადგურდება და ჩაინთქმება წარსულის უსასრულო წყვილადში. ყველაფერი შეიქმნა და განადგურდა წარსულ აწმყოში, იქმნება და ნადგურდება აწმყოში, შეიქმნება და განადგურდება მომავალ აწმყოში.

\* \* \*

335. აწმყოთი კმაყოფილება მომავლის მტერია.

\* \* \*

336. აწმყოს არ ექნებოდა სიტყბო, რომ არ გვახსოვდეს წარსულის სიმწარე.

\* \* \*

337. აწმყოს გასაჭირს მომავალი ბედნიერების იმედი აადვილებს.

\* \* \*

338. აწმყოს წართმევა მხოლოდ სიკვდილს შეუძლია.

\* \* \*

339. აწმყოს ხელავ და ვერ დაივიწყებ, მომავალი ჯერ არ ყოფილა, დასავიწყებლად მხოლოდ წარსულია განწირული.

\* \* \*

340. აწმყოში რაც არსებობს საკუთარი წარსულით არსებობს.

\* \* \*

341. კარგად უნდა ერკვეოდე წარსულსა და მომავალში, რომ საიმედო აწმყო გქონდეს.

\* \* \*

342. მხოლოდ აწმყო შობს და ანადგურებს

\* \* \*

343. ყველაფერი, რაც აწმყოში არსებობს, წარსულ აწმყოშია შექმნილი.

344. ახალგაზრდა, გამოუცდელი ადამიანის ბევრი ფული  
ხშირად მასაც ღუპავს და მის მეგობრებსაც.

\* \* \*

345. ახალგაზრდა და მოხუცი ერთი და იგივე საქმისათვის  
სხვადასხვა პასუხს იმსახურებს. ახალგაზრდამ არ იცის, რაა  
სიბერე, მოხუცმა კი იცის, რაა ახალგაზრდობა.

\* \* \*

346. ახალგაზრდა წინ იყურება, მოხუცი — უკან.

\* \* \*

347. ახალგაზრდას ბუნებით დაჰყვება გართობის სიყვარული  
და ყველაზე ძნელი მისი საქმიანობის სიყვარულით შეცვლაა.

\* \* \*

348. ახალგაზრდას მიზნამდე მისასვლელი გზა ყოველთვის  
უფრო მოკლე ჰგონია, ვიდრე არის.

\* \* \*

349. ახალგაზრდას ნაკლებად აქვს სიკვდილის შიში, ამიტომ  
ხშირად ხდება არაბუნებრივი სიკვდილის მსხვერპლი.

\* \* \*

350. ახალგაზრდას ფიზიკური ძლიერება მოეთხოვება, ხოლო  
მოხუცს — გონიერება.

\* \* \*

351. ახალგაზრდის ბედნიერებაა, რომ ცხოვრება წინ აქვს,  
მოხუცის უბედურებაა, რომ ცხოვრება უკან დარჩა.

\* \* \*

352. ახალგაზრდის გაუწონასწორებლობას მისი მცირე  
გამოცდილება ამართლებს, მოხუცის გაწონასწორებულობას კი  
— დიდი.

\* \* \*

353. ახალგაზრდის თვალები სინათლეს აშუქებენ, მოხუცისა  
კი — სიბრძნეს.

\* \* \*

354. ახალგაზრდის შრომა მომავალი სიხარულია,  
უშრომელობა კი — მწუხარება.



355. ახალგაზრდის წარმატება მომავალი მეტი წარმატების საწინდარია.

\* \* \*

356. ახალგაზრდისგან მიღებულ რჩევას დამაჯერებლობა ნაკლები აქვს.

\* \* \*

357. ახალგაზრდობა გამოსაყენებელი შესაძლებლობებია, სიბერე კი – გამოყენებული.

\* \* \*

358. ახალგაზრდობა მწვანე ჯეჯილია, სიბერე – მწიფე თავთავი.

\* \* \*

359. ახალგაზრდობა სწავლისა და შრომის დროა, ხოლო სიბერე – მოგონებებისა და შეფასებების.

\* \* \*

360. ახალგაზრდობა უკან არასოდეს დაბრუნდება.

\* \* \*

361. ახალგაზრდობა ძალაა სიბრძნის გარეშე, სიბერე კი – სიბრძნე ძალის გარეშე.

\* \* \*

362. ახალგაზრდობა ჯანმრთელობის გარეშე, სიბერეზე უარსია.

\* \* \*

363. ახალგაზრდობაში გაკეთებული სიკეთე განძია სიბერეში მოსახმარად.

\* \* \*

364. ახალგაზრდობაში შვილები ისე უნდა აღზარდო, რომ სიბერეში სიცოცხლე კი არ გაგიმწარდეს, არამედ შვილებმა ბედნიერება მოგიტანონ.

\* \* \*

365. ახალგაზრდობაში დშეებული შეცდომა სიბერეში ჩნდება.

\* \* \*

366. ახალგაზრდობის სიმდიდრე მისი ხანგრძლივი მომავალია.

367. ახალგაზრდობის ფიზიკურ უპირატესობას, ხანში შესულთა გონიერება აწონასწორებს.

\* \* \*

368. ახლობელს თავი არ უნდა დაავიწყო.

\* \* \*

369. ახალშობილი ადამიანია მინიატურაში.

### **ბავშვი, ბედი, ბედნიერება, ბელადი, ბეჭედი, ბიბლია**

370. დღევანდელი ბავშვები ხვალ უომრად დაეუფლებიან მსოფლიოს.

371. ბავშვების სწორად აღზრდას მშობლების სიამტკბილობა სჭირდება.

\* \* \*

372. ბავშვი ყოველთვის ბავშვეურია, ზრდასრული ადამიანი კი ყოველთვის არ არის ადამიანური.

\* \* \*

373. ბავშვის საბრძოლო იარაღი ტირილია.

\* \* \*

374. ბავშვა თუ ბავშვობა არ მოიღია, ახალგაზრდობა გაუჭირდება.

\* \* \*

375. ბავშვობა გადადის ახალგაზრდობაში, ახალგაზრდობა – სიბერეში, ხოლო სიბერე – ბნელ უსასრულობაში.

\* \* \*

376. ბავშვობა მიქრის და მოგონებებს ტოვებს.

\* \* \*

377. ბავშვობას ამთავრებ მაშინ, როცა ცხოვრებას შეეთამაშები და არა სათამაშოს.

\* \* \*

378. ბავშვს არასოდეს აწუხებს მომავალი სიბერე.

379. ბავშვს ბავშვობაში დაკარგულ მშობლიურ სითბოს დილობაში ვერავინ დაუბრუნებს.

\* \* \*

380. ბავშვს უნდა ასწავლო, რომ სხვის დაუხმარებლად ისწავლოს.

\* \* \*

381. ბავშვს ცრემლის შესაბამისზე ნაკლები განცდა აქვს, მოხუცს კი მოჭარბებული.

\* \* \*

382. ადამიანის ბედი ხშირად სხვის ხელშია და როცა იმ „სხვის“ ადგილას აღმოჩნდები, ეცადე, ჭეშმარიტებასთან იყო ახლოს.

\* \* \*

383. ბედი თუ გაგიღიმებს, გაცინებას ნუ მოსთხოვ.

\* \* \*

384. ბედი მხოლოდ უბედურების დროს გვახსენდება.

\* \* \*

385. ბედი ოქროს თევზი არაა, რომ შენს დაძახილზე გაეხლოს და სურვილი შეგისრულოს.

\* \* \*

386. ყოველი ადამიანის ბედი სამშობლოს ბედთანაა დაკავშირებული.

\* \* \*

387. ბედის ვარსკვლავის ცაზე ძებნას, მიწაზე ეძებო სჯობს.

\* \* \*

388. ბედის მოცემულს შენი მოპოვებული სჯობს.

\* \* \*

389. ბედმა ორი რამ იცის: ხან გიწყალობებს, ხან წაგართმევს.

\* \* \*

390. ბედს თუ მზად არ დახვდი, ესეც უბედურებაა.

\* \* \*

391. ბედს ნაკლებად დაემდურები, თუ წინდახედული იქნები.

392. ზოგი ბელს დაეძებს და ზოგს — ბელი.

\* \* \*

393. „ბელში მყოფი მეგობარს ადვილად შეიძენ“, გასაჭირში კი ადვილად დაკარგავ.

\* \* \*

394. ადამიანს გონიერება აბედნიერებს.

\* \* \*

395. ადამიანს რომ სხვაზე მეტი არ სურდეს, უფრო ბედნიერად იცხოვრებდა.

\* \* \*

396. ადამიანთა ყველაზე ღიდი ბედნიერება სიყვარულშია.

\* \* \*

397. არ არსებობს ბედნიერება, რომელსაც უბედურება არ ენაცვლება.

\* \* \*

398. არასრულია ბედნიერება, რომელიც სხვის ბედნიერებაზეა დამოკიდებული.

\* \* \*

399. არაფერშია სრული ბედნიერება.

\* \* \*

400. ბედნიერება და უბედურება ერთად არასოდეს არიან.

\* \* \*

401. ბედნიერება დიდხანს არავისთან ჩერდება.

\* \* \*

402. ნამდვილი ბედნიერება იქნებოდა მოხუცის სიბრძნე ახალგაზრდობაში და ახალგაზრდის ჯანმრთელობა — სიბერეში.

\* \* \*

403. ბედნიერება მიღწეულით დაკმაყოფილების ნიჭია.

\* \* \*

404. ბედნიერება რომ იგრძნო, მწუხარება უნდა გამოსცადო.

\* \* \*

405. ბედნიერება სიმდიდრეს კი არა, მის გამოყენებას მოაქვს.

406. ბელნიერება სინდისის კარნახით ცხოვრებაშია.

\* \* \*

407. ბელნიერება სწორად გამოყენებული სიცოცხლეა.

\* \* \*

408. ბელნიერება შორს გვგონია მაშინაც კი, როცა თვალწინ გვაქვს.

\* \* \*

409. დიდი ბელნიერება უფრო თვალშისაცემია და მეტი შურის თვალი უყურებს.

\* \* \*

410. რაც მეტს ნიშნავს შენთვის ბელნიერება, მით ნაკლებად ბელნიერი ხარ.

\* \* \*

411. სხვისი ბელნიერება თუ გახარებს, ღმერთი შენც გაგაბელნიერებს.

\* \* \*

412. შენი ბელნიერება გონებით უნდა გაზომო და არა სხვისი ბელნიერებით.

\* \* \*

413. ჩვენ ყოველთვის გვგონია, რომ ბელნიერება კოჭებადმე გვწვდება, ხოლო უბელურება ყელამდე.

\* \* \*

414. ბელნიერებაა, თუ ახალგაზრდობაში ნამოღვაწარი სიბერეშიც მოგეწონება.

\* \* \*

415. ვინც მარტო სიმდიდრეში ხელავს ბელნიერებას, ის ცუდად იცნობს ცხოვრებას.

\* \* \*

416. ვინც ცოტათი კმაყოფილდება, ბელნიერებას ადვილად იპოვის.

\* \* \*

417. ზოგიერთის ბელნიერებას ცოტა ჰყოფნის, ზოგიერთისას კი — ბევრიც არა.

418. თუ არაფერი გაკლია, ბედნიერებას ვერ იგრძნობ.
- \* \* \*
419. შენს გარეშე შენს ბედნიერებას ვერავინ შექმნის.
- \* \* \*
420. წარსულ ბედნიერებას მწარე მოგონება ახლავს.
- \* \* \*
421. ბავშვი თუ ბედნიერებაში იზრდება, მას უნდა ჩავაგონოთ, რომ არსებობს უბედურებაც.
- \* \* \*
422. ვინც ბედნიერებაში მარტო ყოფნას არჩევს, გაჭირვებაშიც მარტო იქნება.
- \* \* \*
423. ჯერ არავის უნახავს ადამიანი, რომელიც ყოველთვის სრულ ბედნიერებაში ცხოვრობდეს.
- \* \* \*
424. ადამიანი არასდროს დაიღლება ბედნიერების ძებნაში.
- \* \* \*
425. არავინ იცის ბედნიერების ადგილსამყოფელი, ამიტომ ყველა ბრმად ეძებს მას.
- \* \* \*
426. არასოდეს შეამოწმო საკუთარი ბედნიერების ხარისხი, ამით კმაყოფილი არასდროს დარჩები.
- \* \* \*
427. ბედნიერების გზა მოლიპულია.
- \* \* \*
428. ბედნიერების მომლოდინე ბედნიერად გრძნობს თავს.
- \* \* \*
429. ბედნიერების მწვერვალია ბედნიერება სხვისი გაბედნიერებით.
- \* \* \*
430. ბედნიერების წყურვილს ვერასოდეს მოიკლავ.
- \* \* \*
431. ძნელია ბედნიერების მოპოვებაც და დაკარგვაც.

432. ბენიერებისთვის ზრუნვა ბენიერების ნაწილია.

\* \* \*

433. ადამიანს ყველა მასზე ბენიერი ჰგონია, უკეთესი კი – არავინ.

\* \* \*

434. ვერასოდეს გახდება ბენიერი ის, ვინც ვერ განსაზღვრა რა არის ბენიერება.

\* \* \*

435. ყოველი მშვიდობიანი დღე ბენიერი დღეა.

\* \* \*

436. ადამიანი ბენიერია მაშინ, როცა მისი სული და სხეული ერთმანეთთან ჰარმონიულ მდგომარეობაშია.

\* \* \*

437. ბენიერია, ვინც იცის ადამიანის დანიშნულება და ბოლომდე ამართლებს მას.

\* \* \*

438. ბენიერისათვის საათი წუთია, უბედურისათვის – წუთი წელიწადი.

\* \* \*

439. ბენიერს და უბედურს განსხვავებული სახე აქვს.

\* \* \*

440. ბელადობა ადვილია, იქამდე მიღწევა ძნელი.

\* \* \*

441. ბრილიანტის ბეჭედი მეტს ეტყვის ქალს, ვიდრე ენამოსწრებული მამაკაცი.

\* \* \*

442. ბიბლია ყველას თანამედროვეა.

**ბოროტმბა, ბრალდმბა, ბრბო, ბრიყვი, ბრმბა,  
ბრუნმბა, ბრძმნი, ბრძოლბა, ბუნმბა**

443. სისუსტე აბოროტებს ადამიანს.

\* \* \*

444. ბოროტება მხოლოდ ბოროტებით დაგიბრუნდება.

\* \* \*

445. ბოროტება სიცოცხლის მოსწრაფებაა და არა ბუნებრივი სიკვდილი.

\* \* \*

446. ბოროტება უგზოუკვლოდ დაეხეტება და რაც მეტ თავცარიელს ნახავს მით მეტად მრავლდება.

\* \* \*

447. შეგნებული ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტება ათასჯერ მეტი ბოროტებაა, ვიდრე უგუნურის.

\* \* \*

448. ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელიც ბოროტებას გვემავს და ისე აკეთებს.

\* \* \*

449. ბოროტებას არ ივიწყებენ.

\* \* \*

450. ბოროტებას, თუ ბოროტებით გადაუხდი, ბოროტებას მოიმკი, ხოლო თუ სიკეთით – სიკეთეს.

\* \* \*

451. ბოროტებას თუ სიბრძნე შეეპარა, მისი დამარცხება გარანტირებულია.

\* \* \*

452. დღევანდელ ბოროტებას სათავე წარსულში უდევს.

\* \* \*

453. ერთნაირად მიუღებელია, თვითონ ჩაიდენ ბოროტებას თუ სხვას დართავ ნებას, ჩაიდინოს იგი.

\* \* \*

454. კეთილი ადამიანი ძნელად ამჩნევს ბოროტებას და ამიტომ ხშირად ხდება მისი მსხვერპლი.



455. შენს გვერდით **ბოროტებას** თუ ითმენ, მის მონაწილედ ჩაითვლები.

\* \* \*

456. **ბოროტებასთან** მებრძოლი სიკეთის მეგობარია.

\* \* \*

457. არ არსებობს სულ მცირე **ბოროტებაც** კი, რომელსაც ზიანი არ მოჰქონდეს.

\* \* \*

458. **ბოროტებით** მოპოვებული სიკეთე მომავალი უბედურებაა.

\* \* \*

459. **ბოროტების** ბორკილი განათლებაა.

\* \* \*

460. **ბოროტების** გაფიქრებაც ბოროტებაა.

\* \* \*

461. **ბოროტების** საზომი ანგარებაა, ხოლო სიკეთის — სათნოება.

\* \* \*

462. რაც შორს იქნები **ბოროტებისგან**, მით უფრო ახლოს იქნება სიკეთე.

\* \* \*

463. არც ერთი **ბოროტი** არ მიიღტვის ჯოჯოხეთისკენ, თუმცა ყველა იმსახურებს.

\* \* \*

464. **ბოროტი** ეძებს ბოროტს, კეთილი — კეთილს.

\* \* \*

465. კეთილი და **ბოროტი** სიკეთეს სხვადასხვა თვალთ ხედავენ.

\* \* \*

466. **ბოროტს** სხვისი მოწამულა ახარებს და გადარჩენა წამლავს.

\* \* \*

467. სხვისი **ბრალდების** გამო საკუთარ სიმართლეში არ უნდა დაეჭვდე.

468. ბრბოში ათასი კაცია და არც ერთი ადამიანი.

\* \* \*

469. ბრიყვი და სულელი ჭკვიანის სათრევი ცოცხალი ბარგია.

\* \* \*

470. ბრიყვის ხელში კენჭიც საშიშია, ჭკვიანის ხელში – ქვაც კი არა.

\* \* \*

471. ბრიყვს ჭკვიანი უცებ იცნობს, ბრიყვი ჭკვიანს კი – ვერასოდეს.

\* \* \*

472. საცოდავია თვალხილული ბრმა.

\* \* \*

473. ვინც სხვის სიბრძავეს ვერ ამჩნევს, თვითონაც ბრმაა.

\* \* \*

474. ბრმას არასოდეს შემოაღამდება.

\* \* \*

475. ბრმას სილამაზით ვერ მოხიბლავ.

\* \* \*

476. ყველაფერი ბრუნავს.

\* \* \*

477. ბრძენთა ნააზრევი დღეს სიბრძნის ზღვაა, ხვალ კი ოკეანედ გადაიქცევა.

\* \* \*

478. ბრძენთან ურთიერთობა სიბრძნით სარგებლობაა.

\* \* \*

479. ბრძენი ის არის ვისი სიბრძნითაც ქვეყანამ და ხალხმა ისარგებლა.

\* \* \*

480. ბრძენი მეტჯერ იტყვის – „არ ვიცი“, ვიდრე არაფრის მცოდნე.

\* \* \*

481. ბრძენის სიტყვა ბრძნული საქმის გარანტიაა.

482. ბრძენის ცქერა სჯობს უჭკუოს მოსმენას.

\* \* \*

483. ბრძენისაგან ძაგება გიჯობდეს, სულელისაგან ქებას.

\* \* \*

484. ბრძნულ აზრს ერთი ზედმეტი სიტყვაც ლაზათს უკარგავს.

\* \* \*

485. თუ ბოროტებას ებრძვიან, საყოველთაო სიკეთეს აკეთებენ.

\* \* \*

486. ბრძოლა უკიდურესად მკაცრი და დაუნდობელია მაშინ, როცა ერთის სიკვდილმა უნდა უზრუნველყოს მეორის სიცოცხლე.

\* \* \*

487. მტერთან ბრძოლა სჯობს ბოროტთან მეგობრობას.

\* \* \*

488. ყოველ ცოცხალ არსებაში სიკვდილისა და სიცოცხლის დაუნდობელი ბრძოლაა.

\* \* \*

489. ბრძოლაში დამარცხება უფრო საპატიოა, ვიდრე ბრძოლისათვის თავის არიდება.

\* \* \*

490. ბრძოლის აზრი გამარჯვებაშია.

\* \* \*

491. დიდი ბრწყინვალეობა მზესავით უკარებაა.

\* \* \*

492. ბუნება არის ღმერთი.

\* \* \*

493. ბუნება ბატონობს მის ნამოქმედარზე: ის შობს, ზრდის, ამშვენებს, აჭკნობს, აუძღურებს, მიიბარებს და არარაობად აქცევს ყოველივეს.

\* \* \*

494. ბუნება ბევრს გვასწავლის და ბევრსაც მალავს.

495. ბუნება და ადამიანი ხელოვანისთვის ყველაზე ძვირფასი ობიექტია.

\* \* \*

496. ბუნება ერთადერთი და ყოვლისმომცველია.

\* \* \*

497. ბუნება უგუნური მოქმედებისთვის გვსჯის.

\* \* \*

498. ბუნება უშეცდომოდ გვასწავლის.

\* \* \*

499. ბუნება უშვებს სიმახინჯეს, ხელოვნება კი — არა.

\* \* \*

500. ბუნება ყველა ენაზე მეტყველებს.

\* \* \*

501. ბუნება ყველაზე დიდ საოცრებებს ქმნის.

\* \* \*

502. ბუნება ყველგან მთავარი მოქმედი გმირია.

\* \* \*

503. ბუნება შრომის შესაბამისად გაცემს სიკეთეს.

\* \* \*

504. ცდება ის, ვისაც ბუნება ერთფეროვნად წარმოუდგენია. ბუნება მიდმივად იცვლის სახეს, ფერს, სიღრმეს, მაგრამ არასდროს კარგავს ბუნებრიობას.

\* \* \*

505. ბუნებაზე გამარჯვება, მის არდამარცხებაშია.

\* \* \*

506. ბუნებაზე მოუსვენარი არაფერია.

\* \* \*

507. ბუნებამ ძმებად გავგაჩინა”, ცხოვრებამ მტრებად გვაქცია.

\* \* \*

508. ბუნებას ერთეულები იმორჩილებენ და მილიონები სარგებლობენ.

\* \* \*

509. ვინც ბუნებას სპობს, კაცობრიობას აზიანებს.

510. თუ კაცობრიობა გაანადგურებს ბუნებას, ბუნება გაანადგურებს კაცობრიობას.

\* \* \*

511. მრავალფეროვნება აცოცხლებს ბუნებას.

\* \* \*

512. ადამიანის სიცოცხლე ბუნებასთან კავშირიშია.

\* \* \*

513. ბუნებასთან ისე უნდა ითანამშრომლო, რომ თავის საიდუმლოებებს გაზიაროს.

\* \* \*

514. ბუნებასთან მეგობრობა გვიადვილებს ცხოვრებას.

\* \* \*

515. ბუნებაში უსასრულო იღუმალებაა, ყველამ რომ რამდენიმე აღმოაჩინოს, მაინც უსასრულო დარჩება.

\* \* \*

516. ბუნებაში ყველაფერი არსებობს, მას ვერაფერს მოაკლებ და ვერაფერს დაუმატებ.

\* \* \*

517. რასაც ბუნებაც ეთანხმება, ყველაფერი ადამიანისთვისაც მისაღები უნდა იყოს.

\* \* \*

518. ბუნების განაჩენს ვერავინ შეცვლის.

\* \* \*

519. ბუნების სამართლიანობაა, რომ სიცოცხლე მოკვდავია.

\* \* \*

520. ბუნების სილამაზით ტკბობა თუ გიყვარს, მასზე ზრუნვაც უნდა გიყვარდეს.

\* \* \*

521. ბუნებისგან მიყენებულ ზარალს ადვილად ეგუება ადამიანი, რადგან შურისძიება გამორიცხულია.

\* \* \*

522. ბუნებისგან მოვლენილ თავსატეხს ხშირად ადამიანი უყრის საფუძველს.

523. ადამიანი ყველაზე მეტად **ბუნებისგანაა** დავალებული.

\* \* \*

524. **ბუნებით** ზარმაცი ადამიანი მხოლოდ გართობისასაა ბეჯითი.

**გაბედულება, გადაწყვეტილება, გადაჭარბება,  
გაზეთი, გაზრდა, გამარჯვება, გამომგონება,  
გამონაკლისი, გამოსწორება, გამოყენება,  
გამოცდილება, განათლება, განადგურება**

525. მეელი მარტოც გულადია, მაგრამ მგლის ხროვა ათასჯერ უფრო **გაბედულია**.

\* \* \*

526. საკმარისია, ვინმე გიყურებდეს, რომ იმაზე მეტი **გამბედაობა** გამოიჩინო, ვიდრე უამისოდ გამოიჩენდი.

\* \* \*

527. მტკიცე **გადაწყვეტილება** იმას არ ნიშნავს, რომ საჭიროებისას არ შეცვალო.

\* \* \*

528. **გადაჭარბება** კარგშიც და ცუდშიც უსარგებლოა.

\* \* \*

529. **გაზეთები** ისტორიის მოწმეები არიან.

\* \* \*

530. კარგი შვილები კარგ შვილიშვილებს **გაგიზრდიან**.

\* \* \*

531. **გამარჯვება** და დამარცხება განუყრელი წყვილია.

\* \* \*

532. **გამარჯვება** მისთვის ენერგიულ მზადებას მოაქვს.

\* \* \*

533. თავისუფლებას ორი **გამარჯვება** სჭირდება, ერთი მტერზე, მეორე საკუთარ თავზე.

\* \* \*

534. თუ **გამარჯვება** გიზეიმია, დამარცხებასაც გადაიტან.

535. სხვაზე გამარჯვება რომ მოიპოვო, საკუთარ თავს უნდა ავლობო.

\* \* \*

536. ფიზიკურად სუსტის გამარჯვება ძლიერზე, ძლიერი სულის გამარჯვებაა სუსტზე.

\* \* \*

537. გაბელული ადამიანი უფრო ადვილად აღწევს გამარჯვებას.

\* \* \*

538. მიპარვით გამარჯვებას ვაჟკაცობა აკლია.

\* \* \*

539. თუ გამარჯვების იმედი არ გაქვს, ვერც გაიმარჯვებ.

\* \* \*

540. სადაც გამარჯვების სინარულია, იქვეა დამარცხების სიმწარე.

\* \* \*

541. გამარჯვებისათვის მზადება უნდა იყოს გრძელი, ხოლო ტრიუმფი მოკლე.

\* \* \*

542. გამარჯვებისათვის რეალური მიზანია საჭირო.

\* \* \*

543. გამარჯვებულის ბედნიერება დამარცხებულის უბედურების პირდაპირპროპორციულია.

\* \* \*

544. მარტივი გამოგონებები დიდხანს ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას.

\* \* \*

545. გამონაკლისი იმით ფასობს, რომ იშვიათობაა.

\* \* \*

546. ცულის გამოსწორებას უნდა შეეცადო, თუ ერთ ცუდს ხელს კრავ, მისგან რამდენიმე ცუდს მიიღებ.

\* \* \*

547. რასაც წიგნში იპოვი, ცხოვრებაში უნდა გამოიყენო.

548. არ არსებობს გამოცდილება საქმის გარეშე.

\* \* \*

549. გამოცდილება ადამიანის სიმდიდრეა.

\* \* \*

550. გამოცდილება დიდი რამეა, მაგრამ იხვის ჭუჭყული მის გარეშეც კარგად ცურავს.

\* \* \*

551. გამოცდილება ზოგს გაბედულებას მატებს, ზოგს კი – შიშს.

\* \* \*

552. გამოცდილება პრაქტიკული ჭკუაა.

\* \* \*

553. გამოცდილება სიფრთხილის წყაროა.

\* \* \*

554. გამოცდილება შემოწმებული აზრია.

\* \* \*

555. გამოცდილება შეცდომების და წარმატებების ჯამია.

\* \* \*

556. გამოცდილება წინასწარჭვრეტის საშუალებაა.

\* \* \*

557. ცხოვრებისეული გამოცდილება შევილებმა უპირველესად მშობლებისაგან უნდა მიიღონ.

\* \* \*

558. სხვათა გამოცდილების გაზიარება გვიადვილებს მიზნის მიღწევას.

\* \* \*

559. გამოცდილი ადამიანი საქმეში ნაკლებად შეფერხდება.

\* \* \*

560. ადამიანის განათლება მოქცეულია ორ მიუღწეველ უსასრულობას, სრულ უმეცრებასა და განათლებას შორის.

\* \* \*

561. ადამიანის სულს განათლება ადიდებს, სხეულს კი – საკვები.



562. ადამიანს რაც მეტი **განათლება** აქვს, მით უფრო ფაქიზია მისი სული.

\* \* \*

563. არ არსებობს **განათლება**, რომელსაც სრულყოფა არ ესაჭიროება.

\* \* \*

564. ბევრს **განათლება** სინუმისთვისაც არ ყოფნის.

\* \* \*

565. **განათლება** და მიზანი უერთმანეთოდ არაფერია.

\* \* \*

566. **განათლება** ებრძვის ბოროტებას.

\* \* \*

567. **განათლება** ითხოვს მეტ განათლებას.

\* \* \*

568. **განათლება** ის განუზომელი სიმდიდრეა, რომელსაც არც სამალავი სჭირდება და არც არასდროს დაგეკარგება.

\* \* \*

569. **განათლება** მიისწრაფვის ყველაფრის ცოდნისაკენ.

\* \* \*

570. **განათლება** სინათლეა ცხოვრების გზაზე.

\* \* \*

571. **განათლება** სიცოცხლის უკეთ გამოყენების საშუალებაა.

\* \* \*

572. **განათლება** სულიერების საკვებია.

\* \* \*

573. **განათლება** ღირსეული ცხოვრების საწინდარია.

\* \* \*

574. დიდი **განათლება** ამცირებს მოულოდნელობებს.

\* \* \*

575. დიდი **განათლება** სამკაულივით ბრწყინავს.

\* \* \*

576. მას, ვისაც განათლებით თავი ღიდად მოაქვს, **განათლება** აკლია.

577. განათლებას მისი გამოყენება ადასტურებს.

\* \* \*

578. სხვების განათლებაც ჩვენი სიკეთეა.

\* \* \*

579. განათლების წარმოჩენას გაუნათლებლობის დამალვა სჯობს.

\* \* \*

580. განათლების წყარო წიგნი, ხალხი და შრომაა.

\* \* \*

581. იყიდო განათლების საბუთი, ნიშნავს გადაიხადო ცარიელი თავისთვის.

\* \* \*

582. განათლებულ ადამიანს არ აკმაყოფილებს სიმდიდრე, მას სულიერი საზრდოც ესაჭიროება.

\* \* \*

583. განათლებული უფრო ცდილობს რამე ისწავლოს, ვიდრე არაფრის მცოდნე.

\* \* \*

584. კეთილი გაუნათლებელი სჯობს ბოროტ განათლებულს.

\* \* \*

585. გაუნათლებელი ადამიანი ადვილად ემორჩილება ბოროტებას.

\* \* \*

586. რასაც ბოროტება ანადგურებს, სიკეთე აღადგენს.

**ბანდილება, განზრახვა, განსაცდელი,  
განძი, გარღუვალობა, გარჯა, გატაცება,  
გაუმჯობესება, გაცემა, გაცლა,  
გაჭირვება, გახსენება, გეგმა, გენი,  
გენიალური, გენიოსი, გერი**

587. განდილება გონიერს უჭირს, თორემ უგუნური ყოველთვის დიდებულად გრძნობს თავს.

\* \* \*

588. განდილების სურვილი აპატარავებს ადამიანს.

\* \* \*

589. განზრახვა შესრულებამდე უნდა გააანალიზო.

\* \* \*

590. კეთილი განზრახვაც ცუდია, თუ შესრულების შესაძლებლობა არ ახლავს.

\* \* \*

591. განსაცდელი ღმერთის ხელში იარაღია ადამიანის გამოსაწრობად.

\* \* \*

592. განსაცდელის ჟამს შეინარჩუნო იუმორის გრძნობა – სულის ძლიერებაა.

\* \* \*

593. განსაცდელს საღი გონებით უნდა შეხვდე და თუ თავიდან ვერ აიცილებ ვაჟკაცურად უნდა გადაიტანო.

\* \* \*

594. განსაცდელში შობილი მეგობრობა ნაწრობია და ძნელად თუ დაიკარგება.

\* \* \*

595. კარგად აღზრდილი შვილები სამშობლოსათვის დიდი განძია.

\* \* \*

596. გარღუვალობა ღმერთის ბრძანებაა.

\* \* \*

597. გარღუვალის ღირსეულად მიღება ნაკლებად საზიანოა.

598. მეფე და მეწაღე ერთნაირად ვერ გაირჯებიან სამშობლოსათვის, სამშობლო კი ერთნაირად უნდა უყვარდეთ.

\* \* \*

599. ვინც გარჯილა და ვაზის მოსაშენებლად მიწა ორპირად გადაუბრუნებია, იქიდან ამოწვერილი ნორჩი ყლორტები საკუთარ ჩვილივით უყვარს და მასში ქარვისფრად მოელვარე მტევნებს ხედავს ისე, როგორც საკუთარ ჩვილში მომავალ ბედნიერებას.

\* \* \*

600. სიძნელემაც იცის გატაცება.

\* \* \*

601. წუთიერი გატაცება ხშირად უსაზღვრო ტრფობად აინთება.

\* \* \*

602. ყველაფერი უმჯობესდება, მაგრამ ბოლომდე მიყვანილი — არაფერი არსებობს.

\* \* \*

603. ცოტას გამცემი ბევრს ვერასოდეს მიიღებს.

\* \* \*

604. რომ გასცე, ჯერ უნდა მოიპოვო.

\* \* \*

605. სანამ გაგაგდებენ, უნდა დროულსდ გაეცალო და ნაკლებმეურაცხყოფილი დარჩები.

\* \* \*

606. სანამ სასესხებლად ფულს განდობენ, ძალიან არ გაგიჭირდება.

\* \* \*

607. გასაჭირი აწრთობს ადამიანს.

\* \* \*

608. მოულოდნელი გასაჭირი გამოუცდელ ადამიანს თავზარს სცემს, ხოლო გამოცდილს მოთმინებით აღჭურავს.

\* \* \*

609. გასაჭირიდან მკლავებმა უნდა გიხსნან და არა ფეხებმა.

610. დიდი **გასაჭირის** მომლოდინეს მცირე გასაჭირი ახარებს.

\* \* \*

611. სხვისი **გასაჭირის** გამო ვაჟკაცის თვალზე ცრემლი სათნოების ნიშანია და არა — ლაჩრობის.

\* \* \*

612. ადამიანისთვის დიდი შვებაა, ერთგულ ადამიანთან ერთად შეხვდეს **გასაჭირს**.

\* \* \*

613. **გასაჭირში** მყოფი ადვილად ბედნიერდება.

\* \* \*

614. ადამიანს უადვილდება **გაჭირვება**, როცა მის გვერდით სხვასაც უჭირს.

\* \* \*

615. არ არსებობს **გაჭირვება**, რომელსაც სიკვდილი სჯობს.

\* \* \*

616. **გაჭირვება** პატიოსანსაც აბოროტებს.

\* \* \*

617. **გაჭირვება** უფრო კარგი გამომცდელია, ვიდრე ბედნიერება.

\* \* \*

618. დიდი **გაჭირვება** აადვილებს სიკვდილს.

\* \* \*

619. **გაჭირვებას** ნუ დაემდურები, მან ბევრი რამე გასწავლა.

\* \* \*

620. კეთილ ადამიანს სხვისი **გაჭირვებაც** ტანჯავს.

\* \* \*

621. **გაჭირვების** წამალი მოთმინებაა.

\* \* \*

622. ცუდს არასდროს ველოდებით და ამიტომაც **გვეჭირს** მისი გადატანა.

\* \* \*

623. ვისაც **უჭირს** — ვერ ვამჩნევთ, ვისაც არ უჭირს — გვშურს.

624. ცუდია, როცა რამეს ვერ **იხსენებ**, მაგრამ უფრო ცუდია, გასახსენებელიც თუ არაფერი გაქვს.

\* \* \*

625. გეგმა ჭკუის ნაყოფია, ოცნება – უჭკუობის.

\* \* \*

626. ხვალის **გეგმა** ღღეს თუ არ შეადგინე, ნახევარ ხვალეს დაკარგავ.

\* \* \*

627. ვისაც ცხოვრებაში ღიდი **გეგმები** არა აქვს, ცხოვრებას უსახელოდ გალევს.

\* \* \*

628. ვისაც სრულყოფილი **გეგმის** შედგენა შეუძლია, შესრულებასაც შეძლებს.

\* \* \*

629. **გენები** წინაპრების გვაქვს, მაგრამ ვგავართ თანამედროვეებს.

630. ყველაფერს, რსააც ღღეს **გენიალურად** ვთვლით დრო ჩვეულებრივად აქცევს.

\* \* \*

631. **გენიოსებს** აზრები ქმნიან.

\* \* \*

632. არც **გენიოსთა** მშობლები იყვნენ გენიოსები და არც მათი შვილები.

\* \* \*

633. არ არსებობს წარუმატებელი **გენიოსი**.

\* \* \*

634. **გენიოსი** დედისათვის უფრო შვილია, ვიდრე გენიოსი.

\* \* \*

635. **გენიოსი** ისევე აღემატება ტალანტს, როგორც ტალანტი ჩვეულებრივ მოკვდავს.

\* \* \*

636. ცოცხალი **გენიოსი** იშვიათობაა.

637. გენიოსის სახელი გენიალურად აზროვნებას მოაქვს.

\* \* \*

638. გენიოსის სილიადე შესამჩნევს ხდის ჩვენს არაგენიალურობას.

\* \* \*

639. გენიოსმა არ იცის საზღვრები.

\* \* \*

640. გენიოსს დიდება არაფრად უღირს, მაგრამ ეს მისი გარდუვალი ხვედრია.

\* \* \*

641. გენიოსს ვერავინ შექმნის, იგი ბუნების ნაბოძები ფენომენია.

\* \* \*

642. გერის მოყვარული დედინაცვალი დედობის ღირსია.

**გველი, გვირგვინი, გზა, გიჟი, გინება, გლახი,  
გმირობა, გონება, გონებამასვილი, გრძნობა,  
გულბატმხილი, გულბრილი, გული, გულუხვი,  
გულფიცხი, გულჩვილი**

643. გველმა გველს შეიძლება უკბინოს, მაგრამ არასდროს დაგესლავს.

\* \* \*

644. თუ არაფერს დაუშავებ გველიც არ იკბინება.

\* \* \*

645. „გვირგვინი თავის ტკივილს ვერ არჩენს“, მაგრამ აჩენს.

\* \* \*

646. სამეფო გვირგვინიც არაფერია, თუ მას ქვეშ კაცობის ქუდი არ უფენია.

\* \* \*

647. განვლილი გზა ანათებს გასავლელს.

\* \* \*

648. გაუკვალავი გზა ძნელი გასავლელია.

649. გზა ადამიანის გულისაკენ სიკეთეზე გადის.

\* \* \*

650. ეკლიანი გზა თუ არ გაიარე, ღიღების ტაძარს ვერ მიაღწევ.

\* \* \*

651. კუ თუ წამოგეწევა, გზა უნდა დაუთმო.

\* \* \*

652. მართლის გზა გრძელია, ტყუილისა — მოკლე.

\* \* \*

653. რა მოსაწყენი იქნებოდა გზა მკვეთრი მოსახვევების გარეშე.

\* \* \*

654. სწორ გზაზე მოსიარულეს ფეხი არ გადაუბრუნდება.

\* \* \*

655. კარგისა და ცუდის გამრჩევი სწორ გზას არ ასცდება.

\* \* \*

656. გზას თუ ასცდები, გონება სვდება და არა ფეხები.

\* \* \*

657. ნასროლი, რომელიც მიზანს არ სვდება, ფუჭია, მაგრამ სწორად ღამიზნების გზას გვიჩვენებს.

\* \* \*

658. წინ რომ წახვიდე, შორს და ნათლად უნდა ხედავდე წინ სავალ გზას.

\* \* \*

659. სწორი გზის მაძებარმა ყველა გზა უნდა მოსინჯოს.

\* \* \*

660. გიჟისგან თუ ჭკვიანურს ელოდები, საკითხავია, ვინაა გიჟი.

\* \* \*

661. ვისაც ცოცხალს აგინებენ, მკვლარსაც არავინ დააფასებს.

\* \* \*

662. გინება უნდა იცოდეს არა იმიტომ, რომ იგინო, არამედ — შეიტყო, რომ გაგინებენ.



663. საგინებელი რომ არავინ იყოს, **გინებაც** არ იქნებოდა.  
\* \* \*
664. **გლახობა** ერის გულია, ინტელიგენცია კი – თავი.  
\* \* \*
665. **გლახს** მეტი ჯანი სჭირდება, ინტელიგენტს კი –  
გონიერება.  
\* \* \*
666. **საგმირო** საქმე რომ არ დაიკარგოს, ისტორიის  
კუთვნილება უნდა გახდეს.  
\* \* \*
667. ჭეშმარიტ **საგმირო** საქმეს სიკვილის ფასი ადევს.  
\* \* \*
668. ზოგჯერ ლაჩრებიც კლავენ **გმირებს**.  
\* \* \*
669. **გმირისაგან** საგმირო საქმე ჩვეულებრივად გვეჩვენება,  
ხოლო ლაჩრისაგან ჩვეულებრივი – გმირობად.  
\* \* \*
670. **გმირობა** ისტორიაში ცოცხლობს.  
\* \* \*
671. ერთნაირად ძნელი დასაჯერებელია მხდალის **გმირობა**  
და გმირის სიმხდალე.  
\* \* \*
672. წამიერ აწმყოში ჩადენილი **გმირობა** აღაფრთოვანებს  
თაობებს.  
\* \* \*
673. **გმირობას** საქმეც საგმირო სჭირდება.  
\* \* \*
674. ადამიანის **გონება** პოულობს, როცა იცის, რას ეძებს.  
\* \* \*
675. ადამიანის **გონება** უნდა იყოს სიბრძნის მოჭირნახულე.  
\* \* \*
676. ადამიანის **გონება** ცოდნის არქივა, ზოგის –  
მოწესრიგებული, ზოგის – მოსაწესრიგებელი.

677. ამაღლებული გონება დიდი სიმდიდრეა.  
\* \* \*
678. გენიალურს მხოლოდ გენიალური გონება ქმნის.  
\* \* \*
679. გონება ადამიანის მესაჭეა.  
\* \* \*
680. გონება ადამიანობის საფუძველია.  
\* \* \*
681. გონება აზრის წყაროა, აზრი კი – ცხოვრების.  
\* \* \*
682. გონება ასაკს უნდა ამართლებდეს.  
\* \* \*
683. გონება ბორკილებს კიდეც ჭედავს და კიდეც ამსხვრევს.  
\* \* \*
684. გონება გეგმავს, სხეული ასრულებს.  
\* \* \*
685. გონება ენის მბრძანებელია.  
\* \* \*
686. გონება კეთილგონიერების გარეშე ბოროტებაა.  
\* \* \*
687. გონება მბრძანებელია, სხეული – შემსრულებელი.  
\* \* \*
688. გონება, რომელმაც მიზანი მოგვცა, მისი შესრულების გზასაც მოძებნის.  
\* \* \*
689. გონება სიბრძნით ბოლომდე არავის აუვსია.  
\* \* \*
690. გონება ყველაზე სრულყოფილი იარაღია.  
\* \* \*
691. გონება ყველაფრის შემქმნელია.  
\* \* \*
692. მახვილი გონება ცხოვრების სწორ გზას ადვილად პოულობს.

693. მრისხანებისას იკარგება ნათელი გონება.

\* \* \*

694. ნათელი გონება ნაკადულის გულმოდგინებით დაეძებს სიბრძნეს.

\* \* \*

695. ნათელი გონება ცოტას მოისმენს და ბევრს შეისმენს.

\* \* \*

696. ნაწერში ადამიანის გონება დევს.

\* \* \*

697. უწვრთნელი გონება გამოუყენებელი შესაძლებლობებია.

\* \* \*

698. ფორტუნა მის მხარესაა, ვისაც მაღალი გონება აქვს.

\* \* \*

699. თვით ადამიანის გონებაა მოწყობილი ისე, რომ წიგნის ყოველი წაკითხვისას მეტს იღებს მისგან.

\* \* \*

700. სადაც თვალი ვერ სწვდება, იქ არც გონებაა უტყუარი.

\* \* \*

701. გონებამ რომ მიიღოს გულმა უნდა ნება დართოს.

\* \* \*

702. მაღალ გონებას დიდი ასპარეზი სჭირდება.

\* \* \*

703. მიზნისკენ გონებას მივყავართ.

\* \* \*

704. ყველაფერს, რაც ადამიანის გონებას შეუქმნია, მაშინ აქვს ფასი, როცა მომხმარებელი ჰყავს.

\* \* \*

705. სადაც ყველაფერი წესრიგშია, იქ გონებაც მოსვენებულია.

\* \* \*

706. გონების გარეშე არაფერი არ კეთდება.

\* \* \*

707. გონების მუშაობას მხოლოდ სიკვდილი აფერხებს.

708. გონების ძალას მხოლოდ ბუნების ძალები აღემატებიან.

\* \* \*

709. მეტი გონების ადამიანს იმედიც მეტი აქვს.

\* \* \*

710. გონებრივი უპირატესობა ყველაზე დიდი უპირატესობაა.

\* \* \*

711. არაფერია გარეგანი სიტურფე, თუ შესაბამისი გონიერება არ ახლავს.

\* \* \*

712. გონიერება მართავს ადამიანს.

\* \* \*

713. გონიერება სჯობს სილამაზეს.

\* \* \*

714. მაღალი გონიერება ბედნიერებისას ბრწყინავს, ხოლო უბედურებისას გვანუგეშებს.

\* \* \*

715. მოხუცს უხდება მაღალი გონიერება.

\* \* \*

716. გონიერებას თან დაჰყვება სიკეთე.

\* \* \*

717. ფაქტის უარყოფელი უარყოფს საკუთარ გონიერებას.

\* \* \*

718. გონიერები და უგუნურები ვერასოდეს შეეწყობიან ერთმანეთს.

\* \* \*

719. გონიერების წყარო შრომაა.

\* \* \*

720. გონიერი ადამიანი დამთმობია უგუნურის მიმართ.

\* \* \*

721. გონიერი ადამიანი ვერ ისვენებს, როცა ბევრს ქმნის და მით უმეტეს მაშინ, როცა ვერაფერს ქმნის.

\* \* \*

722. გონიერი ადამიანის იმედები უფრო მართლდება.

723. რაც გონიერია ადამიანი, უფრო სადაა ადამიანებთან ურთიერთობაში.

\* \* \*

724. რაც უფრო გონიერია ადამიანი, მეტს ამჩნევს დანახულში.

\* \* \*

725. გონიერმა გონივრული იცის, უგუნურმა კი — უგუნურება.

\* \* \*

726. გონიერს სხვისი უგუნურება არ აბოროტებს.

\* \* \*

727. რაც უფრო გონივრულია აზრი, გამოყენების მეტი არეალი აქვს.

\* \* \*

728. გონივრული ნაწარმოები გონიერების წყაროა.

\* \* \*

729. გონებამახვილი ადამიანი უსაფუძვლო საუბრით არასოდეს დაგლღის.

\* \* \*

730. გონებამახვილობით გონებაჩლუნგთან არ უნდა ისარგებლო.

\* \* \*

731. როცა გრძნობა გონებას გადასძალავს, ზიანი ახლოსაა.

\* \* \*

732. გულგატეხილობა გონებრივი და ფიზიკური სისუსტის მიზეზი შეიძლება გახდეს.

\* \* \*

733. გულგრილობა ზნეობრივი სიმდაბლეა.

\* \* \*

734. გულგრილობა საქმის მტერია.

\* \* \*

735. გული გქონდეს და უგულობას ამჟღავნებდე, ეს ბუნების შეცდომაა.

736. გული საგულეში უნდა იდოს და არა საფულეში.

\* \* \*

737. ერთი გული უამრავ სიყვარულს იტევს.

\* \* \*

738. მოხუცის გული ისეთივე წმინდა უნდა იყოს, როგორიც ბავშვობისას ჰქონდა.

\* \* \*

739. როცა მართალი ხარ, გულიც მაგარი გაქვს.

\* \* \*

740. გატენილ გულს გამთელების უნარი რომ არ ჰქონდეს, ცხოვრება აზრს დაკარგავდა.

\* \* \*

741. ვერასოდეს იპოვი იმის გულს, ვისაც შენი გული არ უპოვია.

\* \* \*

742. ვინც გულს არ იტეხს, ის მეტს მიაღწევს.

\* \* \*

743. ”გულუხვობა უსაზღვროა”, ძუნწობა კი გაუმეტარი.

\* \* \*

744. ყოველგვარი გულფიცხობა გაუმართლებელია, რადგან იგი ანელებს ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს.

\* \* \*

745. გულჩვილი ადამიანი სხვებზე მეტად იტანჯება.

**დაბადება, დავა, დავალება, დავიწყება,  
დათმობა, დაკარგვა, დაკრძალვა, დამარცხება,  
დამახსოვრება, დამოუპიღებლობა,  
დამსახურება**

746. დიდი კაცის დაბადებას ვერავინ იგებს, ხოლო, გარდაცვალებას – ქვეყნიერება შეიტყობს.

\* \* \*

747. ერთხელ ვიბადებით და განუწყვეტლივ ვკვებით.

748. სადავო საკითხზე **დავა** მიზნად სიმართლის დადგენას უნდა ისახავდეს და არა ერთმანეთის შეურაცხყოფას.

\* \* \*

749. როცა ვინმეს რაიმეს **ავალებ**, მისი შესაძლებლობები უნდა გაითვალისწინო და არა შენი სურვილი.

\* \* \*

750. არაფერი **ავიწყდება** მხოლოდ იმას, ვინც არაფერი იცის.

\* \* \*

751. არ შეიძლება **დაგავიწყდეს** ის, რაც არ იცი.

\* \* \*

752. კარგმა ცუდი უნდა **დაგავიწყოს** და არა ცუდმა კარგი.

\* \* \*

753. ისე არავინ **დაბერებულა**, რომ საკუთარი თავი **დავიწყებოდეს**.

\* \* \*

754. ცუდი თუ **დაივიწყე**, როდისმე გაიმეორებ.

\* \* \*

755. რასაც ხედავ, ვერ **დაივიწყებ**.

\* \* \*

756. თუ ცდილობ, **დაივიწყო** – ვერ დაივიწყებ.

\* \* \*

757. **დამავიწყდა** არ ვიცის ტოლფასია.

\* \* \*

758. მსგავსის დანახვა **მივიწყებულს** გვახსენებს.

\* \* \*

759. **დათმობა** დავისას დიდი სიბრძნეა.

\* \* \*

760. რაც არ **დავიკარგავს**, არც უნდა ეძებო.

\* \* \*

761. ყოველი **დაკარგული** წუთი აზარალებს დამკარგველის ცხოვრებას.

\* \* \*

762. **დაკარგულს** სანაცვლო აღადგენს.

763. მცირე **დანაკარგის** საძებნელად დიდი დასაკარგი არ უნდა მიატოვო.

\* \* \*

764. თუ **დანაკარგმა** გული არ დაგწყვიტა, ის დასაკარგი ყოფილა.

\* \* \*

765. ვისაც ბევრი აქვს **დასაკარგი**, საზრუნავიც მეტი აქვს.

\* \* \*

766. რაც წინაპართაგან მიგიღია, შთამომავლობას არ უნდა დაუკარგო.

\* \* \*

767. **დაკრძალვაზე** დასწრების სამაგიერო ჯერ არავის გადაუხდია.

\* \* \*

768. ასწლიანების **დაკრძალვას** მათი თაობა საპატიო მიზეზით არ ესწრება.

\* \* \*

769. კარგ **დაკრძალვას** ყველა ისურვებდა, სიკვდილს კი – არავინ.

\* \* \*

770. მოხუცი სხვის **დაკრძალვაზე** საკუთარ **დაკრძალვას** ხედავს.

\* \* \*

771. მოწინააღმდეგე კი არ უნდა მოსპო – უნდა **დამარცხო** და შეეცადო სიკეთისკენ მოაქციო.

\* \* \*

772. **დამარცხებას** ისიც წყევლის, ვინც გამარჯვებისთვის არაფერი გააკეთა.

\* \* \*

773. **დამარცხებას** მომავალი გამარჯვების იმედით უნდა შეხვდე.

\* \* \*

774. ერთი **დამარცხების** აცილება სჯობს ათ გამარჯვებას.



775. წამკითხველს წაკითხულის **დამახსოვრება** და გამოყენება მართებს.

\* \* \*

776. არც ისაა **დამოუკიდებელი**, ვისზეც სხვა არის დამოკიდებული.

\* \* \*

777. თუ საკუთარ ლუკმას ვერ შოულობ, **დამოუკიდებელი** ვერ იქნები.

\* \* \*

778. **დაუმსახურებელ** თავვანისცემას გამოთავყვანება მოსდევს.

\* \* \*

779. **დაუმსახურებელი** დაწინაურება დამსახურებულ დაქვეითებას იწვევს.

\* \* \*

780. **დაუმსახურებლად** სიყვარულს მხოლოდ პატარა ბავშვები მოიპოვებენ.

\* \* \*

781. არასოდეს უნდა მოგეწონოს საკუთარი თავი იმაზე მეტად, ვიდრე **იმსახურებ**.

**დამტკიცება, დამცირება, დანაშაული,  
დანახმა, დაპირება, დარდი,  
დარიბება, დარწმუნება,  
დასაწყისი**

782. რისი **დამტკიცებაც** შეიძლება მისი უარყოფა შეუძლებელია.

\* \* \*

783. ერთის **დამცირება** მეორეს ვერც სიკეთეს მოუტანს და ვერც განადიდებს.

\* \* \*

784. როცა ვინმეს შენს მიმართ **ადანაშაულებ**, დაუფიქრდი, შენც ხომ არ გიდევს წილი მასში.

785. მცირე **დანაშაულზე** რომ შესაბამისი რეაგირება  
ხდებოდეს, დიდ დანაშაულს არავინ ჩაიდენდა.

\* \* \*

786. თუ ვინდა, რომ მშვიერმა **დანაშაული** არ ჩაიდინოს,  
საკვები უნდა მისცე.

\* \* \*

787. **დანაშაულია**, ღვთიური ნიჭი ხალხს არ მოახმარო.

\* \* \*

788. თუ ვინმეს **დანაშაულის** დაფარვაში ეხმარები, შემდგომი  
დანაშაულისკენ უბიძგებ.

\* \* \*

789. ადამიანი კი არ უნდა მოსპო **დანაშაულისათვის**, არამედ  
დანაშაულის სურვილი უნდა მოუსპო.

\* \* \*

790. ერთის **დანაშაულმა** მეორის მიტყვევა უნდა  
წარმოაჩინოს.

\* \* \*

791. **დანაშაულს** სულის ნაწილი მიაქვს.

\* \* \*

792. ლომი ჭიანჭველას ვერ **ხედავს**.

\* \* \*

793. ბევრ **დაპირებულს** ცოტა შესრულებული სჯობს.

\* \* \*

794. ვინც ცდილობს **დარდი** ღვინოში ჩაახრჩოს — საკუთარ  
თავს ახრჩობს.

\* \* \*

795. მქონდა — **დარდია**, მაქვს — სიხარული, მექნება —  
ოცნება.

\* \* \*

796. **დარდიც** და უდარდელობაც ერთნაირად საჭიროებს  
ზომიერებას.

\* \* \*

797. **სადარდებელს** თუ არ მოერიე, გაიზრდება.

798. **სადარღებელს** დროზე უნდა უმკურნალო, რომ შენც სადარღებელი არ გახდდე.

\* \* \*

799. ყური უგდე მშობლის **დარიგებას**, ის არასოდეს გიღალატებს!

\* \* \*

800. სხვისი **დარწმუნებაც** უნდა შეგეძლოს, რაშიც თვითონ დარწმუნებული ხარ.

\* \* \*

801. არ არსებობს **დასაწყისი**, რომელსაც არ ექნება დასასრული.

\* \* \*

802. **დასაწყისი** დასასრულის წინა პირობაა.

\* \* \*

803. კეთილი **დასაწყისი** საქმის კეთილი დასასრულის მაუწყებელია.

**დაფასება, დაღლა, დაღუპვა, დაცვა, დაცინვა,  
დაწუნება, დახმარება, დახრჩობა, დაჯერება,  
დგომა, დედა, დედამიწა, დედამიწვილი,  
დემოკრატია, დიდება**

804. ცუდს სიკვდილამდე **აფასებენ**, კარგს კი სიკვდილის შემდეგაც.

\* \* \*

805. ადამიანი უნდა **დააფასო** არა მარტო იმით, თუ რა სიკეთე გაგიკეთა, არამედ იმითაც, თუ რა ცუდი შეეძლო და არ გაგიკეთა.

\* \* \*

806. საზოგადოება ისე **დაგაფასებს**, როგორც მისი წევრის ჭირსა და ლხინს გაიზიარებ.

\* \* \*

807. **დაღლილობა** ტკბილი ძილის წამალია.

808. კურდღელი მაშინ იღუპება, როცა თავი ლომი ეგონება.  
\* \* \*
809. ის, რაც ყველასია, უნდა დაიცვას ყველამ.  
\* \* \*
810. ვინც თავის მამულს, ენას, და სარწმუნოებას არ იცავს, ის თავისი ქვეყნის შვილად ვერ ჩაითვლება.  
\* \* \*
811. სხვისი დამცინავი დასაცინზე უარესია.  
\* \* \*
812. მხოლოდ დასაცინი დასცინის სხვას.  
\* \* \*
813. სანამ სხვის სახეს დაიწუნებდე, სარკეში უნდა ჩაიხედო.  
\* \* \*
814. ფეხშიშველა წაღებს ფერის გამო არ დაიწუნებს.  
\* \* \*
815. სჯობს ცოცხალს დაეხმარო ერთი ლარით, ვიდრე მკვდარს დაახარჯო ათასი.  
\* \* \*
816. სჯობს ადამიანს დაეხმაროთ, არ გახდეს ცუდი, ვიდრე შემდეგ გამოვასწოროთ.  
\* \* \*
817. გაჭირვებისას მტრისგან დახმარება მის მიმართ კეთილად განგვაწყობს.  
\* \* \*
818. ზოგს მხოლოდ გამხნეება აამოძრავებს, ზოგს კი დახმარებაც არ შეეღობს.  
\* \* \*
819. ასჯერ დახმარებას სჯობს ერთხელ ასწავლო.  
\* \* \*
820. წყალში დამხრჩვალი ცოდვას, ღვინოში კი – არა.  
\* \* \*
821. შუა მდინარეში დახრჩობის შანსი მეტია, ვიდრე ნაპირთან გადარჩენის.

822. თუ გინდა, სხვას რამე **დააჯერო**, ის თავად უნდა გჯეროდეს.

\* \* \*

823. თუ გინდა ყველამ **დაგიჯეროს**, საკუთარ თავზე ცუდი უნდა თქვა.

\* \* \*

824. იმას, რაზეც წარმოდგენა არა გაქვს, ადვილად **იჯერებ**.

\* \* \*

825. როცა კაცი თავის თავზე კარგს ამბობს, ნაკლებად **უჯერებენ**, ხოლო როცა ცუდს, ეჭვიც არავის ეპარება.

\* \* \*

826. ვინც სარკეს არ **უჯერებს**, მას არაფრისა სჯერა.

\* \* \*

827. მყარად **დგომა** მხოლოდ მყარ საყრდენზე შეიძლება.

\* \* \*

828. გასაოცარი ყოფილა ქართველი კაცის ბუნება – გუთანსაც კი **დედა** მოუძებნა და გუთნისდედა უწოდა.

\* \* \*

829. **დედა** დედის მუცლიდან უყვართ.

\* \* \*

830. **დედა** უნდა ცდილობდეს, რომ დედის სიყვარული ბავშვმა სხვას არ გადაუნაწილოს.

\* \* \*

831. საკუთარი **დედა** ყველასთვის საუკეთესოა.

\* \* \*

832. ჩვილის მიერ პირველად ნათქვამი უტკბესი სიტყვა **დედა** – დედაშვილობის ადრეული აღიარებაა.

\* \* \*

833. **დედას** შვილების სასიყვარულოდ არაფერი სჭირდება, გარდა იმისა, რომ დედაა.

\* \* \*

834. კაცს თუ ცოლი **დედას** დაავიწყებს, მისთვის დედასაც დაუკლია აღზრდა და ბუნებასაც.

835. ცუდია, თუ შვილის მსგავსება მამასთან **დედას** გააოცებს.

\* \* \*

836. ჩვილს **დედასავე** უყვარს ის, ვინც დედობას გაუწევს.

\* \* \*

837. **დედის** გულიდან შვილების სიყვარულს მხოლოდ სიკვდილი თუ ამოშლის.

\* \* \*

838. **დედის** გული უსაზღვრო სიყვარულს უძღვნის შვილებს და მათ სიყვარულში იფერფლება.

\* \* \*

839. **დედის** რძეს ყველა ტკბილად იხსენებს, გემო კი არავის ახსოვს.

\* \* \*

840. სხვისი **დედის** ამტირებელს საკუთარი დედაც აუტირდება.

\* \* \*

841. სხვისი **დედის** შემგინებელი, საკუთარ დედასაც აგინებს.

\* \* \*

842. **დედამიწა** ყველას სამარეა.

\* \* \*

843. **დედამიწა** ცოცხლებს იტევს ძნელად, თორემ მკვდრებს შორის სრული ჰარმონიაა.

\* \* \*

844. **დედამიწაზე** მზეზე დიდი სიკეთე არაფერს მოუტანია.

\* \* \*

845. ცა, მთვარე და ვარსკვლავები ადამიანებს აიძულებენ ფიქრი მოსწვევითონ **დედამიწას**, თუმცა რაიმე საგულისხმოს მხოლოდ ერთეულები ხედავენ ამაში.

\* \* \*

846. **დედამიწის** მცხოვრებნი ვართ და მზე კი გვაცოცხლებს.

\* \* \*

847. **დედ-მამის** არდამფასებელს ღმერთიც არ დააფასებს.

848. **დელმამიშვილი** ყველაზე ძვირფასი საჩუქარია მშობლებისგან.

\* \* \*

849. **დემოკრატიაში** ჭეშმარიტებაა ის, რომ იგი მუდამ საოცნებოა.

\* \* \*

850. **დიდება** ზოგს ადიდებას, ზოგს აპატარავებს.

\* \* \*

851. **დიდება** რომ მოიპოვო, დიდი საქმეები უნდა აკეთო.

\* \* \*

852. სადიდებელს უხდება **დიდება**.

\* \* \*

853. სიკვდილის შემდეგ **დიდება** სიცოცხლის სახეობაა.

\* \* \*

854. **დიდებას** ის კი არ უნდა პოულობდეს, ვინც ეძებს, არამედ ის, ვინც იმსახურებს.

\* \* \*

855. ნამდვილ **დიდებასაც** ცვლის ამაოებით გამოწვეული ჭმუნვა.

\* \* \*

856. **დიდების** გზაზე ადამიანის გვამს არ უნდა გადააბიჯო.

\* \* \*

857. **დიდებული** ერთეულები ადიდებენ ქვეყანას.

\* \* \*

858. არ ღირს თუნდაც ერთი სიტყვა წაამატო შენს **სადიდებელს**. ამაში ამქვეყნიური ამაოება გვარწმუნებს.

## **დრო, ღუმილი, დღე**

859. გამოყენებული **დრო** სიცოცხლეს ეკუთვნის, გამოუყენებელი – სიკვდილის.

\* \* \*

860. **დრო** არავის უნახავს, მაგრამ ყველა იყენებს.

861. დრო არა სიცოცხლის, არამედ მისი ხანგრძლივობის ათვლის საშუალებაა.

\* \* \*

862. დრო არასდროს გეტოვებს, მხოლოდ ჩვენ ვტოვებთ ერთხელ და ისიც სამუდამოდ.

\* \* \*

863. დრო არაფერს მოგცემს, გარდა შესაძლებლობისა – რომ სასურველი თვითონ მოიპოვო.

\* \* \*

864. დრო არ იცვლება, იცვლება ხალხი.

\* \* \*

865. დრო არ ჰყოფნის იმას, ვისაც ჰგონია, რომ ბევრი აქვს და არ ჩქარობს.

\* \* \*

866. დრო გაჭირვებას ისევე აფერძკრთალებს, როგორც ბედნიერებას.

\* \* \*

867. დრო და სიკვდილ-სიცოცხლე განაგებენ სამყაროს.

\* \* \*

868. დრო ისე ფასობს, როგორც ვიყენებთ მას.

\* \* \*

869. დრო ის თანამგზავრია, რომელიც უწყვეტად დაჰყვება ყველაფერს.

\* \* \*

870. დრო ის სიმდიდრეა, რომელიც ადამიანმა საკუთარ ბედნიერებად შეიძლება აქციოს.

\* \* \*

871. დრო მარადიულია, სიცოცხლე დროებითი.

\* \* \*

872. დრო მაშინ გაქრება, როცა მისი გამზომი აღარ იარსებებს.

\* \* \*

873. დრო მეფობს წარსულზეც და მომავალზეც.



874. **დრო** მოვლენათა ხანგრძლივობის გაზომვის საშუალებაა და მხოლოდ აწმყოს სახით არსებობს. წარსული – ეს წარსული აწმყოა, რომელიც აღარ არსებობს, ხოლო მომავალი – ეს მომავალი აწმყოა, რომელიც ჯერ არ დამდგარა.

\* \* \*

875. **დრო**, რომელიც სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენო, არასოდეს დაუთმო უსარგებლოს.

\* \* \*

876. **დრო** საქმიანობით ფასდება.

\* \* \*

877. **დრო** უსასრულოა თავისთვის და არა ჩვენთვის.

\* \* \*

878. **დრო** უწყვეტად ქმნის და ანადგურებს.

\* \* \*

879. **დრო** ყოვლისშემძლეა – ვისთვის სიცოცხლე მოაქვს და ვისთვის სიკვდილი.

\* \* \*

880. **დრო** შესაძლებლობათა გამოყენების საშუალებაა და ის სრულად უნდა გამოიყენო.

\* \* \*

881. **დრო** ცვლის ყველაფერს.

\* \* \*

882. **დრო** წერტილს უსვამს თითოეულ სიცოცხლეს.

\* \* \*

883. ერთ-ერთი საუკეთესო **დრო** წიგნის კითხვაში გატარებული დროა.

\* \* \*

884. თუ **დრო** არ გყოფნის ყველა საქმისთვის, აირჩიე უფრო სასარგებლო საქმე.

\* \* \*

885. თუ ცუდს ელოდები, **დრო** გარბის, თუ კარგს – მიცოცავს.

886. იყო **დრო**, როცა დროის არსებობა არ იცოდა ადამიანმა.

\* \* \*

887. იხარჯება **დრო**? – იხარჯება სიცოცხლე.

\* \* \*

888. კარგად გამოიყენო **დრო**, ნიშნავს მეტი იცოცხლო.

\* \* \*

889. სამუშაო **დრო** უსაქმურობით არასოდეს არ უნდა შეავსო.

\* \* \*

890. არ არსებობს ქვეყნად არაფერი, რაც **დროის** ღირებას დაემალება.

\* \* \*

891. არ დაკარგო მოქმედების **დროის** შეგრძნება.

\* \* \*

892. **დროის** დაკარგვას კი ნუ დარდობ, სიცოცხლის ნაწილს რომ კარგავ კარგავ ის იდარდე.

\* \* \*

893. **დროის** დაკარგვა – სიცოცხლის დაკარგვაა.

\* \* \*

894. **დროის** მდინარებას ნურც აჩქარებას მოსთხოვ და ნურც შენელებას, ის არავის უჯერებს.

\* \* \*

895. **დროის** მოკვლა გაზარალებს შენ და არა მარადისობას.

\* \* \*

896. **დროის** მოსაკლავად სერიოზულ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდო.

\* \* \*

897. **დროის** სწორად გამოყენება, ადამიანის მიერ დროზე ბატონობაა.

\* \* \*

898. ვერავინ და ვერაფერი ასცდება **დროის** ღირებას.

\* \* \*

899. ვინ იცის, უქმად დაკარგულმა **დრომ** ადამიანთა ბედნიერების რამდენი შესაძლებლობა გაიყოლა თან?!

900. დრომ თავისი დრო იცის და ჩვენს სურვილებს არ ცნობს.

\* \* \*

901. ადამიანი დროს ერთხელ ჩამორჩება და ისიც სამუდამოდ.

\* \* \*

902. გადაწყვეტილების სწრაფად მიღება ზოგავს დროს, მაგრამ ზრდის შეცდომის შესაძლებლობას.

\* \* \*

903. დროს ბევრ რამეს მივაწერთ, თუმცა არასდროს არაფერი გაუკეთებია.

\* \* \*

904. დროს დროულად უნდა გამოყენება,

\* \* \*

905. დროს ვერავინ და ვერაფერი გაუსწრებს.

\* \* \*

906. დროს ვერ გამოტოვებ.

\* \* \*

907. დროს რაც მოუტანია, ისევ უკან წაიღებს.

\* \* \*

908. დროს შეუმჩნევლად მიაქვს ჩვენი სიცოცხლე.

\* \* \*

909. თუ დროს არ აფასებ, ცხოვრებას სრულად ვერ გამოიყენებ.

\* \* \*

910. რასაც დროს გაატან ვერასოდეს დაიბრუნებ.

\* \* \*

911. რასაც მეტ დროს დაუთმობ, მეტს მიაღწევ.

\* \* \*

912. როგორც მდინარეს თავისი წყალი, ისე დროს განუწყვეტლივ მიაქვს ჩვენი სიცოცხლე.

\* \* \*

913. სწორედ მაშინ ფლანგავს ადამიანი ყველაზე მეტ დროს, როცა ყველაზე მეტი სიკეთის გაკეთება შეუძლია.

914. ტრანსპორტით ვიგებთ **დროს**.

\* \* \*

915. ერთნაირად სჭირდება მომჭირნეობა **დროსა** და სიმდიდრეს: წლები წუთებისაგან შედგება, ხოლო ათასები – თეთრებისაგან.

\* \* \*

916. **დროულ** ხუმრობას დაგვიანებულ სერიოზულობაზე მეტი ფასი აქვს.

\* \* \*

917. **დროულად** ნათქვამ ერთ სიტყვას, უდროოდ ნათქვამი ათასიც ვერ შეედრება.

\* \* \*

918. **დროული** დასვენება შრომის ტოლფასია.

\* \* \*

919. **დროული** თავშეკავება ათასგვარ უსიამოვნებას აგაცილებს.

\* \* \*

920. **დროული** მობოდიშება ზრდილობაა, დაგვიანებული უყურადღებობა, მოუბოდიშებლობა კი – უზრდელობა.

\* \* \*

921. არაფერი თქვა იქ, სადაც **ღუმილი** გონივრულად მიგაჩნია.

\* \* \*

922. **ღუმილი** ერთნაირად ფარავს სისულელესაც და სიბრძნესაც.

\* \* \*

923. დღევანდელი **ღღე** ენაცვლება გუშინდელს, მაგრამ არ იმეორებს მას.

\* \* \*

924. რომ არ იყოს მზე, არ იქნებოდა **ღღე**.

\* \* \*

925. ყოველი ახალი **ღღე** ახალი რეალობის წინაშე აყენებს ადამიანს.

926. ყოველი **დღე** თითოეულისთვისაა მნიშვნელოვანი, თორემ ერისთვის ღირსსახსოვარი თითო-ოროლაა.

\* \* \*

927. ყოველი უმიზნოდ გატარებული **დღე** ნაწილობრივი თვითმკვლელობაა.

\* \* \*

928. დღევანდელ **დღეს** რაც სჭირდება, იმას დღეს აქვს ფასი.

\* \* \*

929. დღევანდელის გარეშე ხვალინდელ **დღეს** ვერ გაითენებ.

\* \* \*

930. **დღეს** რისი გაკეთებაც შეგეძლო და არ გააკეთე, ის ხვალის გასაკეთებელს დააკლდება.

\* \* \*

931. **დღეს** უნდა იცხოვრო ისე, რომ უკეთესი ხვალე გაითენო.

\* \* \*

932. **დღეს** ცოტას გაცემას, უმეტესობა ბევრის დაპირებას ამჯობინებს.

\* \* \*

933. შავი **დღისთვის** მანამაღე უნდა იზრუნო, სანამ გეწვეოდეს.

## **მეგრესტი, ეკალი, ეკონომიკა, ენა, ეკოქა, მრთგულმბა, მრთიანობა, ექო, ეჭვი**

934. **ვეერესტს** არასოდეს უთქვამს, მაღალი ვარო, მაგრამ ქვეყნიერებამ შეიტყო.

\* \* \*

935. **ეკალი** ხელს ესობა და გულს ტკენს.

\* \* \*

936. ვარდნარში **ეკალი** ლალად გრძნობს თავს, ხოლო ეკლიანში ვარდი — დაჩაგრულად.

937. ეკონომიკა კარგად მუშაობს, როცა ჩვენ ვმუშაობთ კარგად.

\* \* \*

938. ეკონომიკის გაძლიერება — ქვეყნის გაძლიერებაა.

\* \* \*

939. არ შეიძლება მაღალგანვითარებული ენა აღმოცენდეს დაბალგანვითარებულ ხალხში.

\* \* \*

940. ენა აზრის გადამცემია.

\* \* \*

941. ენა და დამწერლობა ადამიანის შექმნილი საოცრებაა.

\* \* \*

942. ენა თუ არ აკონტროლებ, თავს მოგჭრის.

\* \* \*

943. ენა იმდენზე დაიგრძელებს, რომ სათქმელი არ შემოგაკლდეს.

\* \* \*

944. ენა კი არაა მახვილი — გონებაა.

\* \* \*

945. ენა ყოველთვის მზადაა და გონების ბრძანებას ელოდება.

\* \* \*

946. ენა შეესაბამება ცოდნას.

\* \* \*

947. ენა ხალხის წარსულის სარკეა და მისი განვითარების დონეს განსაზღვრავს.

\* \* \*

948. თუ ენა არ გივარგა, არც გონება გაქვს წესრიგში.

\* \* \*

949. თუ ენა არ გივარგა, ყველასი უნდა გემინოდეს.

\* \* \*

950. თუ ენა წინ გისწრებს, გონება უკან გრჩება.

\* \* \*

951. ვისაც ენა უჭრის დუმილს ამჯობინებს.

952. მოკვდეს ცოცხალი ენა — ეს ერის სიკვდილია.

\* \* \*

953. რამდენი თავი გადარჩებოდა გატეხვას, ენა რომ არ ჰქონოდა მწარე.

\* \* \*

954. ჯერ ერი კვდება და შემდეგ ენა.

\* \* \*

955. ის ენაა სრულყოფილი, რომელშიც ყველაზე ნაკლებია სიტყვები ერთზე მეტი მნიშვნელობით.

\* \* \*

956. ენას ჭკუა არა აქვს.

\* \* \*

957. ენით ნათქვამი თუ გონების მიერ არ არის შემოწმებული, ნაბოდვარია და მეტი არაფერი.

\* \* \*

958. ენის დანაშაულის გამო სხეულს უსწორდებიან.

\* \* \*

959. ენის სიტკბო რომ შეიგრძნო, ბავშვის ტიტინს უნდა უსმინო.

\* \* \*

960. უცხო ენის ცოდნა უცხო სამყაროში ჩახედვის საშუალებაა.

\* \* \*

961. დიდებულ ეპოქას დიდებული ადამიანები ქმნიან.

\* \* \*

962. ერთგულება პირველი აუცილებლობაა მეგობრობისათვის.

\* \* \*

963. ერთგულება საქმით უნდა დაამტკიცო.

\* \* \*

964. მონის ერთგულება არ შეიძლება გულწრფელი იყოს.

\* \* \*

965. მობარებულს მომბარებლის ერთგულებით უნდა უპატრონო.

966. რომ არა ერთიანობის მოშლა, ვინ იცის, თამარის საქართველოს პატრონები ვყოფილიყავით დღესაც.

\* \* \*

967. ექო ვერაფერს გეტყვით ორიგინალურს.

\* \* \*

968. ეჭვიანი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ყურადღებას არსად არ აკლებენ.

\* \* \*

969. ეჭვიანობა მეუღლეებს უადვილებს ღალატს.

\* \* \*

970. ეჭვიანობა სპობს არა ეჭვიანობის მიზეზს, არამედ ეჭვიანს.

**პარჯიში, ვერცხლისმოყვარეობა, ვნება,  
ზამთარი, ზარი, ზარმაცნი, ზედმეტი, ზემოთ,  
ზინანი, ზნეპითილი, ზნეობა, ზოგა, ზომიერება,  
ზრდილობა, თავაზიანობა, თავი**

971. ფიზიკური ვარჯიში საკვებივით სჭირდება ორგანიზმს.

\* \* \*

972. გაჭირვებას შეუძლია ადამიანი ვერცხლისმოყვარულად აქციოს.

\* \* \*

973. ვნება ხშირად დარდის წყაროა.

\* \* \*

974. ვნებამ ვერასოდეს უნდა აჯობოს ადამიანის მოვალეობის გრძნობას.

\* \* \*

975. მამაცს არ ეთქმის მამაცი, თუ ის ვნებების მონაა.

\* \* \*

976. თუ ზამთარი არ წავიდა, გაზაფხული ვერ მოვა.

\* \* \*

977. ზამთარს გაზაფხულის მხოლოდ შეყოვნება შეუძლია.



978. ზამთრის გატანას გაზაფხულის მოლოდინი აადვილებს.  
\* \* \*
979. გაბზარულ ზარს ხმაც გაბზარული აქვს.  
\* \* \*
980. ზარმაცი კაცის იმედი არავის გაუმართლებს.  
\* \* \*
981. ზარმაცი ყოველთვის აპირებს, ბევრითი ყოველთვის აკეთებს.  
\* \* \*
982. ზარმაცი ჭკვიანი და მუყაითი რეგვენი ქვეყნის ჭირია.  
\* \* \*
983. ზარმაცის ნათესი მოსავალს არ იძლევა.  
\* \* \*
984. ზარმაცს სიზარმაცის დამალვაც ეზარება.  
\* \* \*
985. სიზარმაცე ზემდგომს ბევრითი ქვემდგომის მონად აქცევს.  
\* \* \*
986. სიზარმაცე სიკვდილის ნაწილია.  
\* \* \*
987. ზედმეტ სიმდიდრეს არ უნდა ვემუხრებოდეთ, ხომ კარგად ვიცით, რომ ქვეყნის მპყრობელიც კი ხელცარიელი მიდის ამქვეყნიდან.  
\* \* \*
988. ზედმეტი კარგიც ცუდია.  
\* \* \*
989. ზედმეტის ქონას არქონა სჯობს.  
\* \* \*
990. ზედმეტი ის ცოდნაა, რომელიც არასდროს დაგჭირდება.  
\* \* \*
991. ზედმეტი სიცოცხლეც არ ვარგა.  
\* \* \*
992. ზედმეტობიდან და ნაკლებობიდან საშუალოსკენ უნდა მიისწრაფოდე.

993. ზევით იმდენზე უნდა ახვიდე, გადმოხედვა არ შეგეშინდეს.

\* \* \*

994. ზევით მხოლოდ დაგუბებული წყალი ადის.

\* \* \*

995. ზოგჯერ ამბის მომტანს დამნაშავეზე მეტი ზიანი მოაქვს.

\* \* \*

996. შეიძლება ადამიანმა ბუნებას ზიანი მიაყენოს, მაგრამ შეუძლებელია დაამარცხოს.

\* \* \*

997. სხვის საზიანოდ ნათქვამი თვითონ შენ მოგიტანს ზიანს.

\* \* \*

998. შეუსაბამო სიმკაცრეც და ღმობიერებაც, ერთნაირ ზიანს აყენებს ადამიანის აღზრდას.

\* \* \*

999. ზნეკეთილობა მშვიდი ცხოვრების გარანტიაა.

\* \* \*

1000. ზნეობა ადამიანობის სარკეა.

\* \* \*

1001. ზნეობა კანონია, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს.

\* \* \*

1002. ზნეობა – ეს სამართლიანობაა.

\* \* \*

1003. ზნეობა ძნელად მოიპოვება, მაგრამ არასოდეს გვტოვებს.

\* \* \*

1004. ზნეობრივი ერი ზნეობრივ გამარჯვებებს აღწევს.

\* \* \*

1005. ზნეობრივი უმწიკვლოება ის სიმდიდრეა, რომელიც ქალმა არანაირ სიამოვნებაზე არ უნდა გაცვალოს.

\* \* \*

1006. ზნეობრიობა ზუმრობაშიც უნდა დაიცვა.

\* \* \*

1007. თავის ზომა ჭკუის საზომად არ გამოდგება.

1008. ზომიერება სიბრძნეა.

\* \* \*

1009. ზომიერება ყველაფერში! სიცოცხლის ხანგრძლივობის წამალია.

\* \* \*

1010. ზომიერებას უხდება მაქსიმალიზმი.

\* \* \*

1011. ადამიანს ზოგჯერ **ზრდილობა** აიძულებს თავი მოიტყუოს.

\* \* \*

1012. **ზრდილობა** ადამიანობაზე მიანიშნებს.

\* \* \*

1013. **ზრდილობა** ყველგან გმართებს – ეს შენთვის უფრო საჭიროა, ვიდრე სხვისთვის.

\* \* \*

1014. ადამიანობის საფუძველი **ზრდილობაა**.

\* \* \*

1015. ბოდიში ერთდროულად ადასტურებს შეცდომის მონანიებასაც და **ზრდილობასაც**.

\* \* \*

1016. თუ **ზრდილობიანად** არ აგრძნობინე ადამიანს მისი სისულელე, ეგონება, რომ მის აზრს იზიარებ.

\* \* \*

1017. თუ **ზრდილობის** ნორმებს ყველგან იცავ, ზრდილად ჩაითვლები, ხოლო თუ გარემოების მიხედვით – მსახიობად.

\* \* \*

1018. მოკრივესთან ყველა **თავაზიანია**.

\* \* \*

1019. **თავი** სხეულის მართვის პულტია.

\* \* \*

1020. სავსე **თავი** მეტს დაიტევს, ვიდრე ცარიელი.

\* \* \*

1021. შენ რა **თავი** გაბია, სხვას არ გამოეპარება.

1022. ცარიელი თავი უქმად „მოღვაწეობს“.

\* \* \*

1023. ცუდია, როცა ადამიანს საკუთარი თავი იმაზე მეტი ჰგონია, ვიდრე არის.

\* \* \*

1024. შენ რას ფიქრობ საკუთარ თავზე, არაფერს ნიშნავს, მთავარია სხვები რას ფიქრობენ შენზე.

\* \* \*

1025. საკუთარ თავს ვერაფერს მოუგებ.

**თავისუფლება, თავმოყვარეობა, თავშეკავება,  
თავსმედი, თანაბრობა, თანამდებობა,  
თანამშრომლობა, თანხმობა, თაობა, თქვი,  
თესვა, თვალნი, თვითკმაყოფილება,  
თვისება, თოვლი, თქმა, თხოვნა**

1026. თავისუფალი საზოგადოების შექმნა მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ.

\* \* \*

1027. თავისუფლად თავისუფალ ადამიანი აზროვნებს.

\* \* \*

1028. ბავშვს თავისუფლება უნდა შეუზღუდო, რომ თავისუფალ ადამიანად ჩამოყალიბდეს.

\* \* \*

1029. დიდ სიკეთესაც და დიდ მტრობასაც შეზღუდული აქვს თავისუფლება.

\* \* \*

1030. ბავშვს თავისუფლება უნდა შეუზღუდო, რომ თავისუფალ ადამიანად ჩამოყალიბდეს.

\* \* \*

1031. თავისუფლება გვანიჭებს ადამიანობას.

\* \* \*

1032. თავისუფლება სიმართლის წყაროა.

1033. თავისუფლება უბრალოებაშია.

\* \* \*

1034. თავისუფლება ჭკვიანი სათვის ჭკვიანურია და გიჟისთვის – სიგიჟე.

\* \* \*

1035. რაც მეტია თავისუფლება, მით მეტი უნდა იყოს პასუხისმგებლობა.

\* \* \*

1036. სურვილების გარეშე ადამიანს უჩნდება თავისუფლება, რომელიც არაფერი ღირს.

\* \* \*

1037. შეუზღუდავი თავისუფლება უკვე გვექონდა, როცა პირველყოფილები ვიყავით.

\* \* \*

1038. თავისუფლებას კანონები გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს.

\* \* \*

1039. თავისუფლებას ის არ დაგიტოვებს, ვისაც თავისთვის არ რჩება.

\* \* \*

1040. საკუთარი საცხოვრებელი, რაგინდ პატარა იყოს, ღიდ თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს.

\* \* \*

1041. თავისუფლებისთვის ღირსეული ადამიანი იბრძვის, თორემ ბრიყვი და უღირსი ყოველთვის თავისუფალია.

\* \* \*

1042. თავმოყვარეობა არაფრის დათმობის უფლებას არ გვაძლევს, ამიტომაც, რომ მცირე წვრილმანზე თავ-პირს ვამტვრევთ ერთმანეთს.

\* \* \*

1043. თავშეკავებას სიკეთემდე მივყავართ, თავშეუკავებლობას – უკეთურობამდე.

\* \* \*

1044. თავზედი ზრდილობიანზე მეტ ყურადღებას მიიქცევს.

1045. თავებლობას არ სჭირდება მასწავლებელი.

\* \* \*

1046. ყოველმა ადამიანმა, თავისი შრომითა და საქციელით უნდა მოიპოვოს **თანაგრძნობა**.

\* \* \*

1047. **თანამდებობა** ზოგს სიკეთის გადახდას კარნახობს, ზოგს კი მშობელ დედასაც ავიწყებს.

\* \* \*

1048. **თანამდებობა** მაშინაა კარგი და ნაყოფიერი, თუ ადამიანი და თანამდებობა ერთმანეთს შეეფერება.

\* \* \*

1049. რაც დიდია **თანამდებობა**, მით უფრო ძნელია მისი დათმობა.

\* \* \*

1050. საუკეთესო შემთხვევაა, როცა დიდებულ ადამიანს დიდი **თანამდებობა** უკავია.

\* \* \*

1051. სჯობს გეკავოს ნაკლები **თანამდებობა**, ვიდრე მეტი, რისი ღირსიც ხარ. პირველ შემთხვევაში სახელს მოიხვეჭ, მეორეში კი – სირცხვილს.

\* \* \*

1052. მეგობარი თუ მაღალ **თანამდებობას** დაიკავებს, დაგეკარგება, თუ დაბალს – თვითონ დაკარგავ.

\* \* \*

1053. სულ პატარა **თანამდებობაც** კი სამშობლოს დიდ სიყვარულ ითხოვს.

\* \* \*

1054. ხოხვით მოპოვებული **თანამდებობიდან** მალე დაეშვები.

\* \* \*

1055. **თანამდებობის** პირს საქმიანობის იმდენი შემფასებელი ჰყავს, რამდენი ადამიანიცაა მისი საქმიანობის არეალში. სოფლის თავკაცს – მთელი სოფელი, ქვეყნის პრეზიდენტს კი – მთელი ქვეყანა.

1056. თუ **თანამდებობის** პირი ავტორიტეტს კარგავს, სჯობს თანამდებობა დატოვოს.

\* \* \*

1057. მაღალი **თანამდებობის**კენ მიმავალი ვერავის ამჩნევს, ქვემოთ მომავალი კი ყველას მოიკითხავს.

\* \* \*

1058. სხვა არასოდეს გახდება ისეთი, შენ რომ გინდა, შენ უნდა მოახერხო მასთან **თანაშრომლობა**.

\* \* \*

1059. **თანხმობა** მშვიდია, კონფლიქტს უთანხმოება იწვევს.

\* \* \*

1060. **თანხმობითაც** შეიძლება მბრძანებლობდე ადამიანზე.

\* \* \*

1061. არასოდეს იარსებებს **თაობა**, რომელიც წინა თაობას ვერ აჯობებს.

\* \* \*

1062. ყოველი თაობა შემდგომ თაობას მზა საძირკველს უტოვებს.

\* \* \*

1063. **თეატრი** ცხოვრების ცოცხალი მაგალითია.

\* \* \*

1064. **თევზს** კვალში ვერ ჩაუღებები.

\* \* \*

1065. **თევზს** წყურვილი არ შეაწუხებს.

\* \* \*

1066. ცოტა რომ ბევრად აქციო, უნდა **დათესო**.

\* \* \*

1067. **თვალეები** გონებით ხელავს.

\* \* \*

1068. ვერც ადამიანის **თვალი** აღიქვამს ზუსტად ყველაფერს, ვერც **გონება**.

\* \* \*

1069. **თვალი** ასახავს რეალობას.

1070. **თვალი** ზომავს, გონება წონის.  
\* \* \*
1071. **თვალი**, რაგინდ პათიოსანი იყოს, მაინც საკუთარი სვობს.  
\* \* \*
1072. **თვალი** ხედავს, გონება აფასებს.  
\* \* \*
1073. **თვითკმაყოფილება** კლავს ინიციატივას.  
\* \* \*
1074. ყველაფერზე თავშეუკავებლობა პირველყოფილთა თვისებაა.  
\* \* \*
1075. მგელი ადამიანის **თვისებებით** არსად დაბადებულა, ხოლო ადამიანი მგლის თვისებებით – რამდენიც გნებავთ.  
\* \* \*
1076. მთაში **თოვლი** – ბარში ზამთარს არ ნიშნავს.  
\* \* \*
1077. შედგი **ამბობს** სათქმელს.  
\* \* \*
1078. ვინც შენს ცუდს **გეტყვის**, შენთვის კარგი უნდა.  
\* \* \*
1079. თქმა ისაა, ისეთი რამ **თქვა**, რაც არავის უთქვამს.  
\* \* \*
1080. რამდენიც გინდა **თქვი**, ოღონდ ილაპარაკე ცოტა.  
\* \* \*
1081. არსათქმელის **თქმას** ბევრის თქმა მოჰყვება.  
\* \* \*
1082. რასაც ბრძენი **იტყვის** ბუნებაც დაამოწმებს.  
\* \* \*
1083. სანამ არ **იტყვის**, არავინ იცის რას იტყვის.  
\* \* \*
1084. **ნათქვამი** შეიძლება ადვილად დაიკარგოს, დაწერილი კი – ძნელად.



1085. ნათქვამი ართქმას უნდა სჯობდეს.

\* \* \*

1086. ნათქვამი სინანულს არ უნდა იწვევდეს, ხოლო, თუ გამოიწვევს, ესეც სიკეთეა.

\* \* \*

1087. ყველაფერი ნათქვამი არასოდეს იქნება. აზრთა ჭიდილი უსასრულოდ გაგრძელდება.

\* \* \*

1088. ზოგი ნათქვამიც საკმარისია, რომ ადამიანი დაისაჯოს.

\* \* \*

1089. მოსწრებულმა, სხარტმა ნათქვამმა ადამიანი კი არ უნდა დაამციროს, არამედ უნდა გაახაროს.

\* \* \*

1090. ნაფიქრალს ათასჯერ დაუბრუნდები, ნათქვამს კი ვერასოდეს დაიბრუნებ.

\* \* \*

1091. სათქმელიც და გაგონილიც თანაბრად მოითხოვს დაფიქრებას.

\* \* \*

1092. თუკი სათქმელს ვერ ამოკლებ, უთქმელობა სჯობს.

\* \* \*

1093. სათქმელს გონიერება ამოკლებს.

\* \* \*

1094. სათქმელს მოკლედ მაშინ იტყვი, როცა იცი, რა გაქვს სათქმელი.

\* \* \*

1095. სანამ სათქმელს იტყოდე, მსმენელს უნდა გადაავლო თვალი.

\* \* \*

1096. არსათქმელის უთქმელობა სათქმელის თქმაზე მეტი სიკეთეა.

\* \* \*

1097. თუ ბევრს თხოვ საკუთარ თავს, ცოტას თხოვ სხვას.

**იარაღი, იღვა, იმედი, იმპერია, ინტელექტი,  
ინტერნეტი, ინტუიცია, ინფლაცია, ინფორმაცია,  
ისტორია, ისტორიკოსი, იუმორი**

1098. სხვის ხელში იარაღად არასოდეს არ უნდა იქცე, თუნდაც უარყოფითი პიროვნების წინააღმდეგ.

\* \* \*

1099. იარაღი თვითონ არ კლავს, ამას მხოლოდ ადამიანები აკეთებენ.

\* \* \*

1100. საამური გარეგნობა მძლავრი იარაღია ახალგაზრდა ადამიანის გულის მოსაგებად.

\* \* \*

1101. იარაღმა დააქვეითა ვაჟკაცობა.

\* \* \*

1102. იღვა მიმდევრებთან ერთად კვდება.

\* \* \*

1103. ერთი ადამიანიც ბევრია, თუ იღეები აქვს.

\* \* \*

1104. ვინც იღვისთვის ცოცხლობს, იღვისთვის კვდება.

\* \* \*

1105. იმედლაკარგული ვერასოდეს გაბრწყინდება.

\* \* \*

1106. ვისაც იმელები არ ემსხვრევა, ბედნიერებას მალე აღწევს.

\* \* \*

1107. იმელები ყოველთვის მოჭარბებულად გვაქვს და ამიტომაც გაცრუების მეტი შანსია, ვიდრე ასრულების.

\* \* \*

1108. იმელებს რეალობა ამსხვრევს.

\* \* \*

1109. ადამიანი უფრო მეტს აღწევს მაშინ, როცა სხვისი იმელი არ აქვს.

\* \* \*

1110. გადარჩენის იმელი ღიდ გასაჭირშიც არ უნდა დაკარგო.

1111. გაჭირვებას მომავალი ბედნიერების **იმელი** აადვილებს.  
\* \* \*
1112. თუ სხვისი **იმელი** გაქვს, სხვასაც უნდა ეიმედებოდე.  
\* \* \*
1113. **იმელი** იმას უმართლებს, ვინც შრომობს.  
\* \* \*
1114. **იმელი** მომავლით გვანუგეშებს.  
\* \* \*
1115. **იმელი**, რომელიც წარსულს არ ითვალისწინებს, ძნელად გაამართლებს.  
\* \* \*
1116. **იმელი**, რომელსაც შესრულების თუნდაც მცირე შესაძლებლობა არ უდევს საფუძვლად, უნაყოფო ოცნებაა.  
\* \* \*
1117. **იმელი** სიცოცხლის თანამგზავრია.  
\* \* \*
1118. **იმელი** ყველა კარგია, მაგრამ რეალური იმელი — უკეთესია.  
\* \* \*
1119. ადამიანი ადამიანის **იმელია**.  
\* \* \*
1120. რაც არავის არასდროს უყიღია და მაინც ყველას აქვს — ეს **იმელია**.  
\* \* \*
1121. ადამიანი დაბრკოლებებს მისი გადალახვის **იმელით** უნდა შეხვდეს.  
\* \* \*
1122. მომავლის **იმელით** უნდა იცხოვრო და არა იმელის ხარჯზე.  
\* \* \*
1123. **იმელის** დაკარგვა ძალის დაკარგვაა.  
\* \* \*
1124. სხვისი **იმელი** საკუთარ შესაძლებლობებს ამცირებს.

1125. სხვისი **იმედით** ცხოვრება უბელურებაა.  
\* \* \*
1126. საოცარია, ადამიანი **იმედის** თვალით შესცქერის მომავალს, სადაც მისი სიკვდილია ჩასაფრებული.  
\* \* \*
1127. **იმედს** მხოლოდ სიკვდილი კლავს.  
\* \* \*
1128. ნუგეში ადამიანს დაკარგულ **იმედს** უბრუნებს.  
\* \* \*
1129. სხვის **მოიმედეს**, ადამიანსაც და ქვეყანასაც, უჭირს.  
\* \* \*
1130. ორი **უიმედო** ერთად ერთმანეთის იმედია.  
\* \* \*
1131. დიდი **იმპერია** ძნელად იქმნება და ადვილად ილუპება.  
\* \* \*
1132. **ინტელექტი** სხვებშია ძნელად შესამჩბევი, თორემ საკუთარში ეჭვიც არავის ეპარება.  
\* \* \*
1133. თუ გინდა, საქმე სწორად განსაჯო, შენი **ინტერესები** უნდა გამორიცხო.  
\* \* \*
1134. რომ არა პირადი **ინტერესები**, საზოგადოების თითოეული წევრი გაცილებით პატიოსანი იქნებოდა.  
\* \* \*
1135. **ინტერესთა** თანხვედრა ზრდის ადამიანების ერთმანეთისაკენ მიზიდულობის ძალას.  
\* \* \*
1136. **ინტუიცია** – ეს არის კარნახი არავისგან.  
\* \* \*
1137. **ინფლაცია** – ეს ბევრი ფულია, რომლითაც ვერაფერს იყიდი.  
\* \* \*
1138. **ინფორმაციული** ბომბის აფეთქება ქვეყანას შეაზანზარებს.

1139. ვინც კაცობრიობას დიდი სიკეთე ან დიდი სირცხვილი დაუტოვა, ისტორია მათ სახელს ერთნაირი გულმოდგინებით ინახავს.

\* \* \*

1140. ისტორია დიდს ადიდებს, ხოლო პატარას კი – აპატარავებს.

\* \* \*

1141. ისტორია ხშირად მეორდება, რადგან ისტორიით ხელმძღვანელობენ.

\* \* \*

1142. ისტორია მომავლისთვის იწერება.

\* \* \*

1143. ისტორია ქალების ნაკლებობას განიცდის.

\* \* \*

1144. ისტორია წარსულით არსებობს და მის გამოცდილებას გვიზიარებს.

\* \* \*

1145. ისტორია წარსულის სიცოცხლეა.

\* \* \*

1146. კარგი ისტორია გამრჯე, მამაც და მეომარ ხალხს აქვს.

\* \* \*

1147. ვინც ისტორიას წერს, ის წარსულს ინახავს.

\* \* \*

1148. ისტორიას აღარ ჰყავს მოწმეები.

\* \* \*

1149. ისტორიას თუ ცვლი, ან შეცვლამდე იყო ტყუილი, ან შეცვლის შემდეგ. ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სიმართლე არ არსებობს.

\* \* \*

1150. ისტორიას ხალხი ქმნის, ხოლო გამოჩენილი პიროვნებები ამშვენებენ.

\* \* \*

1151. მართალ ისტორიას კეთილშობილი მემკვიდრე ქმნის.

1152. ისტორიის კუთვნილება რომ გახდეს, ან თვითონ უნდა იმსახურებდეს, ან ვინც იმსახურებს, იმას ემსახურებოდეს.

\* \* \*

1153. ისტორიის ფურცლები გულმოდგინედ ინახავენ როგორც სამშობლოსათვის თავდადებულთა, ისე სამშობლოს მოღალატეთა სახელებს.

\* \* \*

1154. ისტორიის შემობრუნება შეუძლებელია, ხოლო მისგან შებრუნება – შეცდომა.

\* \* \*

1155. კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ მცირე ნაწილია ცნობილი და ისიც მცირე სიზუსტით.

\* \* \*

1156. რასაც შემცველი უჩნდება ისტორიის კუთვნილება ხდება.

\* \* \*

1157. ისტორიის ფურცლები ახალია შინაარსი კი ძველი.

\* \* \*

1158. ისტორიულ სიძველეთა კვლევა სულაც არ არის ნაკლებად საინტერესო, ვიდრე სიახლეთა კვლევა.

\* \* \*

1159. ყველა ისტორიული სიმართლის აღდგენა რომ მოვახერხოთ, სხვა ისტორია გვექნება.

\* \* \*

1160. ისტორიკოსი უკან მეტს ხედავს, ვიდრე წინ.

\* \* \*

1161. ნულია იუმორის ფასი, თუ იგი დროული არაა.

**კაბა, კალმასი, კანონი, კაცთმოძულე, კაცი,  
კაცობრიობა, კბენა, კმთება, კმთილზონიერება,  
კმთილი, კვალი, ბაკიცხვა, კმაცოფილება,  
კომპიუტერი, კომპრომისი, კრიტიკა,  
კუთვნილება, კულტურა, კუჭი**

1162. რაც მოკლეა **კაბა**, მით გრძელია ფეხები.

\* \* \*

1163. **კალმასი** იმ წყალს ვერ იგუებს, რომელშიც ლოქო განცხრომაშია.

\* \* \*

1164. **კანონები** დანაშაულებმა შექმნეს.

\* \* \*

1165. **კანონები** იცავენ სიკეთეს.

\* \* \*

1166. თავისუფლება **კანონების** მიხედვით ცოვრებას ნიშნავს.

\* \* \*

1167. ჯუნგლებში დაურღვევლად იცავენ ჯუნგლის **კანონებს**.

\* \* \*

1168. ცხოვრებასაც აქვს **კანონზომიერება**, რომელსაც ჩვენ ცუდად ვიცნობთ.

\* \* \*

1169. უსამართლო **კანონი** დანაშაულის წყაროა.

\* \* \*

1170. **კანონის** არცოდნით თავის მართლება, კუთვნილ სასჯელს და დამატებით, უცოდინარობას ნიშნავს.

\* \* \*

1171. **კაცთმოძულე** ისაა, ვისაც უმიზეზოდ სძულს.

\* \* \*

1172. როცა პატარა **კაცს** დიდის თანამდებობა უკავია, დანაკარგი დიდია, ხოლო როცა დიდს პატარის – დანაკარგი უფრო მეტია.

\* \* \*

1173. მსოფლიო ეკუთვნის **კაცობრიობას**.

1174. ზოგი უკბილოდაც იკბინება.

\* \* \*

1175. თუ იმაზე მეტს არ აკეთებ, რაც შენ გჭირდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის არაფერს აკეთებ.

\* \* \*

1176. რასაც სხვისთვის აკეთებ, სანაცვლოს აუცილებლად მოგიზღავენ, კარგსაც და ცუდსაც.

\* \* \*

1177. ერთი კაციც თუ არაფერს აკეთებს, მისი წილი ქვეყნის ბარაქას აკლდება.

\* \* \*

1178. ვინც არაფერს აკეთებს, ის ბოროტებას აკეთებს.

\* \* \*

1179. რასაც ადამიანი სიწყნარით აკეთებს, სიბრაზით აფუჭებს.

\* \* \*

1180. როცა ძალიან ანლობელი დაგელუპება, უნდა გაიაზრო შენგან რის გაკეთებას ისურვებდა და ის უნდა აკეთო.

\* \* \*

1181. თუ გინდა, ახალი კარგად აკეთო, ძველი უნდა გაითვალისწინო.

\* \* \*

1182. რასაც აქ ვერ მოასწრებ გააკეთო, საიქიოს ვერ წაიღებ დასამთავრებლად.

\* \* \*

1183. არაფრის გაკეთება არ შეიძლება სწრაფად, იაფად და კარგად.

\* \* \*

1184. მეტი ის კეთდება, რასაც მეტი მუშტარი ჰყავს.

\* \* \*

1185. როცა რაიმეს კეთების სურვილი ყოველგვარ შიშს აჭარბებს, ვერაფერი შეგაჩერებს.

\* \* \*

1186. ნაჩქარევად ნაკეთები გადაკეთებას მოგთხოვს.



1187. სადაც **კეთილგონიერება** არაა, იქ არც წარმატება არსებობს.

\* \* \*

1188. **კეთილი** ადამიანი ძნელად ამჩნევს უკეთურობას.

\* \* \*

1189. ის, რაც **კვალს** ტოვებს ჩვენში, შესაბამისად, გვცვლის კიდეც.

\* \* \*

1190. როცა გეკუთვნის და არ **გაგაკიცხა**, ადამიანი არ უნდა აიძულო, რომ მოგაფურთხოს.

\* \* \*

1191. **დაკმაყოფილდე** ფულით, როგორც ჩანს, განუხორციელებელი ოცნებაა.

\* \* \*

1192. ზოგი მცირედითაც **კმაყოფილდება**, ზოგი ბევრითაც არა.

\* \* \*

1193. კაცს, რომელიც მცირედით **კმაყოფილდება**, არასოდეს წაუცდება ხელი სხვის საკუთრებაზე.

\* \* \*

1194. **კმაყოფილება** წინსვლის მუხრუჭია.

\* \* \*

1195. მცირედით **კმაყოფილება** უამრავ საზრუნავს აგვაცილებს.

\* \* \*

1196. **კომპიუტერი** უტვინო მოაზროვნეა.

\* \* \*

1197. **კომპრომისს** შესწევს ძალა, მოქიშპენი მეგობრებად აქციოს.

\* \* \*

1198. არ არსებობს ზომიერი **კრიტიკა**, რომელსაც სიკეთე არ მოაქვს.

\* \* \*

1199. ცუდის წარმოჩენა და **კრიტიკა** ისეთივე სიკეთეა, რიგორიც კარგის შემჩნევა და წახალისება.

1200. ყოველ შემოთავაზებას **კრიტიკული** თვალთ შეხედვა სჭირდება.

\* \* \*

1201. რაც არ **გეკუთნის**, ნებით არავინ მოგცემს.

\* \* \*

1202. ეროვნულ **კულტურათა** სხვადასხვაობა მსოფლიოსათვის იგივეა, რაც ბგერათა სხვადასხვაობა მუსიკისთვის.

\* \* \*

1203. **კუჭი** ჯიბეს არ უყურებს და თავისას ითხოვს.

\* \* \*

1204. **კუჭს** უნდა დააკლო საკვები, გონებას კი მიუმატო.

**ლამაზი, ლემსი, ლუკმა, მათხოვარი, მანძილი,  
მარადისობა, მართვა, მართლმსაჯულება,  
მართობა, მასპინძელი, მაღალფარდოვნება,  
მასვილგონიერება, მასვილი**

1205. **ლამაზ** სახეს პირის დაბანამდეც ეტყობა სილამაზე.

\* \* \*

1206. **ლამაზ** ქალს ახლავს და უხდება კიდევ ბუნებრივი სიამაყე.

\* \* \*

1207. **ლამაზ** ქალს ქება ახარებს, ულამაზოს კი – აბედნიერებს.

\* \* \*

1208. ის უფრო **ლამაზი** ჩანს, ვინც თავისი სილამაზის წარმოჩენას ნაკლებად ცდილობს.

\* \* \*

1209. კაცობრიობის ძალიან მცირე ნაწილია ძალიან **ლამაზი** ან ძალიან მახინჯი.

\* \* \*

1210. **ლამაზი** და გაუნათლებელი ქალი ყვავილს ჰგავს, რომელსაც სურნელება არ გააჩნია.

1211. ლამაზი ქალი ბუნების სამკაულია, რომელსაც ეტროფოდნენ ჩვენი წინაპრები, ვეტროფით ჩვენ და შეეტროფიან ჩვენი მომავლები.

\* \* \*

1212. ლამაზი ქალის წყრომა ადვილი ასატანია.

\* \* \*

1213. ლამაზი წყვილი ლამაზ თაობას იძლევა.

\* \* \*

1214. სასმისის სილამაზე სასიამოვნოა, მაგრამ სასმელს გემოს ვერ უცვლის.

\* \* \*

1215. ლექსის ძალას კარგი წამკითხველის ხელოვნება წარმოაჩენს.

\* \* \*

1216. ბოლო ლუკმა პირს არასოდეს დაგწვავს.

\* \* \*

1217. მათხოვარს მეორე მათხოვრის შურს და არა მილიონერის.

\* \* \*

1218. თანამედროვე ტექნიკის პირობებში მანძილი დროში პრობლემა აღარაა.

\* \* \*

1219. მარადისობა – ეს არის ის, რისი არც თავი უნახავს ვინმეს და ვერც ბოლოს ნახავს.

\* \* \*

1220. მოკვდავი ადამიანები შეადგენენ უკვდავ მარადისობას – ხალხს.

\* \* \*

1221. მარადიული საიდუმლო მფლობელის სიკვდილთანაა წილნაყარი.

\* \* \*

1222. ვინც საკუთარ თავს ვერ მართავს, სხვის მართვაზე ხელი უნდა აიღოს.

1223. „ერთი თავით ასი ხელი შეიძლება მართო,” ხოლო ასი თავით ერთი ხელის მართვა – შეუძლებელია.

\* \* \*

1224. სწორი მართლმსაჯულების გარეშე ქვეყანა ვერ აშენდება.

\* \* \*

1225. მარტოობა საკუთარ თავთან პაექრობისთვის უნდა გამოიყენო.

\* \* \*

1226. მარტოობას დადებითი ის აქვს, რომ თავისუფლებით გავსებს.

\* \* \*

1227. მარტოობას მოწყენილობა მოაქვს.

\* \* \*

1228. მარტოობისას მეფეც ვერ მეფობს.

\* \* \*

1229. მარტოსულის ბედნიერება ხანმოკლეა ან სულაც – შეუძლებელი.

\* \* \*

1230. მასპინძელმა, სახლის კართან ერთად, გულის კარიც თუ არ გაგიღო, ასეთი მიღება ვერაფერი სიკეთეა.

\* \* \*

1231. თქვენი მსჯელობისას უნდა ჩანდეს საღი გონება, ნათელი, სწრაფი აზროვნება და არა – მაღალფარდოვნება.

\* \* \*

1232. მახვილგონიერებაც მახვილია, ოღონდ სასიამოვნოდ კეთილი.

\* \* \*

1233. ერთი მახვილგონივრული ნათქვამის გავლენას მთელი საათის ნაუბარიც ვერ შეცვლის.

\* \* \*

1234. მახვილი, შენ კი არა, შენს ჩრდილსაც რომ დაჰკრან, ისიც მტკივნეულია.

1235. მოქნულ მახვილს თუ თვალს ვერ გაუსწორებ, ვერ აიცდენ.

**მდიდარი, მღინარე, მებაღური,  
მეზობარი, მელია, მეზობელი,  
მელოტი, მემუარები,  
მეტყველება, მეუღლე, მეფე,  
მეცნიერება, მზე**

1236. ხარბის გამდიდრება შეუძლებელია.

\* \* \*

1237. ამქვეყნად მდიდარი ბევრია, მაგრამ – დაკმაყოფილებული არავინ.

\* \* \*

1238. თუ ცოტას სჯერდები, სულით მდიდარი ხარ, თუ არაფერი გყოფნის – ჭკუით ღარიბი.

\* \* \*

1239. ადამიანის ყველაზე ღიდი სიმდიდრე გონებაა.

\* \* \*

1240. ადამიანის დაუმსახურებლად მოპოვებულ სიმდიდრეს დაუმსახურებელი სურვილები მოსდევს.

\* \* \*

1241. დაგუბებული მღინარე ძალას იკრებს და ინახავს.

\* \* \*

1242. წყალი უწყვეტად მიედინება, მღინარე კი მუდმივად არსებობს.

\* \* \*

1243. მღინარეს წინააღმდეგობები ახმაურებენ.

\* \* \*

1244. კარგ მებაღურს ბაღე არ გაუცდება.

\* \* \*

1245. ბევრი მეგობარი ადამიანისთვის ჯილდოა მაღალი სულიერებისათვის.

1246. მეგობრები მაშინ კარგავენ ერთმანეთს, თუ არ მეგობრობენ და არა მაშინ, როცა ერთი ტოკიოშია და მეორე ლისაბონში.

\* \* \*

1247. კარგ მეგობრებს მეგობრობის და სიყვარულის ერთნაირი გრძნობა აქვთ.

\* \* \*

1248. მეგობრის შეძენას დიდი დრო სჭირდება, დაკარგვას კი წამები.

\* \* \*

1249. მეგობრის ჭირი საკუთარს დაგავიწყებს.

\* \* \*

1250. მედიის თავისუფლება ქმნის ყველა თავისუფლებას.

\* \* \*

1251. მეზობელი, რომელიც ყოველდღე შემიგიღებს კარებს, ოჯახის წევრად უნდა ჩათვალოს.

\* \* \*

1252. მელოტის სავარცხელს კბილი არასოდეს მოტყდება.

\* \* \*

1253. მემუარები უნდა დაწერო მანამ, სანამ გახსოვს, რა დაწერო.

\* \* \*

1254. მთელი ცხოვრება მემუარების მასალაა.

\* \* \*

1255. ზოგჯერ ადამიანის სახე და თვალები მეტს გვამცნობენ, ვიდრე მეტყველება.

\* \* \*

1256. მეტყველება უტყუარად გვამცნობს ადამიანის აზროვნების სიღრმეს.

\* \* \*

1257. კარგი მეუღლე უღელს არ გაგიძრუდებს.

\* \* \*

1258. კარგი მეუღლე ადამიანის საუკეთესო მორთულობაა.

1259. ყოველი **მეუღლე** უნდა ცდილობდეს, საკუთარი მეუღლის ღირსი იყოს.

\* \* \*

1260. **მეუღლეობა** უანგარო სიყვარულსა და ოჯახისადმი სრულ ერთგულებას მოითხოვს.

\* \* \*

1261. ერთი **მეუღლის** საქციელი ვერაფრით გაამართლებს მეორის ღალატს.

\* \* \*

1262. **მეფე** უნდა მეფობდეს და არა მეფის როლს თამაშობდეს.

\* \* \*

1263. ლომიც **მეფეა**, მაგრამ ბრძანებებს არ იძლევა.

\* \* \*

1264. **მეფემ** ხალხისთვის უნდა მართოს ქვეყანა.

\* \* \*

1265. **მეფისათვის** შეუფერებელი ყოველი სიტყვა მისი ტახტის მტერია.

\* \* \*

1266. მეცნიერები ქმნიან მეცნიერებას, **მეცნიერება** კი – მეცნიერებს.

\* \* \*

1267. **მეცნიერება** არასოდეს დასრულდება.

\* \* \*

1268. **მეცნიერება** უმეცრების მტერია.

\* \* \*

1269. მეცნიერებაში **მეცნიერების** სიყვარულმა უნდა მივიყვანოს.

\* \* \*

1270. არ არსებობს ცოცხალი არსება, **მზე** რომ არ სჭირდებოდეს.

\* \* \*

1271. **მზე** და დედამიწა – აი, ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ წყაროთა სრული ჩამონათვალი.

1272. მზე ყველასია, დედა კი შენი საკუთარი მზეა.

\* \* \*

1273. მზეში სანთელი უსარგებლოდ იწვის.

\* \* \*

1274. მზის ქვეშ ადგილი არ ჰყოფნის იმას, ვინც მზეს ედრება.

\* \* \*

1275. ვინც მზის შუქზე გემალება, არც მთვარის შუქზე დაგვენახება.

\* \* \*

1276. ჩვენ რომ უმზეო, ღრუბლიან დღეს ვეძახით, მაშინაც მზე გვინათებს არე-მარეს.

**მთა, მიბაკვა, მიზანი, მიზეზი, მიტყვება,  
მიღვა, მიღწევა, მიცვალებული, მიწა,  
მკვლელობა, მლიქვნელობა, მოგონება,  
მოდა, მოვალეობა, ღვაწლი**

1277. მთა ანოციერებს ბარს.

\* \* \*

1278. მთა და ბარი შეიძლება გასწორდეს, ადგილებს კი არასოდეს გაცვლიან.

\* \* \*

1279. მთის წყარო ყოველთვის ანკარაა.

\* \* \*

1280. მთის ხალხი მთებივით გოროზი და თავმოყვარეა.

\* \* \*

1281. თუ დიდებულს გინდა მიბაძო და ხელი მოგეცარა, შეხედე მის შემდგომებს და მოძებნე შენი ტოლი.

\* \* \*

1282. თუ გინდა, რომ ვინმეს გაუტოლდე, მას უნდა მიბაძო.

\* \* \*

1283. კარგმა მიმბაძველმა შეიძლება დედანს გადააჭარბოს.



1284. თოფს ორივე თვალით ვერ დაუმიზნებ.

\* \* \*

1285. არასწორი გზით მოსიარულე მიზანთან ვერასოდეს მიაღწევს.

\* \* \*

1286. მიზანთან უნდა მიხვიდე და არა მიირბინო.

\* \* \*

1287. ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მიზანი.

\* \* \*

1288. არსებობს მიზანი, რომლის მიღწევა სიცოცხლის ფასდაღაც კი გამარჯვებაა.

\* \* \*

1289. თუ მიზანი გაიხლოვდება, თოფი არ უნდა ესროლო.

\* \* \*

1290. თუ მიზანი საერთოა, უპრობლემოდ თანამშრომლობენ სხვადასხვა რწმენისა და აღმსარებლობის ადამიანები.

\* \* \*

1291. მიზანი ძალას გვმატებს და თავისკენ მიგვაქანებს.

\* \* \*

1292. ნათელი მიზანი აადვილებს მის შესრულებას.

\* \* \*

1293. საინტერესო მიზანი მალე მიღწევადია.

\* \* \*

1294. ცხოვრების მიზანი შესაძლებლობათა გამოყენებაა.

\* \* \*

1295. ვერ მოახვედრო მიზანს, იგივეა, არც ესროლო.

\* \* \*

1296. მიზანს შესრულება აცოცხლებს.

\* \* \*

1297. შენ რომ მიზანს ვერ აღწევ, ის უნდა გაწუხებდეს და არა სხვისი მიღწევები.

\* \* \*

1298. ერთნაირი მიზნები აახლოებენ ადამიანებს.

1299. მიზნები ზუსტად თუ არ შეესაბამება შესაძლებლობებს, ოცნებად გადაიქცევა.

\* \* \*

1300. არჩევანის საშუალება აადვილებს მიზნის მიღწევას.

\* \* \*

1301. მიზნის მიუღწევლობა ჯერ კიდევ არაფერია, მთავარია სურვილი არ დაკარგო.

\* \* \*

1302. კეთილი მიზნისკენ მიმავალს ძნელი გზაც უადვილდება.

\* \* \*

1303. არ არსებობს მიზეზი, რომელიც ადამიანებისგან ერთმანეთის მოსპობას გაამართლებს.

\* \* \*

1304. არ არსებობს მიზეზი, რომელიც სიცოცხლის სიძულვილს გაამართლებს.

\* \* \*

1305. ვინც ნაკლებად გრძნობს ნაკლებად მიმტყვებელია.

\* \* \*

1306. რომ მიუტევო, უნდა გიყვარდეს ან უნდა გეშინოდეს.

\* \* \*

1307. სჯობს იმაზე ნაკლები მიიღო, რაც დაიმსახურე, ვიდრე მეტი.

\* \* \*

1308. საკუთარ თავს ვინც მეტს სთხოვს, მეტს აღწევს.

\* \* \*

1309. ჩვენთვის ყოველთვის ისაა მთავარი, რასაც ვერ ვაღწევთ.

\* \* \*

1310. რაც მეტისაკენ გექნება მისწრაფება, მით მეტს მიაღწევ.

\* \* \*

1311. ვინც რას მიაღწევს, ახალგაზრდობიდან ეტყობა.

\* \* \*

1312. რამეს რომ მიაღწიო, უნდა შექმნა ამის წინაპირობა.

1313. ბერს რომ **მიაღწიო**, სულის ძლიერება და საკუთარ ნებისყოფაზე ბატონობაა საჭირო.

\* \* \*

1314. თუ ძნელად **მისაღწევზე** გიფიქრია, ადვილს ადვილად მიაღწევ.

\* \* \*

1315. არ არსებობს **მიღწევა**, რომელიც არ გაუმჯობესდება.

\* \* \*

1316. ადამიანის **მიღწევები** ბავშვობიდან იწყება.

\* \* \*

1317. ყველა თაობის **მიღწევები** მის წინმავალთა მიღწევებზეა დაფუძნებული და მის ნაწილს შეიცავს.

\* \* \*

1318. ხშირად ხალხის დიდ **მიღწევებს** ხელმძღვანელს მიაწერენ, თუმცა ხალხმაც უნდა იცოდეს, რომ ბრძენი ხელმძღვანელის გარეშე, ეს შედეგი არ იქნებოდა.

\* \* \*

1319. **მკვლად** სიცოცხლე სჯობს ცოცხლად სიკვდილს.

\* \* \*

1320. **მიცვალებულზე** გადაჭარბებული ზრუნვა ისეთივე შეცდომაა, როგორც არანაირი ზრუნვა.

\* \* \*

1321. „**მიცვალებულზე** კარგი უნდა თქვა”, ცოცხალზე კი – მხოლოდ სიმართლე.

\* \* \*

1322. **მიცვალებული** და არაფრის მაქნისი ზარმაცი კოლეგები არიან.

\* \* \*

1323. **მიცვალებული** უნდა დაიკრძალოს იქ, სადაც მის საფლავს მიმხედავი ეყოლება.

\* \* \*

1324. **მიცვალებული** უპირველესად იმან უნდა დაიტიროს, ვისთვისაც ცოცხლობდა.

1325. მიცვალებულის პატივისცემა ადამიანობის დასტურია.

\* \* \*

1326. მიცვალებულის პატრონს ვერ ანუგეშებს ის, რომ ყველა და ყველაფერი მოკვდავია.

\* \* \*

1327. მიცვალებულის ტირილი ადვილია, ვიდრე ცოცხლად სატირელის.

\* \* \*

1328. დაგვალული მიწა ბევრ წყალს შეიშრობს.

\* \* \*

1329. მიწა ერთადერთია, რაც ცოცხალსაც სჭირდება და მკვდარსაც.

\* \* \*

1330. მიწა ერთნაირი გულგრილობით ღებულობს მოკაშკაშე გენიოსისა და უკიდურესი ბოროტის ცხედარს.

\* \* \*

1331. ვინც მიწას ამუშავებს, ყველას სიცოცხლეს ემსახურება.

\* \* \*

1332. მიწას თუ არაფერი მიეცი, ისიც არაფერს მოგცემს.

\* \* \*

1333. მიწას უტყუარი თვისება აქვს: რასაც დაამუშავებისას დააკლებ, მოსავლის ალებისას დაგიქვითავს.

\* \* \*

1334. მან იცოდა მიწის ფასი, ვინც მას დედამიწა უწოდა.

\* \* \*

1335. მკვლელს ეშინია, რომ მასაც მოკლავენ.

\* \* \*

1336. მოკლული ყოველთვის სჯობია მკვლელს.

\* \* \*

1337. მლიქვნელი სიამოვნებას განიჭებს, სიკეთე კი არ მოაქვს.

\* \* \*

1338. მლიქვნელს ურჩევნია, უფროსის გვერდით ამოქნაროს, ვიდრე თანასწორთან იღზინოს.

1339. გარდასულ დღეთა **მოგონება** თუ სინანულს იწვევს, მომავალში სწორად იცხოვრებ.

\* \* \*

1340. **მოდა** გამჭვირვალე ლელვის ფოთლისაკენ მიდის.

\* \* \*

1341. **მოდას** არ ექნება დასასრული.

\* \* \*

1342. ადამიანის **მოვალეობა** ბუნება სწორად გამოიყენოს.

\* \* \*

1343. **მოდა** ყოველთვის მოდაში იქნება.

\* \* \*

1344. ისტორიკოსებისა და არქეოლოგების **მოვალეობა** ძველი ცივილიზაციის ნაშთები აალაპარაკონ.

\* \* \*

1345. ვინც გვერდს უვლის თავის **მოვალეობებს**, ის გვერდს უვლის საკუთარ ცხოვრებას.

\* \* \*

1346. ვინც **იღვწოდა** ბრწყინვალე მომავლისათვის, ბრწყინვალე წარსულიც შექმნა.

\* \* \*

1347. ამ ქვეყნიდან წასული ადამიანი მანამ ახსოვთ, სანამ მისი **ნამოღვაწარი** შეახსენებს თავს.

\* \* \*

1348. წარსულ აწმყოში ადამიანთა **ნამოღვაწარი** უზრუნველყოფს მათ სიცოცხლეს აწმყოში.

## **მოთმინება, მოთხოვნები, მოლოცვა, მომავალი**

1349. ადამიანს სჭირდება გრდემლის **მოთმინება**.

\* \* \*

1350. თუ არ გაქვს **მოთმინება**, ცოტა მოითმინე და გექნება.

\* \* \*

1351. **მოთმინება** არასწორი ნაბიჯებისაგან იცავს ადამიანს.

1352. ხშირად ადამიანს **მოთმინება** უფრო იხსნის, ვიდრე ძლიერება.

\* \* \*

1353. ბოლო წუთი ყველას **მოთმინებით** გველოდება.

\* \* \*

1354. დანახარჯი **მოსათმენია**, სანამ შემოსავალს გადააჭარბებს.

\* \* \*

1355. მას, ვისაც მაღალი **მოთხოვნები** აქვს, მეტი შრომა მართებს.

\* \* \*

1356. როცა ყველა **გილოცავს**, ე. ი. ყველა არ გილოცავს.

\* \* \*

1357. სჯობს იფიქრო **მომავალზე**, ვიდრე იწუწუნო წარსულზე.

\* \* \*

1358. არ არსებობს არაფრის მომტანი **მომავალი**, ისე როგორც არაფრის წამლები წარსული.

\* \* \*

1359. **მომავალი** არასოდეს დაილევა და არც წარსული შეივსება.

\* \* \*

1360. **მომავალი** გაძლევს შანსს გააკეთო ის, რაც ვერ მოასწარი წარსულში.

\* \* \*

1361. **მომავალი** მიზნებია მხოლოდ.

\* \* \*

1362. **მომავალი** – მომავალი აწმყოა, ხოლო მომავალი აწმყო – მომავალი წარსული.

\* \* \*

1363. **მომავალი** მოულოდნელობითაა საინტერესო.

\* \* \*

1364. **მომავალი** უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება.

1365. მომავალი უცნობ შესაძლებლობათა ჯამია.

\* \* \*

1366. მხოლოდ სიცოცხლეს აქვს მომავალი.

\* \* \*

1367. სწორად განჭვრეტის გარეშე მომავალი არასოდეს გაგიმართლებს.

\* \* \*

1368. ადამიანის არსებობის წყარო მისი მომავალია.

\* \* \*

1369. ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ მომავალს.

\* \* \*

1370. ადამიანის მიზნები განსაზღვრავენ მის მომავალს.

\* \* \*

1371. ვისაც არ ეთმობა წარსული მომავალს ნაკლებად იმსახურებს.

\* \* \*

1372. მომავალს აწმყო აცოცხლებს და მყისვე იქცევა წარსულად.

\* \* \*

1373. მომავალს სამომავლო გეგმები ქმნიან.

\* \* \*

1374. მომავალს სჭირდება მისთვის მზადება.

\* \* \*

1375. მომავალს ძლიერი გონება განსაზღვრავს, მაგრამ არა დიდი სიზუსტით.

\* \* \*

1376. ბედი მომავალშია და მხოლოდ აწმყოში შეიძლება გეწვიოს.

\* \* \*

1377. მომავალშიც დაახლოებით იმდენი ბოროტება და სიკეთეა, რამდენიც წარსულში იყო.

\* \* \*

1378. მომავლით წინასწარ ვერ ისარგებლებ.

1379. არ შეიძლება უკეთესი **მომავლის** იმედით ვაძაგოთ წარსული.

\* \* \*

1380. **მომავლის** ამოწურვა სიკვდილია.

\* \* \*

1381. **მომავლის** იმედი უამრავ შეცდომას შეიცავს.

\* \* \*

1382. **მომავლის** ისტორიას ვერავინ დაწერს.

\* \* \*

1383. **მომავლის** მაღლი ისაა, რომ არაფრის მქონესაც სჯერა, მასში ბედნიერებას იპოვის.

\* \* \*

1384. **მომავლის** უკეთ ხედვა უზრუნველყოფს ადამიანის წინსვლას.

\* \* \*

1385. საოცარია, ყველაფერი **მომავლისკენ** მიისწრაფვის და წარსულში ხვდება.

**მონა, მონაბარი, მონანიება, მოპარვა,  
მორიბება, მოსავალი, მოსამენა, მოსჯავლი,  
მოტაცება, მოქმედება, მოპრაობა, მოწონება,  
მოსკმჭა, მოს უცი, მრისხანება, მსახიობი**

1386. ბევრი **მონა** ვერ გრძნობს, რომ მონაა.

\* \* \*

1387. **მონამ** თავისუფლების ფასი არ იცის და ადვილად იტანს მონობას.

\* \* \*

1388. **მონობა** რომ შეძლო, მონობაში უნდა იყო აღზრდილი.

\* \* \*

1389. **მონობა** სიყვარულის სანაცვლოდ მიუღებელია.

\* \* \*

1390. **მონაგარის** გაფანტვა ადვილია, მონაგრებაა ძნელი.



1391. თუ მონანიება გიჭირს, მიტევებაც გაგიჭირდება.

\* \* \*

1392. მონანიების შესაძლებლობამ არ უნდა გიბიძგოს, რომ მომავალშიც ჩაიდინო ცოდვა.

\* \* \*

1393. მსუბუქად ის დააბიჯებს მიწაზე, ვისაც მოსანანიებელი სიმძიმე არ აწევს გულზე.

\* \* \*

1394. მოპარული სიბრძნეც შეგარცხვენს როდისმე და ოქროს ბრწყინვალებაც.

\* \* \*

1395. მოპარულმა სიყვარულმა კბილის მოკვეთა იცის.

\* \* \*

1396. მოპოვება კარგია, შენარჩუნება კი – უკეთესი.

\* \* \*

1397. ვისაც არ სურს მორიგება, მას სურს ომი.

\* \* \*

1398. დათესვა შენზეა დამოკიდებული, მოსავალი კი – ბუნებაზე.

\* \* \*

1399. მოსავლის მოყვანაში დაღვრილი ოფლის საფასური აღებული მოსავალია.

\* \* \*

1400. თუ მსმენელი არაა, ხმამაღლა მოლაპარაკეც არაფერს ამბობს.

\* \* \*

1401. ჩურჩული შეიძლება მოისმინო, მაგრამ უზომოდ მაღალი ხმის მოსმენა შეუძლებელია.

\* \* \*

1402. უსმინო ჭკვიან ადამიანს – მეტად სასარგებლო საქმეა.

\* \* \*

1403. მოსწავლე უნდა იმედოვნებდეს, რომ ოდესმე მასწავლებელს გადააჭარბებს.

1404. მოტაცება ერთხელ იყო საბატო, როცა ცეცხლი მოიტაცეს.

\* \* \*

1405. სჯობს სინდისის კარნახით იმოქმედო და დაზარალდე, ვიდრე – უსინდისოდ და მოგება ნახო.

\* \* \*

1406. ადამიანის მოქმედება მისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებაა.

\* \* \*

1407. მოქმედება აწმყოშია, შედეგი კი წარსულში.

\* \* \*

1408. ყოველი მოქმედება მის შესაბამის შედეგს იძლევა და შესრულების სიზუსტეზეა დამოკიდებული.

\* \* \*

1409. ადამიანის სახე გასცემს მის მომავალ მოქმედებას.

\* \* \*

1410. ერთადერთი აწმყო იძლევა მოქმედების შესაძლებლობას. წარსულსა და მომავალში არც სიცოცხლეა, არც მოქმედება.

\* \* \*

1411. დანახული უფრო მოქმედებს, ვიდრე მოსმენილი.

\* \* \*

1412. ნამოქმედარით უკმაყოფილება უკეთესობის სურვილია.

\* \* \*

1413. უმოქმედობა მხოლოდ უგუნურისაა სასარგებლო.

\* \* \*

1414. ყოველივე მოძრავს სჭირდება მოძრაობის საწინააღმდეგო საშუალება.

\* \* \*

1415. თუ შეეცდები საზოგადოებაში ვინმეს თავი მოაწონო, მხოლოდ საწინააღმდეგოს მიაღწევ.

\* \* \*

1416. შეხედავ – მოგეწონება, დაილაპარაკებს და შეხედავ აღარ მოგინდება.

1417. თუ სხვისი ძალიან **მოგწონს**, შენი კარგავს მოწონებას.

\* \* \*

1418. ჟებოტაურით (*ჟიბიტაური*) გაბრუებულს „ატენურიც“ არ **მოეწონება**.

\* \* \*

1419. ის, რაც შენს ხალხს **მოსწონს**, ყველა ხალხს მოეწონება.

\* \* \*

1420. ხშირად ადამიანებს **მოსწონთ** ის, რაც სხვებს მოსწონთ, და არა ის, რაც მოსაწონია.

\* \* \*

1421. **მოწყალება** უხმაუროდ უნდა გასცე. „გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება.“

\* \* \*

1422. ყველაფერს ერთად ვერც **მოიხვეჭ** და ვერც მოიხმარ.

\* \* \*

1423. **მოხუცებული** მწიფე ნაყოფს ჰგავს, რომელიც მცირე ნიაემაც კი შეიძლება მიწას დაანარცხოს.

\* \* \*

1424. **მოხუცი** იმას მოიძვის, რაც ახალგაზრდობაში დაუთესია.

\* \* \*

1425. **მოხუცი** ნამაგართი ფასდება, ახალგაზრდა კი — მიზნებით.

\* \* \*

1426. **მოხუცმა** უნდა იჩქაროს.

\* \* \*

1427. **მრიხანება** სპობს სწორი გადაწყვეტილების უნარს.

\* \* \*

1428. **მრისხანება** უცბად გვართმევს ყველაფერ ადამიანურს.

\* \* \*

1429. **მრისხანების** შეკავებული ნაპერწკალი ხანძრად აინთება.

\* \* \*

1430. **მრისხანებისას** გაკეთებული ყოველთვის სანანებელია.

1431. მრისხანებისას იკარგება ნათელი გონება.

\* \* \*

1432. მრისხანებისას სიკეთის უნარი მკვდარია.

\* \* \*

1433. კარგი მსახიობის ხვედრი ტაში და ოვაციაა, ცუდისა – სტვენა, ხოლო საშუალოსი – არც ერთი და არც მეორე.

**მსახური, მტერი, მტკიცეზღუება, მტყუანი,  
მუსიკა, მყიდველ-გამყიდველი, მშვენიერება,  
მშვიდობა, მშობელი, მწარი**

1434. მსახურის მსახურებაა ძნელი.

\* \* \*

1435. კარგს მტერი არ დაეღევა.

\* \* \*

1436. არაფრის მქონეს მტერი არ ჰყავს და არხეინად სძინავს.

\* \* \*

1437. ახალი მტერი უფრო საშიშია, ვიდრე ძველი.

\* \* \*

1438. თუ მტერი ბრძოლის ველიდან გაგექცევა, გული უნდა დაგწყედეს და არა გაგიზარდეს.

\* \* \*

1439. მოკეთე გასწავლის, მტერი გაიძულებს ისწავლო.

\* \* \*

1440. მტერი გაიძულებს შესაძლებლობების მობილიზებას.

\* \* \*

1441. მტერი გყავს თუ სხვას მტრობ, ერთნაირად ცუდია.

\* \* \*

1442. მტერი ვერ გავნებს იმდენს, რამდენსაც გულგრილობა.

\* \* \*

1443. მტერი მაშინ დაგესხმება თავს, როცა მას დაივიწყებ.

\* \* \*

1444. მტერი მკვდარიც საშიშია, თუ ის ვილაცაში ცოცხლობს.

1445. მტერი, რომელიც შენზე გამარჯვებას ელოდება, შეიძლება ტკბილი სიტყვით დაატყვეო.

\* \* \*

1446. მტერი სუსტად არასდროს ჩათვალო.

\* \* \*

1447. მტერი უფრო გაიძულებს იმოქმედო, ვიდრე მოკეთე.

\* \* \*

1448. მტერი უფრო დაკვირვებით გიყურებს, ვიდრე მოკეთე.

\* \* \*

1449. შენი მტერი ნაკლებ საძულველია, ვიდრე შენი სამშობლოს მტერი.

\* \* \*

1450. ცოდვას კაცი, რომელსაც საკუთარ თავზე დიდი მტერი არ ჰყავს.

\* \* \*

1451. „ცუდას რად უნდა მტერობა“, თვითონ მტერია თავისა.

\* \* \*

1452. მტერმა თუ თავი მეგობრად მოგაჩვენა, ადვილად დაგამარცხებს.

\* \* \*

1453. მტერს არ უნდა აგრძნობინო, რომ იცი მისი მტრობა.

\* \* \*

1454. მტერს თუ ზურგი უჩვენე, თავს ველარ დაიცავ.

\* \* \*

1455. მტერს მეტი ყურადღება სჭირდება, ვიდრე მოყვარეს.

\* \* \*

1456. მტერს მტრობა უნდა დაასწრო.

\* \* \*

1457. მტერსაც შენი საქმიანობა შეგძენს და მოკეთესაც.

\* \* \*

1458. მტერში ცუდს ვხედავთ, კარგი კი არ გვინდა დავინახოთ.

1459. მტრებშიც ვამჩნევთ კარგ თვისებებს, მაგრამ არ ვაღიარებთ.

\* \* \*

1460. მოძმის წყრომა გერჩიოს მტრის ღიმილს.

\* \* \*

1461. მტრის არად ჩაგდება ზოგჯერ შურისძიებაზე მეტია.

\* \* \*

1462. მტრის მაშინ უნდა გეშინოდეს, როცა მტრობას იმსახურებ.

\* \* \*

1463. მტრის მეგობრად ქცევა მეტია, ვიდრე განადგურება.

\* \* \*

1464. მტრის შეცდომას უნდობლობით უნდა შეხვდე, მოკეთისას კი – მიტევებით.

\* \* \*

1465. მტრის ჯარში გმირობა სამშობლოს ღალატია.

\* \* \*

1466. სასახელო სახელოვანი მტრის დამარცხება.

\* \* \*

1467. ჩასაფრებული მტრის აღმოჩენა უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოგერიება.

\* \* \*

1468. მტრისგან მტრობა მეტი სიკეთეა, ვიდრე მეგობრობა.

\* \* \*

1469. წამებით მიღებული მტკიცებულება საეჭვოა.

\* \* \*

1470. მტყუანს აღიარება უხდება.

\* \* \*

1471. მტყუანს და მართალს საქმე გამოაჩენს.

\* \* \*

1472. მუსიკა კანონზომიერებას დამორჩილებული ხმაურია.

\* \* \*

1473. მუსიკა მოსმენით ცოცხლობს.

1474. **მუსიკა** ღვთაებრივი ენაა, რომელიც ყველას ატკობს.  
\* \* \*
1475. როცა არ არის **მუსიკა** ყურები ისვენებენ, როცა არის – ჩვენ.  
\* \* \*
1476. **მყიდველ-გამყიდველი** უერთმანეთოდ არ არსებობს.  
\* \* \*
1477. ვისაც **მშვენიერება** იზიდავს, ბუნებით ფაქიზია.  
\* \* \*
1478. **მშვენიერება** აღამაზებს ადამიანის სულს.  
\* \* \*
1479. **მშვენიერება** ბუნებისგან ბოძებული იშვიათობაა.  
\* \* \*
1480. **მშვენიერება** თვითონ არ გამოგეცხადება, ის უნდა აღმოაჩინო.  
\* \* \*
1481. **მშვენიერებაა** ყველაფერი, რასაც სიკეთე მოაქვს.  
\* \* \*
1482. **მშვენიერებას** ბუნება იძლევა, ხელოვნური მშვენიერება კი მისი გამეორებაა.  
\* \* \*
1483. დამარცხებისას მიღებული **მშვიდობა**, სევდაა.  
\* \* \*
1484. **მშვიდობას** ერთეულები ვერ დაიცავენ, იგი ყველას ინტერესებშია და ყველამ უნდა დაიცვას.  
\* \* \*
1485. **მშობელი** შვილების მიმართ ხშირად მკაცრი და ყოველთვის სამართლიანი უნდა იყოს.  
\* \* \*
1486. ცუდი **მშობელი** შვილების მტერია.  
\* \* \*
1487. **მშობელმა** შვილი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოს.

1488. თუ შვილი მშობელს შეაგინებს, ის ამას იმსახურებს.

\* \* \*

1489. მშობელს უღირსი შვილიც უყვარს.

\* \* \*

1490. მშობლები ბევრს იკლებენ, როცა შვილებს არაფერს აკლებენ.

\* \* \*

1491. მშობლების ყველაზე დიდი დანატოვარი საკუთარი თავია.

\* \* \*

1492. მშობლებისთვის მიღებული ცხოვრების წესი გადამღებია შვილებისათვის.

\* \* \*

1493. მშობლებს კარგად აღზრდილი შვილები ბედნიერებას და სიცოცხლეს მატებენ.

\* \* \*

1494. მშობლებს მხოლოდ უზნეო შვილები ივიწყებენ და პატივს არ სცემენ.

\* \* \*

1495. რამდენადაც მშობლებს მართებთ შვილებზე ზრუნვა მათი ბავშვობისას, იმდენად შვილებს — მშობლებზე, მათი სიბერისას.

\* \* \*

1496. მშობლის იმედი შვილების გულში ჩანერგილი სიყვარულია.

\* \* \*

1497. მშობლის მაგივრობა შეიძლება, შეცვლა კი — შეუძლებელია.

\* \* \*

1498. მშობლის შიშმა კი არა, სიყვარულმა უნდა გაიძულოს, ანგარიში გაუწიო მის აზრს.

\* \* \*

1499. მშობლის წინაშე ყოველთვის პატარა ხარ.



1500. მშობლიური ამაგის დაფასება შეიღების უპირველესი მოვალეობაა.

\* \* \*

1501. მშობლიური მიწის სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ ყველა მასში დაკრძალვის სურვილით კვდება.

\* \* \*

1502. სანამ მწარე არსებობს, ტკბილს დაფასება არ მოაკლდება.

**მფერალი, მფვერვალი, მფვრთნელი,  
მფუნარება, მსვენელ-მთმსველი, მსატვარი,  
მფობნი, ნაბიჯი, ნადირი, ნაკალული, ნაკლი,  
ნაყოფი, ნაცნობობა, ნაძირალი, ნაწარმოები,  
ნაწილი, ნლობა, ნება, ნებივრობა, ნიჭი**

1503. ზოგი მწერალი გარდაცვლილიც ბეჭდავს წიგნებს, ზოგი ცოცხალიც ვერა.

\* \* \*

1504. კარგი მწერალი ყველა გულს მოუძებნის გასაღებს.

\* \* \*

1505. კარგი მწერალი ცხოვრების მასწავლებელია.

\* \* \*

1506. კარგი მწერალი უკეთ ხედავს ცხოვრებას და აცნობს თავის მკითხველს.

\* \* \*

1507. მწერალი თავის წიგნზე ჭკვიანი არ უნდა იყოს.

\* \* \*

1508. მწერალმა თავი უნდა დაამახსოვროს მკითხველს.

\* \* \*

1509. მწერალმა კი არ უნდა თქვას, უნდა დაწეროს.

\* \* \*

1510. მწერალს გადმოცემის უბაღლო ნიჭი სჭირდება, მკითხველს კი – აღქმისა.

1511. მწერლები აცოცხლებენ ისტორიულ პიროვნებებს და შთაგონების წყაროდ აქცევენ მათ ნამოქმედარს.

\* \* \*

1512. მწერლები უკვდავყოფენ თავიანთ ნააზრევს.

\* \* \*

1513. მწერლის ნაწარმოები მისი დახასიათებაა.

\* \* \*

1514. მწვერვალისაკენ მიმავალმა უნდა იცოდეს, რომ გზა უგზოობით შეიცვლება.

\* \* \*

1515. გაწვრთნილ-გაწაფული ყოველთვის აჯობებს გაუწვრთნელს.

\* \* \*

1516. დიდი მწუხარებისას ადამიანი მცირე ფიზიკურ ტკივილს სიამოვნებად მიიჩნევს.

\* \* \*

1517. სამწუხაროდ, დიდი ადამიანების შეფასება მათზე პატარა ადამიანებს უხდებათ და ამიტომაც ხშირად ცდებათ.

\* \* \*

1518. სამწუხაროდ, ხელოვანი მოკვდავია, საბედნიეროდ, ხელოვნებაა უკვდავი.

\* \* \*

1519. კარგი მხვენელ-მთესველი სახნისის პირზე იცნობა.

\* \* \*

1520. მსოფლიოს ბევრი დიდი ტალანტის მქონე მხატვარი ჰყოლია, მაგრამ ბუნებისთვის არავის გადაუჭარბებია.

\* \* \*

1521. მჯობნის მჯობნია ყველა.

\* \* \*

1522. ყველას მჯობნის მტერია ყველა.

\* \* \*

1523. მხოლოდ ერთხელ შეგიძლია გადადგა როგორც პირველი, ასევე უკანასკნელი ნაბიჯი.

1524. ყოველი **ნაბიჯი** წინას გაგრძელება და ყოველი მომდევნოს წინაა.

\* \* \*

1525. სოფელში თუ **ნადირი** გამოჩნდა, ყველას თავის ჭიშკართან ელანდება.

\* \* \*

1526. **ნაკადული** მდინარეს შეუძნეველად ზრდის.

\* \* \*

1527. სხვის **ნაკლზე** სიცილს, სჯობს საკუთარზე იტირო.

\* \* \*

1528. **ნაკლი** უფრო თვალშისაცემია, ვიდრე ღირსება.

\* \* \*

1529. ყველა **ნაკლი** ადვილი ასატანია, თუ იცი, რომ ამის შესახებ სხვებმა არ იციან.

\* \* \*

1530. ყველა **ნაკლი** ადვილი გამოსასწორებელია, თუკი აღიარებ.

\* \* \*

1531. ყოველ ნახატს თუ სურათს ერთი გამოუსწორებელი **ნაკლი** აქვს – იგი სინამდვილის ასლია მხოლოდ.

\* \* \*

1532. სხვათა **ნაკლოვანებების** ქექვით სახელს ვერ მოიხვეჭ.

\* \* \*

1533. „**ნაკლს** კი არ ვიშორებთ, ვმაღავთ” და გვგონია, ამას ვახერხებთ.

\* \* \*

1534. როცა დიდ ადამიანებში აღმოვაჩინთ **ნაკლს**, ადვილად ვამართლებთ საკუთარს.

\* \* \*

1535. ვისაც თავი **უნაკლოდ** მიაჩნია, ყველა ნაკლოვანი ჰგონია.

\* \* \*

1536. თუ დაიჯერებ, რომ **უნაკლო** ადამიანი არ არსებობს, მაშინ შენს ნაკლსაც ადვილად შეამჩნევ.

1537. თუ ფიქრობ, **უნაკლო** ხარ – ესეც დიდი ნაკლია.

\* \* \*

1538. თესლი პატარაა, მაგრამ **ნაყოფი** დიდი მოაქვს.

\* \* \*

1539. ჰავა თუ ხელს არ უწყობს, მცენარე **ნაყოფს** არ იძლევა.

\* \* \*

1540. ვისაც ჰგონია, რომ ბევრს და კარგად **იცნობს**, თავის თავს ცუდად იცნობს.

\* \* \*

1541. **ნადირალას** კი არ უნდა აპყვე, უნდა აიყოლიო.

\* \* \*

1542. დიდი მწერლის **ნაწარმოები** საკაცობრიო ანდერძია.

\* \* \*

1543. **ნაწარმოების** სიკარგეს ხალხში მისი პოპულარობა განსაზღვრავს.

\* \* \*

1544. ხელოვნების ბევრი **ნაწარმოების** არდავიწყების მიზეზი არა მისი მარადულობა, არამედ უკეთესის შეუქმნელობაა.

\* \* \*

1545. **ნახელავით** ავტორის ამოცნობა დიდ ხელოვანთა ხვედრია.

\* \* \*

1546. **ნღობა** გვაცნობს ადამიანს.

\* \* \*

1547. **ნღობა** უნდა მოიპოვო.

\* \* \*

1548. რაც მეტია დასაკარგი, მით ნაკლებია **ნღობა**.

\* \* \*

1549. თუ იმსახურებ **ნღობას**, ე. ი. ღირსეული ხარ.

\* \* \*

1550. **ნღობას** არ სჭირდება თამასუქი.

\* \* \*

1551. **ნღობის** დაკარგვა დიდი დანაკარგია.

1552. ყველაფრის **ნება** არავის აქვს.

\* \* \*

1553. ვისაც დილით ლოგინში **ნებივრობა** უყვარს, მას სანებივროდ არასოდეს ექნება საქმე.

\* \* \*

1554. ნარკომანსა და ალკოჰოლიკს **უნებისყოფობა** ლუპავს.

\* \* \*

1555. დიდი **ნიჭი** ასპარეზის გარეშე არარაობაა.

\* \* \*

1556. დიდი **ნიჭი** მოკლედ ამბობს სათქმელს.

\* \* \*

1557. მოუხმარებელი **ნიჭი** დამარხული განძია.

\* \* \*

1558. **ნიჭი** გაბელულების წყაროა.

\* \* \*

1559. **ნიჭი** კარგია, თუ გამოყენების შესაძლებლობაც ახლავს.

\* \* \*

1560. **ნიჭი** მაშინ ფასდება, როცა საქმედ გადაიქცევა.

\* \* \*

1561. **ნიჭი** მაშინ ჩანს, როცა ცოდნითაა გამდიდრებული.

\* \* \*

1562. **ნიჭი** შრომას აადვილებს და ნაყოფიერს ხდის.

\* \* \*

1563. **ნიჭი**, შრომით ფასობს.

\* \* \*

1564. სხვისი დიდი **ნიჭი**, მის გვერდით ყველას აღიზიანებს.

\* \* \*

1565. უწვრთნელი **ნიჭი** უნიჭობის ტოლფასია.

\* \* \*

1566. დიდი **ნიჭია**, ცხოვრებას ხელავდე ისეთს, როგორიც არის.

\* \* \*

1567. მიზნის მიღწევა უმოკლესი გზით – დიდი **ნიჭია**.

1568. ნიჭიერ მწერალს ბევრი ნიჭიერი მკითხველი ჰყავს.

\* \* \*

1569. ნიჭიერი ადამიანი თვითონ პოულობს საქმეს.

\* \* \*

1570. ნიჭიერი ადამიანი ცუდ საქმეშიც იჩენს ნიჭიერებას.

\* \* \*

1571. ნიჭიერი თუ ბრძენს მიბაძავს, შედეგი კარგი ექნება.

\* \* \*

1572. ნიჭიერია შევირდი, რომელიც ოსტატს გადააჭარბებს.

\* \* \*

1573. ვინც ნიჭს არ იყენებს, კლავს თავის შესაძლებლობებს.

\* \* \*

1574. ყოველ ადამიანში რაღაცის გამორჩეულ ნიჭს სძინავს. ვინც თავისი ნიჭის შესაფერ საქმეს მოჰკიდებს ხელს, წარმატებაც მას ხვდება.

**ოზოლი, ომი, ოპტიმიზტი, ორიგინალური,  
ოძრო, ოცნება, ოჯახი, კამპრობა, კასუსი,  
კატიმბა, კატივისცემა, კატრონი,  
კოვნა, კოლიტიკოსი**

1575. ობლის შემფარებელს ღმერთი აჯილდოებს.

\* \* \*

1576. “არსებობს სამართლიანი ომი”, მაგრამ არ არსებობს სამართლიანად ბრძოლა.

\* \* \*

1577. ომი ერთეულებს ადიდებს და მილიონებს შეიწირავს.

\* \* \*

1578. ომი, თუნდაც მშვიდობის სახელით, მხოლოდ ანადგურებს, მას სხვა ფუნქცია არ გააჩნია.

\* \* \*

1579. ომი საშინელებაა იმიტაც, რომ კეთილი ბუნების ადამიანსაც აიძულებს, მკვლელი გახდეს.

1580. ომის გამორიცხვა მეტი სიკეთეა, ვიდრე ომში გამარჯვება.

\* \* \*

1581. ომის დამწყები გაიძულებს იომო.

\* \* \*

1582. ისიც ხოცავს ადამიანებს, ვინც მხარს უჭერს ომს.

\* \* \*

1583. ომს უმეცრები იწყებენ და ჭკვიანები მონაწილეობენ.

\* \* \*

1584. ომს ყველა გამარჯვების იმედით იწყებს.

\* \* \*

1585. ომში დანაკლისი მამაცობითაც შეგიძლია შეავსო.

\* \* \*

1586. ოპტიმისტი ყოველთვის აჭარბებს, პესიმისტი კი – აკლებს.

\* \* \*

1587. ოპტიმისტი ყოველთვის იმედით ცოცხლობს, პესიმისტი კი – უიმედოდ.

\* \* \*

1588. ყველაფერი სხვაგვარი ორიგინალურია.

\* \* \*

1589. სხვის ეზოში ტყეძალიც ოქროებს ისხამს.

\* \* \*

1590. ზოგჯერ რკინასაც ოქროს ფასი აქვს.

\* \* \*

1591. მომავალზე იმდენი უნდა იოცნებო, რომ დღევანდელობა არარაობად არ მოგეჩვენოს.

\* \* \*

1592. მეოცნებე იმედით ცოცხლობს.

\* \* \*

1593. ფანტაზია მეოცნებეა.

\* \* \*

1594. ოცნება მიზნებთან ერთად ხეტილია.

1595. **ოცნება** რომელიც შეუსრულებადია გაცილებით უფრო ტკბილია.

\* \* \*

1596. **ოცნება** მომავალთან თამაშია.

\* \* \*

1597. მიზანი სანამ შესრულდებოდეს, **ოცნებაა**.

\* \* \*

1598. მსოფლიო ბატონობა განუხორციელებელი **ოცნებაა**.

\* \* \*

1599. **ოცნებას** ფრთები იმდენად უნდა შეაკვეცო, რომ სინამდვილედ იქცეს.

\* \* \*

1600. **ოცნების** თავი ხელში თუ არ გიჭირავს არ აგისრულდება.

\* \* \*

1601. **ოცნების** უარყოფითი ისაა, რომ ხშირად **ოცნებად** რჩება. სინამდვილის სიდიადე კი მის ნამდვილობაშია.

\* \* \*

1602. ხმამაღლა არავინ **ოცნებობს**.

\* \* \*

1603. **ოჯახი**, სადაც შვილები არ იზრდებიან, მომავლი არ აქვს.

\* \* \*

1604. ფეხზე ვერ დადგება ის **ოჯახი**, რომელშიც კაცი ქალის საქმითაა დაკავებული.

\* \* \*

1605. ყოველი აყვავებული **ოჯახი** ქვეყნისთვისაა კარგი, ხოლო ყოველი აყვავებული ქვეყანა – ქვეყნიერებისთვის.

\* \* \*

1606. **ოჯახის** უდიდესი მონაპოვარი მომავალი სიცოცხლეა.

\* \* \*

1607. **ოჯახის** სიყვარულმა ვერ უნდა სძლიოს სამშობლოს სიყვარულს.



1608. **ოჯახის** შექმნის საფუძველი მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს. უსიყვარულო ოჯახი მოვალეობის შესრულებაა მხოლოდ.

\* \* \*

1609. საკუთარ **ოჯახში** ყველა მამაკაცს თავი ჰერკულისი ჰგონია.

\* \* \*

1610. ყოველგვარი სიტყვიერი **პაექრობა** ერთმანეთს ასწავლის და არაფერს აკლებს.

\* \* \*

1611. ქართველ კაცს სისხლში აქვს მეტობით **უპასუხოს** სიკეთესაც და ბოროტებასაც.

\* \* \*

1612. რაც შენ **გაპატიეს** ახალგაზრდობაში, შენც უნდა აპატიო ახალგაზრდას.

\* \* \*

1613. მუდმივი **პატივისცემა** სჯობს იშვიათ თაყვანისცემას.

\* \* \*

1614. მეუღლისადმი **პატივისცემას** აძლიერებს ის, რომ იგი შენი შვილების მშობელია.

\* \* \*

1615. ხნიერი ადამიანი, პირველ რიგში, თავისი ხნოვანებით იმსახურებს **პატივისცემას**.

\* \* \*

1616. ცუდს არგამეორების იმედით **პატიობენ**.

\* \* \*

1617. ცუდი **პატრონის** ხელში, კარგსაც უჭირს შესაძლებლობების რეალიზაცია.

1618. შენი ცუდი ახლობელი შენია და შენ უნდა **უპატრონო**.

\* \* \*

1619. ცუდი ამბავი ქარივით მალა და ცხრა მთას იქითაც **გაპოვის**.

1620. საკუთარ თავში თუ არაფერს ეძებ, სხვებშიც ვერაფერს იპოვი.

\* \* \*

1621. შენი ნაკვალევით სხვას ვერ იპოვი.

\* \* \*

1622. როცა პოლიტიკოსი თამამად ლაპარაკობს, მას ძალა უმაგრებს ზურგს.

**პრობლემა, პროფესიონალი, პური,  
ჟამთაღმწერელი, შინი, ჟურნალისტი,  
რმალობა, რეზუმენი, რეკლამა, რეპორტი,  
რელიგია, რისხვა, რჩევა, რწმენა**

1623. არ არსებობს მარტივი პრობლემა. თუ მარტივია, ის არაა პრობლემა.

\* \* \*

1624. კის და არას შორის უამრავი პრობლემაა.

\* \* \*

1625. მარტივის გამარტივება ურთულესი პრობლემაა, რთულის გართულება კი – სრულიად ადვილი.

\* \* \*

1626. წარმოუდგენელია, არსებობდეს კარგი პროფესიონალი მაღალი ანაზღაურების გარეშე.

\* \* \*

1627. მიგდებულ პურს თავმოყვარე ძალღიჯ არ შეჭამს.

\* \* \*

1628. ჟამთაღმწერელთა შრომის საფუძველზე იწერება ისტორია.

\* \* \*

1629. ჟამთაღმწერლის კრიტიკა მხოლოდ მეორე ჟამთაღმწერლის ნაწერით შეიძლება.

\* \* \*

1630. ჟამიანობის ყველას ეშინია, თუმცა ყველას არ ეშუქრება.

1631. მებრძოლთა ბრძოლის **ჟინი** სარდლის ავტორიტეტზეა დამოკიდებული.

\* \* \*

1632. **ჟურნალისტი** სტატია ქალაქზე გადატანილი მისი სინდისია.

\* \* \*

1633. **ჟურნალისტობა** ძნელი პროფესიაა, რადგან სიმართლისთვის თავგანწირვას მოითხოვს.

\* \* \*

1634. **რეალობა** არის ფაქტი.

\* \* \*

1635. **რეალობას** ზურგი არასოდეს უნდა შეაქციო.

\* \* \*

1636. **რეალობას** მხოლოდ ის შემოქმედი ასახავს, რომელიც საკუთარ აზროვნებას თვითონ აკონტროლებს.

\* \* \*

1637. **რეალური** იმედი შესრულებამდეც სიამოვნებას გვანიჭებს.

\* \* \*

1638. **რეალური** სურვილი საქმის დაწყების საფუძველია.

\* \* \*

1639. **რეგენის** სილამაზის მიზიდულობა ნულის ტოლია.

\* \* \*

1640. **რეკლამა** გვიბიძგებს ვიყიდოთ ის, რაც არ გვჭირდება.

\* \* \*

1641. მილიონები ცდილობენ, **რეკორდს** ერთეულები ამყარებენ.

\* \* \*

1642. **რელიგია** წმენდს ადამიანის სულს.

\* \* \*

1643. არასწორად **შერისხულთ** ჭეშმარიტება აღადგენს.

\* \* \*

1644. ვინც ბევრ **რჩევებს** იძლევა, თვითონ ერთსაც არ იღებს.

\* \* \*

1645. **რჩევა** გრძნობის შეულახავად უნდა მისცე ადამიანს.

1646. სჯობს ადამიანს სილა გააწნა, ვიდრე უგუნური რჩევა მისცე.

\* \* \*

1647. სჯობს ადამიანს ურჩიო, უკეთესი გახდეს, ვიდრე შეაქო ისეთი, როგორიც არის.

\* \* \*

1648. საკუთარი ძალის რწმენას შეუძლია გამარჯვებისთვის საჭირო ძალა შეგმატოს.

\* \* \*

1649. თითოეული მებრძოლი მტერს საკუთარი ღირსების შესაფერი გამარჯვების რწმენით უნდა ებრძოდეს.

\* \* \*

1650. ვისაც სწამს, რომ შეძლებს, ის ადვილად შეძლებს.

**საათი, საბანი, საზოგადოება, საზრდო,  
სათნოება, საიდუმლო, საინტერესო, საკვამი,  
საკმარისი, სალოცავი, სამალავი, სამარე,  
სამართალი, სამკალი, სამოთხე**

1651. საათის ისრის მოძრაობა შეუმჩნეველია, საქმე კი შესამჩნევი.

\* \* \*

1652. მოზარდი საგანს ძნელად იგებს და ადვილად ითვისებს ხანშიშესული კი ადვილად იგებს და ძნელად იმანსოვრებს.

\* \* \*

1653. საგანს რომ ხელავ კარგია, მთავარია, რას ხელავ მასში.

\* \* \*

1654. საგნები დიდხანს ინახავენ წარსულს.

\* \* \*

1655. საზოგადოება გვეკარნახობს საქციელს.

\* \* \*

1656. საზოგადოება ჯანსაღი ვერ იქნება მანამ, სანამ მისი წევრები უშრომელად ცხოვრებას ახერხებენ.

1657. საზოგადოებას ერთეულები აძლევენ გონებრივ საზრდოს და მილიონები იმკიან.

\* \* \*

1658. საზოგადოებას მისი წევრების სიმრავლე და ძლიერება აძლიერებს.

\* \* \*

1659. საზოგადოებაში ზედმეტი ყურადღებით არავინ უნდა გამოარჩიო.

\* \* \*

1660. საზოგადოებაში მაღალი ადგილის დაკავება, არ უნდა შეიფერო.

\* \* \*

1661. საზოგადოებაში ქალის ჭეშმარიტი ღირსება თვით უღირს მამაკაცსაც ღირსებისაკენ უბიძგებს.

\* \* \*

1662. საზოგადოებაში ჩურჩულით ლაპარაკი უზრდელობაა, მაგრამ თუ ვინმე ასე მოიქცევა, შენზე არ უნდა მიიღო.

\* \* \*

1663. საზოგადოების მიზანი მის წევრებს აერთიანებს.

\* \* \*

1664. საზოგადოების წარმატებების გზა მის განათლებაზე გადის.

\* \* \*

1665. საზოგადოებისათვის ბედნიერებაა, თუ მოღალატის გვერდით, მისი განმკითხველიც აღმოაჩნდება.

\* \* \*

1666. ხორციელი საზრდო არსებობას გვაძლევს, ხოლო სულიერი – არსებობის სიღიადეს.

\* \* \*

1667. სათნო გულს სიძულვილისათვის არ რჩება ადგილი.

\* \* \*

1668. ბევრის მქონესაგან ცოტას დათმობა არაფერია; ნამდვილი სათნოება გაჭირვებულისთვის უკანასკნელის დათმობაა.

1669. ზოგჯერ **სათნობა** და სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე უხეში ძალა.

\* \* \*

1670. **სათნობა** გვიბიძგებს, ვიტვირთოთ სხვისი საწუხარი.

\* \* \*

1671. შეიძინე **სათნობა** და მოიპოვებ სიყვარულს.

\* \* \*

1672. დიდი **სათნობაა**, საკუთარი ბედნიერება შესწირო სხვას.

\* \* \*

1673. ბოროტებით **სათნობას** ვერ იპოვი.

\* \* \*

1674. ადამიანი **სათნობის** გარეშე — პირუტყვია.

\* \* \*

1675. **საიდუმლო** გვიცავს ჩვენ, სანამ ჩვენ ვიცავთ მას.

\* \* \*

1676. სრულ **საიდუმლოდ** ვერ ჩაითვლება ის, რაც ორმა იცის.

\* \* \*

1677. გარანტია **საიდუმლოს** არგაცემისა — მისი მფლობელის სინდისი ან სიკვდილია.

\* \* \*

1678. ხშირად დიდ **საიდუმლოს** მცირე დაუდევრობა გასცემს.

\* \* \*

1679. თუ ყველაფერი **საინტერესოა**, საინტერესო არაფერია.

\* \* \*

1680. ფიზიკური **საკვების** სურვილი თვითონ მოგეძალება, სულიერი საკვებისათვის კი შენ უნდა იზრუნო.

\* \* \*

1681. მშვიერი **საკვებს** ნატრობს, მაძლარი დიეტას.

\* \* \*

1682. ვინც თავის **სალოცავში** ჭეშმარიტად ლოცულობს, ის სხვის სალოცავს არასოდეს შეურაცხჰყოფს.

\* \* \*

1683. არაფერი გეყოფა, თუ არ იცი, რამდენია **საკმარისი**.

1684. არ არსებობს **სამალავი**, სადაც სიკვდილს შეიძლება დაემალო.

\* \* \*

1685. **სამარეს** ცუდად ნუ ახსენებ, ჩვენ მივისწრაფვით მისკენ და არა ის ჩვენსკენ.

\* \* \*

1686. **სამართალი** გონებით უნდა მოიპოვო, ჩხუბით მოპოვებული სამართალი კიდევ მეტ საჩხუბარს მოიტანს.

\* \* \*

1687. **სამართლიან** სასჯელს უდრტვინველად უნდა შეხვდე.

\* \* \*

1688. **სამართლიანი** შენიშვნა მტრისგანაც უნდა მიიღო.

\* \* \*

1689. **სამართლიანობა** ამცირებს დანაშაულს.

\* \* \*

1690. რამდენადაც უახლოვდები უსამართლობას, იმდენად შორდები **სამართლიანობას**.

\* \* \*

1691. **სამართლიანობას** ვემორჩილებით, ძალა კი გვიმორჩილებს.

\* \* \*

1692. რაოდენ **უსამართლოც** უნდა იყოს ძალადობა, მაინც სამართლიანობის სახელით მოქმედებს.

\* \* \*

1693. მუქთამჭამელი იმას **იმკის**, რაც არ დაუთესია.

\* \* \*

1694. კეთილად ნათესი კეთილად **მოიმკება**.

\* \* \*

1695. კარგის მგმობი ცუდს **მოიმკის**, ცუდისა კი — კარგს.

\* \* \*

1696. სადაც დათესავ, მოსავალიც იქ უნდა **მოიმკო**.

\* \* \*

1697. დაუთესავად **სამკალი** არავის გაუჩნნია.

1698. მკაში ნაკლებად დაიღლები, ვიდრე ხვნა-თესვაში.

\* \* \*

1699. ვინც მეტს დათესავს, **სამკალიც** მეტი ექნება.

\* \* \*

1700. მომკელს თუ მთესველი არ შეცვლის, **სამკალი** გაქრება.

\* \* \*

1701. **სამოთხე** აქ უნდა ირწმუნო, რომ იქ ისარგებლო.

\* \* \*

1702. ისე იცხოვრე, რომ **სამოთხე** დაიმსახურო.

\* \* \*

1703. **სამოთხიდან** არავინ გაიქცევა, ჯოჯოხეთში არავინ შევა.

\* \* \*

1704. **სამოთხიდან** და **ჯოჯოხეთიდან** ამბის მომტანს დასაბამიდან ელოდებიან.

**სამყარო, სამშობლო, საოცრება, სარგებლობა,  
სარდალი, სარკე, სასაცილო, სასახელი,  
სასიამოვნო, სასმისი, სასტიკი, სასჯელი,  
საუბარი, საუკეთესო, საფუძველი**

1705. ყველაფერი, რაც ხდება **სამყაროში** გავლენას ახდენს ადამიანზე.

\* \* \*

1706. **სამშობლო**, მისთვის თავდადებულთა სისხლის გარეშე, არავის ჰქონია და არც ექნება.

\* \* \*

1707. **სამშობლო** ყოველთვის მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

\* \* \*

1708. ის, რაც ყველასია – უპატრონოა, გამონაკლისი **სამშობლოა**.

\* \* \*

1709. საერთო საკუთრებიდან, რაც ყველას უყვარს – ეს **სამშობლოა**.



1710. **სამშობლოზე** ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობით დაგიბრუნდება.

\* \* \*

1711. ადმიანი, თუ **სამშობლოს** სიყვარულს დაკარგავს, სამშობლოსაც დაკარგავს.

\* \* \*

1712. **სამშობლოს** თავისუფლება ყველა მოქალაქემ უნდა დაიცვას.

\* \* \*

1713. **სამშობლოს** მიწა ყველაზე მეტად სიკვდილის წინ ტკება.

\* \* \*

1714. **სამშობლოს** მოწყვეტილი გენოსიც ვერ შეძლებს თავისი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას.

\* \* \*

1715. **სამშობლოს** სიყვარული უთვისტომოსაც კი ძნელად გააძლებინებს უცხო ქვეყანაში.

\* \* \*

1716. **სამშობლოს** სიყვარული ღვთისგან მომდინარე ღირსებაა.

\* \* \*

1717. **სამშობლოს** ღალატს ვერაფრით გაამართლებ.

\* \* \*

1718. **სამშობლოს** ყველამ თუ არ მოუარა, ხიბლი დაეკარგება.

\* \* \*

1719. **სამშობლოს** ცოტაც რომ დაატყო, ბევრი უნდა გააკეთო.

\* \* \*

1720. ჩვეულებრივი ადამიანის გონება **სამშობლოს** სწვდება, ხოლო გენოსის – ქვეყნიერებას.

\* \* \*

1721. **სამშობლოსათვის** გაღებული სიცოცხლე უკვდავებაა.

\* \* \*

1722. **სამშობლოსათვის** თავდადება რომ შეძლო, შესაბამისად უნდა იყო აღზრდილი.

1723. **სამშობლოსათვის** მებრძოლი იმსახურებს, რომ უფალმა უბოდოს ისრების კონის გადატეხის ძალა.

\* \* \*

1724. სადაც წახვალ, **სამშობლოც** განუყრელად გულით უნდა ატარო.

\* \* \*

1725. **სამშობლოც** ყველას სხვადასხვანაირად უყვარს.

\* \* \*

1726. დელამიწაზე ყველაზე დიდი **საოცრება** ადამიანია.

\* \* \*

1727. **საოცრება** იშვიათია, რადგან თანამედროვეობამ ბევრი უკვე რეალობად აქცია.

\* \* \*

1728. მსოფლიოს შვიდი **საოცრებიდან**, თუნდაც ექვსი, რომელიც აღარ არსებობს, დავიწყებას არასდროს მიეცემა.

\* \* \*

1729. თუ შენი ნაშრომით არავის **ასარგებლებ**, არც სხვისით უნდა ისარგებლო.

\* \* \*

1730. სხვისი მიამიტობით არასოდეს არ უნდა **ისარგებლო**.

\* \* \*

1731. სადაც დიდი **სარგებელია**, იქ დიდი საშიშროებაცაა.

\* \* \*

1732. სხვისი ნაკლით თუ **სარგებლობ**, ღირსებას დაკარგავ.

\* \* \*

1733. ისტორიიდან შეცდომის გაგება უფრო **სასარგებლოა**, ვიდრე საგმირო საქმეების.

\* \* \*

1734. თუ **სასარგებლოს** გირჩენია სასიამოვნო, ცხოვრება უსიამოვნო გაქნება.

\* \* \*

1735. კარგი **სარდალი** სხვების სიკვდილით პოულობს უკვდავებას.

1736. **სარკე** ლამაზს ახარებს და ულამაზოს ჭმუნვას ჰკვირის.  
\* \* \*
1737. სერიოზული არასდროსაა **სასაცილო**.  
\* \* \*
1738. **სასაცილოა**, როცა თანამედროვეებს უკვდავებად მიიჩნევენ. ეს მომავლის გადასაწყვეტია.  
\* \* \*
1739. **სასახელოა** სახელოვანი მტრის დამარცხება.  
\* \* \*
1740. ყველაფერი **არასასიამოვნო** მოულოდნელად გვატყდება თავს.  
\* \* \*
1741. **სასიამოვნო** კარგია, თუ ის სასარგებლოცაა.  
\* \* \*
1742. რამდენადაც **სასიამოვნოა** წარმატების კიბეზე მალლა სვლა, იმდენად უსიამოვნოა დაშვება.  
\* \* \*
1743. **სასიამოვნოსათვის** უნდა იზრუნო, არასასიამოვნო — უზრუნველად გეწვევა.  
\* \* \*
1744. ცუდი **სასმისით** დალეულს შარბათსაც არა აქვს გემო.  
\* \* \*
1745. ვინც ცხოველებს **სასტიკად** ექცევა, ადამიანებსაც ისე მოექცევა.  
\* \* \*
1746. **სასტიკს** ხშირად ატყუებენ, გულთბილს — არასოდეს.  
\* \* \*
1747. **დაუსჯელი** ბოროტება მზარდია.  
\* \* \*
1748. არ არსებობს ბუნების **სასჯელზე** აღმატებული **სასჯელი**.  
\* \* \*
1749. თუ **სასჯელი** ზუსტად არ შეესაბამება დანაშაულს, ასეთი სამართალი თვითონაა დანაშაული.

1750. **სასჯელი** დანაშაულის წამალია.  
\* \* \*
1751. არ ენდობი, თუ არ გენდობიან, შენთვის ორივე **სასჯელია**.  
\* \* \*
1752. ზოგს იმქვეყნიური **სასჯელის** ეშინია, ზოგზე კი ამქვეყნიურიც არ მოქმედებს.  
\* \* \*
1753. **სასჯელის** მოხდა არ ნიშნავს, დაივიწყო დანაშაული.  
\* \* \*
1754. თვითგანკითხვას მეტი ძალა აქვს, ვიდრე **სასჯელს**.  
\* \* \*
1755. **სასჯელსაც** და ჯილდოსაც – დროულს აქვს ფასი.  
\* \* \*
1756. ჩქარა **მოლაპარაკეს** მალე ელევა სიბრძნე.  
\* \* \*
1757. საკუთარ თავზე **ნაუბარს**, სხვისი ერთი სიტყვა სჯობს.  
\* \* \*
1758. როცა ვინმე **გესაუბრებათ**, საკუთარი აზროვნების უნარს და ცოდნის დონესაც გამცნობთ.  
\* \* \*
1759. რომ მიხვდე რაზე **ილაპარაკო**, ჯერ თანამოსაუბრეებს უნდა მოუსმინო.  
\* \* \*
1760. თუ **ლაპარაკობ** და სხვის სათქმელს ამბობ, შენ კი არა, სხვა ლაპარაკობს.  
\* \* \*
1761. გუთნის მიერ ამოგდებულ ქვასაც შეუძლია **საუბარი** თუ ის ძველი ცივილიზაციის ნაშთია.  
\* \* \*
1762. კარგი **საუბარი** კარგი აზროვნების შედეგია.  
\* \* \*
1763. სასიამოვნო **საუბარი** ახალისებს ადამიანს.

1764. საუბარი კვალს უნდა ტოვებდეს მსმენელის გონებაში.

\* \* \*

1765. ძალღს რომ ჩვენი საუბარი ესმოდეს დავკარგავდით მეგობარს.

\* \* \*

1766. ბევრ საუბარს ენას აბრალევენ, არადა გონების ბრალია.

\* \* \*

1767. საუბარს ყველაზე მეტად გონებამახვილი იუმორი ახალისებს.

\* \* \*

1768. როცა სხვებზე საუბრობ, საუბრობ საკუთარ თავზეც.

\* \* \*

1769. ვინც კარგად საუბრობს, ის ცოტას საუბრობს.

\* \* \*

1770. ვინც საუბრობს, არაფერს კარგავს, ხოლო ვინც ისმენს – ის პოულობს.

\* \* \*

1771. კაცი, რომელიც ნაკლებად ურთიერთობს ქალებთან, მეტს საუბრობს მათზე.

\* \* \*

1772. ყველაფერი საუკეთესო დროის მხოლოდ ამ ეტაპზეა საუკეთესო.

\* \* \*

1773. მილიონის საფუძველც ერთია.

**საქმე, საქციელი, საზინველება, საზუალო,  
სამაგვლი, საზმისი, საჭიროება, საჭურისი,  
სახე, სახელი, სახელმწიფო, სახლი,  
სახრჩობელა, სახურავი**

1774. ადამიანის დაუსაქმებლობა სიღარიბისკენ მიმავალი გზაა.

\* \* \*

1775. გასაკეთებელი საქმე თუ არ გაწუხებს, ვერც გააკეთებ.

1776. დიდი **საქმე** დიდ მსხვერპლს ამართლებს.

\* \* \*

1777. დიდი **საქმე** განადიდებს კაცს და არა დიდი კაცი – საქმეს.

\* \* \*

1778. ერთი და იგივე **საქმე** ჩინიანისა მეტად ფასობს, ვიდრე უჩინოსი.

\* \* \*

1779. თუ აზრი გაუგებარია, **საქმე** შეუძლებელია.

\* \* \*

1780. თუ ცდილობ, შენი პატარა **საქმე** დიდად წარმოაჩინო – თვითონ წარმოჩნდება პატარად.

\* \* \*

1781. კეთილი **საქმე** კეთილი აზრის ნაყოფია.

\* \* \*

1782. კეთილი **საქმე** მძიმე ტვირთია და იმდენი უნდა მოიკიდო, რომ ბოლომდე მიიტანო.

\* \* \*

1783. საგმირო **საქმე** რომ არ დაიკარგოს, ისტორიის კუთვნილება უნდა გახდეს.

\* \* \*

1784. სასოწარკვეთილ ადამიანს **საქმე** არ მოეთხოვება.

\* \* \*

1785. საუბარს **საქმე** უნდა ელოს საფუძვლად.

\* \* \*

1786. **საქმე** აზრით იბადება და საქმესაც მოსდევს აზრი.

\* \* \*

1787. **საქმე** აზრის შემოწმებაა.

\* \* \*

1788. **საქმე** თუ სურვილით იწყება, სასურველად დამთავრდება.

\* \* \*

1789. **საქმე** მაშინაა კარგი, როცა შემსრულებელიც ასეთი ჰყავს.

1790. საქმე, რომლითაც იამაყებდი, სხვას არასდროს დაუწუნო.

\* \* \*

1791. საქმე რომ სიამოვნებით აკეთო, სასიამოვნო უნდა იყოს.

\* \* \*

1792. საქმე სანაქებო მაშინ გამოდის, როცა აზრი და მკლავი შეთანხმებულად მოქმედებენ.

\* \* \*

1793. საქმე უკვდავებას მაშინ მოგიტანს, როცა მსოფლიოს ქებით მოივლის.

\* \* \*

1794. საქმე შენი შესაძლებლობის მიხედვით უნდა შეირჩიო.

\* \* \*

1795. საქმე შობს ახალ საქმეს.

\* \* \*

1796. სჯობს ბევრი საქმე გაწვალებდეს, ვიდრე უქმად ნებივრობდე.

\* \* \*

1797. უცნობი საქმე მეტ გამჭრიახობას მოითხოვს.

\* \* \*

1798. ყველა საქმე კარგია, თუ მისი შედეგი სასარგებლოა.

\* \* \*

1799. დიდი საქმეები დიდი მიზნების შედეგია.

\* \* \*

1800. გრდემლიც პასიურია, მაგრამ ნახევარ საქმეს აკეთებს.

\* \* \*

1801. ერთიანობის მოშლა ძალას აცლის საერთო საქმეს.

\* \* \*

1802. ვინც იმ საქმეს აკეთებს, რაც არ შეუძლია, ის მხოლოდ აფუჭებს.

\* \* \*

1803. ვინც საქმეს უცოდინარობით აფუჭებს, თვითონ ვერასდროს გამოასწორებს.

1804. ვინც **საქმეს** უხალისოდ აკეთებს, უსაქმურის ხვედრს გაიზიარებს.

\* \* \*

1805. ვინც ფრთხილობს და **საქმეს** აკვირდება, სწორ გზას არ ასცდება.

\* \* \*

1806. თუ ცოტას და უპერსპექტივოს დროულად არ შეეღიე და ახალ **საქმეს** არ მოჰკიდე ხელი, სულ ცოტას პატრონი იქნები.

\* \* \*

1807. კარგ **საქმეს** რომ არ აკეთებ, ეს უკვე ცუდის კეთებაა.

\* \* \*

1808. როცა **საქმეს** აკეთებ, საქმის სარგებელზე იფიქრე და არა პირადზე.

\* \* \*

1809. როცა ცუდ ხასიათზე ხარ, საყვარელ **საქმეს** უნდა მოჰკიდო ხელი.

\* \* \*

1810. სასიკეთო **საქმეს**, რომელსაც შენ ვერ აკეთებ, აუცილებლად გააკეთებენ სხვები.

\* \* \*

1811. სასიკეთო **საქმეს**, სულ ცოტა, მაღლობით მაინც უნდა უპასუხო.

\* \* \*

1812. **საქმეს** თუ გულით მოეკიდები, ნახელავიც შესაბამისი გამოვა.

\* \* \*

1813. **საქმეს** ისე უნდა მიუღვე, რომ ჯანმრთელობა არ წაგართვას.

\* \* \*

1814. **საქმეს** კარგად აკეთებს, ვინც წინასწარ ჭვრეტს შედეგს.

\* \* \*

1815. **საქმეს** მუყაითი ადამიანი უყვარს.



1816. საქმეს ჯერ თავი აკეთებს და მერე ხელი.

\* \* \*

1817. ქვეყნის საქმეს ყველა აკეთებს, მაგრამ ერთი — ხელმძღვანელი აკეთებინებს. თუ ხელმძღვანელი უსაქმოდაა, მაშინ ქვეყანაც არაფერს აკეთებს.

\* \* \*

1818. ძნელ საქმეს ადვილად აკრიტიკებენ.

\* \* \*

1819. ღუმთავრებელს დიდებულ საქმესაც არ მოაქვს დიდება.

\* \* \*

1820. პატარა საქმეში ჩანს რა იქნები დიდ საქმეში.

\* \* \*

1821. საქმეში ხალისია, უსაქმურობაში კი — მოწყენილობა.

1822. საქმიანი ადამიანი კეთილშობილია, ვიდრე უსაქმური.

\* \* \*

1823. საქმიანი ეძებს საქმეს, უსაქმური კი თავიდან იშორებს.

\* \* \*

1824. საქმიანი კაცისათვის უსაქმურობა სასჯელია.

\* \* \*

1825. საქმიანი კაცის ნუგეში მისი საქმიანობაა.

\* \* \*

1826. გამოცდილებას საქმიანობა იძლევა და არა წიგნი.

\* \* \*

1827. შენი საქმიანობა ამტკიცებს, თავის მტერი ხარ თუ მოკეთე

\* \* \*

1828. ძნელია მოწმეთა თანდასწრებით საქმიანობა.

\* \* \*

1829. დარდის წამალი საქმიანობაა.

\* \* \*

1830. არ არის მნიშვნელოვანი, სხვები რას ამბობენ ჩვენს საქმიანობაზე, მთავარია, როგორია ჩვენი საქმიანობა.

1831. საქმიანობაში ღრო მალე გადის და სარგებლობაც მოაქვს.

\* \* \*

1832. როცა ძალღი და კატა თამაშობს, თავგები საქმიანობენ.

\* \* \*

1833. როცა ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს, მაშინ ქვემდგომებიც საქმიანობენ.

\* \* \*

1834. ბედი თუ შემოგწყრა, საქმით უნდა დაიბრუნო.

\* \* \*

1835. საქმით იმდენ მტერს ვერ გაიჩენ, რამდენსაც სიტყვით მოახერხებ.

1836. გახსოვდეს! ყოველი საქმის საძირკველი შენ წინ მავალთა მიერ არის ჩაყრილი.

\* \* \*

1837. თუ იმ საქმის გაკეთების სურვილს დაიოკებ, რომელიც შენს ძალებს აღემატება, ესეც გამარჯვებაა.

\* \* \*

1838. კარგი ხელმძღვანელი საქმის შესრულების გარანტიაა.

\* \* \*

1839. საქმის ადგილიდან დაძვრას თუ მოახერხებ, მის ბოლომდე მიყვანასაც შეძლებ.

1840. საქმის გამკეთებლისთვის პირველი ჯილდო ის სიამოვნებაა, რასაც საქმის გაკეთება ანიჭებს.

\* \* \*

1841. საქმის დასაწყებად გულიც გვერჩის და ძალაც, დასამთავრებლად კი, ხშირად არც ერთი გვეყოფნის და არც მეორე.

\* \* \*

1842. საქმის დაწყებაზე შენ უნდა იფიქრო, დამთავრებაზე კი თვითონ საქმე გაფიქრებინებს.

1843. საქმის ზარალის ხარჯზე მიღებული სიამოვნება თავის მოტყუებაა.

\* \* \*

1844. საქმის სიკეთე მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა დამთავრდება.

\* \* \*

1845. საქმის სიკეთე მის ბოლოშია.

\* \* \*

1846. საქმის სიძნელენი დამთავრების სიამოვნებაში იყრის თავს.

\* \* \*

1847. საქმის წარმატება გარანტირებულია, თუ ყველა მასში მონაწილე სარგებელს ხედავს.

\* \* \*

1848. საქმის წარმატება მის დროულობაშია.

\* \* \*

1849. ყოველი რთული საქმის საძირკველში უამრავი მარტივი საქმეა ჩამარხული.

\* \* \*

1850. ყოველი საქმის პირველი შემფასებელი გამკეთებელია.

\* \* \*

1851. ცუდი საქმის კეთება გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე — კარგის.

\* \* \*

1852. დიდი საქმისაკენ მიმავალ ნაბიჯებს არ ითვლიან.

\* \* \*

1853. საქმისთვის პირველი და უკანასკნელი ნაბიჯიც ერთნაირად მნიშვნელოვანია.

\* \* \*

1854. ცუდი საქმისთვის გასროლილ თოფს დიდი ხმა აქვს.

\* \* \*

1855. დაწყება საქმისთვისაა მთავარი, დამთავრება კი — ჩვენთვის.

1856. **უსაქმო** ადამიანი ცხოვრებისაგან გარიყულია.

\* \* \*

1857. გაუნათლებელი **უსაქმური** საცოდავია, განათლებული კი – დამნაშავე.

\* \* \*

1858. თუ **უსაქმური** რამით სარგებლობს, საქმიანისაგან სარგებლობს.

\* \* \*

1859. **უსაქმურობა** ერთნაირად ვნებს ადამიანის სულსაც და ხორცსაც.

\* \* \*

1860. **უსაქმურობა** მიმზიდველიცაა და დამღუპველიც.

\* \* \*

1861. **უსაქმურს** საქმის მოძებნაც საქმედ მიაჩნია და ამიტომ არ ეძებს.

\* \* \*

1862. კარგს ისე უნდა **მოექცე**, რომ დროზე ადრე არ მიგატოვოს.

\* \* \*

1863. ყველას ისე უნდა **მოექცე**, მოულოდნელად ვინმე რომ ხელიდან გამოგეცალოს, სანანებელი არაფერი დაგრჩეს.

\* \* \*

1864. ყველას ისე უნდა **მოექცე**, როგორც შენ ხარ ვალდებული და არა მათი მოქმედების ადეკვატურად.

\* \* \*

1865. რაც უფრო კარგად **მოექცევი** სიცოცხლეს, მით უფრო გვიან გაგეყრება.

\* \* \*

1866. ათასი კარგი **საქციელი** არ მოგცემს იმას, რასაც ერთი ცუდი წაგართმევს.

\* \* \*

1867. გადამთვრალს სახე ადამიანის აქვს, **საქციელი** კი – პირუტყვის.

1868. განრისხებულის **საქციელი** არასდროსაა მოზომილი და მოსაწონი.

\* \* \*

1869. შენი **საქციელი** გიკარნახებს, შენს გვერდით მყოფნი რას ფიქრობენ შენზე.

\* \* \*

1870. **საშინელებაა** დაუმთავრებელი ბავშვობა.

\* \* \*

1871. **საშინელებაა** დიდი უთანხმოება პატარა წვრილმანზე.

\* \* \*

1872. **საშინელებაა** თუ ვინმეს გვერდით თავს მარტოდ გრძნობ.

\* \* \*

1873. **საშინელებაა** საკუთარი უძლურების გრძნობა.

\* \* \*

1874. **საშუალო** ორივე მხრიდან თანაბარია.

\* \* \*

1875. **საძაგელია**, ვინც ფიქრობს ჩაიდინოს მისთვის სასარგებლო სისაძაგლე

\* \* \*

1876. იმ ცხვრის ტყავში ყველა გაეხვევა, რომელიც ოქროს **საწმისს** ატარებდა.

\* \* \*

1877. ვინც ცოცხალთათვის **საჭირო** რამ დატოვა ამქვეყნად, სიცოცხლე შეინარჩუნა.

\* \* \*

1878. **საჭირო** ძნელი დასაცავია.

\* \* \*

1879. **საჭიროა** და აუცილებელიც მტერს უკეთესად იცნობდე, ვიდრე მოკეთეს.

\* \* \*

1880. **საჭიროება** ბევრ რამეს მიგახვედრებს.

\* \* \*

1881. **საჭიროება** გამოგონების დედაა.

1882. **საჭიროება** გვეკარნახობს გამოგონებებს.  
\* \* \*
1883. **საჭიროება** გვემატებს მოპოვების უნარს.  
\* \* \*
1884. **საჭიროება** ზოგს შრომისკენ უბიძგებს, ზოგს ბოროტებისკენ.  
\* \* \*
1885. ყველა **საჭიროს** ეძებს.  
\* \* \*
1886. არასოდეს იყო ისეთი, როგორიც სხვას **სჭირდება**. იყავი ისეთი, როგორიც უნდა იყო.  
\* \* \*
1887. თუ ვინმეს **სჭირდება**, ეს შენს არსებობას ამართლებს.  
\* \* \*
1888. კაცი უნდა **სჭირდებოდეს** ქვეყანას.  
\* \* \*
1889. **საჭურისი** ჰარამხანის გარეთ „მამაკაცად“ წარმოჩინდება.  
\* \* \*
1890. **სახე** ადამიანის შინაგანი მდგომარეობის სარკეა.  
\* \* \*
1891. სევდიანი **სახე** გაცილებით გულში ჩამწვდომია, ვიდრე მხიარული.  
\* \* \*
1892. თუ ყველა **სახელგანთქმულია**, მაშინ სახელგანთქმული არავინაა.  
\* \* \*
1893. კაცის **სახელი** მის საქმესა და სინდის-ნამუსშია.  
\* \* \*
1894. რომ გქონდეს კარგი **სახელი**, საკმარისია ცუდი არაფერი გააკეთო.  
\* \* \*
1895. ხრიკებით მოპოვებული არც **სახელი** ვარგა და არც მისი მომპოვებელი.

1896. **სახელის** დაკარგვა ადვილია, დაბრუნებას კი დიდი შრომა სჭირდება.

\* \* \*

1897. **სახელოვნება** სიცოცხლეზე მეტია.

\* \* \*

1898. თუ **სახელს** გაითქვამ, მას აღარ უნდა დაემალო.

\* \* \*

1899. ის ნაშრომი იძლევა **სახელს**, რომელიც სახელისთვის არ იქმნება.

\* \* \*

1900. **სახელს** არ მოაქვს ნაშრომი, ნაშრომს კი მოაქვს სახელი.

\* \* \*

1901. **სახელსა** და დიდებასთან მისვლა არასოდეს შეეცადო, თუ იმსახურებ, ის თვითონ მოვა შენთან.

\* \* \*

1902. **სახელსა** და ვაჟკაცობას, თუ ხშირად არ დაამტკიცე, ისე ვერ შეინარჩუნებ.

\* \* \*

1903. **სახელმწიფო** რომ ღირსეულ ღონეზე იდგეს, ხელისუფალთა მორალი ხალხის მორალზე მაღალი უნდა იყოს.

\* \* \*

1904. ერთნაირი აგურით ათასნაირი **სახლი** აშენდება.

\* \* \*

1905. **სახლისკენ** მაშინ მიგიზარია, როცა სითბოს ელოდები.

\* \* \*

1906. **სახრჩობელაზე** თუ თოკი გაწყდა, კაცი ხელმეორედ აღარ უნდა ჩამოვიდო.

\* \* \*

1907. **სახურავი** უნდა მოერგოს ქვევრს და არა ქვევრი სახურავს.

**სევდა, სიამაყე, სიამოვნება, სიარული,  
სიასლე, სიბერე, სიბნელე, სიბრძნე,  
სიბრძნისმეცხველება, სიბრძნისმოყვარეობა,  
სიღიაღე, სიზარმაცე, სიკეთე, სიკვდილი**

1908. ვისაც **სევდის** წამალი ღვინო ჰგონია, სევდას ვერასოდეს მოიცილებს.

\* \* \*

1909. შენი გვარიშვილობით **ამაყობდე** – კარგია, მაგრამ შენთვის უკეთესია, შენი საგვარეულო **ამაყობდეს** შენით.

\* \* \*

1910. ერთი კაციც საკმარისია, რომ მთელმა გვარმა **იამაყოს** ან შერცხვეს მის გამო.

\* \* \*

1911. ზურგით წინ ვერ **ივლი**.

\* \* \*

1912. **საამაყო** ის შრომაა, რომელსაც სიკეთე მოაქვს.

\* \* \*

1913. **საამაყო** სახელს სიკვდილიც ვერ წაგართმევს.

\* \* \*

1914. **საამაყო** წინაპარიც ბედნიერებაა.

\* \* \*

1915. **საამაყო**ა შეინარჩუნო სიმამაცე, როცა სხვები კარგავენ მას.

\* \* \*

1916. **საამაყო**ა, ქმნიდე საუკეთესოს.

\* \* \*

1917. ყველა პროფესია **საამაყო**ა, თუ მაღალპროფესიულ დონეზე ფლობ.

\* \* \*

1918. ზოგჯერ ჭარბი **სიამაყე** ისეთივე დამღუპველია, როგორც ჭარბი გაბედულება.

\* \* \*

1919. **სიამაყე** კარგია, თუკი ზომიერება ახლავს.



1920. სოფლის **სიამაყეს** ხშირად ტყვიას დაახლიან, სოფლის გლახას კი ყველა ღიმილით ჩაუვლის.

\* \* \*

1921. **სიამოვნება** იშვიათადაა ხანგრძლივი, ტანჯვა კი — ხანმოკლე.

\* \* \*

1922. კარგი შემოქმედი ბევრ **სიამოვნებას** აკლდება, რათა იგი მიანიჭოს სხვას.

\* \* \*

1923. **სიამოვნებისას** მოემზადე უსიამოვნებისათვის.

\* \* \*

1924. დიდი **სიამოვნებაც** უნდა დათმო, რომ უსიამოვნება აიცილო.

\* \* \*

1925. ყველა **მიდის** ახალგაზრდობიდან სიბერისაკენ, პირიქით არავის უვლია.

\* \* \*

1926. თუ წინ ვერ **მიდიხარ** ადგილზე არ დგახარ — ეს უკან სვლია.

\* \* \*

1927. სწრაფად **სიარული** გზას საგრძნობლად ამოკლებს.

\* \* \*

1928. ძველს **ახალი** ცვლის, მაგრამ ზოგჯერ ძველსაც უნდა დაუბრუნდე.

\* \* \*

1929. არაფერია **სიახლე**, თუ არ აღემატება ძველს.

\* \* \*

1930. **სიახლე** კლავს ძველს.

\* \* \*

1931. **სიახლე** ძველის შვილია.

\* \* \*

1932. ყოველგვარი **სიახლე** უფრო მეტ ცნობილ ელემენტს შეიცავს, ვიდრე ახალს.

1933. ყოველგვარ რეალურ **სიახლეს** წინ უსწრებს მასთან ახლომდგომი ოცნება.

\* \* \*

1934. გინდა ტკბილი **სიბერე?** – გაისარჯე ახალგაზრდობაში.

\* \* \*

1935. **სიბერე** კი არ ბერდება, იღუპება.

\* \* \*

1936. **სიბერე** მარტო წლები არაა, ის ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაცაა.

\* \* \*

1937. **სიბერე** სიცოცხლის ბოლო აკორდია.

\* \* \*

1938. ტკბილი **სიბერე** თუ გინდა, ახალგაზრდობის ნაწილი უნდა დაუთმო.

\* \* \*

1939. **სიბერეს** დიდი გამოცდილება აქვს, გამოყენების დრო კი ცოტა.

\* \* \*

1940. ერთმანეთის გვერდით ადამიანები **სიბერეს** ვერ ამჩნევენ.

\* \* \*

1941. **სიბერეში** სწორად აფასებენ ახალგაზრდობის წლებს.

\* \* \*

1942. **სიბერით** დაკარგული ფიზიკური მშვენიერება, შეგიძლია გონიერებით გააწონასწორო.

\* \* \*

1943. **სიბერის** გარეშე დიდხანს ვერავინ ცოცხლობს.

\* \* \*

1944. **სიბერის** სევდაა ის, რომ ეწურება სიცოცხლის მარაგი.

\* \* \*

1945. **ბნელს** ყველა ხედავს, ბნელში კი – ვერავინ.

\* \* \*

1946. **სიბნელე** გაიდვილდება, თუ მას სინათლის იმედი ახლავს.

1947. სადაც წარსულში მეტი **სიბნელეა**, მომავალში ნაკლები სინათლე იქნება.

\* \* \*

1948. **სიბნელეს** აზრები ანათებენ.

\* \* \*

1949. **სიბნელეს** და სინათლეს ვერავინ შეარიგებს.

\* \* \*

1950. **სიბნელეში** ბრმას უნდა გაჰყვე, სინათლეზე კი – უნდა გაიყოლიო.

\* \* \*

1951. **სიბნელეში** თვალები არაფრის მაქნისია.

\* \* \*

1952. ადამიანის **სიბრძნე** სიცოცხლის სამსახურშია.

\* \* \*

1953. ადამიანის **სიბრძნე** გარანტიაა უმოკლესი გზით წარმატების მიღწევისა.

1954. ანტიკური **სიბრძნე** დღესაც ზრდის ადამიანებს.

\* \* \*

1955. არ არსებობს უგუნურისათვის სასარგებლო **სიბრძნე**.

\* \* \*

1956. განუზომელი **სიბრძნე** არ არსებობს.

\* \* \*

1957. დიდი **სიბრძნე** ჭუჭყს არ მიიკარებს.

\* \* \*

1958. დიდი სიმდიდრის შექმნას, სჯობს პატარა **სიბრძნე** შეიძინო.

\* \* \*

1959. ერთხელ დათესილი **სიბრძნე** ათასჯერ შეიძლება მოიმკო.

\* \* \*

1960. **სიბრძნე** ადამიანს ყველა საუკეთესო თვისებას ანიჭებს.

\* \* \*

1961. **სიბრძნე** არავის ამძიმებს.

1962. სიბრძნე არასდროს ბოროტდება.  
\* \* \*
1963. სიბრძნე ბელს არავისთვის მოუტანია, ის დიდი შრომის შედეგია.  
\* \* \*
1964. სიბრძნე გაბედულია.  
\* \* \*
1965. სიბრძნე გადამდები არაა.  
\* \* \*
1966. სიბრძნე დიდი განძია, თუმცა სამალავი არ სჭირდება.  
\* \* \*
1967. სიბრძნე მარადისობის საგზალია.  
\* \* \*
1968. სიბრძნე მზესავით ელვარებს.  
\* \* \*
1969. სიბრძნე სიკეთეა, სიკეთე კი — სიბრძნე.  
\* \* \*
1970. სიბრძნე სიკეთეს ღალადებს.  
\* \* \*
1971. სიბრძნე სიმართლეა.  
\* \* \*
1972. სიბრძნე სიტყვითაც მოიპოვებს უკვდავებას.  
\* \* \*
1973. სიბრძნე უკვდავია.  
\* \* \*
1974. სიბრძნე მსმენელის ენაზე უნდა გადაიციეს.  
\* \* \*
1975. ცოტა სიბრძნე სჯობია გოლიათის ძალას.  
\* \* \*
1976. ძნელია მრავალსიტყვაობაში დაინახო სიბრძნე.  
\* \* \*
1977. წლების მოტანილი სიბრძნე შრომის შედეგია და არა წლების.

1978. მიტევება დიდი სიბრძნეა.

\* \* \*

1979. სრულ სიბრძნემდე ჯერ არავის მიუღწევია.

\* \* \*

1980. ადამიანი ჯერ ბრძენთა ნააზრევით ბრძენდება და მერე თავად გასცემს სიბრძნეს.

\* \* \*

1981. ერთეულთა სიბრძნეს მილიონობით მოჭირნახულე ჰყავს.

\* \* \*

1982. რაც უფრო ახალგაზრდა ეზიარები სიბრძნეს, მით მეტ სიკეთეს მოუტან ქვეყანასა და საკუთარ თავს.

\* \* \*

1983. სიბრძნეს ბრძენი აფასებს, სისულელეს კი – სულელი.

\* \* \*

1984. სიბრძნეს მისი გაცემის უნარი უნდა ამშვენებდეს.

\* \* \*

1985. სიბრძნეს წიგნი სჭირდება, სიყვარულს გული.

\* \* \*

1986. შენს სიბრძნეს, მისი გაცემის გარეშე, ვერავინ შეიტყობს.

\* \* \*

1987. სიბრძნით სარგებლობა სიბრძნეა.

\* \* \*

1988. ანტიკური ნაწერები არა მარტო სიძველით, არამედ სიბრძნითაც გვაოცებენ.

\* \* \*

1989. აფორიზმების კრებული წიგნი კი არა სიბრძნის კალოა დახვავებული.

\* \* \*

1990. სიბრძნის გავრცელებას ვერავინ და ვერაფერი დააბრკოლებს.

\* \* \*

1991. სიბრძნის დასტური აზრთა წყობაა.

1992. **სიბრძნის** თესვა და მკა კაცობრიობის მარადიული საქმიანობაა.

\* \* \*

1993. **სიბრძნის** მეგობარი კაცობრიობის მეგობარია.

\* \* \*

1994. **სიბრძნის** უდიდესი ნაწილი წინამორბედთაგან გვაქვს მიღებული.

\* \* \*

1995. **სიბრძნის** შეძენაა ძნელი, გამოყენება კი ადვილი.

\* \* \*

1996. **სიბრძნის** ძლიერება მის მოკლესიტყვაობაშია.

\* \* \*

1997. **სიბრძნის** წყარო მარადიულია.

\* \* \*

1998. ცოტა სიტყვებით ბევრის თქმა **სიბრძნის** ნიშანია.

\* \* \*

1999. მჭევრმეტყველება ახლოსაა **სიბრძნისმეტყველებასთან**.

\* \* \*

2000. **სიბრძნისმოყვარეობა** სულიერად აწრთობს ადამიანს.

\* \* \*

2001. მოჩვენებითი **სიღიაღე** ხელს უშლის ადამიანს, მიაღწიოს ნამდვილ სიღიაღეს.

\* \* \*

2002. **სიღიაღე** წვრილმანების სწორად შერწყმით მიიღწევა.

\* \* \*

2003. **სიღიაღეს** ადამიანს ბუნება უბოძებს და თვითონ კარგავს.

\* \* \*

2004. **სიზარმაცე** არაფერს ქმნის, შექმნილს კი ანადგურებს.

\* \* \*

2005. **სიზარმაცეზე** ღიდი მტერი კაცობრიობას არ ჰყოლია.

\* \* \*

2006. არ არსებობს **სიკეთე**, რომელიც სიცოცხლის დანაკარგს შეცვლის.

2007. არც **სიკეთე** არსებობს და არც ბოროტება ისეთი, შესაბამისი შედეგი რომ არ მოეტანოს.

\* \* \*

2008. დაუმსახურებელი **სიკეთე** არ უნდა ეძებო.

\* \* \*

2009. დაყვედრებული **სიკეთე** – სიკეთე არ არის.

\* \* \*

2010. თუ გინდა **სიკეთე** შენთვის, აკეთე იგი სხვისთვის.

\* \* \*

2011. მეტად დასაფასებელია ის **სიკეთე**, რომელიც რაიმეს სანაცვლოდ ან მოვალეობის გამო არ კეთდება.

\* \* \*

2012. მიუღებელი **სიკეთე** არ არსებობს ისე, როგორც მისაღები ბოროტება.

\* \* \*

2013. მხეცს რომ ადამიანის **სიკეთე** არ ეგრძნო ვერასდროს მოიშინაურებდა მას.

\* \* \*

2014. სათნობისათვის გაღებული **სიკეთე** უშეცდომოდ პოულობს ადრესატს.

\* \* \*

2015. **სიკეთე** ამრავლებს სიკეთეს.

\* \* \*

2016. **სიკეთე** ბოროტის მიმართ, სიკეთისკენ მისი მოქცევის უტყუარი საშუალებაა.

\* \* \*

2017. **სიკეთე** გვიცავს ბოროტებისაგან.

\* \* \*

2018. **სიკეთე** და ბოროტება მხოლოდ გონების ნაყოფია.

\* \* \*

2019. **სიკეთე** დიდი ძალაა.

\* \* \*

2020. **სიკეთე** ვალაია.

2021. სიკეთე მაღლა გვეწევა, ბოროტება კი – დაბლა.  
\* \* \*
2022. სიკეთე მიძღვება უნდა წარმოაჩინოს და არა გამცემმა.  
\* \* \*
2023. სიკეთე მშვიდობისმოყვარეა.  
\* \* \*
2024. სიკეთე რომ მიიღო, სიკეთე უნდა გაიღო.  
\* \* \*
2025. სიკეთე საქმეშია და უმისოდ არ არსებობს.  
\* \* \*
2026. სიკეთე საქმით წარმოჩინდება.  
\* \* \*
2027. სიკეთე სიკეთის მშობელია.  
\* \* \*
2028. სიკეთე სიმშვიდის წყაროა.  
\* \* \*
2029. სიკეთე სიცოცხლეს ახალისებს.  
\* \* \*
2030. სიკეთე სულის სიდიადეა, ხოლო ბოროტება – კუჭისა.  
\* \* \*
2031. სიკეთე ყოველთვის სახეზეა, ბოროტება კი –  
სამალაგში.  
\* \* \*
2032. სიკეთე ცოდნის გამოყენებას მოაქვს.  
\* \* \*
2033. სიკეთე ჭკუის შედეგია, ბოროტება – უჭკუობის.  
\* \* \*
2034. სხვისი სიკეთე თუ არ გახარებს, შეგაძულებს მას.  
\* \* \*
2035. ჩუმად გაკეთებული სიკეთე უფრო გულში ჩამწვდომია.  
\* \* \*
2036. ყოველდღიური მეტი სიკეთე ნაკლებად გვაღელვებს,  
ვიდრე იშვიათი და ნაკლები.



2037. შენდობის უნარის გარეშე **სიკეთე** ვერ იზეიმებს.

\* \* \*

2038. შენიანის **სიკეთე** საკუთარ სიკეთედ უნდა მიგაჩნდეს.

\* \* \*

2039. შენი გაკეთებული **სიკეთე** ყოველთვის თან დაგყვება და არივინ იცის, ვინ სად და როდის გადაგიხდის.

\* \* \*

2040. შენი **სიკეთე** შეიძლება შენ არ დაგიბრუნდეს, მაგრამ ქვეყანა მოიაროს.

\* \* \*

2041. წინასწარგანზრახული **სიკეთე** გაცილებით მეტი სიკეთეა და წინასწარგანზრახული ბოროტება – მეტი ბოროტება.

\* \* \*

2042. დაიმორჩილო საკუთარი თავი მეტი **სიკეთეა**, ვიდრე – სხვა.

\* \* \*

2043. დიდი **სიკეთეა**, იცოდე, ვინაა შენი მტერი.

\* \* \*

2044. მეტი **სიკეთეა** ცოტა შექმნა, ვიდრე ბევრი იშოვო.

\* \* \*

2045. მტრებში მტრობა ჩვენი **სიკეთეა**.

\* \* \*

2046. სხვებში კარგის დანახვაც დიდი **სიკეთეა**.

\* \* \*

2047. ადამიანში **სიკეთეს** აღზრდა ამკვიდრებს.

\* \* \*

2048. დიდ **სიკეთეს** დიდი სიყვარული მოაქვს.

\* \* \*

2049. დიდ **სიკეთეს** დიდი შურის თვალი უყურებს.

\* \* \*

2050. დიდ **სიკეთეს** მტკიცე ერთობა მოაქვს.

\* \* \*

2051. ვინც **სიკეთეს** აკეთებს, საკუთარ ბედნიერებას ძერწავს.

2052. ვინც **სიკეთეს** თესავს სიყვარულს იმკის.

\* \* \*

2053. თანაგრძნობის გამო ცოტა **სიკეთეს** მეტი ფასი აქვს, ვიდრე მოვალეობის გამო — ბევრს.

\* \* \*

2054. თუ **სიკეთეს** ვერ გაცემ, არც სხვისგან უნდა ელოდე მას.

\* \* \*

2055. იმას, რაც **სიკეთეს** მოაქვს, ბოროტება ვერასდროს მოიტანს.

\* \* \*

2056. კეთილი იზიდავს **სიკეთეს**.

\* \* \*

2057. ნუ გამიკეთებ იმ **სიკეთეს**, რომელიც შეიძლება, დამაყვედრო.

\* \* \*

2058. რაც მეტ **სიკეთეს** გააკეთებ, მეტ სიყვარულს დაიმსახურებ.

\* \* \*

2059. **სიკეთეს** ბოროტებად ვერავინ წარმოაჩენს.

\* \* \*

2060. **სიკეთეს** ბოროტებასთან არავინ მიუყვანია.

\* \* \*

2061. **სიკეთეს** გადახდა უნდა, ბოროტებას კი — არა.

\* \* \*

2062. **სიკეთეს** და ბოროტებას ადამიანები თესავენ და ისევ ადამიანები იმკიან.

\* \* \*

2063. **სიკეთეს** და ბოროტებას მაშინ შეივრძნობ, როცა გამოცდი.

\* \* \*

2064. **სიკეთეს** ერთნაირი ხალისით უნდა აკეთებდე, როგორც შენთვის, ისე სხვისთვის.

2065. სიკეთეს ისე უნდა აკეთებდე, რომ სარგებელზე არ ფიქრობდე.

\* \* \*

2066. სიკეთეს მაღლიერების გრძნობით უნდა შეხვდე და მაღლობაც არ უნდა დაივიწყო.

\* \* \*

2067. სიკეთეს მაშინ გააკეთებ, როცა ანგარებისაგან თავს დაიხსნი.

\* \* \*

2068. სიკეთეს მაშინ დაგიფასებენ, თუ სხვის სიკეთეს დააფასებ.

\* \* \*

2069. სიკეთეს მზიანი ღლე უყვარს, ბოროტებას – უმთვარო ღამე.

\* \* \*

2070. სიკეთეს მხოლოდ მოსიყვარულე, თბილი გული ასხივებს.

\* \* \*

2071. სიკეთეს ყველა ეპატრონება, ბოროტებას კი არავინ.

\* \* \*

2072. ცოტა სიკეთეს ის აკეთებს, ვინც მხოლოდ თავისთვის აკეთებს, თუნდაც ღიდ სიკეთეს.

\* \* \*

2073. ხშირად ადამიანი სიკეთეშიც ვერ იცავს ზომიერებას. ზოგი ისეთ საქმეს წამოიწყებს, რომ გადაჰყვება თან.

\* \* \*

2074. ღიდი სიკეთის პატრონს მტერიც უმრავლდება.

\* \* \*

2075. ვისაც სიკეთის დავიწყება შეუძლია, მისი იმედი არ უნდა გქონდეს.

\* \* \*

2076. კეთილს სიკეთის გაუცემლობაც ისე უჭირს, როგორც უკეთურობის მიღება.

2077. სიკეთის სიკეთით გადახდა სიკეთეა, ბოროტების ბოროტებით კი – ბოროტება.

\* \* \*

2078. სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ღმერთის ძლიერებაა სატანაზე.

\* \* \*

2079. სიკეთის დამახსოვრებაც სიკეთეა.

\* \* \*

2080. სიკეთის დანახვას კეთილი გული სჭირდება და არა თვალები.

\* \* \*

2081. სიკეთის და სიყვარულის უნივერსიტეტი ოჯახია.

\* \* \*

2082. სიკეთის თესვა იმას არ ნიშნავს, რომ ნაყოფიც შენ მოიძეო.

\* \* \*

2083. სიკეთის თესლი მეტ-ნაკლებად ყველა ნიადაგში ხარობს.

\* \* \*

2084. სიკეთის კეთება თუ სიამოვნებას არ გგვრის, ის არცაა სიკეთე.

\* \* \*

2085. სიკეთის მაძებარი აუგს არ გაეკარება.

\* \* \*

2086. სიკეთის მიმღევრობა სასურველი კი არა – აუცილებელია.

\* \* \*

2087. სიკეთის მომტანი განრისხება ჯერ არავის უნახავს და ვერც ვერავინ ნახავს.

\* \* \*

2088. სიკეთის მოსპობა ქვეყნიერების მოსპობას ნიშნავს.

\* \* \*

2089. სიკეთის ნიჭი ხალხშია და იგი ყველამ უნდა გამოიყენოს.

2090. სიკეთის სანაცვლოს თვითონ სიკეთე უნდა ითხოვდეს და არა გამკეთებელი.

\* \* \*

2091. სიკეთის სასარგებლოდ ცუდსაც უნდა შეურიგდე.

\* \* \*

2092. სიკეთის სიკეთე მის განხორციელებაშია.

\* \* \*

2093. სიკეთის უკმარისობა აბოროტებს ადამიანს.

\* \* \*

2094. სიკეთის ფასს უკეთურობა წარმოაჩენს.

\* \* \*

2095. სიკეთის ძალა აკეთილშობილებს ადამიანს.

\* \* \*

2096. უჩვენე სიკეთის მაგალითი, რომ სიკეთით დაგიბრუნდეს.

\* \* \*

2097. შენს მიმართ სიკეთის სურვილმაც კი უნდა გააღვიძოს შენში ადამიანების სიყვარულის გრძნობა.

\* \* \*

2098. ციდან სიკეთის მომლოდინე მიწას ვერაფერს გამორჩება.

\* \* \*

2099. ყველა რომ ცდილობდეს თავის გარშემო სიკეთისა და სიყვარულის გავრცელებას, ქვეყანა ბედნიერების ოაზისად გადაიქცეოდა.

\* \* \*

2100. სჯობს დიდი სიკეთისთვის გმტრობდნენ, ვიდრე პატარა ბოროტებისთვის.

\* \* \*

2101. დიდი სილამაზე საშიშია.

\* \* \*

2102. დაბადება გარდაცვალების მშობელია.

\* \* \*

2103. ადამიანი მაშინ კვდება, თუ ამქვეყნად თავისას არავის და არაფერს ტოვებს, რომ მოიგონონ.

2104. მალე კვდება ის, ვინც სიკვდილს ელოდება.

\* \* \*

2105. ნამდვილად ის კვდება, ვინც სიკვდილის შემდეგ ყველას ავიწყდება.

\* \* \*

2106. უშვილო მართლა კვდება.

\* \* \*

2107. ყოველი ადამიანი ისეთად კვდება, როგორც იყო სიცოცხლეში.

\* \* \*

2108. იმიტომ კვებიან, რომ ცოცხლობდნენ.

\* \* \*

2109. თოფი არ კლავს, ამას ადამიანი აკეთებს.

\* \* \*

2110. მისთვის არ უნდა მოკვდე, ვისთვისაც სულერთია, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი.

\* \* \*

2111. სჯობს მოკვდე, ვიდრე სხვისი სიკვდილი განიზრახო.

\* \* \*

2112. მხოლოდ ერთხელ უნდა მოკვდეს ადამიანი.

\* \* \*

2113. საკუთარ ლოგინში გმირულად არავინ მომკვდარა.

\* \* \*

2114. ვინაიდან სიკვდილზე წარმოდგენა არა აქვს, ბავშვს გალახვის უფრო ეშინია, ვიდრე სიკვდილის.

\* \* \*

2115. სიკვდილზე ბევრი არ უნდა იფიქრო, მაგრამ არც მისი დავიწყება შეიძლება.

\* \* \*

2116. სიკვდილზე მხოლოდ იმდენი უნდა იფიქრო, რომ სიცოცხლე არარაობად არ მოგეჩვენოს.

\* \* \*

2117. დარდი სიკვდილთან გვაახოებს.

2118. **სიკვდილით** დასჯის ნება მხოლოდ უფალს აქვს.

\* \* \*

2119. თუ შენი **სიკვდილით** არავის აკლდები, ე.ი. არც გიცოცხლია.

\* \* \*

2120. **სიკვდილით** ვერაფერს ისარგებლებ.

\* \* \*

2121. ადამიანს გამირულად **სიკვდილი** არ უჭირს, შეურაცხყოფელი სიკვდილია ძნელი.

\* \* \*

2122. არაბუნებრივი **სიკვდილი** რიგგარეშე სიკვდილია.

\* \* \*

2123. არ უნდა შენი დახმარება, **სიკვდილი** თვითონ იპოვის ამის დროს და მიზეზს.

\* \* \*

2124. დაუსწრებლად **სიკვდილი** შეიძლება მოგისაჯონ, მაგრამ დაუსწრებლად ვერაინ მოგკლავს.

\* \* \*

2125. ერთადერთი, რასაც **სიკვდილი** ვერ ერევა, ეს უკვდავებაა.

\* \* \*

2126. თუ **სიკვდილი** შეცდომის ბრალია, ეს ბოლო შეცდომაა.

\* \* \*

2127. მაგიდასთან განცხრომით იწყება **სიკვდილი**.

\* \* \*

2128. მომავალი **სიკვდილი** ხელს არაფერში გვიშლის.

\* \* \*

2129. ნუ გიხარია სხვისი **სიკვდილი**, მისი წილი მზე შენ არ დაგაცხუნებს.

\* \* \*

2130. **სიკვდილი** ათასი წვრილმანით შეიძლება დაიწყოს.

\* \* \*

2131. **სიკვდილი** არ ანსხვავებს ბედნიერსა და უბედურს.

2132. **სიკვდილი** არარაობად აქცევს მას, ვინც სიცოცხლეშიც ასეთი იყო.

\* \* \*

2133. **სიკვდილი** არასდროსაა გვიან.

\* \* \*

2134. **სიკვდილი** არაფერია. სიკვდილისწინა სიცოცხლეა ძნელი.

\* \* \*

2135. **სიკვდილი** აფასებს მთელ სიცოცხლეს.

\* \* \*

2136. **სიკვდილი**, ბედნიერისა თუ უბედურისა, ერთნაირად სამწუხაროა.

\* \* \*

2137. **სიკვდილი** გვათავისუფლებს ყოველგვარი ბოროტებისაგან, მაგრამ გვართმევს ყველა სიკეთეს.

\* \* \*

2138. **სიკვდილი** გვართმევს აწმყოს და მომავალს.

\* \* \*

2139. **სიკვდილი** გვიან გაგინსენებს, თუ ყოველთვის განსოვს სიცოცხლე და უფრთხილდები მას.

\* \* \*

2140. **სიკვდილი** – ეს წარმოსახვაა, რომელსაც ცოცხალი ვერ წარმოიდგენ.

\* \* \*

2141. **სიკვდილი** მხოლოდ მას ინდობს, და ისიც დროებით, ვინც სიცოცხლეს უფრთხილდება.

\* \* \*

2142. **სიკვდილი** მხოლოდ მტრისა და ისიც მხოლოდ სიცოცხლის დასაცავადაა სასურველი.

\* \* \*

2143. **სიკვდილი** ნამდვილი უძრაობაა.

\* \* \*

2144. **სიკვდილი** ორატორსაც დაადუმებს.



2145. სიკვდილი რომ მოისპოს, სანატრელი გაგვიზღება.

\* \* \*

2146. სიკვდილი სავალდებულო გაწვევაა მოუსავლეთში.

\* \* \*

2147. სიკვდილი სერიოზული რამაა და სიცოცხლეზე სერიოზული ფიქრი გვმართებს.

\* \* \*

2148. სიკვდილი მხოლოდ სიცოცხლეს გვართმევს და არა უკვდავებას.

\* \* \*

2149. სიკვდილი სიცოცხლით ცოცხლობს.

\* \* \*

2150. სიკვდილი სიცოცხლის ბარიერის გადალახვაა.

\* \* \*

2151. სიკვდილი სიცოცხლის ბოლოა და ამ წესს ვერავინ შეცვლის.

\* \* \*

2152. სიკვდილი სუსტებს ადრე იმორჩილებს და ძლიერებს – გვიან, მაგრამ ორივეს ერთნაირი გულმოდგინებით ანადგურებს.

\* \* \*

2153. სიკვდილი უკვდავი ბოროტებაა.

\* \* \*

2154. სიკვდილი დიდი მკურნალია, ოღონდ არასასურველი.

\* \* \*

2155. სიკვდილი ყველას კლავს, მაგრამ ზოგადად სიცოცხლეზე ვერ იმარჯვებს.

\* \* \*

2156. სიკვდილი შეუმჩნეველად გვიანხოვდება.

\* \* \*

2157. სიკვდილი ჩვენი გარდაუვალი მომავალია.

\* \* \*

2158. სიკვდილი ცოცხლებისთვისაა ბოროტება, თორემ მომავლებისთვის სიცოცხლის საშუალებაა.

2159. **სიკვდილი** ძნელია იმისთვის, ვისაც ჰგონია, რომ არ უნდა მოკვდეს, ხოლო ადვილად კვდება ის, ვისაც ჰგონია, რომ არ მოკვდება.

\* \* \*

2160. **სიკვდილი** ადვილია, სიცოცხლის დათმობაა ძნელი.

\* \* \*

2161. **სიკვდილი** წარსულში გადასვლაა.

\* \* \*

2162. შენი **სიკვდილი** შენს სიცოცხლეს სხვასაც ართმევს.

\* \* \*

2163. ადამიანის ბოლო მოქმედება **სიკვდილია**.

\* \* \*

2164. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით მომავალში, ჩვენი **სიკვდილია**.

\* \* \*

2165. ყველაზე დიდი მკვლელი **სიკვდილია**.

\* \* \*

2166. ვისაც **სიკვდილის** არ ეშინია, მას არაფრის შეეშინდება.

\* \* \*

2167. **სიკვდილის** აჩრდილი ყველას დასდევს, ადრეულ რეალობად კი მისთვის იქცევა, ვინც სიცოცხლეს ნაკლებად უფროთხილდება.

\* \* \*

2168. **სიკვდილის** დასაწყისის დროულად შეტყობა ძნელია, გვიან შეტყობისას კი ვერავინ შეგელის.

\* \* \*

2169. **სიკვდილის** კი არ უნდა გეშინოდეს, სიცოცხლეს უნდა უფროთხილდებოდე.

\* \* \*

2170. სხვათა **სიკვდილის** მიზეზთა შესწავლით შეგიძლია გაიხანგრძლივო სიცოცხლე.

\* \* \*

2171. **სიკვდილის** მიპატიჟებაზე უარს ვერავინ იტყვის.

2172. სიკვდილის მხოლოდ სიკვდილის წინ გვემინია, ცხოვრების კი – მთელი სიცოცხლე.

\* \* \*

2173. სიკვდილის პრობლემა საშიშია იმით, რომ ადამიანში სიცოცხლის აზრი არ მოკლას.

\* \* \*

2174. სიკვდილის რიგს არავინ იკავებს, მაგრამ რიგში ყველა ღვას.

\* \* \*

2175. სიკვდილის საიდუმლო მიცვალებულებთან რჩება და არავის უმხელენ.

\* \* \*

2176. სიკვდილის სანაცვლოდ სიცოცხლე ახალ სიცოცხლეს ითხოვს.

\* \* \*

2177. სიკვდილის ტრაგედია კარგ სიცოცხლეშია.

\* \* \*

2178. სიკვდილის შემდეგ უფრო სამართლიანად ფასდება ადამიანი: ზოგი სოფელს უკვდება, ზოგი – ქვეყანას და ზოგი – ქვეყნიერებას.

\* \* \*

2179. სიკვდილის შემოტევა შეიძლება მოიგერიო, მაგრამ ვერ დაამარცხებ.

\* \* \*

2180. სიკვდილის შიში არ უნდა გქონდეს, რადგან იგი ასეთებს უფრო ადვილად იმორჩილებს.

\* \* \*

2181. სიკვდილის შიში გვაიძულებს გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს.

\* \* \*

2182. სიკვდილის შიში სიკვდილისთვის მზადებაა.

\* \* \*

2183. სიკვდილის შიში სიცოცხლის მტერია.

2184. სიკვდილიც არაფერია **სიკვდილის** შიშთან შედარებით.

\* \* \*

2185. უნდა ვეცადოთ, **სიკვდილის** აჩრდილი, რომელიც განუყრელად თან დაგვყვება სინამდვილედ არ იქცეს.

\* \* \*

2186. სუსტიც, ძლიერიც, უგუნურიც და ჭკვიანიც ერთნაირად მიისწრაფვის **სიკვდილისაკენ**.

\* \* \*

2187. **სიკვდილმა** გამონაკლისი არ იცის.

\* \* \*

2188. **ჭიანჭველის** სიკვდილმა რომ შეგაწუხოს, გამადიდებელი შუშით უნდა შეხედო.

\* \* \*

2189. სიკვდილმისჯილს რომ სასჯელს შეუცვლიან, ჰგონია, რომ **სიკვდილს** გადაურჩა.

\* \* \*

2190. ადამიანი მაშინ კვდება, როცა ხალხი მის **სიკვდილს** ინატრებს.

\* \* \*

2191. ადამიანი უნდა ისწრაფოდეს მოქმედებისაკენ. უმოქმედობა **სიკვდილს** ენათესავება.

\* \* \*

2192. ნუ ელოდები **სიკვდილს**, ის თვითონ გიპოვის.

\* \* \*

2193. ნუ ჰკლავთ ადამიანებს, აცალეთ **სიკვდილს**, ის თავის საქმეს უთქვენოდ გააკეთებს.

\* \* \*

2194. რაც უნდა დიდებული გასვენება შესთავაზო ადამიანს, **სიკვდილს** სასურველად ვერ უქცევ.

\* \* \*

2195. **სიკვდილს** ცოცხალთა ყველა შესაძლებლობა მიაქვს თან.

\* \* \*

2196. **სიკვდილს** არავინ აპირებს, მაგრამ ყველა კვდება.

2197. სიკვდილს არავინ ეპატიუება, მაგრამ ყველას სტუმრობს.

\* \* \*

2198. სიკვდილს შეუძლია, მწვავედ გაგრძნობინოს სიყვარული.

\* \* \*

2199. სიკვდილს ერთი მიზანი აქვს, სიცოცხლეს კი უამრავი.

\* \* \*

2200. სიკვდილს ზოგი თვითონ მიჰყავს, ზოგი თვითონ აკლავს თავს.

\* \* \*

2201. სიკვდილს თან მიაქვს სიკვდილის საიდუმლო.

\* \* \*

2202. სიკვდილს მთელი სიცოცხლე თან დაატარებს ადამიანი.

\* \* \*

2203. სიკვდილს მთელი სიცოცხლე უნდა ებრძოლო.

\* \* \*

2204. სიკვდილს დასაბამიდან სიცოცხლე ჯერ არავისთვის უჩუქებია.

\* \* \*

2205. სხვების სიკვდილს ჩვენ დავტირით, ჩვენსას კი სხვები დაიტირებენ.

\* \* \*

2206. ადამიანი მთელი სიცოცხლე მწიფდება სიკვდილისათვის.

**სილაგაზე, სიგაგაცე, სიგართლე, სიმდიდრე,  
სიმთვრალე, სიმკაცრე, სიმრავლე, სიმტკიცე,  
სიმღერა, სიმწარე, სინათლე, სინამდვილე,  
სინანული, სინდისი, სირცხვილი,  
სისულელე, სისუსტე, სისხლი**

2207. ადამიანის სილაგაზე მასზე აღრე კვდება.

\* \* \*

2208. ადამიანის სილაგაზე წელთა მატებით იკლებს, გონიერება კი მატულობს.

2209. გამორჩეული **სილამაზე** არა მარტო სხვებს, არამედ მის მფლობელსაც უკარგავს სიმშვიდეს.

\* \* \*

2210. **სილამაზე** ათას მაჭანკალს სჯობს.

\* \* \*

2211. **სილამაზე** ამძაფრებს სიყვარულს.

\* \* \*

2212. **სილამაზე** აღძრავს სიყვარულს.

\* \* \*

2213. **სილამაზე** და სიმახინჯე გვერდი-გვერდ უფრო ჩანს.

\* \* \*

2214. **სილამაზე** თვალს ზიბლავს, სიბრძნე – გონებას, ორივე ერთად კი – გულს.

\* \* \*

2215. **სილამაზე** მატყუარაა.

\* \* \*

2216. **სილამაზე** მშვენიერების ნაწილია.

\* \* \*

2217. **სილამაზე** პოპულარობას გპირდება, გონიერება კი – უზრუნველყოფას.

\* \* \*

2218. **სილამაზე** სიამაყის საფუძველია.

\* \* \*

2219. **სილამაზე** სიბრძნის გარეშე არაფერია, სიბრძნე სილამაზის გარეშე სიმდიდრეა, ორივე ერთად კი ბედნიერება.

\* \* \*

2220. **სილამაზე** სიყვარულის ანკესია.

\* \* \*

2221. **სილამაზე** სიზარულს ჰგვრის ადამიანს, სიმახინჯე კი – სეუდას.

\* \* \*

2222. **სილამაზე** ყინულის კოშკივითაა, ლამაზია, მაგრამ მალე გაქრება.

2223. სილამაზე წარმავალია, ულამაზობა კი – არა.

\* \* \*

2224. სილამაზე წლებს მიაქვს.

\* \* \*

2225. დიდი სილამაზე ძალიან საფრთხილოა, რაც არც ისე ადვილია.

\* \* \*

2226. არა ხელოვნური, არამედ ბუნებრივი სილამაზეა ბედნიერება.

\* \* \*

2227. სილამაზეს ანდამატის მიზიდულობის ძალა აქვს.

\* \* \*

2228. სილამაზეს არ უნდა ეძინო.

\* \* \*

2229. სილამაზეს ბუნება გვჩუქნის.

\* \* \*

2230. სილამაზეს პატიოსნება აცისკროვნებს.

\* \* \*

2231. სილამაზით თუ ვინმე დაგჩრდილავს, შენი ქცევით და სათნოებით შეგიძლია გაანეიტრალო.

\* \* \*

2232. სილამაზით მოწონებულს ღირსებით მოწონებული სჯობს.

\* \* \*

2233. სილამაზის გარდა, სიყვარულის ბევრი მიზეზი არსებობს.

\* \* \*

2234. სილამაზის ძალა უჭკუოსაც კი სიბლავს.

\* \* \*

2235. თუ კარგს იტყვიან შენზე, მთავარია, იყოს მართალი, თუ ცუდს კი – ტყუილი.

\* \* \*

2236. რაშიც მართალი ხარ აღარაა საინტერესო, რაშიც შეცდი, მას მრავალგზის უნდა დაუბრუნდე.

2237. ერთი მართლის მოქმელი სჯობს, ათას მატყუარას.

\* \* \*

2238. ზოგს ურჩევნია, მასზე სიმართლე არ ილაპარაკონ.

\* \* \*

2239. სიმართლე არანაირი იარაღით არ მოისპობა.

\* \* \*

2240. სიმართლე არ იმალება, ტყუილს კი ვერ დამალავ.

\* \* \*

2241. სიმართლე იზიდავს პატიოსან ადამიანებს.

\* \* \*

2242. სიმართლე ის დიდი ძალაა, რომელიც არ ძალადობს.

\* \* \*

2243. სიმართლე მარტოც გაიმარჯვებს.

\* \* \*

2244. სიმართლე მის მხარესაა, ვისაც იგი უყვარს.

\* \* \*

2245. სიმართლე – ყველა კარგია; არ არსებობს ცუდი სიმართლე.

\* \* \*

2246. სიმართლე ძლიერია, მაგრამ ზოგჯერ უხეში ძალა თრგუნავს.

\* \* \*

2247. ყველა სიმართლე მხოლოდ საკუთარ თავზე ვიცით.

\* \* \*

2248. ყველამ რომ ყველაზე სიმართლე შეიტყოს, ხალხი ერთმანეთს დახოცავდა.

\* \* \*

2249. თუ სიმართლეა, ყველა ნათქვამი კარგია.

\* \* \*

2250. მწარე სიმართლეს დავიწყება ატკობს.

\* \* \*

2251. მწარე სიმართლეს თუ განერიდები, მეტ სიმწარეს შეეყრები.



2252. ყურადღება უნდა მიაქციო მხოლოდ **სიმართლეს** შენზე.

\* \* \*

2253. **სიმართლეს**, სიკეთის გარდა, დიდი ძალაც აქვს.

\* \* \*

2254. ჰოს და არას ჭიდილი შობს **სიმართლეს**.

\* \* \*

2255. რაც მეტია აზრთა სხვადასხვაობა, მით ძნელია **სიმართლის** დადგენა.

\* \* \*

2256. **სიმართლის** დაფარვა და ტყუილის თქმა ერთნაირად საძრახისია.

\* \* \*

2257. **სიმართლის** მთქმელი არ ცდება; უზუსტობები ტყუილებს მოსდევს.

\* \* \*

2258. **სიმართლის** მოყვარულთან მხოლოდ პატიოსანი ადამიანები მეგობრობენ.

\* \* \*

2259. **სიმართლის** მოყვარულს ტყუილში ვერასოდეს დაიჭერ.

\* \* \*

2260. **სიმართლის** მტერი სიცრუის მეგობარია.

\* \* \*

2261. **სიმართლის** წინააღმდეგ ამხედრება დამარცხებისთვისაა განწირული.

\* \* \*

2262. **სიმართლის** წინაშე თავხედიც კი ქედს იხრის.

\* \* \*

2263. ადამიანს **სიმართლისათვის** თვალის გასწორება მართებს.

\* \* \*

2264. **სიმართლისათვის** დევნილს ყველა თანაუგრძნობს.

\* \* \*

2265. **სიმართლისათვის** სასჯელი უნდა არჩიო ტყუილისათვის ვკილდოს.

2266. შურით არავინ **გამდიდრებულა**.

\* \* \*

2267. დაბადებით ის უფრო **მდიდარია**, ვისაც მალალი აზროვნების უნარი აღმოაჩნდა და არა სიმდიდრე.

\* \* \*

2268. ერთ-ერთი **სიმდიდრე** საიმედოდ შენახული წარსულია.

\* \* \*

2269. ზღვარდაუღებელი არც **სიმდიდრე** ვარგა და არც სიღარიბე; პირველი შეიძლება უბედურების წყაროდ იქცეს, ხოლო მეორე – თვითონაა უბედურება.

\* \* \*

2270. **სიმდიდრე** – ბევრი ადამიანის ნაშრომია ერთის ხელში.

\* \* \*

2271. **სიმდიდრე** იწყება იქ, სადაც მთავრდება ძუნწობა.

\* \* \*

2272. **სიმდიდრე** ნატვრას არ მოაქვს, ამისათვის შრომაა საჭირო.

\* \* \*

2273. **სიმდიდრე** სარგებლობას ანიჭებს უპირატესობას, სათნოება კი – მშვენიერებას.

\* \* \*

2274. **სიმდიდრე** ცხოვრების საშუალებაა და არა ბედნიერების.

\* \* \*

2275. სხვისი **სიმდიდრე** არ უნდა გშურდეს, უნდა გიხაროდეს და მისი დაკარგვა კი არა, მოხმარების ნიჭი უნდა უსურვო.

\* \* \*

2276. უკანონო **სიმდიდრე** ბოროტების ნაყოფია.

\* \* \*

2277. გენიალური ადამიანი კაცობრიობის ყველაზე დიდი, სასურველი **სიმდიდრეა**.

\* \* \*

2278. ცოტა თუ გყოფნის მეტი **სიმდიდრეა**, ვიდრე დიდი სიმდიდრე.

2279. გამოუყენებელ **სიმდიდრეს** სიღარიბე სჯობს.

\* \* \*

2280. დიდ **სიმდიდრეს** საქვეყნოდ გამოფენა არ სჭირდება.

\* \* \*

2281. **სიმდიდრეს** კი არა, სიმდიდრის პატრონს მტრობენ.

\* \* \*

2282. **სიმდიდრეს** მოხმარება უნდა — მშვიერი და ოქროს პატრონი მდიდრად ვერ ჩაითვლება.

\* \* \*

2283. **სიმდიდრის** გამო ადამიანის პატივისცემა ფარისევლობის გამოვლინებაა მხოლოდ.

\* \* \*

2284. **სიმდიდრის** გარეშე ბედნიერება თუ ვერ წარმოგიდგენია, არც სიმდიდრისას გექნება იგი.

\* \* \*

2285. **სიმდიდრის** გარეშე ცხოვრება რომ არ შეიძლებოდეს, ხალხი ერთმანეთს დახოცავდა.

\* \* \*

2286. **სიმდიდრისათვის** შეყრილ ცოლ-ქმარს სულით სიღარიბე გაყრის.

\* \* \*

2287. მთვრალს **სიმთვრალე** სიფხიზლეში უნდა დაუშალო, სიმთვრალეში ის ვერაფერს შეისმენს.

\* \* \*

2288. **სიმთვრალეში** სიკეთე არავის უპოვია; თუმცა, დღესაც ბევრი ეძებს.

\* \* \*

2289. მშობლის ზომიერი **სიმკაცრე** სიტკბოს მშობელია.

\* \* \*

2290. **სიმრავლე** ამოუცნობია — ერთს ყველა ხედავს და იმახსოვრებს, ერთი ყველას ხედავს და ვერავის იმახსოვრებს.

\* \* \*

2291. **სიმრავლეში** იკარგება ერთეული.

2292. ადამიანის **სიმტკიცე** ჭირვეულობამ არ უნდა ჩაანაცვლოს.

\* \* \*

2293. მართლის **სიმტკიცე** თრგუნავს მატყუარას.

\* \* \*

2294. ადამიანის **სულიერ სიმტკიცეს** ფიზიკურად უსწორდებიან.

\* \* \*

2295. მოხუცის **ცრემლთან** შედარებით, ბავშვის **ტირილი სიმღერაა**.

\* \* \*

2296. **სიმწარეც** მოგეწონება, თუ ტკბილად მთავრდება.

\* \* \*

2297. **სინათლე** სიბნელით ფასდება.

\* \* \*

2298. **სინამდვილის** დამახინჯება, როგორც უკეთესის, ასევე უარესისკენ, იწვევს ცხოვრების დამახინჯებას.

\* \* \*

2299. იმაზე, რასაც **სიბერე ნანობს**, ახალგაზრდობას ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს.

\* \* \*

2300. **სინანული** ცოდვის წამალია.

\* \* \*

2301. ვინც **სინდისთან** მართალია, ის ყველასთან მართალია.

\* \* \*

2302. არ არსებობს კანონი, რომელსაც **სინდისი** ვერ შეცვლის.

\* \* \*

2303. ბევრს არ ემინია შეირცხვინოს **სინდისი**, რადგან ის არ გააჩნია.

\* \* \*

2304. დაკარგული **სინდისი** ძნელად საპოვნელია.

\* \* \*

2305. ვისაც პროფესიული **სინდისი** გააჩნია, წარმატებულიცაა.

2306. სინდისი ადამიანობის საზომია.

\* \* \*

2307. სინდისი აიძულებს ადამიანს წავიდეს ღათობაზე.

\* \* \*

2308. სინდისი ატკობს სიცოცხლეს.

\* \* \*

2309. სინდისი დარაჯობს სიკეთეს.

\* \* \*

2310. სინდისი სამოთხის საგზურია, უმისობა – ჯოჯოხეთის.

\* \* \*

2311. სინდისი სიმართლის შემოქმედი და დარაჯია.

\* \* \*

2312. სინდისი უნდა მართავდეს ადამიანს.

\* \* \*

2313. სინდისი ქმნის ადამიანს.

\* \* \*

2314. ჩვენი მოქმედებების მოწმე ჩვენი სინდისია და მან არასდროს არ უნდა გვიღალატოს.

\* \* \*

2315. სინდისით ვაჭრობა სარფიანი, მაგრამ სამარცხვინოა.

\* \* \*

2316. სინდისით ვაჭრობა სხეულს ამდიდრებს და სულს აღარბებს.

\* \* \*

2317. სინდისით ცხოვრება უკომფლიქტო ცხოვრებაა.

\* \* \*

2318. სინდისის თავისუფლება კი არა სინდისია საჭირო; სინდისი თვითონაა ზომიერად თავისუფალი.

\* \* \*

2319. სინდისის ქენჯნა ასპეტაკებს ადამიანის სულს.

\* \* \*

2320. სინდის-ნამუსმა თუ გიღალატა, სიგლახეს ადვილად იკადრებ.

2321. გაყილული სინდისის ფასი ადამიანობის დაკარგვას, რომელსაც ადამიანობასთან ერთად თუ დაიბრუნებ.

\* \* \*

2322. სინდისის თავისუფლება კი არა სინდისია საჭირო; სინდისი თვითონაა ზომიერად თავისუფალი.

\* \* \*

2323. სინდისის ქენჯნა ასპეტაკებს ადამიანის სულს.

\* \* \*

2324. სინდისს თუ ხშირად გაყიდი უსინდისო გახდები.

\* \* \*

2325. სინდისს მოწმე არ სჭირდება.

\* \* \*

2326. უსინდისო კაცის თამასუქიც არაა სანდო.

\* \* \*

2327. უსინდისობაა, დედის მაგინებელმა შვილმა გასაჭირში „ვაი დელო“ – თქვას.

\* \* \*

2328. უსინდისობით მოგებას სინდისით წაგება სჯობს.

\* \* \*

2329. ვინც ოჯახს არცხვენს, ის სოფელსაც არცხვენს და ქვეყანასაც.

\* \* \*

2330. მორცხვობა პატიოსნების ნიშანია.

\* \* \*

2331. ვისაც საკუთარი თავის არ რცხვენია, ის ბევრ სიგლახეს ჩაიდენს.

\* \* \*

2332. ვისაც შრომა რცხვენია უსირცხვილოა.

\* \* \*

2333. სირცხვილი ქცევის კოდექსის დარღვევის შიშია.

\* \* \*

2334. სირცხვილი ჩვენი – უძველესი თავის ქალა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ჩვენი ცოცხალი თავი.

2335. სხვის მაგივრად **სირცხვილი** მაღალი კეთილშობილების და ადამიანობის ნიშანია.

\* \* \*

2336. ვინც თავისი ოჯახის **სირცხვილია**, მას სირცხვილი არ აქვს.

\* \* \*

2337. მონანიება მხოლოდ მომავალში თუ აგვაცილებს **სირცხვილს**, ხოლო მომხდარს ვერ კურნავს ისე, როგორც უკურნებელია სირცხვილი ბერძნებისა – სოკრატეს, ებრაელებისა – ქრისტეს და ქართველებისა – ილიას მოკვდინების გამო.

\* \* \*

2338. ერთი **უსირცხვილობა** ათასჯერ შეგარცხვენს.

\* \* \*

2339. თავის გამოჩენა ძნელია, **შერცხვენა** კი – ადვილი.

\* \* \*

2340. საკუთარ თავთან მარტო დარჩენის არ უნდა **შეგრცხვეს**.

\* \* \*

2341. თუ ცდილობ სხვების **გასულელებას** – სისულელეს აკეთებ.

\* \* \*

2342. **სისულელე** არასოდეს მოკვდება, რადგან ერთი სისულელის ადგილს მეორე იკავებს.

\* \* \*

2343. **სისულელეა** სულელს სისულელე უმტკიცო.

\* \* \*

2344. **სისულელის** დასამტკიცებლად ერთი სიტყვაც არაა საჭირო; ერთი უადვილო გაცინებაც კმარა.

\* \* \*

2345. **სისულელის** მთქმელი პასუხის გამცემზე ნაკლებ სულელია.

\* \* \*

2346. საზიანო გაკეთებული **სისულელეა** და არა ნათქვამი.

2347. თუ შეეცდები გაუგო **სულელებს**, შენც გასულელდები.

\* \* \*

2348. ერთი **სულელი** ათას ჭკვიანს გაამწარებს.

\* \* \*

2349. ერთი **სულელი** მეორეს მხოლოდ სისულელით თუ აჯობებს.

\* \* \*

2350. **სულელი** თუ რამეს იტყვის და შეაქებ, გაუხარდება, მაგრამ ვერაფერს გაიგებს.

\* \* \*

2351. თანაბრად **სულელია**, ვინც სისულელეს სჩადის და ვინც სისულელეს ვერ ამჩნევს.

\* \* \*

2352. **სულელისთვის** ყველაფერი სულერთია.

\* \* \*

2353. შენი **სისუსტე** მოწინააღმდეგის ძლიერებას ნიშნავს.

\* \* \*

2354. რაც უფრო პატარა და **სუსტია** ადამიანი, მით უფრო მეტი ჭკუა სჭირდება.

\* \* \*

2355. ქართველებმა ერთმანეთთან ბრძოლაში რაც **სისხლი** დაღვარეს, ის რომ მტრისთვის დაეზოგათ, ალბათ დღესაც თამარის საქართველოს პატრონი ვიქნებოდით.

\* \* \*

2356. **სისხლით** გაჟღენთილ მილიონს უსისხლო ლარი სჯობს.

\* \* \*

2357. **სისხლით** მოპოვებულ დიდ წარმატებას უსისხლოდ მოპოვებული მცირე სჯობს.



**სიტუაცია, სიტყვა, სივრთხილი,  
სიღარიბე**

2358. სიტუაცია გვკარნახობს მოქმედებას.

\* \* \*

2359. აუწონავი სიტყვა ბაგეებს არ უნდა გასცდეს.

\* \* \*

2360. დაუფიქრებელი სიტყვა ნატყორცნ ქვაზე უარესია, რადგან, ქვისაგან განსხვავებით, სფერულად ვრცელდება.

\* \* \*

2361. ერთი მოზომილი სიტყვა სჯობს ათას მოუზომელს და უადილო ადგილას გამოთქმულს.

\* \* \*

2362. ერის სიტყვა მისი ყოველი წევრის სიტყვაა.

\* \* \*

2363. მოსწრებული სიტყვა სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს და სიმპათიას აღძრავს მოქმელისადმი.

\* \* \*

2364. რაგინდ კარგი იყოს სიტყვა, მხოლოდ თავის ადგილზე აქვს ფასი.

\* \* \*

2365. სიტყვა აზრის სტარტია, საქმე კი ფინიში.

\* \* \*

2366. სიტყვა აზრის წინამძღოლია.

\* \* \*

2367. სიტყვა დინჯად მოზომე, რომ მუნჯობა სანატრელი არ გაგიხდეს.

\* \* \*

2368. სიტყვა ეკუთვნის მოქმელს, ხოლო სარგებელი მსმენელს.

\* \* \*

2369. სიტყვა თუ ხალხმა შეიყვარა, ფრთებს გამოასხამს.

\* \* \*

2370. სიტყვა მარადიულია – სამწუხაროდ, ცუდი სიტყვაც.

2371. სიტყვა მხოლოდ სიტყვაა, საქმე კი სიტყვატაა და საქმეც.

\* \* \*

2372. სიტყვა საბუთად მაშინ იქცევა, როცა დაიწერება.

\* \* \*

2373. სიტყვა სანამ საქმედ იქცეოდეს, ჰაერის უბრალო რხევაა მხოლოდ.

\* \* \*

2374. სიტყვა საქმით შემოწმდება.

\* \* \*

2375. სიტყვა სიყვარულის მაცნეა – ხოლო კოცნა, დასტურის ბეჭედი.

\* \* \*

2376. ათას საქმე სიტყვას ერთი კარგი შენიშვნა სჯობს.

\* \* \*

2377. აუწონავ სიტყვას აუწონავი უსიამოვნება მოაქვს.

\* \* \*

2378. სიტყვას ადამიანის ემოციურობა ძალას მატებს.

\* \* \*

2379. სიტყვას მაშინ აქვს იარაღის ძალა, როცა მიზანში ხვდება.

\* \* \*

2380. სიტყვას, რომელიც გულის კარს ვერ შეაღებს აკლია სიბრძნე.

\* \* \*

2381. ცუდ სიტყვას ელვის სისწრაფე აქვს.

\* \* \*

2382. გრძელ სიტყვაში მოკლე აზრია.

\* \* \*

2383. ზოგს სიტყვაც არწმუნებს, ზოგს ფაქტიც – არა.

\* \* \*

2384. სიტყვები აზრის სამსახურში დგანან და მათი ფასი გადმოცემულ აზრშია.

2385. სიტყვები მაშინ ფასობს, როცა აზრს გადმოსცემენ.

\* \* \*

2386. სიტყვები ქმნიან აზრებს, აზრები კი – ცხოვრებას.

\* \* \*

2387. სიტყვებით შენდება აზრი.

\* \* \*

2388. სიტყვების გადახარჯვა უგუნურების ნიშანია.

\* \* \*

2389. სიტყვების ზღვიდან ყველას რომ საუკეთესო ვარიანტის შერჩევა შეეძლოს აზრის გამოსახატავად, ყველა გენიოსი იქნებოდა.

\* \* \*

2390. გრძელი სიტყვით გადმოცემული სიბრძნე ემალება გონებას.

\* \* \*

2391. ექიმი პაციენტის სიტყვით აგნებს ავადმყოფობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პაციენტმა მეტი იცის.

\* \* \*

2392. ის, რაც სიტყვით არ მოგწონს, არც საქმით მოგეწონება.

\* \* \*

2393. სიტყვის თავისუფლებას მოაქვს მოქმედების თავისუფლება.

\* \* \*

2394. სიტყვის ფასი საქმეშია.

\* \* \*

2395. სიტყვის ძალა საქმით იზომება.

\* \* \*

2396. სიფრთხილე კარგია, თუ რისკი არაა საჭირო.

\* \* \*

2397. სიფრთხილე სასარგებლოა, ხოლო ზედმეტი – საზიანო.

\* \* \*

2398. უფსკრულის პირას კი არ უნდა იჩენდე სიფრთხილეს, არამედ უფსკრულს უნდა ერიდებოდე.

2399. ლალი **სიღარიბე** სჯობს შებორკილ სიმდიდრეს.

\* \* \*

2400. **სიღარიბე** მხოლოდ მაშინაა სამარცხვინო, როცა იგი სიზარმაცითაა გამოწვეული.

\* \* \*

2401. **სიღარიბე** ნაკლებსამწუხარო იქნება, თუ სხვა ღარიბისკენაც გაიხედავ.

\* \* \*

2402. **სიღარიბეგამოვლილმა** არ უნდა დაივიწყოს **სიღარიბე**.

\* \* \*

2403. **სიღარიბეს** მალე დაძლევ, თუ ჭკუითაც არ ხარ ღარიბი.

\* \* \*

2404. ზოგიერთის **სიღარიბის** მიზეზი სიმდიდრეა, რომელსაც ვერ იყენებს.

\* \* \*

2405. **სიღარიბის** მკურნალი შრომაა.

\* \* \*

2406. ადამიანის დაუსაქმებლობა **სიღარიბისკენ** მიმავალი გზაა.

## სიყალბე, სიყვარული

2407. კარგად ჩაფიქრებული **სიყალბე** ახლოსაა ნამდვილთან.

\* \* \*

2408. არ კმარა **გიყვარდეს** ხალხი, ხალხსაც უნდა შეაყვარო თავი.

\* \* \*

2409. ყველა უნდა **გიყვარდეს**, მაგრამ არა ერთნაირად.

\* \* \*

2410. ერთნაირად სასიამოვნოა, როცა **გიყვარს** და, როცა გრძნობ, რომ უყვარხარ.

\* \* \*

2411. ვინც ძალიან **გვიყვარს**, მისგან პატარა წყენაც ღიღად გვტკენს გულს.

2412. თუ მხოლოდ შენი სიცოცხლე **გიყვარს**, საერთოდ სიცოცხლე არ გყვარებია.

\* \* \*

2413. კარგია, როცა **გიყვარს**, ან უყვარხარ, მაგრამ უკეთესია, როცა ორივეს გიყვართ.

\* \* \*

2414. რაც **გიყვარს** ყველაფერი ლამაზია.

\* \* \*

2415. როცა უსაზღვროდ **გიყვარს**, უსაზღვროდ ბედნიერი ხარ.

\* \* \*

2416. უფრო ადვილია ჭირი აიტანო მასთან, ვინც **გიყვარს**, ვიდრე ილხინო მასთან, ვინც გძულს.

\* \* \*

2417. **სიყვარული** ადამიანი ყოველთვის კარგად გვეჩვენება.

\* \* \*

2418. მოსიყვარულე ადამიანი თვითონაც **სიყვარულია**.

\* \* \*

2419. **სიყვარულზე** ყველა ზრუნავს — ბედნიერიც და უბედურიც.

\* \* \*

2420. **სიყვარულთან** განშორება თავზარდამცემია. თუ ასე არ არის, სიყვარული არც ყოფილა.

\* \* \*

2421. არაფრის და არავის **სიყვარული** შეუძლებელია.

\* \* \*

2422. დიდხანს ვერ ცოცხლობს ის **სიყვარული**, რომელიც მხოლოდ სილამაზეს ეფუძნება.

\* \* \*

2423. ერთხელ ცუდად მოპყრობით შეიძლება, სამუდამოდ დაკარგო **სიყვარული**.

\* \* \*

2424. ერის **სიყვარული** ისეთი განძია, რომელიც დიდი ღვაწლის გარეშე არავის მოუპოვებია.

2425. ვილაცის თუ რაღაცის **სიყვარული** ყველას აქვს. სიყვარულისგან სრულიად თავისუფალი ადამიანი არ არსებობს.

\* \* \*

2426. თუ **სიყვარული** ბედნიერებას არ განიჭებს, ეს არც არის სიყვარული.

\* \* \*

2427. კარგია, როცა სიძულვილს **სიყვარული** ცვლის.

\* \* \*

2428. ნამდვილი **სიყვარული** სიცოცხლის ბოლომდე ძლებს.

\* \* \*

2429. ორმხრივი **სიყვარული** სიცოცხლის ელექსირია.

\* \* \*

2430. რომ შეძლო ჭეშმარიტი **სიყვარული**, ჭეშმარიტი ადამიანი უნდა იყო.

\* \* \*

2431. **სიყვარული** ადვილად იბადება ძნელად კვდება.

\* \* \*

2432. **სიყვარული** ადვილად ძლევს ქალის სიმტკიცეს.

\* \* \*

2433. **სიყვარული** აკეთილშობილებს ადამიანს, სიძულვილი კი აბოროტებს.

\* \* \*

2434. **სიყვარული** აძლიერებს სულს.

\* \* \*

2435. **სიყვარული** მაშინაა ბედნიერება, თუ სიყვარულით პასუხობენ.

\* \* \*

2436. **სიყვარული** ბედნიერების წყაროა.

\* \* \*

2437. **სიყვარული** გამორიცხავს იარაღს.

\* \* \*

2438. **სიყვარული** გვაჯერებს.

2439. სიყვარული გრძნობაა, თუ მოვალეობად გადაიქცა –  
ქრება.

\* \* \*

2440. სიყვარული და გონიერება ერთმანეთს ამშვენებენ.

\* \* \*

2441. სიყვარული დასაწყისში კოცონია, შუაში – ცხელი  
ღაღარი, დასასრულს კი – ცივი ნაცარი.

\* \* \*

2442. სიყვარული მაღალი ხელოვნებაა.

\* \* \*

2443. სიყვარული და სიძულვილი ვერ თანაარსებობენ.

\* \* \*

2444. სიყვარული და სიძულვილი ყველგან ერთნაირია.

\* \* \*

2445. სიყვარული ზოგს უბნელებს გონებას, ზოგს კი უნათებს.

\* \* \*

2446. სიყვარული ერთადერთია, რომელთანაც ბრძენის  
სიბრძნეც კი უძღურია.

\* \* \*

2447. სიყვარული ზრდის მოთხოვნებს საკუთარი თავისადმი.

\* \* \*

2448. სიყვარული თვალნიღული ბრმაა.

\* \* \*

2449. სიყვარული თუ არ ღათესე, ისე ვერ მოიძკი.

\* \* \*

2450. სიყვარული თუ არ შეგიძლია, ცხოველსაც ჩამორჩები.

\* \* \*

2451. სიყვარული მიიზიდავს, ხოლო სიძულვილი განიზიდავს  
ადამიანებს.

\* \* \*

2452. სიყვარული მიმზიდველად წარმოაჩენს ყველაფერს.

\* \* \*

2453. სიყვარული საგმირო საქმისკენ უბიძგებს ადამიანს.

2454. **სიყვარული** სასიკეთოდ მომართული დიდი ძალაა.  
\* \* \*
2455. **სიყვარული** სიკეთეა, სიძულვილი – ბოროტება.  
\* \* \*
2456. **სიყვარული** სიკეთეს აფრქვევს.  
\* \* \*
2457. **სიყვარული** სიკეთისაკენ უბიძგებს ადამიანს.  
\* \* \*
2458. **სიყვარული** სიყვარულით მოიპოვება.  
\* \* \*
2459. **სიყვარული** სიყვარულით ცოცხლობს.  
\* \* \*
2460. **სიყვარული** სულიერი სიმდიდრეა.  
\* \* \*
2461. **სიყვარული** სულის საქმეა და არა ხორცის.  
\* \* \*
2462. **სიყვარული** უმიზეზოდ არც იბადება და არც კვდება.  
\* \* \*
2463. **სიყვარული** უნდა დაიმსახურო.  
\* \* \*
2464. **სიყვარული** უსიტყვოდაც მეტყველებს.  
\* \* \*
2465. **სიყვარული** უფასოდ მოღის, ფასი კი ძალიან მაღალი აქვს.  
\* \* \*
2466. **სიყვარული** უცნობი სამყაროა.  
\* \* \*
2467. **სიყვარული** ღრმა საიდუმლოებაა, არავინ იცის, საიდან მოვიდა და საით წავა.  
\* \* \*
2468. **სიყვარული** შობს, ხოლო სიძულვილი სპობს სიკეთეს.  
\* \* \*
2469. **სიყვარული** უფრო საიმედო დამცველია, ვიდრე იარაღი.



2470. **სიყვარული** ფულს ჰგავს, მას გონივრულად ხარჯვა უნდა, რომ ხელში არ ჩაგადნეს.

\* \* \*

2471. **სიყვარული** ყველაფერს ამარტივებს.

\* \* \*

2472. **სიყვარული** ცოტას თხოულობს და იძლევა ყველაფერს.

\* \* \*

2473. **სიყვარული**, წყალქვეშა დინებებით **სიყვარული** არ არის.

\* \* \*

2474. სხვების **სიყვარული**, თუ ყოველთვის გულწრფელია შენში, შენც საყვარელ ადამიანად გაქცევს.

\* \* \*

2475. უმიზეზოდ მოსული **სიყვარული** უმიზეზოდ წავა.

\* \* \*

2476. შენს სულსა და გულში **სიყვარული** მაშინ იზეიმებს, როცა სხვასაც საკუთარ თავსავით შეიყვარებ.

\* \* \*

2477. შეუღლების მიზეზი მხოლოდ **სიყვარული** უნდა იყოს.

\* \* \*

2478. შვილების **სიყვარული** ხელს გვიშლის მათი ნაკლის დანახვაში, მით უმეტეს – აღიარებაში.

\* \* \*

2479. ცალმხრივი **სიყვარული** ტანჯავა, რომელიც სხვა სიყვარულით იკურნება.

\* \* \*

2480. ცალმხრივი **სიყვარული** სასიკვდილოდაა განწირული.

\* \* \*

2481. ჭეშმარიტი **სიყვარული** ყოველთვის იზრდება.

\* \* \*

2482. შვილებს სხვისი **სიყვარული** ასწავლეთ თუ გინდათ თქვენ შეგიყვარონ.

\* \* \*

2483. თუ **სიყვარულია**, გზა ყოველმხრივ ხსნილია.

2484. შეყვარებულთა მოვალეობა მხოლოდ **სიყვარულია**, ცოლ-ქმრისა – კიდევ ათასი რამ.

\* \* \*

2485. ვინც მხოლოდ ხორციელი **სიყვარულით** კმაყოფილდება, ცხოველია.

\* \* \*

2486. **სიყვარულით** არსესობს სიცოცხლე.

\* \* \*

2487. **სიყვარულით** ზოგს ჭკუა ემატება, ზოგი კი კარგავს.

\* \* \*

2488. **სიყვარულით** მოძღვნილი ყველაზე მეტად ფასობს.

\* \* \*

2489. **სიყვარულით** ცხოვრება ღიდი მოვალეობაა, მაგრამ არც უსიყვარულოდ ცხოვრებაა ადვილი.

\* \* \*

2490. ადამიანში **სიყვარულის** საწყისი დედაა და თუ ვინმემ მისი სიყვარული ვერ შეძლო, ქვეყნად ვერავის შეიყვარებს.

\* \* \*

2491. არ მოხდება, რომ ქვეყანამ და ხალხმა სიკეთისა და **სიყვარულის** სანაცვლო უკან არ დაგებრუნოს.

\* \* \*

2492. ბევრს **სიყვარულის** მოპარვა ქურდობა არ ჰგონია.

\* \* \*

2493. ვისაც **სიყვარულის** გრძნობა არ აქვს, არც ადამიანად ვარგა.

\* \* \*

2494. იმის გამო, რომ არ არსებობს **სიყვარულის** საზომი, ყველას ჰგონია, რომ მას ყველაზე მეტად უყვარს.

\* \* \*

2495. მაღალი ღირსებები ამაღლებს **სიყვარულის** ძალას.

\* \* \*

2496. ვინმე რომ შეიყვარო საპასუხო სიყვარულის იმედია საჭირო.

2497. სიყვარულის გამო ჩაიღინო სისულელე, ეს სიყვარულის კი არა უგუნურობის ნიშანია.

\* \* \*

2498. სიყვარულის განცდა ბედნიერებით ავსებს ადამიანს.

\* \* \*

2499. სიყვარულის გაყოფა ატყუებს ადამიანს: ჰგონია, ძველიც შეინარჩუნა და ახალიც მოიპოვა; სინამდვილეში ორივეს კარგავს.

\* \* \*

2500. სიყვარულის გრძნობა ყველაშია, მაგრამ მას გამოწვევა სჭირდება.

\* \* \*

2501. სიყვარულის გრძნობის დაკარგვა ადამიანობის დაკარგვაა.

\* \* \*

2502. სიყვარულის დამარცხება მხოლოდ სიბუღვილს შეუძლია.

\* \* \*

2503. სიყვარულის დასაწყისი ტკბილია, დასასრული კი — მწარე.

\* \* \*

2504. სიყვარულის მიზანი მხოლოდ სიკეთეა.

\* \* \*

2505. სიყვარულის საზრდო ხალისია, მოწყენილობა — მტერი.

\* \* \*

2506. სიყვარულის სამყოფელი გულია და მას სხვაგან ვერსად შეინახავ.

\* \* \*

2507. სიყვარულის სიმტკიცე ცოლ-ქმრისგან ერთმანეთის პატივისცემასა და მიზნების შერწყმას მოითხოვს.

\* \* \*

2508. სიყვარულის სიჭარბეც საშიშია და ნაკლებობაც.

\* \* \*

2509. სიყვარულის ურყევი საფუძველი ურთიერთპატივისცემაა.

2510. **სიყვარულის** ფასად მტერიც შეიძლება მეგობრად გადაიქცეს.

\* \* \*

2511. **სიყვარულის** შედეგი ამოუცნობია. იგი ზოგს აბედნიერებს, ზოგს აუბედურებს.

\* \* \*

2512. **სიყვარულის** ცეცხლი გწვავს და სიამოვნებას განიჭებს.

\* \* \*

2513. **სიყვარულის** ძალა სიკეთეშია, ხოლო სიძულვილისა – ბოროტებაში.

\* \* \*

2514. სხვადასხვა გულს **სიყვარულის** სხვადასხვა შესაძლებლობა აქვს.

\* \* \*

2515. ვინც **სიყვარულისთვის** მოკვდა, საკუთარი სიყვარული მოკლა.

\* \* \*

2516. **სიყვარულიც** და სიძულვილიც ჩაისახება რა ადამიანის გულში, ცდილობს იპოვოს მიზეზი, რათა გაიზარდოს.

\* \* \*

2517. **სიყვარულმა** თავგანწირვა იცის.

\* \* \*

2518. ბედნიერებაა, როცა **სიყვარულს** სიყვარულით პასუხობენ.

\* \* \*

2519. დაკარგულ **სიყვარულს** არც ტირილი უხდება და არც ღავიწყება.

\* \* \*

2520. დიდ **სიყვარულს** დიდი გაფრთხილება უნდა.

\* \* \*

2521. **სიყვარულს** თვალები აქვს, მაგრამ მხედველობა არა.

\* \* \*

2522. თუ **სიყვარულს** უნდა გვერდით ჩაგეაროს, ხელი უნდა დაუქნიო.

2523. იმ **სიყვარულს** მეტი დაფასება უნდა, რომელსაც არ იმსახურებ.

\* \* \*

2524. მამაკაცის და ქალის ურთიერთმოკრძალება აძლიერებს **სიყვარულს**.

\* \* \*

2525. მხოლოდ **სიყვარულს** შეუძლია, რომ სრულიად უცხო ადამიანი ცხოვრების უპირველეს მეგობრად აქციოს.

\* \* \*

2526. როცა ქალი **სიყვარულს** კარგავს, დანაკარგზე მეტად შელახული თავმოყვარეობა აწუხებს.

\* \* \*

2527. როცა ყველა **სიყვარულს** გეფიცება, იცოდე, ყველას არ უყვარხარ.

\* \* \*

2528. საკუთარი თავის **სიყვარულს** სიკვდილამდე ვერ გაეყრები.

\* \* \*

2529. **სიყვარულს** არც მონობა სჭირდება და არც ბატონობა, ორივე მტერია მისი.

\* \* \*

2530. **სიყვარულს** გული უფრო სჭირდება, ვიდრე სილამაზე.

\* \* \*

2531. **სიყვარულს** თვალები იწყებენ.

\* \* \*

2532. **სიყვარულს** იარაღზე მეტი ძალა აქვს.

\* \* \*

2533. **სიყვარულს** ისეთივე ყურადღება სჭირდება, როგორიც საკუთარ სიცოცხლეს.

\* \* \*

2534. **სიყვარულს** მხოლოდ კეთილი მიზნები აქვს.

\* \* \*

2535. **სიყვარულს** სიკეთე კვებავს.

2536. **სიყვარულს** სიკეთე წარმოშობს და აძლიერებს.

\* \* \*

2537. **სიყვარულს** სიკეთის პროპორციულად მოიმკი.

\* \* \*

2538. **სიყვარულს** სიყვარულის მიზეზი სჭირდება.

\* \* \*

2539. **სიყვარულს** სტიქიის ძალა აქვს.

\* \* \*

2540. **სიყვარულს** ტკბილი ენა აქვს, სიძულვილს – მწარე.

\* \* \*

2541. **სიყვარულს** უნდა დაუთმო ის, რაც სიყვარულს სჭირდება.

\* \* \*

2542. **სიყვარულს** უყურადღებობა სპობს.

\* \* \*

2543. **სიყვარულს** შეუძლია დაიკვეხოს მომხმარებელთა სიმრავლით.

\* \* \*

2544. **სიყვარულსაც** სჭირდება ზომიერება.

\* \* \*

2545. **სიყვარულსაც** უნდა გაუწმინდო გზა, რომ გეწვიოს.

\* \* \*

2546. **კარგს სიყვარულისგან** აზვიადებენ, ხოლო ცუდს სიძულვილისგან.

\* \* \*

2547. **სიყვარულში** თუ ფული და სიმდიდრე მნიშვნელოვანია, მაშინ სიყვარული იქნება უმნიშვნელო.

\* \* \*

2548. **სიყვარულში** თუ ფულს იხდიან, ეს მომსახურებაა და არა სიყვარული.

\* \* \*

2549. **სიყვარულში** მაქსიმალური სიკეთეა და მინიმალური ბოროტება.

2550. სჯობს **სიყვარულში** დაიფერფლო, ვიდრე უსიყვარულოდ იცოცხლო.

\* \* \*

2551. **სიყვარულშია** ვნება და არა ვნებაში სიყვარული.

\* \* \*

2552. კაცობრიობა **უსიყვარულოდ** ვერ იარსებებს.

\* \* \*

2553. **უსიყვარულოდ** სიკეთეც ფერმკრთალია.

\* \* \*

2554. თუ ოჯახის წევრებს არ **უყვართ** ერთმანეთი, თუ თანასოფლელები და თანაქალაქელები ერთმანეთს პატივს არ სცემენ, ასეთი არც ოჯახი ვარგა, არც სოფელი და არც ქალაქი.

\* \* \*

2555. ვისაც გულითადად **უყვარს**, მას უჭირს გამხელა.

\* \* \*

2556. კარგია, თუ მოსწავლეს **უყვარს** მასწავლებელი, ხოლო მასწავლებელს აუცილებლად უნდა უყვარდეს მოსწავლე.

\* \* \*

2557. ვისაც სიკეთე **უყვარს**, ყველას სიყვარულს შეძლებს.

\* \* \*

2558. სამშობლოც ყველას სხვადასხვანაირად **უყვარს**.

\* \* \*

2559. ყველას შეუძლია მოწიოს თამბაქო, ვისაც თავი არ **უყვარს**.

\* \* \*

2560. რაც მეტს **უყვარხარ**, მით მეტ სიკეთეს მოიძიკი.

\* \* \*

2561. არ შეიძლება მოითხოვო, რომ **შეგიყვარონ**. სიყვარული უნდა დაიმსახურო.

\* \* \*

2562. თუ გსურს მეტად **შეგიყვარონ**, უნდა აუკრძალო შენი სიყვარული.

2563. შეიყვარე და შეგიყვარებენ.

\* \* \*

2564. სხვისას რომ ზედმეტად შეიყვარებ ის სიყვარული შენსას დააკლდება.

\* \* \*

2565. საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს სხვა ნაკლებად მოსწონს.

\* \* \*

2566. შეყვარებულები, ერთმანეთის გარდა, ვერაფერს ხედავენ.

**სიშმაგვი, სიჩუმე, სიცარიელე, სიცილი,  
სიცოცხლე, სიცრუე, სიძნელე, სიძულვილი,  
სიძუნწე, სიჭმინდე, სიჭარბე,  
სისარული, სიჯიუტე**

2567. ადამიანის სიშმაგე ხანძარს ჰგავს, რაც მეტს დააგვიანებ მის განელებას, მით აუტანელი იქნება შედეგი.

\* \* \*

2568. თუ გიჭირს გაარჩიო, სიჩუმე სჯობს თუ შენი სათქმელი, აირჩიე სიჩუმე.

\* \* \*

2569. უფრო ძნელია ასწავლო სიჩუმე, ვიდრე ლაპარაკი.

\* \* \*

2570. სიჩუმე მოსაწყენია, ბევრი ლაპარაკი – მოსაბეზრებელი.

\* \* \*

2571. სიჩუმე საუკეთესოა საკუთარი თავის მოსასმენად.

\* \* \*

2572. სიჩუმე ყრუს და არაყრუს ერთნაირად ესმით.

\* \* \*

2573. სიჩუმე და სიბრძნე ძმები არიან.

\* \* \*

2574. აუტანელია სიცოცხლით სავსე და საყვარელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ გაჩენილი სიცარიელე.



2575. როცა ადამიანები ერთმანეთზე იცინიან, ორივე სასაცილოა.

\* \* \*

2576. ვინც იცინის ტირილიც უნდა იცოდეს.

\* \* \*

2577. კარგი კბილების პატრონი ყველაფერზე არ უნდა იცინოდეს.

\* \* \*

2578. ზოგიერთის სიცილი უფრო სასაცილოა, ვიდრე მისი სასაცილო ფრაზა.

\* \* \*

2579. სიცილი არაფერს გვასწავლის, ცრემლი კი – ბევრს.

\* \* \*

2580. ჩვენ მხოლოდ აწმყოში ვცოცხლობთ, თუმცა ჩვენი სიცოცხლე ჩვენი წარსულის და მომავლის ჯამია.

\* \* \*

2581. გინდა დიდხანს იცოცხლო? – არასოდეს დაუგვიანო ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობას.

\* \* \*

2582. სჯობს იცოცხლო ღარიბად, ვიდრე მოკვდე მდიდრად.

\* \* \*

2583. უფრო ვაჟკაცურია, იცოცხლო ტანჯვაში, ვიდრე თვითმკვლელობით განერიდო სატანჯველს.

\* \* \*

2584. ადამიანმა უნდა იცოცხლოს, მანამ, სანამ ახსოვს რისთვის ცოცხლობს.

\* \* \*

2585. ადამიანთა სიცოცხლე სიცოცხლის უკვდავებას ქმნის.

\* \* \*

2586. ადამიანი მთელი სიცოცხლე საკუთარი მომავლის წარსულში გადატვირთვითაა დაკავებული.

\* \* \*

2587. ადამიანის სიცოცხლე მარადისობის ნამცეცია.

2588. არ არსებობს **სიცოცხლე**, რომელსაც სიკვდილი ვერ დაიმორჩილებს.

\* \* \*

2589. გარანტირებული **სიცოცხლე** მხოლოდ ჭადრაკის მეფეს აქვს.

\* \* \*

2590. გინდოდეს **სიცოცხლე**, ნიშნავს მოქმედებდე.

\* \* \*

2591. ერთი **სიცოცხლე** არ ჰყოფნის ადამიანის სრულყოფილებას.

\* \* \*

2592. ვისაც მეტი **სიცოცხლე** სჭირდება დრო ნალებად უნდა დაკარგოს.

\* \* \*

2593. თითოეული **სიცოცხლე** მოკვდავია, ზოგადად **სიცოცხლე** კი — მარადიული.

\* \* \*

2594. თუ **სიცოცხლე** არ გახარებს, სიკვდილი ვერ შეგაშინებს.

\* \* \*

2595. თუ **სიცოცხლე** მოისპო, სიკვდილიც თან გაჰყვება.

\* \* \*

2596. იშვიათია **სიცოცხლე**, რომელმაც იცის თავისი უკვდავება.

\* \* \*

2597. კარგად გატარებული დღე სიამოვნებაა, ხოლო კარგად გატარებული **სიცოცხლე** — ბედნიერება.

\* \* \*

2598. მხოლოდ **სიცოცხლე** წარმოშობს **სიცოცხლეს**.

\* \* \*

2599. **სიცოცხლე** არსებობისათვის შრომას მოითხოვს.

\* \* \*

2600. **სიცოცხლე** აღსავსეა საიდუმლოებებით, ხოლო სიკვდილი თვითონაა საიდუმლოება.

2601. სიცოცხლე განძია, ხოლო ჯანმრთელობა – მისი დღეგრძელობა.

\* \* \*

2602. სიცოცხლე გენიჭება შენი არჩევანის გარეშე, ხანგრძლივობა კი შენზეა დამოკიდებული.

\* \* \*

2603. სიცოცხლე და სიკვდილი ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, არავინ იცის, რომელი რომელს უთმობს ადგილს.

\* \* \*

2604. სიცოცხლე და ცხოვრება ურთიერთდამოკიდებული ცნებებია და უერთმანეთოდ არ არსებობს.

\* \* \*

2605. სიცოცხლე ითხოვს ზრუნვას, სიკვდილი კი უზრუნველად გვეწვევა.

\* \* \*

2606. სიცოცხლე იმსახურებს, რომ ემსახურო მას.

\* \* \*

2607. სიცოცხლე იმსახურებს სიყვარულს.

\* \* \*

2608. სიცოცხლე ისე უნდა გამოიყენო, რომ ცხოვრებამ გვერდით არ ჩავიაროს.

\* \* \*

2609. სიცოცხლე კითხვის ნიშნებითაა სავსე.

\* \* \*

2610. სიცოცხლე მხოლოდ აწმყოში არსებობს, რომელიც მომავლისკენ მოძრავი მომავლის წარსულში გადატვირთვის მყისიერი მომენტია.

\* \* \*

2611. სიცოცხლე რომ დააფასო, უნდა გახსოვდეს სიკვდილის არსებობა.

\* \* \*

2612. სიცოცხლე რომ უმაღლესი სიკეთეა ამქვეყნად, ამას თვით სიკვდილის საშინელება ადასტურებს.

2613. სიცოცხლე ხანგრძლივი იქნებოდა ჩვენ რომ არ გამოკლებდეთ.

\* \* \*

2614. სიცოცხლე სანთელს ჰგავს – თუ არ ჩააქრობ ბოლომდე იწვის.

\* \* \*

2615. სიცოცხლე საუკეთესო სიკეთეა.

\* \* \*

2616. სიცოცხლე სიცარიელეა, თუ ცხოვრებით არაა გაჯერებული.

\* \* \*

2617. სიცოცხლე სხვათა სიცოცხლითაა უკვდავი.

\* \* \*

2618. სიცოცხლე ტბილია, მაგრამ ზოგჯერ ცხოვრება ამწარებს.

\* \* \*

2619. სიცოცხლე უმაღლესი სიკეთეა და მას ყველაფერი უნდა შეეწიროთ, თვით სიცოცხლის გარდა.

\* \* \*

2620. სიცოცხლე უნდა გიყვარდეს, რომ დიდხანს იცოცხლო.

\* \* \*

2621. სიცოცხლე უცვლელია, ცხოვრება კი – ცვალებადი.

\* \* \*

2622. სიცოცხლე უწყვეტად იხარჯება.

\* \* \*

2623. სიცოცხლე ქმნის ყველაფერს.

\* \* \*

2624. სიცოცხლე ცხოვრების საშუალებაა.

\* \* \*

2625. სიცოცხლე ძალიან ძვირი ჯდება, ყველაფერი მას ხმარდება.

\* \* \*

2626. სიცოცხლე წარმავალი სიტკბოა.

2627. ყველა **სიცოცხლე** სიკვდილით მთავრდება.

\* \* \*

2628. ყველას ჰგონია, რომ კვდება მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდება **სიცოცხლე**.

\* \* \*

2629. ყოველი **სიცოცხლე** უწყვეტად მიიწევს სიკვდილისაკენ.

\* \* \*

2630. ჩვენი **სიცოცხლე** მარადისობის უმცირესი ნაწილია და მასში ერთი წამიც არ არის დასაკარგი.

\* \* \*

2631. წუთიერ სიკვდილს მიაქვს მთელი **სიცოცხლე**.

\* \* \*

2632. ადამიანში ყველაზე ძირფასი **სიცოცხლეა** და ის უბრალო რამეს არ უნდა შეწირო.

\* \* \*

2633. ყველას ჰქონდეს და ყველასთვის სანატრელი იყოს, ასეთი მხოლოდ **სიცოცხლეა**.

\* \* \*

2634. **სიცოცხლეზე** უკეთესი ბუნებაში არაფერი არსებობს.

\* \* \*

2635. უარს არავინ ამბობს **სიცოცხლეზე**, მაგრამ ყველა კვდება.

\* \* \*

2636. ადამიანებს ამქვეყნად ყველაზე ძვირფასს – **სიცოცხლეს** უკითხავად ჩუქნიან.

\* \* \*

2637. ადამიანი მთელი არსებობის მანძილზე ემსახურება საკუთარ **სიცოცხლეს**.

\* \* \*

2638. ადამიანის **სიცოცხლეს** უხილავად დაჰყვება სიკვდილი.

\* \* \*

2639. ადამიანმა **სიცოცხლეს** ბევრი უნდა გამოსძალოს და სიკვდილს ცოტა დაუტოვოს.

2640. დაკარგულ სიცოცხლეს ღმერთიც ვერ დაგიბრუნებს.

\* \* \*

2641. ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი ამწარებს მთელ სიცოცხლეს.

\* \* \*

2642. ვინც სიცოცხლეს აფასებს, დროს რაციონალურად იყენებს.

\* \* \*

2643. ვინც სიცოცხლეს კარგავს, ის ყველაფერს კარგავს.

\* \* \*

2644. თუ სიცოცხლეს უფროთხილდები, კარგი მეომარი ვერ იქნები.

\* \* \*

2645. რაც მეტს ცოცხლობ, მით მეტად უფროთხილდები სიცოცხლეს.

\* \* \*

2646. სიცოცხლეს აუცილებლად მოჰყვება სიკვდილი, სიკვდილს კი არასდროს მოჰყოლია სიცოცხლე.

\* \* \*

2647. სიცოცხლეს აქვს საზღვრები, რომელსაც ჩვენ არ ვაღიარებთ, მაგრამ ვემორჩილებით.

\* \* \*

2648. სიცოცხლეს ბევრს ართმევენ, სიკვდილს კი – არავის.

\* \* \*

2649. სიცოცხლეს ვერ გაიმეორებ.

\* \* \*

2650. სიცოცხლეს ისე უნდა გაუფროთხილდე, რომ ფინიშთან ბოლო ნიშნულზე მიხვიდე.

\* \* \*

2651. სიცოცხლეს მაშინ იმსახურებ, როცა სიკეთეს ემსახურები.

\* \* \*

2652. სიცოცხლეს სისიკეთოდ გამოყენება სჭირდება.

2653. **სიცოცხლეს** ქმნის **სიცოცხლე**.

\* \* \*

2654. **სიცოცხლეს** ჩანასახიდანვე უჩნდება საკუთარი წარსული.

\* \* \*

2655. **სიცოცხლეს** წლები სჭირდება, სიკვდილს კი – წამები.

\* \* \*

2656. ცარიელი თავი ადვილად იმეტებს **სიცოცხლეს**.

\* \* \*

2657. **სიცოცხლეში** მომავალი სიკვდილი არავის უგლოვია.

\* \* \*

2658. **სიცოცხლეში** ღვაწლის დაფასება დიდ მოღვაწეთა ხვედრია, თუმცა, სიკვდილის შემდეგ დაფასება, უფრო რეალური დაფასებაა.

\* \* \*

2659. **სიცოცხლეში** ღირსეულს, მკვდარსაც ღირსეულად აფასებენ.

\* \* \*

2660. **სიცოცხლეში** ყველაფერია, სიკვდილში კი – არაფერი.

\* \* \*

2661. დასაბამიდან დღემდე **სიცოცხლით** გული არავის უჯერებია.

\* \* \*

2662. **სიცოცხლით** სავსე ადამიანი მეტსაც ცოცხლობს და შინაარსიანადაც.

\* \* \*

2663. ადამიანის **სიცოცხლის** აზრი მის მიზნებშია.

\* \* \*

2664. ადამიანის **სიცოცხლის** გადასარჩენად ყველა ხერხი მისაღებია.

\* \* \*

2665. ბუხარში კვამლი **სიცოცხლის** ნიშანია.

\* \* \*

2666. დაბადება ქმნის **სიცოცხლის** მარადისობას.

2667. ვინც **სიცოცხლის** სამოთხედ გადაქცევას ცდილობს ვოჯოხეთში ცხოვრობს.

\* \* \*

2668. მთელი **სიცოცხლის** საფასურს ყველა თავისი სიკვდილით იხდის.

\* \* \*

2669. რა წარმატებასაც უნდა მიაღწიოს კაცობრიობამ **სიცოცხლის** პრობლემის გადაწყვეტაში, ის მანც გადაუწყვეტელ პრობლემად დარჩება.

\* \* \*

2670. საკვების გადახარჯვა **სიცოცხლის** შემოკლებაა და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

\* \* \*

2671. საკუთარი **სიცოცხლის** ხანგრძლივობა რომ დააზუსტო, ბოლომდე უნდა იცოცხლო.

\* \* \*

2672. **სიცოცხლის** აზრი ისაა, რასაც ჩვენი მოღვაწეობით ვღებთ მასში.

\* \* \*

2673. **სიცოცხლის** არსი მოქმედებაშია.

\* \* \*

2674. **სიცოცხლის** გამოყენებაა ცხოვრება.

\* \* \*

2675. **სიცოცხლის** გახანგრძლივება ძნელია, შემოკლება კი – ადვილი.

\* \* \*

2676. **სიცოცხლის** დაკარგვის შიში, უპირველესად თვითონ სიცოცხლეს ამოკლებს.

\* \* \*

2677. **სიცოცხლის** უპირველესი მოვალეობა სიკვდილთან ბრძოლა და მომავალი სიცოცხლის შექმნაა.

\* \* \*

2678. **სიცოცხლის** ყველაზე დიდი აზრი თვით სიცოცხლეშია.



2679. **სიცოცხლის** წარმოშობის ერთი გზა არსებობს, სიკვდილის კი – უამრავი.

\* \* \*

2680. ყოველ დღეს მიაქვს ადამიანის **სიცოცხლის** ნაწილი, ჩვენ კი მხოლოდ ბოლო დღეს ვტირით.

\* \* \*

2681. შენი საქმიანობით უნდა ამტკიცებდე, რომ **სიცოცხლის** ღირსი ხარ.

\* \* \*

2682. წმინდა გული წმინდა **სიცოცხლის** გარანტიაა.

\* \* \*

2683. ყველა თავისი **სიცოცხლისათვის** მებრძოლი ჯარისკაცია.

\* \* \*

2684. არავის **უცოცხლია** სხვისი სიცოცხლით და არავინ მომკვდარა სხვისი სიკვდილით.

\* \* \*

2685. ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ისაა, რომ **ცოცხალი** ხარ.

\* \* \*

2686. დიდხანს მხოლოდ სახელოვანი მკვდრები **ცოცხლობენ**.

\* \* \*

2687. **სიცრუე** ვერ დამალავს სიმართლეს, სიმართლე არ დამალავს სიცრუეს.

\* \* \*

2688. **სიცრუეს** თუ იჯერებენ, ამით სიმართლედ არ იქცევა.

\* \* \*

2689. **სიცრუეს** უარი სჯობს.

\* \* \*

2690. **სიცრუით** დალუპულს სიმართლე იხსნის.

\* \* \*

2691. **სიცრუით** ზღვა სიბრძნე გამოითქმება.

\* \* \*

2692. **სიცრუის** ბოლო სიმართლეა.

2693. სიცრუის მტერი სიმართლეა.

\* \* \*

2694. თვალთმაქცობაა, ღიმილით შეხვდე ადამიანს, რომელიც გბუღს.

\* \* \*

2695. თუ ვინმე ძალიან გბუღს, მის მიმართ უხეში ხარ, თუ არ გბუღს – გულგრილი, თუ გიყვარს – კეთილმოსურნე.

\* \* \*

2696. გაჭირვებამ კაცთმოძულედ ვერ უნდა გაქციოს.

\* \* \*

2697. სიბუღვილი სულიერად აკნინებს ადამიანს.

\* \* \*

2698. სხვისი სიბუღვილით მასზე უარესი არ უნდა გახდე.

\* \* \*

2699. სხვისი სიბუღვილით საკუთარ თავს აბოროტებ.

\* \* \*

2700. ხუმრობაში სიბუღვილის ნატამალიც არ უნდა ერიოს და სიხარულს უნდა ჰკვრიდეს ადამიანებს.

\* \* \*

2701. სიბუღვილიც ისევე მარადიულია, როგორც სიყვარული.

\* \* \*

2702. სიბუღვილიც კარგია, თუ იცი, ვინ შეიბუღო.

\* \* \*

2703. მცირე სიბუღვილს ღიმილი სიყვარულის მოსპობა შეუძლია.

\* \* \*

2704. სიბუღვილს მხოლოდ სიყვარულით უნდა უმკურნალო.

\* \* \*

2705. უხამსს ისე სბუღს წესიერება, როგორც წესიერს უხამსობა.

\* \* \*

2706. ადამიანის მობუღე უნდა იყო, რომ ადამიანებს თავი შეაბუღო.

2707. თავის მტერი უნდა იყო, რომ ხალხს თავი შეაძულო.

\* \* \*

2708. თუ ერთი ადამიანი ახერხებს, რომ მეორეს ადამიანები შეაძულოს, ეს მეორის სისუსტეა და არა პირველის ძლიერება.

\* \* \*

2709. საკუთარი არასრულყოფილების გამო თავი კი არ უნდა შეიძულო, გამოსწორებას უნდა შეეცადო.

\* \* \*

2710. თუ ქალაქში ვინმე შეგბუღდება, მთელი ქალაქი არ უნდა შეიძულო.

\* \* \*

2711. სიძუნწე სულთ სიღარიბეა.

\* \* \*

2712. სიწმინდე მხოლოდ წმინდა ადამიანისთვისაა წმინდა.

\* \* \*

2713. სიჭარბე აუფასურებს ყველაფერს.

\* \* \*

2714. ვისაც ამქვეყნად ჩვენი მოსვლა გაუხარდა, წასვლაც ეწყინება.

\* \* \*

2715. კარგი რომ იყო სხვისი კარგობა უნდა გახარებდეს.

\* \* \*

2716. არაფერია სასიხარულო იმაში, მკვდრებს თუ მხოლოდ იმით ვჯობნი, რომ ცოცხალი ხარ.

\* \* \*

2717. სიხარული ახალისებს სიცოცხლეს.

2718. სიხარულის ცრემლი დიდი ბედნიერების ნიშანია.

\* \* \*

2719. ცრემლი და სიცილი ერთად სიხარულის ნიშანია.

\* \* \*

2720. ადამიანებსაც ახასიათებთ კომპასის სიჯიუტე.

**სკლეროზი, სკულპტურა, სმა, სმენა,  
სრულყოფილება, სტარტი, სტუმარი,  
სულელი, სული, სურათი, სურვილი,  
სუსტი, სუფთა, სუფრა, სწავლა,  
სხეული, სხვაგვარი**

2721. **სკლეროზი** სხვას არაფერს, თორემ თავის თავს დღეში ასჯერ შეგახსენებს.

\* \* \*

2722. როცა ღილები შეკვრა გავიწყდება, ეს **სკლეროზის** მსუბუქი ფორმაა, ხოლო თუ შეხსნა – მძიმე.

\* \* \*

2723. ზოგჯერ **სკულპტურა** ჩაგვაფიქრებს: ქვა იქცა ადამიანად თუ ადამიანი ქვად?

\* \* \*

2724. კაცი, რომელიც შესანდობარსაც არ **დალევს**, ისეთივე არასასურველია, როგორც უზომოდ მთვრალი.

\* \* \*

2725. რამდენიც გინდა **დალიე**, ოღონდ დათრობამდე.

\* \* \*

2726. ვინც გასულელებამდე **სვამს**, დალევაამდეც სულელია.

\* \* \*

2727. ადამიანის **სმენას** არ შეუძლია არ ისმინოს.

\* \* \*

2728. **სრულყოფილება** არ არსებობს.

\* \* \*

2729. ყველაფერი, ისიც კი, რასაც ალტაცებაში მოვყავართ, **სრულყოფილებისაგან** შორს არის.

\* \* \*

2730. **სრულყოფილია** ადამიანი, რომელიც სხვისი უბედურებით თავს უბედურად იგრძნობს.

\* \* \*

2731. **სტარტზეა** დამოკიდებული ფინიში და არა ფინიშზე სტარტი.

2732. სტუმარი, რომელიც თავს მასპინძლად გრძნობს, უზრდელია.

\* \* \*

2733. „სტუმარი ღვთისაა”, მასპინძლობა კი – ჩვენი.

\* \* \*

2734. სტუმარს თუ პატივს სცემენ, დიდხანს სტუმრობს.

\* \* \*

2735. სულელზე არ უნდა იფიქრო, რომ სისულელეს არ ჩაიდენს.

\* \* \*

2736. სულელის თვალში ისე ხედავს, როგორც გონება.

\* \* \*

2737. სულელის ჭკუა მხოლოდ სისულელეს ჰყოფნის.

\* \* \*

2738. სულელისაგან ჭკვიანური არ უნდა მოითხოვო.

\* \* \*

2739. სულელს სისულელე არ მოსწყინდება.

\* \* \*

2740. სულელს სისულელე უნდა დაუმოწმო, მაგრამ არ უნდა დაიჯერო.

\* \* \*

2741. სულელურ კითხვას არა აქვს ჭკვიანური პასუხი.

\* \* \*

2742. რაც უნდა გქონდეს მაღალი სული,  
აკრძალულისკენ მიგიწევს გული.

\* \* \*

2743. სპეტაკია სული? – სპეტაკია ადამიანიც.

\* \* \*

2744. სულიერად გატეხილი ადამიანი ადვილად ეგუება ბოროტებას.

\* \* \*

2745. წართვა ქვეყანას ეროვნული სულიერი სამყარო –  
ნიშნავს, შეცვალო ქვეყანა.

2746. **სულიერს** სიკვდილი კლავს, უსულოს – დავიწყება.

\* \* \*

2747. **სულით** სიღარიბეს ფულით სიღარიბე სჯობს.

\* \* \*

2748. **სულით** ძლიერმა უმწეომაც კი შეიძლება გმირობა გამოამჟღავნოს.

\* \* \*

2749. თუ არა **სულის** ძლიერება, იარაღიც კარგავს ძალას.

\* \* \*

2750. **სულის** ძლიერება სიღარიბეში იწრთობა.

\* \* \*

2751. მტკიცე სხეული შეიძლება გაანადგურო, მტკიცე **სულს** კი ვერ გაანადგურებ.

\* \* \*

2752. ორგანიზმის ავადმყოფობა აფორიაქებს **სულს**, რომელსაც ეშინია არ დაკარგოს სამყოფელი.

\* \* \*

2753. ორგული გულს თუ დაგითმობს, **სულს** ამოგაცლის.

\* \* \*

2754. **სურათით** ადამიანს იცნობ, მაგრამ ვერ შეიცნობ.

\* \* \*

2755. ყოველ ნახატს თუ **სურათს** ერთი გამოუსწორებელი ნაკლი აქვს – იგი სინამდვილის ასლია მხოლოდ.

\* \* \*

2756. **გსურს** თუ არაეც, ყოველთვის ჰგავხარ საკუთარ თავს.

\* \* \*

2757. რაც **გსურს** უნდა დაიმსახურო.

\* \* \*

2758. არასოდეს **ისურვო** იმაზე მეტი, რაც დაიმსახურე.

\* \* \*

2759. **სასურველი** ყოველთვის სასიამოვნოა.

\* \* \*

2760. არ არსებობს ადამიანი **სურვილების** გარეშე.

2761. სურვილები ზღუდავენ თავისუფლებას.

\* \* \*

2762. ადამიანი სურვილების გარეშე მიცვალებულია.

\* \* \*

2763. ვცხოვრობთ არა სურვილების, არამედ შესაძლებლობების მიხედვით.

\* \* \*

2764. ვინც შენს სურვილებს არ ცნობს მტრად არ უნდა ჩათვალო.

\* \* \*

2765. სურვილებს შერჩევა უნდა, საშიშია ყველა არ შესრულდეს.

\* \* \*

2766. კეთილი სურვილი ძნელი მოსაკლავია.

\* \* \*

2767. როცა რაზე გაკლია, მისი შეძენის სურვილი უნდა გქონდეს და არა იტანჯებოდე მისი არქონით.

\* \* \*

2768. საკუთარი თავისთვის სურვილი საუკეთესო სურვილია.

\* \* \*

2769. სურვილი მაშინაა კარგი, თუ სასურველიცაა.

\* \* \*

2770. სურვილი მაშინ ქრება, როცა შესრულდება.

\* \* \*

2771. სურვილი, რომელიც შესრულების შესაძლებლობას აჭარბებს, ოცნებაა.

\* \* \*

2772. კეთილი სურვილით მწარე ნათქვამს სიკეთე მოაქვს.

\* \* \*

2773. სურვილის მოკვლა საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

\* \* \*

2774. ღმერთი უფრო დაგეხმარება, როცა სურვილის შესრულების უნარს სთხოვ და არა სასურველს.

2775. განუსაზღვრელის **სურვილს** შეუძლია განსაზღვრული არარაობად მოგაჩვენოს.

\* \* \*

2776. მტკიცედ შეებრძოლე ისეთ **სურვილს**, რომელიც შენს ძალებს აღემატება.

\* \* \*

2777. **სურვილს**, რომელსაც ყველა დაეთანხმება – დიდხანს სიცოცხლეა.

\* \* \*

2778. **სურვილს** ზნეობა უნდა აკონტროლებდეს.

\* \* \*

2779. **სურვილში** არაა მოქმედება, მოქმედებაში კი არის სურვილი.

\* \* \*

2780. **სუსტი** და სამართლიანი ძალა უფრო ძლიერია, ვიდრე – ძლიერი და უსამართლო.

\* \* \*

2781. **სუსტის** სიმართლე ეწირება ძლიერის ძალადობას.

\* \* \*

2782. **სუფთა** ადგილზე ვერაფერს იპოვი.

\* \* \*

2783. **სუფთა** ქაღალდი უაზროა, ნაწერი კი – აზრიანი.

\* \* \*

2784. **სუფრასთან** შექენილი მეგობარი ღხინში გამოგადგება.

\* \* \*

2785. **სუფრის** წევრებისათვის ერთნაირად ძნელად ასატანია, ღვინისაგან გახელებული აყვია თუ ჩუმად მჯდომი მთვრალი, რომელსაც თავი თეფშზე უვარდება.

\* \* \*

2786. სულერთია რას **ასწავლი** – რა ჩაიდინოს, თუ რა არ ჩაიდინოს.

\* \* \*

2787. ვინც რამეს **გვასწავლის**, ჩვენთვის გვასწავლის.



2788. უარყოფითი **გვასწავლის**.

\* \* \*

2789. ძნელია გაარჩიო წაკითხვით მეტი **ვისწავლეთ**, მოსმენით თუ დანახვით.

\* \* \*

2790. **ისწავლე** და **ასწავლე** – აი, ორი დიდი სიკეთე!

\* \* \*

2791. მოსმენით ბევრს **ისწავლი**, ლაპარაკით – ვერაფერს.

\* \* \*

2792. რასაც სკოლაში არ **ისწავლი**, უმაღლესში შეგახსენებს თავს, ხოლო რასაც უმაღლესში არ **ისწავლი** – ცხოვრებაში.

\* \* \*

2793. სხვებისგან **ისწავლი** თუ სხვებს **ასწავლი**, საზოგადოებისათვის ერთნაირად სასარგებლოა.

\* \* \*

2794. უშენოდ ვერაფერს **ისწავლი**.

\* \* \*

2795. წინას უნდა მიბაძო – უკანასგან ვერაფერს **ისწავლი**.

\* \* \*

2796. **სწავლა** ყველასგან შეიძლება. ყველამ იცის რაღაც, რომელიც ჩვენ არ ვიცით.

\* \* \*

2797. ვინც **სწავლას** გაურბის, ის ცხოვრებას გაურბის.

\* \* \*

2798. **სწავლით** იფურჩქნება ნიჭი.

\* \* \*

2799. **სწავლისათვის** ზღვარი არავის დაუდვია. რაც მეტს **ისწავლი** – მით უკეთესია.

\* \* \*

2800. ვინც არაფერს **სწავლობს**, წარსულში რჩება.

\* \* \*

2801. „სკოლაში ყველა სკოლისთვის **სწავლობს**“, შემდეგ კი აღმოაჩენს, რომ ცხოვრებისთვის უსწავლია.

2802. **სხეული** გონების იარაღია.

\* \* \*

2803. **სხეული** მოკვდავია, **სული** კი – მარადისობის თანაზიარი.

\* \* \*

2804. ყოველთვის ყოველივე **სხვაგვარად** იყო, სხვაგვარად არის და სხვაგვარად იქნება.

**ტალანტი, ტანჯვა, ტაში, ტვინი, ტირილი,  
ტკბილმოუბარი, ტკივილი, ტყუილი,  
უანბარობა, უბედურება, უზუნურება, უზნეობა,  
უკეთესი, უკეთურება, უკვდავება,  
უკიდურესობა, უმრავლესობა**

2805. დიდი **ტალანტი** არაა საჭირო, რომ სხვისი ტალანტი შეამჩნიო.

\* \* \*

2806. მეტად **იტანჯება** ის, ვინც ბედს ნაკლებად ურიგდება.

\* \* \*

2807. წამიერი შეცდომა შეიძლება წლობით **ტანჯავდეს** ადამიანს.

\* \* \*

2808. სულის **ტანჯვა** სხეულის ტანჯვაა, სხეულისა კი – სულის.

\* \* \*

2809. თანაგრძნობა სხვისთვის **ტანჯვაა**.

\* \* \*

2810. თითოეული ადამიანის **ტანჯვის** შემსუბუქება ღმერთის ტანჯვის შემსუბუქებაა, რადგან იგი ყველასათვის იტანჯება.

\* \* \*

2811. **ტანჯვის** ბოლო ან სიზარულია ან სიკვდილი.

\* \* \*

2812. **ტაში** და ოვაცია დიდი სტიმულია შემოქმედისათვის.

2813. როცა **ტაშს** გიკრავენ, იფიქრე, დაიმსახურე თუ არა ის.

\* \* \*

2814. **ტვინი** იმას მოგაწვდის, რაც ოდესმე მიგიწვდია.

\* \* \*

2815. **ტვინი** ყველას აქვს, ოღონდ მისი შესაძლებლობები აქვთ სხვადასხვა.

\* \* \*

2816. **ტვინისგან** მომზადებული კერძი კუჭს რგებს და არა გონებას.

\* \* \*

2817. შენი **სატირელი** სხვამ კი არა, შენ უნდა იტირო.

\* \* \*

2818. **სატირელია** ის, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია.

\* \* \*

2819. **ტირილი** რომ საქმეს არ შევლის, ყველამ იცის, თუმცა, აუარებელი ცრემლი მაინც იღვრება.

\* \* \*

2820. **ტირილითა** და ვაის ძაბილით გაფუჭებული საქმე არავის გამოუსწორებია.

\* \* \*

2821. **ტკბილმოუბარი** მკურნალი შეგებაა ავადმყოფისათვის.

\* \* \*

2822. შენი **ტკივილი** ყველას უნდა აწუხებდეს, რომ ყველა დაგეხმაროს.

\* \* \*

2823. თავის თავს ღიღი **მატყუარაც** ვერ **მოატყუებს**.

\* \* \*

2824. ყველაფერი დაუმსახურებლად მოპოვებული თავის **მოტყუებაა**.

\* \* \*

2825. **მატყუარას** **მოტყუება** ძნელია, მაგრამ მადლია.

\* \* \*

2826. ერთხელ ყველას **მოტყუებას** შეძლებ.

2827. ვინც ღმერთის მოტყუებას ცდილობს, ის საკუთარ თავს ატყუებს.

\* \* \*

2828. ტყუილზე ტყუილით უპასუხო – ეს სამართლიანობაა.

\* \* \*

2829. ერთი შენი ტყუილი უფრო დიდხანს ახსოვთ, ვიდრე ათასი მართალი.

\* \* \*

2830. ვისაც ტყუილი ეადვილება, სიმართლე ეძნელება.

\* \* \*

2831. ტყუილი მეტ ღაფიქრებას მოითხოვს, ვიდრე სიმართლე.

\* \* \*

2832. ტყუილი, რომელიც მაშინვე მჟღავნდება, უჭკუობის ნიშანია.

\* \* \*

2833. ტყუილით საბოლოოდ ვერაფერს ისარგებლებ.

\* \* \*

2834. ტყუილის ნაყოფი მწარეა, რომელსაც მატყუარა იმსახურებს.

\* \* \*

2835. ტყუილიც ისე უკვდავია, როგორც სიმართლე.

\* \* \*

2836. ტყუილს „არ ვიცი“ სჯობს.

\* \* \*

2837. ტყუილს თავი ტკბილი აქვს, ბოლო კი – მწარე.

\* \* \*

2838. კარგი ტყუილი ცუდ სიმართლეს არ უნდა ვამჯობინოთ.

\* \* \*

2839. „მაჩვენეთ ადამიანი, რომელსაც არასდროს უთქვამს ტყუილი” და მე გაჩვენებთ ადამიანს, რომელსაც არასდროს უთქვამს სიმართლე.

\* \* \*

2840. სადაც ტყუილია დათესილი, სიმართლეს ვერ მოიმკი.

2841. ცუდია, რომ ზოგს ურჩევნია **მოიტყუოს** – ვითომ იცის, ნაცვლად იმისა, აღიაროს, რომ არ იცის.

\* \* \*

2842. კაცს თუ **ტყუილს** უჯერებენ, სიმართლისთვის აღარ შეწუხდება.

\* \* \*

2843. ცუდია, მაგრამ ასეა, რომ დიდი კაცის **ტყუილს** მეტი გასაგალი აქვს, ვიდრე პატარის მართალს.

\* \* \*

2844. თვალთ ნანახი **უტყუარია**, მოსმენილს კი დამაჯერებლობა აკლია.

\* \* \*

2845. ვისაც ცხოვრების საფუძვლად **უანგარობა** გაუხდია, უშფოთველად გალევს სიცოცხლეს.

\* \* \*

2846. ადამიანის **უბედურება** მაშინ იწყება, როცა არავის სჭირდება.

\* \* \*

2847. გარშემო მყოფთა **უბედურება** ამცირებს ადამიანის ბედნიერებას.

\* \* \*

2848. თუ შენი **უბედურება** მხოლოდ შენი ბრალია, ძნელად თუ გაბედნიერდები.

\* \* \*

2849. სხვისი **უბედურება** თუ გაგიხარდა, ამას ოდესმე აუცილებლად ინანებ.

\* \* \*

2850. **უბედურება** სათნოების მასწავლებელია.

\* \* \*

2851. მცირე სიცრუე მეტი **უბედურებაა**, ვიდრე დიდი სიმართლე ბედნიერება.

\* \* \*

2852. ადამიანი ბევრს კარგავს, თუ **უბედურებას** ურიგდება.

2853. უბელური პატრონსაც აუბელურებს.

\* \* \*

2854. არც ისე უბელურია ადამიანი, თუ თავის უბელურებას ვერ გრძნობს.

\* \* \*

2855. უგუნურები, განსხვავებით ბრძენთაგან, ადვილად მრავლდებიან.

\* \* \*

2856. თუ უგუნური გონებამახვილობს ჭკვიანი სიტყვას ვერ ჩაურთავს.

\* \* \*

2857. უგუნური ქვეყნის სათავეში დიდი პრობლემაა ქვეყნისათვის.

\* \* \*

2858. რასაც უგუნურობით ვკარგავთ, გონიერებით უნდა დავიბრუნოთ.

\* \* \*

2859. უზნეო ადვილად ცხოვრობს.

\* \* \*

2860. ამაზრზენია უზნეობის ბრალდება უზნეოსაგან.

\* \* \*

2861. ყველაზე უკეთესი ყველაზე ცოტაა.

\* \* \*

2862. ყველას სურს უკეთესი იყოს, ვიდრე დღეს არის, თუმცა აბსოლუტური უმრავლესობა ამისთვის არაფერს აკეთებს.

\* \* \*

2863. პატარა უკეთურობა მეტად ჩანს, ვიდრე დიდი სიკეთე.

\* \* \*

2864. უკვდავ აზრებს უკვდავი ადამიანები ქმნიან.

\* \* \*

2865. ადამიანს ვერ მოკლავ, თუ მან უკვდავება დაიმსახურა.

\* \* \*

2866. ვინც უკვდავება დაიმსახურა, სიკვდილი დაამარცხა.

2867. უკვდავებას სჭირდება ნაშრომი, რომელიც ყველა ხალხს სჭირდება.

\* \* \*

2868. მილიონები ცოცხლობენ და კვდებიან, ხოლო უკვდავებას ერთეულები იმსახურებენ.

\* \* \*

2869. უკვდავებას სიკვდილი ანიჭებს.

\* \* \*

2870. უკვდავები სიკვდილის შემდეგ იბადებიან.

\* \* \*

2871. ორ უკიდურესობას შორისაა მოქცეული ყველაფერი.

\* \* \*

2872. კარგი იქნებოდა კენჭის ყრაში ჩანდეს არა არითმეტიკული, არამედ გონივრული უძრავლესობა.

**უპირატესობა, ურთიერთობა, უუნარობა,  
უფალი, უფროსი, უღელი, უღონო,  
უწმინდურება, უხერხულობა, ფათერაპი,  
ფანტაზია, ფასი, ფიზურა, ფიქრი, ფოთოლი,  
ფრთხი, ფული**

2873. იშვიათობა დიდი უპირატესობაა.

\* \* \*

2874. ზოგს ბუნება ანიჭებს სხვებზე უპირატესობის უნარს, ზოგი კი თვითონ მოიპოვებს.

\* \* \*

2875. თუ ვერ ზრდი შენს უპირატესობას, მალე დაკარგავ.

\* \* \*

2876. რაც უფრო ტკბილია ადამიანთა ურთიერთობა, მით უფრო დიდია განშორების სიმწარე.

\* \* \*

2877. ყველაფერი, რაც ადამიანს გააჩნია, ბუნებასთან ურთიერთობითაა შექმნილი.

2878. უუნარო ადამიანს თავისუფლება არაფერს მისცემს.

\* \* \*

2879. უფლის იმედი უღნა გქონდეს და არა შიში.

\* \* \*

2880. უფლის იმედი ძალას მატებს მას, ვისაც უფალი სწამს.

\* \* \*

2881. არც ყველას უფროსს და არც ყველაზე უფროსს არ უნდა ეგონოს, რომ ყველაზე ჭკვიანია.

\* \* \*

2882. უღელში შებმული ხარები არასოდეს ერქინებიან ერთმანეთს.

\* \* \*

2883. უღონოს მისი მოძრევი ჰერკულესი ჰგონია.

\* \* \*

2884. რაც დიდხანს გაჩერდები წუმპეში, მეტი უწმინდურება ამოგყვება თან.

\* \* \*

2885. უხერხულია, ადამიანს მხოლოდ მაშინ სტუმრობდე, როცა გჭირდება.

\* \* \*

2886. ვინც ფათერაკს ეძებს, სიკვდილს ნაადრევად იპოვის.

\* \* \*

2887. ფანტაზია ყველაფერში მოჭარბებულია.

\* \* \*

2888. ფანტაზიას რეალობა ანადგურებს.

\* \* \*

2889. რაც მეტად აფასებ საკუთარ თავს, მით ნაკლებად გეჩვენება სხვა.

\* \* \*

2890. დასაფასებელია მიცვალებულის პატივისმცემელი, რადგან მისგან სამაგიეროს არავინ ელის.

\* \* \*

2891. ფასების ზრდას ფეხით ვერ მიჰყვები.



2892. ფასს ბაზარი განსაზღვრავს და არა გამყიდველი.

\* \* \*

2893. ვინც მარცვლის ფასი არ იცის, ბელელს ვერასოდეს აავსებს.

\* \* \*

2894. ზოგი რამ სიძველით უვარგისია, ზოგს კი ფასი ემატება.

\* \* \*

2895. კარგს კარგთან აქვს ფასი, ცუდს კი – ცუდთან.

\* \* \*

2896. მარგალიტთან არაფერი ესაქმება, ვინც მისი ფასი არ იცის.

\* \* \*

2897. ორიგინალურობას ღილი ფასი აქვს.

\* \* \*

2898. ნამღვილი ფასი ისაა, რასაც მოწინააღმდეგე დაგდებს.

\* \* \*

2899. საკუთარი თავის შეფასებას უნდა დააკლო და არა მოუმატო.

\* \* \*

2900. ერთი ქვიდან უსასრულო რაოდენობის ფიგურა შეიძლება გამოიკვეთოს, მოქანდაკეს კი ერთის არჩევანი აქვს.

\* \* \*

2901. რომ ნაყოფიერად იფიქრო, უნდა იცოდე შენამდე რას ფიქრობდნენ.

\* \* \*

2902. ზვალეზე უნდა იფიქრო როცა დღეის საფიქრალს მორჩები.

\* \* \*

2903. უფრო მეტია, რა მოიფიქრე, ვიდრე – რა ისწავლე.

\* \* \*

2904. ფიქრებიც უკიდევანოა, მას კალაპოტში მოქცევა უნდა.

\* \* \*

2905. სხვის ფიქრებს ჯერ არავინ დაუზარალებია.

2906. ფიქრი აზრის გამალაშინების საშუალებაა.

\* \* \*

2907. სხვა არასდროს ფიქრობს შენზე იმას, რასაც შენ.

\* \* \*

2908. ფიქრს ვერავის აუკრძალავ.

\* \* \*

2909. ფიქრს ზიანი არ მოაქვს, მას მხოლოდ მისი დაგეგმვა შეუძლია.

\* \* \*

2910. ფრთები არაფერია სივრცის გარეშე.

\* \* \*

2911. ხის თითოეული ფოთოლი ადამიანთა სიცოცხლეში მონაწილეობს.

\* \* \*

2912. ფრთები გქონდეს და ვერ დაფრინავდე, სირაქლემა უნდა იყო.

\* \* \*

2913. უფულო კაცს საყიდლები ხშირად ახსენდება.

\* \* \*

2914. ვინც ღროს ფულად აქცევს, უკეთესად ცხოვრობს.

\* \* \*

2915. ვინც ფულზე არ ფიქრობს, მას არც ფული აქვს და არც ქონება.

\* \* \*

2916. ბევრი ფული და უფულობა ერთნაირად აფორიაქებს ადამიანს.

\* \* \*

2917. ფული ამოძრავებს მსოფლიოს.

\* \* \*

2918. ფული თუ გაგებატონდა მეფედ გადაგექცევა.

\* \* \*

2919. ფული ნაკვერჩხალივითაა, რამდენიც უნდა ითმინო, ხელში დიდხანს ვერ გააჩერებ.

2920. ფული უნდა გიყვარდეს, მაგრამ ოჯახს არ უნდა გერჩიოს.

\* \* \*

2921. ფული ყველას უყვარს, უფულობა არავის.

\* \* \*

2922. ცოტა ფული ემორჩილება ადამიანს, ხოლო ბევრი – მბრძანებლობს.

\* \* \*

2923. ფულიან კაცს ფუტკარივით ეხვევიან „მეგობრები“.

\* \* \*

2924. ფულით სიმდიდრეს სულით სიმდიდრე სჯობს.

\* \* \*

2925. სხვის ჯიბეში ფულის თვლა უსაგნო საქმეა.

\* \* \*

2926. ფულის მოყვარული ყველაზე მეტს ფულზე ფიქრობს.

\* \* \*

2927. ფულის საჭიროება წარმოშობს უამრავ კეთილ თუ უკეთურ სურვილს.

\* \* \*

2928. ფულის ცუდად მხარჯველი ცოლის მზითევსაც გაყიდის.

\* \* \*

2929. ვინც ფულისთვის ქორწინდება, ის მხოლოდ ფულს შოულობს.

\* \* \*

2930. ფულისათვის დაკარგულ ჯანმრთელობას ფულით ძნელად თუ დაიბრუნებ.

\* \* \*

2931. ფულისათვის დაწერილ ნაწარმოებს ფული მოაქვს, ავტორის სიყვარული კი მიაქვს.

\* \* \*

2932. ფულმა თუ დაგიმორჩილა ადამიანობას წაგართმევს.

\* \* \*

2933. ბევრ ფულს ყველა მალავს, თუმცა ვერავინ ახერხებს.

2934. თუ ფულს უთავბოლოდ არიგებ, უმეტესობაში შურს აღძრავ და არა მადლიერების გრძნობას.

\* \* \*

2935. ფულს მეტი ფასი მაშინ აქვს, როცა არა გაქვს.

\* \* \*

2936. ფულს სჭირდება ადამიანი არანაკლებად, ვიდრე ადამიანს ფული.

\* \* \*

2937. ფულს შეუძლია მეგობრობაც გაგიწიოს და მტრობაც, გააჩნია როგორ მოიხმარ.

**ქალი, ქარიშხალი, ქება, ქვიფი, ქვა,  
ქველმოქმედება, ქვეყანა, ქვეშევრდომი, ქონა,  
ქონება, ქორწინება, ქონი, ქურდი, ღალატი,  
ღარიბი, ღირებულება, ღირსება, ღმერთი**

2938. ქალები რომ არ იყვნენ, კაცებს ლაპარაკი დაავიწყდებოდათ.

\* \* \*

2939. ქალები ყურებით მეტს ხედავენ, ვიდრე მამაკაცები თვალებით.

\* \* \*

2940. ქალებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს მამაკაცები არაფერში სჭირდებათ.

\* \* \*

2941. ქალი ან სახე-ტანით უნდა იყოს ღამაზი, ან სულით, ან ორივეთი ერთად.

\* \* \*

2942. ქალი დედა უნდა გახდეს მაშინ, როცა სხეულით ქალია და გონებით ჩამოყალიბებული ადამიანი.

\* \* \*

2943. ქალი თავის ულამაზობას ადვილად აღიარებს, ვიდრე სხვა ქალის სილამაზეს.

2944. ქალი თუ სხეულს დაგითმობს, ცოტა გულიც უნდა მოაყოლოს.

\* \* \*

2945. ქალი ისე უნდა მოირთოს, რომ მისი მომხიბვლელობა მიეწეროს მას და არა მის მორთულობას.

\* \* \*

2946. ვინც ყველას ეარშიყება, მას ქალი საერთოდ არ სჭირდება.

\* \* \*

2947. თითქმის ყველა ქალი ორატორია.

\* \* \*

2948. ქალი ის ტკბილი არსებაა, რომელმაც შეიძლება სიცოცხლე გაგიმწაროს.

\* \* \*

2949. ქალი მამაკაცის ჯიბის მტერია.

\* \* \*

2950. ქალი მანამდე უფრო თხილდება სიყვარულს მამაკაცისადმი, სანამ იგივეს გრძნობს მისგან.

\* \* \*

2951. ქალი მაშინაა ის, რაც არის, როცა სილამაზეს დაკარგავს.

\* \* \*

2952. ქალი, რომელშიც ღვთაებრივს ვერაფერს ხედავ, ბედნიერებას ვერ მოგანიჭებს.

\* \* \*

2953. ქალი, რომელიც ადვილად დასაპყრობია, ადვილად დასთმობია.

\* \* \*

2954. ქალი სიყვარულს უფრო ადვილად გაჩუქებს, ვიდრე თავის უფლებებს დაგითმობს.

\* \* \*

2955. ქალი ყველაზე მშვენიერია მაშინ, როცა სიყვარულით ტკბება.

2956. ნუ იფიქრებ, **ქალი** მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ბედნიერება მოგანიჭოს; მისგან სიყვარული იმავეს ითხოვს შენგან.

\* \* \*

2957. რა ცოდვა იქნებოდა **ქალი** კაცის ხელში, ეს რომ მისი სურვილიც არ იყოს.

\* \* \*

2958. როცა **ქალი** წინააღმდეგობას გიწევს, უნდა დაეხმარო, გადალახოს წინააღმდეგობა.

\* \* \*

2959. საკვირველია, ერთი **ქალი** მეორეზე ათჯერ ლამაზიც რომ იყოს, მაინც ორივე ერთნაირი მონდომებით იხატავს სახეს.

\* \* \*

2960. ყველა ხანშიშესული **ქალი** ცდილობს ახალგაზრდად გამოიყურებოდეს, მაგრამ შედეგს ერთეულები აღწევენ და ყველას ჰგონია, რომ ის ერთი თვითონაა.

\* \* \*

2961. საკვირველია, მუქთახრობასაც რომ ცხოვრება ჰქვია.

\* \* \*

2962. მომხიბვლელობა და სილამაზე, **ქალის** გონიერების მიხედვით, მის ბედნიერებად ან უბედურებად გადაიქცევა.

\* \* \*

2963. **ქალის** გული ერთს ეკუთვნის, თუმცა, ცდილობს ყველას მოაწონოს თავი.

\* \* \*

2964. **ქალის** გულს ყვავილები და სიტყვა-პასუხი იპყრობს.

\* \* \*

2965. **ქალის** გულში თუ ცეცხლს აანთებ, სითბოთიც უნდა ისარგებლო.

\* \* \*

2966. **ქალის** თვალზე ცრემლი დამაჯერებლობას მატებს მის ნაუბარს.

2967. ქალის ორგანიზმი სექსანგარიშიანია, რაც მეტ სიამოვნებას მიანიჭებ, მით მეტს დაგიბრუნებს.

\* \* \*

2968. ქალის ორი უძვირფასესი მოვალეობა დედობა და ცოლობაა.

\* \* \*

2969. ქალის მოვალეობაა – არ დათმოს ქალის მოვალეობა.

\* \* \*

2970. ქალის მომხიბვლელობა მის ქალურ სისუსტეშია, რომელიც აძლიერებს ლტოლვას.

\* \* \*

2971. ქალის მომხიბვლელობა და სილამაზე მისმა ჭკუა-გონებამ ბედნიერებად შეიძლება აქციოს.

\* \* \*

2972. ქალის ნამდვილ წლოვანებას საფლავის ქვაზე თუ ნახავ.

\* \* \*

2973. ქალის სამყარო სამეფოა, მამაკაცისა – სამუშაო.

\* \* \*

2974. ქალის სილამაზე ალამაზებს სახელს და არა სახელი ქალს.

\* \* \*

2975. ქალის სილამაზე არ ეძებო, მთავარია ულამაზო არ იყოს.

\* \* \*

2976. ქალის სილამაზე და გონიერება, ორივე თავისას თხოულობს, რასაც ქალი ხშირად ვერ უმკლავდება და სწორ გზას ვერ პოულობს.

\* \* \*

2977. ქალის სილამაზე და მომხიბვლელობა ბუნების საჩუქარია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

\* \* \*

2978. ქალის სილამაზე თვალს ახარებს, გონიერება – გულს, ორივე ერთად კი, აბედნიერებს ადამიანს.

2979. ქალის სილამაზე მის სამკაულებსაც მატებს სილამაზეს.

\* \* \*

2980. ქალის სილამაზე, ძლიერი ნებისყოფის გარეშე, იღუპება.

\* \* \*

2981. ქალის სილამაზეს პატიოსნება უნდა დარაჯობდეს.

\* \* \*

2982. ქალის სიწმინდეზე დამოკიდებული არა მარტო მისი, არამედ მთელი ოჯახის სახელი.

\* \* \*

2983. ქალის სიწმინდეს მხოლოდ ერთი დარაჯი იცავს და ათასი მუშტრის თვალი უყურებს.

\* \* \*

2984. ქალის სხეულს რომ დაეუფლო, ჯერ მისი გული უნდა დაისაკუთრო.

\* \* \*

2985. ქალისა და მამაკაცის შემხვედრი გრძნობები აღრმავებენ მათ სიყვარულს.

\* \* \*

2986. ქალიშვილის სიმდიდრე, მისი ასაკის შესაბამისად, კარგავს მიმზიდველობას.

\* \* \*

2987. ქალიშვილს სილამაზე ამშვენებს, ვაჟს კი ვაჟკაცობა.

\* \* \*

2988. ქალმა თავდავიწყებული სიყვარული იცის და მას ასეთივე პასუხი სჭირდება.

\* \* \*

2989. თუ ქალს თავისი სიწმინდის დაცვა სურს, ცდუნებას თავი უნდა აარიდოს და არა გაუძლოს.

\* \* \*

2990. მამაკაცი სხვებისგან იცავს ქალს, რათა თვითონ დაეპატრონოს.

\* \* \*

2991. მამაკაცი ქალს, ჩაცმულსაც კი, ჩაუცმელს ხედავს.



2992. ნუ გაეკარები **ქალს**, რომელიც ცოლზე მეტად მოგეწონება, რათა შეიღებს მამა რომ არ დაუკარგო.

\* \* \*

2993. პატივი სცე **ქალს** – ეს იგივეა პატივი სცე მოძრავ მშვენიერებას.

\* \* \*

2994. **ქალს**, ასაკი რომ მოემატება, მისთვის დროის დინება წყდება.

\* \* \*

2995. **ქალს** აქვს მოვალეობა დედა გახდეს, ფერია,  
ქალი არაფერია, დედა ყველაფერია.

\* \* \*

2996. **ქალს** იმდენი სიამოვნება შეუძლია მოგანიჭოს, რამდენის მიღებასაც შეძლებ.

\* \* \*

2997. **ქალს** ისე უნდა მოექცე, რომ მალე არ მოგწყინდეს.

\* \* \*

2998. **ქალს** მამაკაცის კი არა, სახელის გატეხისა ეშინია.

\* \* \*

2999. **ქალს** კეთილი სიტყვა ხეზე მიაბამს, ხოლო უკეთური ჯაჭვსაც გააწვევტინებს.

\* \* \*

3000. **ქალს** ისე ალამაზებს სინაზე და ქალურობა, როგორც ხეს ყვავილები.

\* \* \*

3001. **ქალს** საყვარლად რომ გამოადგე, ფულს უნდა „იწველებოდე.“

\* \* \*

3002. **ქალს** სილამაზე სიამაყეს მატებს.

\* \* \*

3003. **ქალს** სიტყვითაც მოხიბლავ, კაცს – საქმითაც ვერა.

\* \* \*

3004. **ქალს** სჭირდება სილამაზე.

3005. **ქალს**, ყურადღება რომ მიაპყრო, სილამაზე სჭირდება, ხოლო რომ შეიყვარო — კიდევ ბევრი რამ.

\* \* \*

3006. **ქალს** შეუძლია სილამაზის ნაკლი კეთილშობილებით გაანეიტრალოს.

\* \* \*

3007. **ქალს** ხელიდან წასვლას ამ ქვეყნიდან წასვლა უნდა ერჩიოს.

\* \* \*

3008. **ქალში** იპოვო ის, რაც გსურს, დიდი ბედნიერებაა.

\* \* \*

3009. „**ქარიშხალი** ჭიქაში?“ დიახ — ყველაფერი პატარიდან იწყება.

\* \* \*

3010. **ქარიშხალს** რომ შეებრძოლო, ქარი უნდა გამოიარო.

\* \* \*

3011. ზოგი ისე **აქებს** თავის ქვეყანას, თითქოს მყიდველი ედგეს წინ.

\* \* \*

3012. კარგია, როცა **გაქებენ** იქ, სადაც შენ ხარ, მაგრამ უკეთესია გაქებდნენ იქ, სადაც შენ არ ხარ.

\* \* \*

3013. როცა დაუმსახურებლად **გაქებენ**, იფიქრე რა სურთ შენგან.

\* \* \*

3014. როცა დაუმსახურებლად გაქებენ, ყველა მონღომებით შეგაქებს, ხოლო, როცა ქებას იმსახურებ შურით გიყურებს.

\* \* \*

3015. თავს **იქებს** ის, ვინც იცის, რომ სხვა არ შეაქებს.

\* \* \*

3016. **საქები** ის სწავლულია, რომელიც ცოდნას გამოიყენებს.

\* \* \*

3017. დიდი **ქება** დიდ ნიჭსაც წაახდენს.

3018. მტრისგან ქება უფრო მახეა, ვიდრე საამაყო.

\* \* \*

3019. საქების ქება და გასაკიცხის კიცხვა ადამიანის აღზრდას ემსახურება.

\* \* \*

3020. ცულისგან ქება სახელის გამტეხია.

\* \* \*

3021. ზოგი ქებას მიჰყავს სიკეთისკენ, ზოგი კი — სასჯელს.

\* \* \*

3022. ცოტა ქებაც არ უნდა აკადრო საკუთარ თავს, თუნდაც ბევრს იმსახურებდე.

\* \* \*

3023. მგელთან კურღლელს გამბედაობა არ უნდა შეუქო.

\* \* \*

3024. ქეიფს, რომელიც ჩხუბით მთავრდება, უქეიფობა მოსდევს.

\* \* \*

3025. ქვა შეიძლება ასცდეს მიზანს, მაგრამ ხმა — არასოდეს.

\* \* \*

3026. დაგორებულ ქვას წინ ვერავინ დაუდგება.

\* \* \*

3027. ქვას თუ მალლა აისვრი, თავის გატეხვას უნდა ელოდე.

\* \* \*

3028. ძვირფასი ქვის ნამცეცი ათას რიყის ქვას გადაწონის.

\* \* \*

3029. ქველმოქმედება სიკეთის რწმენაა.

\* \* \*

3030. მდიდართაგან კაცი ის არის, ვინც ქველმოქმედებას ეწევა, ხოლო ღარიბთაგან ის, ვინც შურით არ ითხრის თვალებს.

\* \* \*

3031. თუ ქვეყანა დაცემის გზაზეა, მისთვის თავდადებაც დაუფასებელი რჩება.

3032. სხვისგან აშენებული ქვეყანა შენ ნაკლებად წაგადგება.

\* \* \*

3033. ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა მისი შემადგენელი ნაწილები მის ჭირსა და ღვინს ინაწილებენ.

3034. შენი ქვეყანა ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ყველაზე უკეთესია.

\* \* \*

3035. ის ქვეყანაა ძლიერი, სადაც კერა არ ცივდება და ახალი ბევრი ინთება.

\* \* \*

3036. ქვეყანამ თუ მეტი არ მიიღო, ვიდრე გასცემს, გაქრება.

\* \* \*

3037. ჩვენმა ქვეყანამ ის მოგვცა, რომ ჩვენი სამშობლოა, რაც ფასდაუდებელია, ხოლო ის, რაც სხვა ქვეყანას შეუძლია მოგვცეს, დასაფასებელია და უნდა დავაფასოთ კიდევც.

\* \* \*

3038. ვინც ამ ქვეყანას ესტუმრა, იმ ქვეყანასაც ესტუმრება.

\* \* \*

3039. ქვეყანას ყველამ იმაზე ნაკლები უნდა მოვთხოვოთ, ვიდრე მიგვიცია, თორემ, სხვანაირად ქვეყანასაც გაუჭირდება და მასთან ერთად ჩვენც.

\* \* \*

3040. ზოგზე ღვას სახელმწიფო, ზოგი აქცევს ქვეყანას.

\* \* \*

3041. ყველა ქვეყანას თავისი მიზიდულობის ძალა აქვს.

\* \* \*

3042. ადამიანი მარტო ოჯახს კი არა, ქვეყანასაც უკვდება.

\* \* \*

3043. როგორცაა ქვეყნის ხელმძღვანელი, ისეთია ქვეყანაც.

\* \* \*

3044. თუ ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეს გაკეთებინებენ, შენგან მოლაღაბეს ძერწავენ.

3045. **ქვეყნის** სიღარიბე ნიშნავს, რომ ხელისუფლება ვერ იყენებს ხალხის შესაძლებლობებს.

\* \* \*

3046. სხვისი **ქვეშევრდომი** თავის თავს არ ეკუთვნის.

\* \* \*

3047. თუ რამე არ **გაქვს** – ცუდია, თუ გაქვს და არ უვლი, შენ ხარ ცუდი.

\* \* \*

3048. დასამალავ **ქონებას** უქონლობა სჯობს.

\* \* \*

3049. ზოგჯერ **ქორწინება** ირღვევა იმიტომ, რომ ერთ-ერთს ზრდასრულის ტანი აქვს და ბავშვის გონება.

\* \* \*

3050. ვისი მეორე **ქორწინებაც** პირველს აჯობებს, ის მესამედაც იქორწინებს.

\* \* \*

3051. თავშესაფრად **ქოხიც** თუ არ გაქვს ქუდი უნდა იკმარო.

\* \* \*

3052. ნემსის **ქურდი** თუ არ დაისაჯა, აქლემის ქურდი გახდება.

\* \* \*

3053. ყველაფრის **ღალატს** შეიძლება შეეგუო, სინდისმა კი არასოდეს უნდა გიღალატოს.

\* \* \*

3054. ყველა რომ მდიდარი იყოს, მათ შორისაც იქნებოდნენ **ღარიბები**.

\* \* \*

3055. სჯობს დროულად მიუჯდე **ღარიბულ** სუფრას, ვიდრე უდროოდ – მდიდრულს.

\* \* \*

3056. სჯობს იცხოვრო **ღარიბულად**, ვიდრე მოკვდე მდიდრად.

\* \* \*

3057. არაფრად **ღირს** ნათქვამი, თუ გულმაც არ დაამოწმა.

3058. რაც ძნელი არ არის, არც არაფერი ღირს.

\* \* \*

3059. დიდი სიკეთეა უღირსს ღირსება დაუბრუნო.

\* \* \*

3060. ნაციის ღირსება მისი საკაცობრიო საქმეებია.

\* \* \*

3061. სრულად ღირსება — მხოლოდ თავისუფალ ადამიანს აქვს.

\* \* \*

3062. ღირსება სიბრძნის ნაწილია.

\* \* \*

3063. ადამიანი მაშინ კარგავს თავის სახეს და ღირსებას, როცა მის სულსა და სტომაქს საზრდო შემოაკლდება.

\* \* \*

3064. ადამიანის ერთი ნაკლი აკნინებს მის მრავალ ღირსებას.

\* \* \*

3065. სხვის ღირსებასაც უნდა გაუფრთხილდე, რომ საკუთარი არ დაკარგო.

\* \* \*

3066. თუ ვინმე არ მოგწონს, მის ღირსებებს ვერასოდეს შეამჩნევ.

\* \* \*

3067. რამდენადაც ადვილად ამჩნევს ადამიანი თავის ღირსებებს, იმდენად უძნელდება საკუთარი ნაკლის დანახვა.

\* \* \*

3068. ცხოვრება ადამიანებს ღირსების მიხედვით აჯგუფებს.

\* \* \*

3069. უღირსი ვერც სხვაში ხედავს ღირსებას.

\* \* \*

3070. ყველაზე უღირსი, ნიჭიერი ყალბისმქნელია.

\* \* \*

3071. ყველაზე უღირსი, რაც შეიძლება ადამიანმა ადამიანის მიმართ ჩაიდინოს, ძალადობაა.

3072. უღირსია ადამიანი, რომელიც ზემდგომებს ფეხქვეშ ეგება, ხოლო ხელქვეითებს ფეხქვეშ თელავს.

\* \* \*

3073. უღირსის სილამაზეს ჩრდილი ახლავს, ღირსეულისას კი – ბრწყინვალეობა.

\* \* \*

3074. უღირსისგან ქება ეს ის შემთხვევაა, როცა ქება გარცხვენს.

\* \* \*

3075. მოკვდავის ყოველი გაღმერთება კრახით მთავრდება.

\* \* \*

3076. ვისაც ღმერთი მხოლოდ გასაჭირში ახსენდება, მორწმუნედ ვერ ჩაითვლება.

\* \* \*

3077. კრიტიკის გარეშე მხოლოდ ღმერთი შეიძლება იწამო.

\* \* \*

3078. მართალ კაცს არ უნდა ეშინოდეს ღმერთის, სიმართლე თვითონაა ღმერთი.

\* \* \*

3079. ღმერთი ყველაფერია.

\* \* \*

3080. სამართალდამცავთა და კრიმინალთა დაახლოება ღმერთისგან დაშორებაზე მეტყველებს.

\* \* \*

3081. ღმერთმა რომ დაგიფაროს შესაბამისი სიწმინდე უნდა გაგაჩნდეს.

\* \* \*

3082. ღმერთს რომ ჩასწვდე მისი მაღლი უნდა გვარავდეს.

**ყრუ, ყურადღება, შედეგი, შედეგრი, შემთხვევა,  
შემოქმედება, შემოწმება, შენობა, შენება,  
შენიშვნა, შერიგება, შესაკლებლობა,  
შესვენება, შეფასება, შექმნა, შემა, შეცდომა**

3083. რაც ყოფილა აღარ იქნება.

\* \* \*

3084. ჩვენ ვიცით, რაც ვართ, მაგრამ უნდა ვიღვაწოთ ისე, რომ მომავალმაც შეიტყოს რანი ვიყავით.

\* \* \*

3085. ჩვენ ყოველთვის მათ შორის ვიქნებით. არ ვიცით ვინ იყო დასაწყისში და ვინ იქნება ბოლო.

\* \* \*

3086. სანამ ხარ, მანანდე უნდა იფიქრო რა იქნები, როცა აღარ იქნები.

\* \* \*

3087. ყოველთვის უნდა გრძნობდე, რომ ხარ იქ, სადაც უნდა იყო.

\* \* \*

3088. ყველგან და ყოველთვის ის ხარ, რაცა ხარ და არასდროს უფრო მეტი.

\* \* \*

3089. სრულიად ყრუ სხვათა მოქმედების მიხედვით „ისმენს“.

\* \* \*

3090. კარგს იმდენი ყურადღება სჭირდება, რომ არ გაფუჭდეს, ხოლო ცუდს იმდენი – რომ გამოსწორდეს.

\* \* \*

3091. არ მოხდება, დიდებულმა აზრმა მოგვცეს მცირე შედეგი.

\* \* \*

3092. მცირე დანახარჯით მაღალი შედეგი – აი, რა სჭირდება ცხოვრებას.

\* \* \*

3093. სხვადასხვა გზით მიღწეული ერთი და იგივე შედეგი ახლოსაა ჭეშმარიტებასთან.



3094. შედეგი უნდა ამართლებდეს მოქმედებას.

\* \* \*

3095. ნებისყოფა უზრუნველყოფს შედეგს.

\* \* \*

3096. შედეგები არ კვდებიან.

\* \* \*

3097. შედეგებს ღრო ფასს უმატებს.

\* \* \*

3098. ესკიზით იწყება შედეგრი.

\* \* \*

3099. შემთხვევა მბრძანებელია.

\* \* \*

3100. შემთხვევით დაბრმავებული უპირატეს მდგომარეობაშია ბრმადშობილთან შედარებით, ის იმას მაინც წარმოიდგენს, რაც მანამდე უნახავს.

\* \* \*

3101. შემოქმედის ნამუშევარი ხარისხის პროპორციულად უძლებს ჟამთა სვლას.

\* \* \*

3102. ყურები ისმენენ, თვალები ამოწმებენ.

\* \* \*

3103. სადაც შენლობა არ არის, იქ არც მეგობრობაა.

\* \* \*

3104. მოუშნადებლად შენება ნგრევით მთავრდება.

\* \* \*

3105. შენიშვნა არ უნდა შეიცავდეს კიცხვას.

\* \* \*

3106. სწორი შენიშვნის ავტორი მაღლობას იმსახურებს.

\* \* \*

3107. შენიშვნის მიღება კარგია, გამოსწორება კი უკეთესი.

\* \* \*

3108. არასოდეს არ უნდა შეაქციო ზურგი შერიგების შესაძლებლობას.

3109. ფუფუნებას დაკარგვის მეტი **შესაძლებლობა** ახლავს, ვიდრე გაძლიერების.

\* \* \*

3110. გამოუყენებელი **შესაძლებლობები** არაფერს გვაძლევენ.

\* \* \*

3111. **შესაძლებლობები** საქმით გამოჩნდება.

\* \* \*

3112. საკუთარი **შესაძლებლობები** უნდა ამოწურო და მერე ითხოვო დახმარება.

\* \* \*

3113. **შესაძლებლობებიდან** საუკეთესო ვარიანტის ამორჩევის უნარი, მიზანთან სწრაფად მიგვიყვანს.

\* \* \*

3114. ბევრი არაფერი ვიცით საკუთარი **შესაძლებლობების** შესახებ, რომელთაც ექსტრემალურ სიტუაციებში გამოვამჟღავნებთ.

\* \* \*

3115. წლები ჯერ ზრდის ადამიანის **შესაძლებლობებს**, შემდეგ ამცირებს, ხოლო ბოლოს სრულიად შთანთქავს.

\* \* \*

3116. იმდენი უნდა **შეისვენო**, რომ სამუშაო არ დაგავიწყდეს.

\* \* \*

3117. შენი **შეფასება** მტრისგან, სიმართლესთან უფრო ახლოს იქნება, ვიდრე მოკეთისგან.

\* \* \*

3118. დიდი უცებ არაფერი **იქმნება**, ყველაფერი პატარიდან იწყება.

\* \* \*

3119. ყველაფერი **იქმნება** ადამიანისთვის.

\* \* \*

3120. ყველაფერი **იქმნება** და არსებობს მხოლოდ აწმყოში. წარსულსა და მომავალში არც სიცოცხლეა და არც მოქმედება.

3121. რაც უფრო ღირებულს **ქმნის** ადამიანი, მით მეტად ფასობს მისი დრო.

\* \* \*

3122. ყველაფერს მხოლოდ ხალხი **ქმნის** და ყველაფერი ხალხს ეკუთვნის.

\* \* \*

3123. მხოლოდ ყველაფრისგან შეიძლება **შეიქმნას** ყველაფერი.

\* \* \*

3124. სხვაზე უკეთესის **შემქმნელი** პატივისცემის ღირსია, ხოლო საუკეთესოს ავტორი – თაყვანისცემის.

\* \* \*

3125. **შექმნაში** სიამოვნებაა, შოვნაში – სიხარული.

\* \* \*

3126. “არაფრისგან ვერაფერს **შექმნი**”, რაც იქმნება, ყველაფერი არსებობს, ოღონდ სხვა სახით.

\* \* \*

3127. სხვის სიდიადეს თუ ვერ ამჩნევ, დიადს ვერაფერს **შექმნი**.

\* \* \*

3128. ყველაფერ ამქვეყნიურს უნდა მოსთხოვო მხოლოდ ის, რისთვისაც არის **შექმნილი**.

\* \* \*

3129. ერთი უხეში **შეცდომა** ათას დამსახურებას გააქრობს.

\* \* \*

3130. ერთის **შეცდომა** მრავალთა მიმართ ცუდია, ხოლო მრავალთა შეცდომა ერთის მიმართ – სამარცხვინო.

\* \* \*

3131. კრავის **შეცდომა** მგელთან ყოველთვის უკანასკნელია.

\* \* \*

3132. შეგნებული **შეცდომა** დანაშაულია.

\* \* \*

3133. შენი **შეცდომა**, რომელსაც მორიდების გამო არ ახმოვანებენ, თვითონ უნდა გაახმოვანო.

3134. დიდი შეცდომაა, ადამიანს თუ თავი შეუცდომელი ჰგონია.

\* \* \*

3135. ყველაზე ცუდი ის შეცდომაა, რომელსაც დამარცხება მოსდევს.

\* \* \*

3136. საკუთარ შეცდომაზე დაფიქრება პირველი ნაბიჯია მისი გამოსწორებისათვის.

\* \* \*

3137. ადამიანი სრულად მაშინ შეიგრძნობს თავის შეცდომას, როცა მის გამოსწორებას შეეცდება.

\* \* \*

3138. შეცდომას დარდი არ შველის, გამოსწორება უნდა.

\* \* \*

3139. შეცდომას თუ არ განიცდი, მრავალჯერ გაიმეორებ.

\* \* \*

3140. შეცდომების გამოსწორება გზაა ჭეშმარიტებისაკენ.

\* \* \*

3141. შეცდომის არგამოსწორება გზაა გამოუსწორებელი შეცდომებისაკენ.

\* \* \*

3142. შეცდომის დანაშაულად მონათვლა, თვითონაა დანაშაული.

\* \* \*

3143. შეცდომის დაშვება მისატყვებელია, გამეორება კი არა.

\* \* \*

3144. შეცდომის დაცვა შეუძლებელია.

\* \* \*

3145. ვინც სწრაფად განსჯის, ხშირად ცდება.

\* \* \*

3146. ცდება ის, ვისაც ბუნება ერთფეროვნად წარმოუდგენია. ბუნება განუწყვეტლივ იცვლება, მაგრამ არასოდეს კარგავს მრავალფეროვნებას.

3147. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ კარგმა ცული არ უნდა იცოდეს.

\* \* \*

3148. ყველაზე ხშირად ადამიანები მაშინ ცდებიან, როცა სასურველს რეალობად წარმოიდგენენ.

## **შეძენა, შეპლება, შეფუხება, შეჯიბრება, შველა, შვილები, შიში, შრომა, შური**

3149. შეძენაზე იმდენი უნდა იზრუნო, რომ შეძენილი არ დაკარგო.

\* \* \*

3150. იქ, სადაც არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, არც არაფერი გესაქმება.

\* \* \*

3151. ყველაფერი მხოლოდ ყველას შეუძლია.

\* \* \*

3152. ის, რაც ყველას აწუხებს, ყველას უფრო ნაკლებად აწუხებს.

\* \* \*

3153. სასაფლაოზე დიდი სივიწროვება, რომელიც არავის აწუხებს.

\* \* \*

3154. ერთი რამის არქონისთვის წუხილი ფარავს მეორის ქონების სიხარულს.

\* \* \*

3155. მას ძნელად ეშველება, ვინც ვერ შეიგნო, რომ საკუთარი თავის პირველი მშველელი თვითონ უნდა იყოს.

\* \* \*

3156. „რა მეშველებას“ არაფერი ეშველება.

\* \* \*

3157. შვილები ისე მოუვლიან შენს საფლავს, როგორც შენ უვლი შენი მშობლებისას.

3158. შვილები მშობლების დახასიათებაა.

\* \* \*

3159. შვილებით უკმაყოფილება საკუთარი შეცლომების ბრალია.

\* \* \*

3160. შვილების აღზრდა ყველაზე საპასუხისმგებლო მოვალეობაა.

\* \* \*

3161. შვილების დაცვას ყველა სულიერი ისეთივე გულმოდგინებით ცდილობს, როგორც ადამიანი.

\* \* \*

3162. შვილების დიდი სიყვარული მშობელს ხელს არ უნდა უშლიდეს მათში ცუდი დროულად შეამჩნიოს.

\* \* \*

3163. შვილების კარგად ყოფნა მშობლების კარგად ყოფნაა.

\* \* \*

3164. შვილების მიმართ დედის გული ყოველთვის კრისტალივით წმინდაა.

\* \* \*

3165. შვილების სიტკბოს ყველაზე მეტად სიცოცხლის ბოლოს გრძნობს მშობელი.

\* \* \*

3166. შვილების სიყვარულით დედა გამოთქმით იფერფლება, ხოლო მამა – გამოუთქმელად.

\* \* \*

3167. შვილების სიმრავლით მშობლებისგან მათ სიყვარულს არაფერი აკლდება.

\* \* \*

3168. მსოფლიოს ჯერ არ ჰყოლია და არც მომავალში ეყოლება შვილი, რომლის დალუპვა ქვეყნიერებას დალუპავდა.

\* \* \*

3169. შვილი ბავშვობაშია მშობლებისა, ზრდასრული ადამიანი სამშობლოს ეკუთვნის.

3170. შვილი დანაშაულს უნდა აარიდო და არა დანაშაულისთვის სასჯელს.

\* \* \*

3171. შიმშილი ამხეცებს ადამიანს.

\* \* \*

3172. ვარდს ზამთარი კი არა, სიცივე აშინებს.

\* \* \*

3173. გეშინოდეს იმისი, ვისაც შენი ეშინია.

\* \* \*

3174. მტერთაგან მხოლოდ ერთს შეუძლია ბოლო მოგიღოს, მაგრამ ყველასი უნდა გეშინოდეს.

\* \* \*

3175. ადამიანს ცუდი საქმისთვის სამაგიეროს შიში უნდა სდევდეს თან.

\* \* \*

3176. თავის კატის ეშინია და ლომის – არა.

\* \* \*

3177. ახალგაზრდას ისე რომ ეშინოდეს სიკვდილის, როგორც მოხუცს, გმირს ვერსად იპოვიდით.

\* \* \*

3178. მშიშარა მტერი უფრო საშიშია.

\* \* \*

3179. ორი მშიშარა ერთად უფრო უშიშრად გამოიყურება.

\* \* \*

3180. სჯობს, ცოტა მშიშარა იყო, ვიდრე ზედმეტად გაბელული.

\* \* \*

3181. შეუძლებელია გააბედნიერო მშიშარა.

\* \* \*

3182. მშიშარას გმირობა ისევე წარმოუდგენელია, როგორც გმირის სიმხდალე.

\* \* \*

3183. მხოლოდ მშიშრები სპობენ მოწინააღმდეგეს.

3184. **საშიშია** ადამიანი, რომელსაც შეუძლია სიყვარულიდან სიძულვილზე ადვილად გადაერთოს.

\* \* \*

3185. ხშირად ხდება, რომ **საშიშროების** წინაშე მდგარს საკუთარი თავის სიყვარული „შეგაყვარებს” საძულველს.

\* \* \*

3186. სრულიად **უშიშარი** ადამიანი მიცვალებულია.

\* \* \*

3187. ვისაც **შიშის** გრძნობა არა აქვს, მეტი საშიშროება ელის.

\* \* \*

3188. ზოგჯერ **შიში** აიძულებს ადამიანს, ემზადოს არასაშიშისაგან თავის დასაცავად.

\* \* \*

3189. ყოველგვარი **შიში** სიკვდილის შიშია.

\* \* \*

3190. **შიში** ადვილად იმონებს და ძნელად ათავისუფლებს ადამიანს.

\* \* \*

3191. **შიში** სიცოცხლეს დარაჯობს.

\* \* \*

3192. **შიში** შეიცავს სიფრთხილეს.

\* \* \*

3193. **შიში** ხან ხმამალლა გვამღერებს, ხან სრულიად გვაბუნჯებს.

\* \* \*

3194. **შიშის** გრძნობა უამრავ სიკეთეზე აგალებინებს ხელს.

\* \* \*

3195. **შიშს** გაურკვეველობა იწვევს.

\* \* \*

3196. **შიშს** იმედი მკურნალობს.

\* \* \*

3197. ვინც გუშინ მეტი **იშრომა**, დღეს მეტად გაიხარებს.



3198. ფუტკარივით უნდა იშრომოს, რომ ფუტკარივით ტკბილი შედეგი მიიღოს.

\* \* \*

3199. მშრომელ ადამიანს უსაქმობა უფრო ღლის, ვიდრე შრომა.

\* \* \*

3200. მშრომელი კაცი ოთხმოცი წლის მილიარდერიც შრომობს.

\* \* \*

3201. მშრომელი კაცის დრო სიმდიდრეა, ზარმაცისა კი – სიღარიბე.

\* \* \*

3202. მშრომელი ღარიბი უშრომელ მდიდარს გადაასწრებს.

\* \* \*

3203. უშრომლად მოსული, უკეთესიც კი, შრომით მოპოვებულზე ნაკლებად ფასდება.

\* \* \*

3204. უშრომლად ნაშოვნის ერთი ღარი უშრომელ მილიონს მოგთხოვს.

\* \* \*

3205. უშრომლად ფულის მშოვნელი საქმეში ძმასაც არ ჩაახედებს.

\* \* \*

3206. უშრომლობა გარანტირებული სიღარიბეა.

\* \* \*

3207. უშრომლობას ყოველგვარი შრომა სჯობს.

\* \* \*

3208. ადამიანის შრომა სიცოცხლეს ემსახურება.

\* \* \*

3209. ბედი იმას წყალობს, ვისაც შრომა უყვარს.

\* \* \*

3210. დაუღალავი შრომა დიდი მიზნების და მისწრაფების მაჩვენებელია.

3211. ვისაც შრომა არ ესალისება, არც ცხოვრება ექნება სახალისო.

\* \* \*

3212. ვისაც შრომა აწამებს, ცხოვრებაც არ ახარებს.

\* \* \*

3213. თუ გინდა ქვეყანას გამოადგე, საკუთარ თავს მიძიმე შრომა უნდა მიუსაჯო.

\* \* \*

3214. თუ რამეს შენი სურვილის წინააღმდეგ აკეთებ, ეს შრომა კი არა – სასჯელია.

\* \* \*

3215. თუ შრომა სიამოვნებას განიჭებს, ცხოვრებაც სასიამოვნო გექნება.

\* \* \*

3216. მუყაითი შრომა უღაბნოსაც ბალნარად აქცევს.

\* \* \*

3217. ოჯახის, სოფლის და ქვეყნის გაძლერებას დაუღალავი შრომა სჭირდება.

\* \* \*

3218. შრომა ადამიანის ბედნიერების წყაროა.

\* \* \*

3219. “შრომა აკეთილშობილებს ადამიანს”, ხოლო კეთილშობილს აბედნიერებს.

\* \* \*

3220. შრომა ის სიკეთეა, რომელიც ადიდება ადამიანს.

\* \* \*

3221. შრომა მატერიალურად ინახავს ადამიანს, სულიერად კი – ადამიანში ადამიანობას.

\* \* \*

3222. შრომა სიკეთეა.

\* \* \*

3223. შრომა სიმდიდრეს გვმატებს, კეთილშობილება კი ღირსებას.

3224. შრომა უკვალოდ არასოდეს ჩაივლის.

\* \* \*

3225. შრომა უღელი კი არა, არსებობის საშუალებაა.

\* \* \*

3226. შრომა ცხოვრების საშუალებაა.

\* \* \*

3227. შრომა ცხოვრების წესად უნდა აქციო.

\* \* \*

3228. შრომა ძალიან იშვიათად არ იძლევა სარგებელს.

\* \* \*

3229. ბევრ შრომას ადვილადგამართლებ, უშრომელობას – ვერაფრით.

\* \* \*

3230. მოსავალი ახალისებს შრომას.

\* \* \*

3231. რაც მეტ შრომას ჩადებ საქმეში, მით მეტად მიჯაჭვული აღმოჩნდები მასზე.

\* \* \*

3232. შრომას და ბრძოლას ადამიანის ერთნაირი თვისებები სჭირდება.

\* \* \*

3233. შრომას შედეგი უნდა ამართლებდეს.

\* \* \*

3234. შრომას შეუძლია დრო ფულად აქციოს.

\* \* \*

3235. რა შრომასაც ჩადებ, მის საპირწონე შედეგს მიიღებ.

\* \* \*

3236. განსხვავებით მდიდრისაგან, ღარიბს შრომაში მეტი შემართება სჭირდება.

\* \* \*

3237. ვინც შრომაში ოფლს ღვრის, დასვენებისას ხარობს.

\* \* \*

3238. ყოველგვარ შრომაში ვილაცის ნაშრომს ვიყენებთ.

3239. შრომაში გალუული ერთი დღე უშრომელ ორს უზრუნველყოფს.

\* \* \*

3240. შრომაში დაუზარელი ადამიანი ადვილად აღწევს დასახულ მიზანს.

\* \* \*

3241. მონაგარი ის არის, რასაც შენი შრომით მოიპოვებ.

\* \* \*

3242. შრომით სიმდიდრე მოდის, სიზარმაცით სიღარიბე.

\* \* \*

3243. შრომით გამდიდრებული სჯობს დაბადებიდან მდიდარს.

\* \* \*

3244. შრომით შეძენილი უშრომელობით დაიკარგება.

\* \* \*

3245. ადამიანს თავისი შრომის შედეგი ადიდება.

\* \* \*

3246. შრომის გარეშე არაფერი იქმნება.

\* \* \*

3247. დიდი შრომის გარეშე დიდ წარმატებებს გენიოსებიც ვერ აღწევენ.

\* \* \*

3248. დიდი შრომის ნაყოფი დიდი სიხარულია.

\* \* \*

3249. მასწავლებლის შრომის ნაყოფი ჩვენი ადამიანობაა.

\* \* \*

3250. სხვისი შრომის დაფასებით, შენს ადამიანობას აფასებ.

\* \* \*

3251. შრომის და არა ჭამის სიყვარულმა უნდა წამოგვავდოს დილით საწოლიდან.

\* \* \*

3252. შრომის ნაყოფით ცოცხლობს ქვეყნიერება.

\* \* \*

3253. შრომის სიყვარული სიცოცხლის სივარულია.

3254. შრომის უნარში უთვალავი განძი ღვეს.

\* \* \*

3255. სჯობს ფულისთვის შრომობდე, ვიდრე უფულობა გტანჯავდეს.

\* \* \*

3256. სწორედ ის არ შრომობს, ვინც უფულობას ვერ იტანს.

\* \* \*

3257. ადამიანების კი არ უნდა გშურდეს, მათ ბედნიერებაში საკუთარ ბედნიერებას უნდა ხედავდე.

\* \* \*

3258. სხვისი ბედნიერება კი არ უნდა გშურდეს, ყველას ბედნიერებას უნდა ელოდე.

\* \* \*

3259. თუ ცოტა გაკლია ცოტასი გშურს, თუ ბევრი – ყველასი.

\* \* \*

3260. აღმატები სხვებს, ნიშნავს შურდეთ შენი.

\* \* \*

3261. სჯობს ბევრს შურდეს შენი, ვიდრე – არავის.

\* \* \*

3262. ცოტა სიმდიდრე უფრო შურთ, ვიდრე დიდი ცოდნა.

\* \* \*

3263. ადამიანი, რომელსაც სხვისი სიკეთის შური მოკლავს, დატირების ღირსი არ არის.

\* \* \*

3264. მილოცვა და შური ერთად არიან.

\* \* \*

3265. სადაც შური არსებობს, შურისძიებაც იფეთქებს.

\* \* \*

3266. ყოველთვის უნდა ეცადო, ადამიანებში იმდენი შური არ გამოიწვიო, რომ სიყვარული სიძულვილმა ჩაანაცვლოს.

\* \* \*

3267. შური შეიცავს დარდს.

3268. შური ხშირად დანაშაულად იქცევა.

\* \* \*

3269. შურიანი თითქმის არასდროსაა ბედნიერი.

\* \* \*

3270. შურიანი, სხვის ქონებას ვერას აკლებს, თავის თავს კი ძლიერ ავნებს.

\* \* \*

3271. შურიანი სხვის წარმატებას უფრო ძნელად იტანს, ვიდრე საკუთარ წარუმატებლობას.

\* \* \*

3272. შურიანობა ცოდვის აკვანია, რომელშიც ის იზრდება და არასოდეს მცირდება.

\* \* \*

3273. შურიანობით მიღებული სიკეთე არ ახსოვს ისტორიას, თუმცა მიმდევარი არასდროს აკლია.

\* \* \*

3274. შურიანს ცივი თვალები აქვს.

\* \* \*

3275. შურის მიზეზი სხვისი წარმატება კი არა, საკუთარი წარუმატებლობაა.

**ჩამორჩენა, ჩაცმა, ჩვეულება, ჩრდილი, ჩხუბი,  
ცემა, ცეცხლი, ცივილიზაცია, ცილისჭამება,  
ციფრი, ცნობილი, ცნობისმოყვარეობა, ცოდვა,  
ცოდნა, ცოლი, ცოლ-ქმარი, ცოცხალი,  
ცრემლი, ცუდი, ცხოვრება**

3276. ჟამთა სვლას თუ ჩამორჩი, ვერასოდეს დაეწევი.

\* \* \*

3277. ჩაცმა ზოგი ადამიანის სხეულის სილამაზეს მალავს, ზოგისას კი – სიმახინჯეს.

\* \* \*

3278. ცუდი ჩვევები ცუდი აზროვნების შედეგია.

3279. ცული ჩვეულებისგან გამიჯვნის საუკეთესო საშუალება, ცუდის სხვაზე დანახვაა.

\* \* \*

3280. ჩრდილი უსინათლოდ არ იქნება.

\* \* \*

3281. რძალ-დედამთილის ჩხუბი ორივეს უღრღნის ნერვებს, მაგრამ ყველაზე მეტად მათ შორის მღვარ ქმარსა და შვილს ვნებს.

\* \* \*

3282. ჩხუბი იწყება მაშინ, როცა კამათი გადალახავს მოთმინების ზღვარს.

\* \* \*

3283. იმ ოჯახს, სადაც რძალ-დედამთილი ჩხუბობს, აწმყოც მწარე აქვს და მომავალიც.

\* \* \*

3284. როცა ორი ადამიანი ჩხუბობს უფრო ჭკვიანი ტყუის, ხოლო, როცა ბევრნი – ყველა.

\* \* \*

3285. ცემა არავისი არ შეიძლება, სუსტის – სირცხვილია, ძლიერი კი – თვითონ გცემს.

\* \* \*

3286. ცეცხლზე წყალიც შიშინებს, მაგრამ მწვადის სუნი არ ასდის.

\* \* \*

3287. ცეცხლი, თუ საწვავს არ მიუმატებ, თავის თავს დაწვავს.

\* \* \*

3288. ცეცხლს ვერსად დამალავ.

\* \* \*

3289. ცივილიზაცია ჯიუტად მიგვაქანებს ერთფეროვნებისკენ.

\* \* \*

3290. ცილისმწამებელი შედეგს არასოდეს ელოდება, მას მისით მიღებული სიამოვნებაც ჰყოფნის.

3291. ციფრები ყველაფერს განსაზღვრავენ.

\* \* \*

3292. ყველაფერი ცნობილი არასოდეს იქნება.

\* \* \*

3293. ყოველივე ცნობილი წარსულიდან მომდინარეობს.

\* \* \*

3294. ცნობისმოყვარეობა იმდენად ძლიერია, რომ თუ გილიოტინა მუშაობს, მოედანს ზღვა ხალხი აწყდება.

\* \* \*

3295. შეგნებულად არაფერი შესცოდო, ისიც გეყოფა, რასაც უნებლიედ შესცოდებ.

\* \* \*

3296. მაღლი აგამაღლებს, ცოდვა დაგამდაბლებს.

\* \* \*

3297. ცოდვაა სიბრძნე და სიკეთე, რომელსაც დამფასებელი არ გამოუჩნდება.

\* \* \*

3298. ვინც ცოდვას მოერიდება, სიკეთეს შეეყრება.

\* \* \*

3299. ცოდვას და მაღლს ერთნაირად სჭირდება ყურადღება.

\* \* \*

3300. ცოდვებით სავსე სურვილიც კი დანაშაულია.

\* \* \*

3301. ვინც თავის ცოდვებს ვერ ამჩნევს, თავი უცოდველი ჰგონია.

\* \* \*

3302. ცოდვის დაფარვა მეტი ცოდვის მომტანია.

\* \* \*

3303. ცოდვის ჩამდენი უნდა გეცოდებოდეს და არა გძულდეს.

\* \* \*

3304. რაც მეტი გეცოდინება, მით უკეთესად იცხოვრებ.

\* \* \*

3305. არ ვიცი – უკეთესი პასუხია, ვიდრე არასწორი.



3306. რა ვიცი – ვიცი და რა არ ვიცი – არ ვიცი.

\* \* \*

3307. თითქმის ყველაფერი, რაც ვიცი, სხვისი ჭკუის ნაყოფია.

\* \* \*

3308. რაც მეტი ვიცი, ნათლად ვხვდებით, რომ ცოტა ვიცი.

\* \* \*

3309. თუ გგონია, რომ ბევრი იცი, ეს იმის ნიშნავს, რომ ცოტა იცი.

\* \* \*

3310. რა არ იცი, იმის ცოდნაც ცოდნაა.

\* \* \*

3311. ადამიანებმა მეტი იციან, ვიდრე იყენებენ.

\* \* \*

3312. ადამიანმა თუ რაღაც არ იცის, არაფერი თქვა, სანამ არ გაიგებ რა იცის.

\* \* \*

3313. ადამიანმა უფრო მეტი რამ არ იცის, ვიდრე იცის.

\* \* \*

3314. არავინ იცის, რაც ყველამ იცის.

\* \* \*

3315. ბევრის მნახველმა, ბევრი იცის.

\* \* \*

3316. ვინც არაფერი იცის, მან არც ის იცის, რომ არაფერი არ იცის.

\* \* \*

3317. მდიდარმაც იცის, თუ გლეხმა ხორბალი არ მოიყვანა და მეპურემ პური არ გამოაცხო, მასაც შიმშილი ელის.

\* \* \*

3318. ყველამ იცის, რომ მოკვდავია, მაგრამ სიკვდილს არავინ აპირებს.

\* \* \*

3319. კარგი რომ იყო, ცუდიც უნდა იცოდე.

3320. რომ განსაჯო, უნდა იცოდე.

\* \* \*

3321. სჯობს ცოტა იცოდე და იყენებდე, ვიდრე – ბევრი და ვერ იყენებდე.

\* \* \*

3322. ძალიან ბევრი უნდა იცოდე, რომ ყოველთვის იცოდე ის ცოტა, რომელიც დაგჭირდება.

\* \* \*

3323. არ შეიძლება ცოლ-ქმარზე უკეთესად იცოდეს ვინმემ, არიან თუ არა ერთმანეთის ღირსნი.

\* \* \*

3324. ცუდად მცოდნე კარგს ვერაფერს გააკეთებს.

\* \* \*

3325. ბევრის მცოდნეს უჭირს ამტკიცოს ბევრის მცოდნეობა, ხოლო ბრიყვი ორიოდ სიტყვით ამტკიცებს თავის ბრიყვობას.

\* \* \*

3326. დიდი მცოდნეც უცოდინარია, თუ ცოდნას ვერ იყენებს.

\* \* \*

3327. ადამიანების ცოდნა სახელმწიფოს სიმდიდრეა და ის უნდა ზრუნავდეს მის გამოყენებაზე.

\* \* \*

3328. ადამიანის ცოდნა განსაზღვრავს მის წარმოდგენას ცხოვრებასა და სამყაროზე.

\* \* \*

3329. ადამიანის ცოდნა მისი გაცემის უნარით ფასდება.

\* \* \*

3330. ბევრი რამის ცოდნა არ ნიშნავს გონიერებას, გონიერება სწორად აზროვნების უნარია.

\* \* \*

3331. დიდი ცოდნა არავის ამძიძებს.

\* \* \*

3332. რაც მეტი გაქვს ცოდნა, უკეთესად იყენებ ღროს და შესაბამისად ცხოვრებას.

3333. საკმარისია, ცოტა **ცოდნა** შეიძინო, რომ მეტი ცოდნის სურვილი გაგიჩნდეს.

\* \* \*

3334. ყველაფრის **ცოდნა** მხოლოდ ყველას ერთად შეუძლია.

\* \* \*

3335. ყოველ ადამიანს იმაზე ნაკლები **ცოდნა** აქვს, რამდენიც სასურველია რომ ჰქონდეს.

\* \* \*

3336. **ცოდნა** ადამიანის ენერჯის კაპიტალიზაციის საუკეთესო საშუალებაა.

\* \* \*

3337. **ცოდნა** გაცემით ძლიერდება და სიკეთეს ამკვიდრებს.

\* \* \*

3338. **ცოდნა** და ჯანმრთელობა ბედნიერების გარანტიაა.

\* \* \*

3339. **ცოდნა** დიდი ქონებაა.

\* \* \*

3340. **ცოდნა** ემსახურება მიზანს.

\* \* \*

3341. **ცოდნა**, მიზანი და შესრულება — აი, რა სჭირდება ცხოვრებას.

\* \* \*

3342. **ცოდნა** სიკეთის წყაროა.

\* \* \*

3343. **ცოდნა** სიმდიდრეა მაშინ, თუ იცი ის, რაც დაგჭირდება.

\* \* \*

3344. **ცოდნა** ცხოვრების საწარმოებელი იარაღია.

\* \* \*

3345. დანახვა **ცოდნა**ა.

\* \* \*

3346. სხვისგან მიღებული ყველაზე დიდი სიკეთე **ცოდნა**ა.

\* \* \*

3347. იმარაგებ **ცოდნას**, იმარაგებ, რაც ცხოვრებას სჭირდება.

3348. რაც მეტ **ცოდნას** შეიძენ, ღმერთი მეტად დაგეხმარება.

\* \* \*

3349. **ცოდნას** თავში ადგილი რომ სჭირდებოდეს, როდისმე აივსებოდა.

\* \* \*

3350. **ცოდნას** მეტად მაშინ დააფასებ, როცა გაჭირვებისაგან გიხსნის.

\* \* \*

3351. თუ რამ კარგია ადამიანში, **ცოდნითაა**.

\* \* \*

3352. ადამიანი **ცოდნის** შესაბამისად მოქმედებს.

\* \* \*

3353. **ცოდნის** წყურვილი ხანგრძლივი დაავადებაა და სწავლით იკურნება.

\* \* \*

3354. **ცოდნის** ყველაზე კარგი თვისებაა, რომ ყველგან თან დაგყვება.

\* \* \*

3355. თუ გინდა, რომ შენი **ცოლი** შენ გეკუთვნოდეს, სხვისი სხვისად უნდა მიიჩნიო.

\* \* \*

3356. თუ **ცოლი** თავზე დაისვი – თავს მაღლა ვეღარ აწევ.

\* \* \*

3357. ყველა მამაკაცს უნდა, ყველა მის **ცოლს** უყურებდეს და ის კი ვერავის ხედავდეს.

\* \* \*

3358. სანამ სიღედრი ცოცხალია, **ცოლს** შენს ჭკუაზე ვერ ატარებ.

\* \* \*

3359. **ცოლ-ქმარი** ბერდება, მათი ჭეშმარიტი სიყვარული კი – არა.

\* \* \*

3360. კარგ **ცოლ-ქმარს** ერთნაირი მიზნები აქვთ.

3361. ვისაც **ცოცხალს** აგინებენ, მკვდარს არავინ დააფასებს.

\* \* \*

3362. არაფერს შველის **ცრემლი**, მაგრამ აუარებელი იღვრება.

\* \* \*

3363. **ცრემლი** ვერ კლავს ტანჯვას, მაგრამ მისი ნაწილი მიაქვს.

\* \* \*

3364. **ცრემლი** ზოგჯერ ზღვარგადასული სისხარულის დასტურია.

\* \* \*

3365. **ცრემლი** ქალის იარაღის არსენალიდანაა.

\* \* \*

3366. ცოტა **ცული** ბევრ კარგს გადაწონის.

\* \* \*

3367. **ცული** ცუდს გასწავლის, კარგი — კარგს.

\* \* \*

3368. დღეს გუმინდელმა უნდა **გაცხოვროს** და არა ხვალინდელმა.

\* \* \*

3369. **იცხოვრე** ისე, რომ სამოთხე დაიმსახურო.

\* \* \*

3370. **იცხოვრე** ისე, რომ სიკვდილს არ შეახსენო შენი სიცოცხლე.

\* \* \*

3371. მშვიდად მხოლოდ მაშინ **იცხოვრებ**, როცა შენს გვერდით მცხოვრებთა ცხოვრების წესს არ დაარღვევ.

\* \* \*

3372. არც ისე ახლოსაა ის დღე, როცა ყველა ადამიანი დელამიწაზე ცივილიზებულიად **იცხოვრებს**.

\* \* \*

3373. მსოფლიო მაშინ **იცხოვრებს** მშვიდად, როცა ყველა ქვეყნის ინტერესები საერთო-საკაცობრიო ინტერესებს შეერწყმება.

3374. გინდა იცხოვრო ბედნიერად? — განსაზღვრე რა არის ზედმეტი და არასოდეს იზრუნო მისთვის.

\* \* \*

3375. თუ გინდა რომ ბედნიერად იცხოვრო, შრომა უნდა შეიყვარო.

\* \* \*

3376. უნდა იცხოვრო არა სიკვდილის შიშით, არამედ სიცოცხლის სიყვარულით.

\* \* \*

3377. ადამიანმა რომ ღირსეულად იცხოვროს, დასაქმებული უნდა იყოს.

\* \* \*

3378. იოლი ცხოვრება არ არსებობს. ყველას ცხოვრებას ახლავს თავისი წილი სიძნელე.

\* \* \*

3379. კარგი ცხოვრება კომედიია, ცუდი — ტრაგედია.

\* \* \*

3380. ლხინი და ჭირი დროდადრო ერთმანეთს ენაცვლებიან და ცხოვრება ინტერესს არ კარგავს.

\* \* \*

3381. მთელი ცხოვრება სიცოცხლისათვის იხარჯება.

\* \* \*

3382. რაც უნდა ტკბილი გქონდეს ცხოვრება, მისი ბოლო მაინც მწარეა.

\* \* \*

3383. საკვირველია, მუქთახორობით ცხოვრებასაც რომ ცხოვრება ჰქვია.

\* \* \*

3384. ცხოვრება განუხრელად ვითარდება და ამას ის ერთეულები აკეთებენ, ვისაც უნარი აქვთ, წინ გაუსწრონ ცხოვრებას.

\* \* \*

3385. ცხოვრება — ეს არარაობის პრელუდიაა.

3386. ცხოვრება — ეს სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაა.

\* \* \*

3387. ცხოვრება ზოგ სასახლეს ნასახლარად აქცევს, ხოლო ზოგ ნასახლარს — სასახლედ.

\* \* \*

3388. ცხოვრება ზოგჯერ ერთმანეთის პირისპირ აყენებს მაღალი სულის დასასჯელს და დამსჯელს, და ძნელი გასარკვევი ხდება დამსჯელს უფრო ეცოდება დასასჯელი თუ დასასჯელს დამსჯელი.

\* \* \*

3389. ცხოვრება თარჯობენს ჰგავს — წინააღმდეგობები უნდა გადალახო.

\* \* \*

3390. ცხოვრება იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც არსებობს ამქვეყნად.

\* \* \*

3391. ცხოვრება ისე უნდა გაატარო, რომ ლაქები არსად დატოვო.

\* \* \*

3392. ცხოვრება მდინარეს ჰგავს — ჩაივლის და აღარ დაბრუნდება.

\* \* \*

3393. ცხოვრება მდინარეს ჰგავს, მუდმივად მიედინება და მუდამ ახალია.

\* \* \*

3394. ცხოვრება მოსალოდნელისა და მოულოდნელობების ბრძოლაა.

\* \* \*

3395. ცხოვრება მოყინულ აღმართს ჰგავს, ხშირად მოგიხდება უკან დაცურება.

\* \* \*

3396. ცხოვრება მუდმივი აღმართია.

3397. ცხოვრება მუდმივი გამოცდაა, რომელსაც უკეთ მომზადებული უკეთ აბარებს.

\* \* \*

3398. ცხოვრება რეალობას ემყარება და ილუზიებს არ ცნობს.

\* \* \*

3399. ცხოვრება რთულია და თუ მარტივად ჩათვლი, უფრო გართულდება.

\* \* \*

3400. ცხოვრება რომ გალალდება, მაშინ ტვინი გალაცდება.

\* \* \*

3401. ცხოვრება საშინელებაა, თუ წინ ვერაფერს ხედავ და უკან არაფერი მოგწონს.

\* \* \*

3402. ცხოვრება საჭიროებს სიცოცხლეს.

\* \* \*

3403. ცხოვრება სკივრია, საიდანაც მხოლოდ იმას ამოიღებ, რაც ჩაგიღია.

\* \* \*

3404. ცხოვრება უნდა დაიწყო დღეიდან, თუ იფიქრებ, დაიწყო ხვალიდან, ვერც ზეგიდან დაიწყებ.

\* \* \*

3405. ცხოვრება შეგძენს გამოცდილებას.

\* \* \*

3406. ცხოვრება შესაძლებლობათა რეალიზაციის უნარია.

\* \* \*

3407. ცხოვრება ცვალებადია: ჯერ მშობლები ასწავლიან შვილებს, ხოლო შემდეგ შვილები — მშობლებს.

\* \* \*

3408. ცხოვრება ხანგრძლივი არაა. ჩვენი წინაპრები წავიდნენ. ჩვენც წავალთ, ნალვაწი დარჩება მხოლოდ.

\* \* \*

3409. ვინც სწორად გეგმავს ცხოვრებას, უპრობლემოდ ცხოვრობს.



3410. იაფად **ცხოვრებას** თუ შეეცდები, უფრო ძვირი დაგიჯდება.

\* \* \*

3411. რაც მეტი სერიოზულობით მიუდგები **ცხოვრებას**, მით მეტ არასერიოზულს შენიშნავ მასში.

\* \* \*

3412. რაც შენს შესაძლებლობებს აღემატება **ცხოვრებას** არ უნდა მოსთხოვო.

\* \* \*

3413. საამურ **ცხოვრებას** დიდი ჭკუა სჭირდება. ჯერ იმისთვის, რომ მოიპოვო, ხოლო შემდეგ იმისთვის, რომ შეინარჩუნო.

\* \* \*

3414. **ცხოვრებას** თუ ჩამორჩები არა უშავს; მთავარია, სიცოცხლეს არ ჩამორჩე.

\* \* \*

3415. **ცხოვრებას** საქმიანი ადამიანები ალამაზებენ.

\* \* \*

3416. **ცხოვრებას** სჭირდება განათლება, განათლებას კი — მილიონთა ნააზრევი.

\* \* \*

3417. **ცხოვრებას** ცხოვრება გასწავლის.

\* \* \*

3418. ვისაც **ცხოვრებაში** დიდი გეგმები არა აქვს, ცხოვრებას უსახელოდ გალევს.

\* \* \*

3419. **ცხოვრებაში** იშვიათად დიდი ადამიანებიც ირჩევენ არასწორ გზას.

\* \* \*

3420. **ცხოვრებაშია** ჩამალული ბედნიერება.

\* \* \*

3421. ადამიანი თავისი განვლილი **ცხოვრებიდან** ფურცლებს ვერც ამოაკლებს და ვერც ჩაამატებს.

3422. ვისაც **ცხოვრების** საფუძვლად უნგარობა გაუხდია, უშფოთველად გალევს სიცოცხლეს.

\* \* \*

3423. მეორე სპეციალობა **ცხოვრების** მეორე წყაროა.

\* \* \*

3424. საკუთარი **ცხოვრების** შეცვლა ბევრს შეუძლია, ხალხთა ცხოვრების შეცვლა კი გენიოსთა საქმეა.

\* \* \*

3425. **ცხოვრების** გზა ლაბირინთია; ვინც სწორ არჩევანს გააკეთებს, იმას გაუმართლებს.

\* \* \*

3426. **ცხოვრების** რა გზასაც აირჩევ, ისეც იცხოვრებ.

\* \* \*

3427. **ცხოვრების** სიღუბეა. აი, ადამიანის სწორი გზიდან აცდენის მიზეზი.

\* \* \*

3428. **ცხოვრების** სიმწარე აადვილებს სიკვდილს.

\* \* \*

3429. **ცხოვრების** ცუდი პირობები ზოგჯერ ფაქიზი ბუნების ადამიანსაც აბოროტებს.

\* \* \*

3430. **ცხოვრების** წესს თუ გავითვალისწინებთ დავასკვნით, რომ სამოთხე ცოტას სურს.

\* \* \*

3431. **ცხოვრებისთვის** მთავარია იცოდე, როდის რა უნდა გააკეთო.

\* \* \*

3432. **ცხოვრობ** ისე, როგორი მიზნებიც გქონდა და როგორც შეძელი მათი განხორციელება.

\* \* \*

3433. ისინი უფრო ბედნიერად **ცხოვრობენ**, რომლებიც ბედნიერების მოსაპოვებლად ნაკლებად ირჯებიან, ვიდრე უბედურების თავიდან ასაცილებლად.

3434. ვინც უშრომელად ცხოვრობს შრომა არ აინტერესს.

**კაგება, კალა, კალადობა, კალაუფლება,  
კარცვა, კეზლი, კვირფასი, კილი,  
კლევამოსილება, კლიერება, კმა, კნელი,  
კუნფი, კლვენი, კლომა**

3435. თუ შენ მართლაც ვარგხარ, სხვათაგან შენი ძაგება უკეთესად წარმოგაჩენს.

\* \* \*

3436. ადამიანში ძალა სიკეთისთვისაა და არა ძალადობისთვის.

\* \* \*

3437. დაღმართში იმდენი ძალა უნდა დაზოგო, რომ აღმართში არ შემოგაკლდეს.

\* \* \*

3438. მახვილის ძალა ვაჟკაცის მკლავშია.

\* \* \*

3439. არანაირ ძალას არ ძალუმს დროის შეეყოვნება.

\* \* \*

3440. დიდ ძალას ცოტა ჭკუა სჯობს.

\* \* \*

3441. სადაც მეტი ძალადობაა, წინააღმდეგობაც მეტია.

\* \* \*

3442. ვერაფერს დაძლევ, რაც შენს ძალებს აღემატება.

\* \* \*

3443. განუზომელი ძალაუფლების მპყრობელს დიდი განსჯის უნარი სჭირდება, რომ საკუთარმა ძალაუფლებამ არ დაღუპოს.

\* \* \*

3444. რომისთვის მებრძოლებს ძეგლებს უდგამდნენ, ხოლო რომის გადამრჩენელი ბატები, უმოწყალოდ გააუტეს.

\* \* \*

3445. ის ძეგლი მეტ ყურადღებას იმსახურებს, რომელიც დაუმსახურებლად აღიმართება.

3446. ყველაფერი ძვირფასია, რაც საჭიროა.

\* \* \*

3447. ყველაფერი ძვირფასია, რასაც სიკეთე მოაქვს.

\* \* \*

3448. რომ დაიძინო თვალები უნდა დახუჭო.

\* \* \*

3449. რასაც ძილს დააკლებ, სიცოცხლეს შეემატება.

\* \* \*

3450. თუ ღარაჯს სძინავს, ეს ნიშნავს, რომ ყველას სძინავს.

\* \* \*

3451. უძილობა სიცოცხლეს ვნებს, მძინარობა ცხოვრებას.

\* \* \*

3452. შენს გაძლიერებას უნდა ცდილობდე და არა სხვის დასუსტებას.

\* \* \*

3453. მამაკაცის ძლიერებამ კაცობრიობა აიძულა მატრიარქატი პატრიარქატით შეეცვალა.

\* \* \*

3454. ჟირაფი აშკარად ზემოდან დაჰყურებს ცხოველებს, მაგრამ სულაც არ არის ყველაზე ძლიერი.

\* \* \*

3455. ფიზიკურად ნაწრთობი ძლიერი სხეული ხელს უწყობს გონიერების რეალიზაციას.

\* \* \*

3456. რაც ძალიან ძნელია, ძალიან ძვირია.

\* \* \*

3457. სიძუნწე განუკურნებელია და იგი უფრო შეერწყა ადამიანის ბუნებას, ვიდრე გაცემა.

\* \* \*

3458. მოხუცები ძუნწები არ არიან. მათ მომჭირნეობას მონაგრების იმედის ნაკლებობა აიძულებს.

\* \* \*

3459. ძუნწს, რაც მეტი აქვს, მეტად უჭირს.

3460. **ბუნწს** სიცოცხლე ვერაფერს დასტყუებს, თორემ სიკვდილი ყველაფერს წაართმევს.

\* \* \*

3461. **მაძღარი** გაუმაძღარი არავის უნახავს.

**წაკითხვა, წამალი, წარმატება წარმოჩენა,  
წარსული, წერილი, წერტილი, წესიერება,  
წესრიგი, წვეულება, წვიმა, წვრილმანი**

3462. გენიალურის **წაკითხვა** ადამიანს გენიოსად ვერ აქცევს.

\* \* \*

3463. ბევრი **წაკითხული** ბევრ საფიქრალს წარმოშობს, რაც ამდიდრებს და ავარჯიშებს ცოდნას.

\* \* \*

3464. ერთ ქვეერში უჭკუობის იმდენი **წამალია**, მთელ სოფელს ეყოფა.

\* \* \*

3465. **უწამლოდ** მოკვდე ის სჯობს, ვიდრე წამალმა მოგკლას.

\* \* \*

3466. **წამალს** ავადმყოფობა ქმნის.

\* \* \*

3467. სხვათა **წარმატება** კარგს უხარია, ცუდს კი არა.

\* \* \*

3468. ადამიანის **წარმატება** მისი მიზნებისა და შესაძლებლობების რეალურობაზეა დამოკიდებული.

\* \* \*

3469. დიდი **წარმატება**, მეტ წარმატებას თხოულობს.

\* \* \*

3470. თუ საქმეს **წარმატება** არ მოსდევს, იგი შემდგომი წარმატებისათვის მაინც გვაძნადებს.

\* \* \*

3471. სხვისი **წარმატება** შურს კი არა ჩვენი წრმატების სურვილს უნდა იწვევედეს.

3472. წარმატება დიდი შრომის შედეგად მიიღწევა.

\* \* \*

3473. წარმატება ენერგიულ მოქმედებაშია.

\* \* \*

3474. „წარმატება თავბრუს გვახვევს“, წარუმატებლობა ჭკუას გვასწავლის.

\* \* \*

3475. წარმატება თანამდებობაზე გმირობაა, მაგრამ ისეთივე გმირობაა უარი იმ თანამდებობაზე, რომელსაც ვერ დაძლეე.

\* \* \*

3476. წარმატება ცხოვრებაში შენი ადგილის პოვნას მოაქვს.

\* \* \*

3477. წარმატება წარმატების მშობელია.

\* \* \*

3478. თუ გინდა წარმატებას მიადწიო, მოვალეობას არ უნდა გააქცე.

\* \* \*

3479. თუ გინდა წარმატებას მიადწიო, შენი მიზნები შენი შესაძლებლობის ზღვართან ახლოს უნდა იყოს.

\* \* \*

3480. წარმატებას სთხოვენ წარმატებულს და არა წარუმატებულს.

\* \* \*

3481. დიდი წარმატების სიტკბოს დიდი შური ამწარებს.

\* \* \*

3482. წარმატებული ის პაიკია, რომელიც ლაზიერად გარდაისახება.

\* \* \*

3483. წარმატებული მხოლოდ ის ხელმძღვანელია, რომელიც ხალხის სათქმელს ამბობს და სასიკეთო საქმეს აკეთებს.

\* \* \*

3484. ძალიან წარმატებული მეგობარი კი არ ჩაგივლის, ჩაგიქროლებს.

3485. შენს წარუმატებლობაში ყველაზე დიდი ბრალი შენში უნდა ეძებო და არა სხვებში.

\* \* \*

3486. ყოველი ადამიანი საკუთარ თავს წარმოაჩენს არა ისე, როგორიც არის, არამედ როგორი წარმოდგენაც აქვს საკუთარ თავზე.

\* \* \*

3487. წარსულ ჭირ-ვარაჰს მომავლის იმედი აადვილებს.

\* \* \*

3488. ვინც წარსულზე დარდობს, აწმყოს თავს ვერ გაართმევს.

\* \* \*

3489. ადამიანის წარსული მისი დახასიათებაა.

\* \* \*

3490. ადამიანის წარსული მისი მომავლის ხარჯზე იქმნება.

\* \* \*

3491. თუ წარსული არ მოგწონს, მომავალს გაიუმჯობესებ.

\* \* \*

3492. რაც უფრო მდიდარი აქვს წარსული, მით უფრო შემართებით უნდა იღვწოდეს ერი მის დასაცავად.

\* \* \*

3493. სადიდებელი წარსული გვახარებს.

\* \* \*

3494. ყველაფერს, რაც არსებობს, აქვს წარსული.

\* \* \*

3495. ცული წარსული აუფერულებს აწმყოს.

\* \* \*

3496. ცული წარსული ცულ მომავალს იძლევა.

\* \* \*

3497. წარსული ადამიანის დახასიათებაა, მომავალი კი სამოქმედო ასპარეზი.

\* \* \*

3498. წარსული არარაობად ქცეულთა თავშესაფარია.

3499. წარსული აქვს ყველას და ყველაფერს, ოღონდ ყველას — თავისი.

\* \* \*

3500. წარსული აღარ არსებობს. ის წარსული აწმყოა და მას გონება ინახავს.

\* \* \*

3501. წარსული გვეხმარება, სწორად განვკვირვითოთ მომავალი და ვაქციოთ უკეთეს აწმყოდ.

\* \* \*

3502. წარსული ისეთ ხასიათზე გვაყენებს, რა ეპიზოდსაც ვიხსენებთ.

\* \* \*

3503. წარსული კაცობრიობის მონაპოვართა ოკეანეა, რომელსაც დავიწყებისკენ მიაქანებს დრო.

\* \* \*

3504. წარსული რომ გაკიცხო, გამოსწორება უნდა შეგეძლოს.

\* \* \*

3505. წარსული მომავლის გასაღებია.

\* \* \*

3506. წარსული მოსაგონარია, აწმყო — სამოქმედო, მომავალი — საოცნებო.

\* \* \*

3507. წარსული შეიძლება გაიმეორო, უკან კი ვერ დააბრუნებ.

\* \* \*

3508. წარსულიდან კარგს მოვიგონებთ თუ ცუდს, ორივე მხოლოდ კაემანს აღძრავს ჩვენში.

\* \* \*

3509. წარსულის გამოსწორება აწმყოს საქმეა.

\* \* \*

3510. წარსულის გამოცდილებით მომავალი უნდა აშენო.

\* \* \*

3511. წარსულის გამოცდილების გარეშე ადამიანი დღესაც პირველყოფილი იქნებოდა.



3512. **წარსულის** გაცოცხლება ამდღრებს მომავალს.  
\* \* \*
3513. **წარსულის** პატივისცემა აწმყოს მოვალეობაა.  
\* \* \*
3514. **წარსულის** სიკეთე შესამჩნევს ხდის აწმყოს  
ნაკლოვანებებს.  
\* \* \*
3515. **წარსულის** სიმწართ მომავალი არ უნდა გაიმწარო.  
\* \* \*
3516. თუ ახლისკენ არ მიისწრაფვი, **წარსულს** ვერ გასცდები.  
\* \* \*
3517. ისტორია ინახავს **წარსულს**.  
\* \* \*
3518. ტკბილ **წარსულს** მწარე მომავალი სჯობს.  
\* \* \*
3519. **წარსულში** არაფერი ხდება, ეს რომ ასე არ იყოს, დღეს  
ჩვენც შევძლებდით რამის გაკეთებას გუშინ, ან გუშინწინ.  
\* \* \*
3520. **წარსულში** დასახული მიზნები აწმყოში მოქმედებენ.  
\* \* \*
3521. **წარსულშიც** და მომავალშიც უამრავი საიდუმლოებაა.  
ადამიანის მიზანი კი მათი ამოხსნა უნდა იყოს.  
\* \* \*
3522. მისწერო **წერილი**, ნიშნავს ჩაახელო გულში.  
\* \* \*
3523. მიხვედი **წერტილთან?** ე.ი. უკან დარჩა ყველაფერი.  
\* \* \*
3524. **წერტილიც** უამრავი **წერტილისაგან** შედგება.  
\* \* \*
3525. **წესიერი** ადამიანები ცდილობენ, საზოგადოებაში  
თავხედობა აღმოფხვრან, თავხედები, პირიქით, ნერგავენ მას.  
\* \* \*
3526. **წესრიგის** ყველაზე კარგი დამცველი სინდისია.

3527. ყველაფერი **წესრიგშია** იქ, სადაც გონება ბატონობს.

\* \* \*

3528. **უწესრიგობას** თუ თვალი შეაჩვიე, **წესრიგად** მოგეჩვენება.

\* \* \*

3529. **წვეულებაზე** დროულად უნდა მიხვიდე, რომ მასპინძელს ხელი არ შეუშალო და სტუმრები არ შეაწუხო.

\* \* \*

3530. **წვიმა** დადამიწის ცრემლებია და არა ცის.

\* \* \*

3531. **წვრილმან** შეჭირვებას რომ დიდ ყურადღებას ვუთმობდეთ, ბევრ დიდ გასაჭირს ავცდებოდით.

\* \* \*

**წვრილმან** ჭირს შეიცნობს ადამიანი, **წვრილმან** ბედნიერებას კი – ნაკლებად.

\* \* \*

3532. ყველაფერი **წვრილმანია** სიცოცხლესთან შედარებით.

**წიბნი, წინააღმდეგობა, წინამძღოლი,  
წინაპარი, წინსვლა, წიხლი, წმინდანი, წონა,  
წყალი, წყალობა, წყარო, წყენა, წყობა**

3533. თუ სახლში **წიგნები** გაქვს, მარტო ყოფნას აღარ უნდა უჩიოდე.

\* \* \*

3534. **წიგნები** გარდაცვლილთა სიბრძნეს ინახავენ.

\* \* \*

3535. **წიგნები** სიკეთეს გვთავაზობენ

\* \* \*

3536. **წიგნებს** ადამიანები ქმნიან, **წიგნები** კი ადამიანებს ზრდიან.

\* \* \*

3537. **წიგნებს** გონება ქმნის, **წიგნები** კი გონებას.

3538. წიგნებს კარადაში ინახავენ, შინაარსს კი – თავში.

\* \* \*

3539. წიგნებში კეთილი სიზმრიდან ჭეშმარიტების ჩათვლით ყველაფერია.

\* \* \*

3540. წიგნებში უთვალავი სიბრძნეა გაფანტული, ოღონდ მათი ამოკრებაა ძნელი.

\* \* \*

3541. წიგნზე დრო ნაკლებად მოქმედებს. მას მისი შინაარსი კლავს.

\* \* \*

3542. თუ წიგნი ახლად ინახება, განათლება ძველი რჩება.

\* \* \*

3543. კარგი წიგნი არასოდეს მოკვდება.

\* \* \*

3544. ყველას არცერთი წიგნი არ წაუკითხავს ისე, როგორც ერთს – ყველა წიგნი.

\* \* \*

3545. წიგნი აზრის უკვდავებაა.

\* \* \*

3546. წიგნი აზრს არასოდეს შეიცვლის.

\* \* \*

3547. წიგნი გაიძულებს იაზროვნო.

\* \* \*

3548. წიგნი განათლების დედაბოძია.

\* \* \*

3549. წიგნი გვასწავლის, ცხოვრება გვარწმუნებს.

\* \* \*

3550. წიგნი გონების გახსნის საუკეთესო საშუალებაა.

\* \* \*

3551. წიგნი გონიერი განძია.

\* \* \*

3552. წიგნი გონიერი გზავნილია წარსულიდან.

3553. წიგნი, რომელმაც ყველაზე მეტი წიგნი შვა – ბიბლია.

\* \* \*

3554. წიგნი რომ წაიკითხო და გაიგო, რაც იქ წერია, მანამდე საკმარის ცოდნას უნდა მოუყარო თავი.

\* \* \*

3555. წიგნი სიბრძნეს გვიზიარებს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.

\* \* \*

3556. წიგნი სიბრძნეს მაშინ აფრქვევს, როცა ჭკვიანი მკითხველი ჰყავს.

\* \* \*

3557. წიგნი სიბრძნის სალაროა, რომელიც წაკითხვის ფასად გაიცემა.

\* \* \*

3558. წიგნი სიკეთეს არასდროს დაგაყვედრის.

\* \* \*

3559. წიგნი უგუნურობის მკურნალია.

\* \* \*

3560. წიგნი უტყვია, მაგრამ თუ წაიკითხავ, ბევრ სასრებლოს გეტყვის.

\* \* \*

3561. წიგნი ფურცლებზე გადატანილი აზრებია.

\* \* \*

3562. წიგნი შობს მკითხველს.

\* \* \*

3563. წიგნი ცხოვრების უხმო მოკარნახეა.

\* \* \*

3564. წიგნი ხვეწს გონებას.

\* \* \*

3565. წიგნიდან ბევრს იღებ, რაც იქ არ წერია.

\* \* \*

3566. ერთი წიგნითაც შეიძლება ჩამოყალიბდე ადამიანად – ესაა აფორიზმების სრულყოფილი კრებული.

3567. კარგი წიგნის ავტორობა უკვდავებაა, ცულისა კი – სიკვდილი.

\* \* \*

3568. წიგნის კითხვა აცოცხლებს გონებას.

\* \* \*

3569. წიგნის კითხვა გვაკეთილშობილებს.

\* \* \*

3570. წიგნის მთავარი ღირსება ისაა, რომ შეუძლია, წარსული გააცნოს აწმყოს და გადასცეს მომავალს.

\* \* \*

3571. წიგნის მტერიც და მოყვარეც მისი შინაარსია.

\* \* \*

3572. წიგნის სიკეთე სიბრძნეა.

\* \* \*

3573. წიგნმა უნდა სიბრძნით გაგამდიდროს.

\* \* \*

3574. წიგნს არაფერი ავიწყდება.

\* \* \*

3575. წიგნს მარტო საჭიროებისას კი არა, თავისუფალ დროსაც უნდა მოჰკიდო ხელი.

\* \* \*

3576. წიგნს შეუძლია, აზრი, რომლის სისწორეში არ ხარ დარწმუნებული, ურყევი აზრით შეგიცვალოს.

\* \* \*

3577. წიგნს შეუძლია, წარსულის თანამედროვედ გვაქციოს.

\* \* \*

3578. წიგნს შეუძლია, მასწავლებლის როლი შეასრულოს.

\* \* \*

3579. წიგნს ცვეთაზე ეტყობა, თუ რა სიბრძნე აქვს გაცემული.

\* \* \*

3580. უწიგნურობას უსახლკარობა სჯობს.

\* \* \*

3581. წინააღმდეგობა ამძაფრებს სიყვარულს.

3582. წინააღმდეგობა გაიძულებს წინააღმდეგობას.

\* \* \*

3583. წინააღმდეგობამ სიკეთის სურვილი ვერ უნდა მოგიკლას.

\* \* \*

3584. მღინარეს წინააღმდეგობები ახმაურებენ.

\* \* \*

3585. მეტი წინააღმდეგობის დაძლევა, მეტი სიამოვნებაა.

\* \* \*

3586. წინააღმდეგობის ტალღას ძალა მაშინ აქვს, როცა ხალხი მოთმინებიდანაა გამოსული.

\* \* \*

3587. ერთი თხა ათას ცხვარს ჰყოფნის წინამძღოლად.

\* \* \*

3588. რაც წინაპართაგან მიგიღია, შთამომავლობას არ უნდა დაუკარგო.

\* \* \*

3589. წინაპარს ვერ გამოასწორებ.

\* \* \*

3590. წინაპარს დაფასება უნდა.

\* \* \*

3591. წინაპრები განუწყვეტლივ გვმორდებიან.

\* \* \*

3592. ზოგჯერ წინსვლა უკან დახევაშია.

\* \* \*

3593. წინსვლა განათლებაზეა დამოკიდებული.

\* \* \*

3594. წინსვლა კი არა, წინ გახედვაც პროგრესია.

\* \* \*

3595. თუ არ ცდილობ წინსვლას, ცხოვრება უკან წაგიყვანს.

\* \* \*

3596. უგუნურის წიხლი სჯობია ჭკვიანისგან თითის დაქნევას.

\* \* \*

3597. უწმინდურებიც განისვენებენ წმინდანთა გვერდით.

3598. სახედარს ტვირთის წონა აწუხებს და არა – რაობა.

\* \* \*

3599. მომდინარი წყალი არასდროს დამყაყდება.

\* \* \*

3600. მუღმივად მომდინარი წყალი კლდეშიც გაჭრის სავალს.

\* \* \*

3601. ჯერ დაეწაფე და წყალი მერე აამღვრიე!

\* \* \*

3602. წყლის ყველა წვეთს აქვს შანსი, ოკეანეში მოხვდეს.

\* \* \*

3603. წყლის ძალა მაშინ გამოჩნდება, როცა საგუბარს გაარღვევს.

\* \* \*

3604. წყლის წვეთსაც აქვს ბროლის ბრწყინვალება, თუ შესაბამისი სხივი ეცემა.

\* \* \*

3605. ნორმალურმა მამაკაცმა ქალის წყალობა საიდუმლოდ უნდა შეინახოს.

\* \* \*

3606. წყაროს ვერ შებორკავ – თუ გზას ჩაუკეტავ, სხვა გზას მოძებნის.

\* \* \*

3607. ერთი და იგივე წყენა ჩვენზე დაბლა მდგომისგან მეტად გვაღიზიანებს, ვიდრე მაღლა მდგომისგან.

\* \* \*

3608. ვინმემ რომ წყენა ან გაბრაზება შეგამჩნიოს, – სირცხვილია.

\* \* \*

3609. როცა საზოგადოებრივი წყობა იცვლება, ცნობილი მკვლრებიც იხოცებიან.

**ჭამა, ჭალარა, ჭეშმარიტება,  
ჭირი, ჭკუა, ჭორი,**

3610. ბევრის ჭამით საკუთარ სიცოცხლეს ვჭამთ.

\* \* \*

3611. ვისაც ჭამა უფრო უყვარს, ვიდრე შრომა, საჭმელი შემოაკლდება.

\* \* \*

3612. ჭალარას მაშინ აქვს მიმზიდველობა, როცა სიბრძნეს აფრქვევს.

\* \* \*

3613. ჭეშმარიტ სიამოვნებას მხოლოდ სიკეთე და გულმოდგინება ანიჭებს ადამიანს.

\* \* \*

3614. ჭეშმარიტად ის ცოცხლობს, ვისაც სიკვდილის შემდეგ თავისი ნამოღვაწარის გამო არ ივიწყებენ.

\* \* \*

3615. ჭეშმარიტად კეთილია ის, ვინც სიკეთეს საკუთარი გულის ძახილით აკეთებს.

\* \* \*

3616. სჯობს ძველი ჭეშმარიტება გაიმეორო, ვიდრე ახალი სიყალბე იქადაგო.

\* \* \*

3617. ჭეშმარიტება არასოდეს დაკარგავს ბრწყინვალებას.

\* \* \*

3618. ჭეშმარიტება არასოდეს იცვლის სახეს.

\* \* \*

3619. ჭეშმარიტება თვითონ იცავს თავს.

\* \* \*

3620. ჭეშმარიტება ფოლადივით მტკიცეა.

\* \* \*

3621. ჭეშმარიტება ყოველთვის მართალია.

\* \* \*

3622. ჭეშმარიტება ძნელად მიიღწევა და არასდროს ირღვევა.



3623. ჭეშმარიტება ძნელად მოსაძებნი და ადვილად მოსახმარია.

\* \* \*

3624. ჭეშმარიტებაა, რომ ჭეშმარიტების მოწინააღმდეგე განწირულია ღამარცხებისთვის.

\* \* \*

3625. ჭეშმარიტებამდე ერთი გზა მიდის, მისკენ კი – ათასი.

\* \* \*

3626. ჭეშმარიტებამდე მხოლოდ ჭეშმარიტი გზით მიაღწევ.

\* \* \*

3627. ვერავითარმა ძალამ, ვერავითარმა გრძნობამ ვერ უნდა გაიძულოს, გადაუხვიო ჭეშმარიტების გზიდან.

\* \* \*

3628. დრო ჭეშმარიტების სიღიადესაც აფერმკრთალებს.

\* \* \*

3629. ჭეშმარიტების ძიება არასდროს დასრულდება.

\* \* \*

3630. ჭეშმარიტების წინააღმდეგ არგუმენტი არ არსებობს.

\* \* \*

3631. ჭეშმარიტი აფორიზმი, შეაღებს რა გონების კარიბჭეს, სამუდამოდ დაივანებს მის სამყოფელში.

\* \* \*

3632. ჭეშმარიტი აფორიზმი უკვდავია.

\* \* \*

3633. ჭეშმარიტი დაფასებაა, როცა შენს შრომას ჭეშმარიტი ადამიანები აფასებენ.

\* \* \*

3634. ჭეშმარიტი სიღიადე თავისუფალია ყოველგვარი ამქვეყნიური ცოდვისაგან.

\* \* \*

3635. ჭეშმარიტი ხელოვანი შორს მიმავალ გზას ხედავს.

\* \* \*

3636. ერთი ჭირი ათას ბედნიერებას დაგავიწყებს.

3637. ჭირი ბედნიერებას დაგავიწყებს, ბედნიერება ჭირს –  
ვერა.

\* \* \*

3638. ჭირის განცდა დიდხანს რჩება ადამიანში, ლხინის  
განცდა კი სწრაფად წარმავალია.

\* \* \*

3639. ჭირის შემცირება ლხინის მომატებაა.

\* \* \*

3640. ჭირიც და ლხინიც ხშირად გვერდით ჩაგივლის, თუ  
შენსკენ არ მიაბრუნებ.

\* \* \*

3641. ჭირს თუ არ ებრძვი, ნიშნავს, რომ ეგუები მას.

\* \* \*

3642. ჭირს რაც მეტად შეუშინდები, მით უფრო მოგეძალება.

\* \* \*

3643. ჭირს რომ თმების გლეჯა შეელოდეს, ყველა მელიოტი  
ბედნიერი იქნებოდა.

\* \* \*

3644. ჭკვიანები ვარსკვლავებამდე მანძილს გრძნობენ, ხოლო  
სულელები – ეთამაშებიან.

\* \* \*

3645. მეგობარს თუ შენი ლხინი არ უხარია, არც ჭირი  
დაანალღლიანებს.

\* \* \*

3646. დიდ ჭირს პატარა სიკეთეც მკურნალობს.

\* \* \*

3647. ვინც ჭირს არ შეუშინდება ლხინს დაიმსახურებს.

\* \* \*

3648. ჭკვიან უსაქმურს საქმიანი უგუნური სჯობს.

\* \* \*

3649. ჭკვიანთა დაცინვას მხოლოდ სულელისგან თუ მოისმენ.

\* \* \*

3650. ჭკვიანი ჭკუას ხმაროს, უჭკუო – უჭკუობას.

3651. სჯობს შეუხედავი და ჭკვიანი იყო, ვიდრე შეხედული და უჭკუო.

\* \* \*

3652. ჭკვიანი თავის თავს სთხოვს, სულელი კი – სხვას.

\* \* \*

3653. ჭკვიანი თავის კისერს თოკი არასდროს დაემუქრება.

\* \* \*

3654. ჭკვიანი თუ არა ხარ, არაფერია, თუ ასეთად არ მიგაჩნია თავი.

\* \* \*

3655. ჭკვიანი კაცი ლაპარაკს მოსმენას ამჯობინებს.

\* \* \*

3656. წყლის პირას ამოსული ბუჩქი უდაბნოში ამოსულზე ჭკვიანი არ არის.

\* \* \*

3657. ჭკვიანი უსაქმობით ბევრს კარგავს, უჭკუო კი არაფერს.

\* \* \*

3658. ჭკვიანი შეიძლება გაგიჟდეს, მაგრამ გიჟი არასდროს დაჭკვიანდება.

\* \* \*

3659. ჭკვიანი ხალხი არ უყვარს უჭკუო ხელისუფლებას.

\* \* \*

3660. ჭკვიანი ხელქვეითი შიშს გერის ხელმძღვანელს.

\* \* \*

3661. თუ ორი მოჩხუბარი ერთმანეთს გამორდა, ე. ი. ერთ-ერთი ჭკვიანია.

\* \* \*

3662. ჭკვიანია ის, ვინც ჭკვიანურად იყენებს ცოდნას.

\* \* \*

3663. ჭკვიანის ქული სიბრძნეს ვერ შეგმატებს.

\* \* \*

3664. ჭკვიანისგან სისულელე შეიძლება მოისმინო, მაგრამ სულელისგან ჭკვიანურს – ვერასოდეს.

3665. ჭკვიანობის წარმოსაჩენად საუბარი უჭკუობას ადასტურებს.

\* \* \*

3666. სჯობს ათ ჭკვიანს ემსახურო, ვიდრე ერთ უჭკუოს.

\* \* \*

3667. ჭკვიანს არ ეგონო გიჟი, თორემ გიჟს ყველა გიჟი ჰგონია.

\* \* \*

3668. ჭკვიანს უაზროს ვერასოდეს ათქმევინებ.

\* \* \*

3669. ჭკვიანურს ჭკუა ითხოვს და ჭკუა იძლევა.

\* \* \*

3670. არც შენი ჭკუა დამალო და არც სხვისას დაემალო.

\* \* \*

3671. ვინც მუშტებს იქნევს, ხელები კი არა აქვს გრძელი, ჭკუა აქვს მოკლე.

\* \* \*

3672. ვისაც ჭკუა არ აქვს, არც ის იცის, რომ ჭკუა არ აქვს.

\* \* \*

3673. თუ ჭკუა გეკითხება, ვინმე აუცილებლად მოგაკითხავს.

\* \* \*

3674. ”ჭკუა თითოეულისთვის ღმერთია”, ყველასთვის კი ჰარმონიული ცხოვრება.

\* \* \*

3675. კარგია, თუ ადამიანს იმაზე მეტი ჭკუა აქვს, ვიდრე ჰგონია.

\* \* \*

3676. სხვისი ჭკუა რომ დააფასო, შესაბამისი ჭკუა უნდა გქონდეს.

\* \* \*

3677. ჭკუა თავშია და არა თანამდებობაში.

\* \* \*

3678. ჭკუა იმას აქვს, ვის თავშიც არშესული აზრები იბადება.

3679. უერთმანეთოდ არც გენიოსის ჭკუაა საკმარისი და არც გოლიათის ძალა.

\* \* \*

3680. ვინც სხვის ჭკუას იყენებს, თავის ჭკუას ამდიდრებს.

\* \* \*

3681. ბევრი ჭკუას სწავლობს, როცა ყველაფერს კარგავს.

\* \* \*

3682. ვინც ჭკვიანის ჭკუას არ აღიარებს, უჭკუოა.

\* \* \*

3683. როცა გგონიათ, რომ ერთმანეთისთვის ჭკუას კარგავთ, სწორედ მაშინ ხართ ჭკვიანები.

\* \* \*

3684. უჭკუო ბევრია, მაგრამ უჭკუობას არაავინ უჩივის.

\* \* \*

3685. უჭკუო თავში ხელს არაფრისთვის შემოირტყამს.

\* \* \*

3686. უჭკუო კაცი უთავო სხეულია.

\* \* \*

3687. რასაც უჭკუო ჩაიდენს, ჭკვიანი ვერც მოიფიქრებს.

\* \* \*

3688. ძლიერი უჭკუო თოფზე საშიშია.

\* \* \*

3689. უჭკუობის დამალვასაც ჭკუა უნდა.

\* \* \*

3690. ერთი ბოთლი არაყი გენიოსსაც უჭკუოდ აქცევს.

\* \* \*

3691. სწორედ უჭკუოს სჯერა, რომ ყველაზე ჭკვიანია.

\* \* \*

3692. უჭკუოს ერთი მტერი ჰყავს და ისიც თვითონაა.

\* \* \*

3693. უჭკუოს მაგივრად ჭკვიანები აგებენ პასუხს.

\* \* \*

3694. უჭკუოს მოზომილით ჭკვიანიც ვერ ააშენებს.

3695. უჭკუოს სიფრთხილე სჭირდება, სიფრთხილეს კი, ჭკუა.  
\* \* \*
3696. უჭკუოს უჭკუობა რომ აწუნებდეს, დაჭკვიანდებოდა.  
\* \* \*
3697. უჭკუოს ყველაფერი უნდა, ჭკვიანს მხოლოდ საჭირო.  
\* \* \*
3698. ჭკუა უმწვრთნელოდ არ მრავლდება.  
\* \* \*
3699. ჭკუა უნდა გქონდეს, რომ სხვისი ჭკუა გამოიყენო.  
\* \* \*
3700. ჭკუა შეიძლება დაკარგო, უგუნურებას – ვერასოდეს.  
\* \* \*
3701. ჭკუა შთამომავლობით არ გადაეცემა.  
\* \* \*
3702. ჭკუას აზრი ადასტურებს.  
\* \* \*
3703. ჭკუას ანდერძით ვერავის დაუტოვებ.  
\* \* \*
3704. ჭკუას თუ გაჭირვება გასწავლის, გამოცდილებას შეემატებს და აღარ გაგიჭირდება.  
\* \* \*
3705. ჭკუას თუ ისესხებ, დაბრუნებას არავინ მოგთხოვს.  
\* \* \*
3706. ჭკუას მხოლოდ ის იძენს, ვინც ეძებს.  
\* \* \*
3707. ჭკუას შრომა შესძენს ადამიანს.  
\* \* \*
3708. ჭკუით გამარჯვება სიბრძნეა, მახვილით – ძალა. პირველი ყოველთვის აღემატება მეორეს.  
\* \* \*
3709. ჭკუით ნაშონ ფულს უნიფათოდ მოიხმარ.  
\* \* \*
3710. ჭკუის მასწავლებელი ბევრია, სიბრძნე კი ცოტას აქვს.

3711. ჭკუის სიჭარბე შეუძებელია.

\* \* \*

3712. დამამცირებელი ჭორი ვერ ცვლის ადამიანის რეალურ სახეს.

\* \* \*

3713. ჭორი მაშინ წყდება, როცა ქვეყანას მოივლის.

\* \* \*

3714. ჭორი ხალხში ფულივით ტრიალებს.

**ხალხი, ხანჯალი, ხასიათი, ხე, ხედვა,  
ხელისუფლება, ხესილი, ხელოვანი, ხელოვნება,  
ხელოვნური, ხიბლი, ხმალი, ხუმრობა**

3715. ვინც ხალხზე გადახტომას მოინდომებს, დასახტომს ვერ იპოვის.

\* \* \*

3716. არ არსებობს ცუდი ხალხი. ყველა ხალხს აქვს აღმავლობისა და დაღმავლობის ხანა, რომელიც საუკუნეებს მოიცავს.

\* \* \*

3717. არ არსებობს ხალხი, რომელიც ყველა ხალხს ჰგავდეს.

\* \* \*

3718. კაცი კაცით ძლიერდება და ამიტომაცაა, რომ ხალხი ძლიერია.

\* \* \*

3719. უკეთესდება ხალხი? უკეთესდება ცხოვრებაც.

\* \* \*

3720. ხალხი ბრძენია მაშინ, როცა ბრძენი ხელმძღვანელი ჰყავს სათავეში.

\* \* \*

3721. ხალხი უნდა დაითანხმოს და არა დაიმორჩილოს.

\* \* \*

3722. ყველაზე დიდი და გონიერი წიგნი ხალხია.

3723. **ხალხის** სიმრავლეში სიბრძნეც მეტია და ბოროტებაც.

\* \* \*

3724. ორპირი **ხანჯალია** კარგი და არა კაცი.

\* \* \*

3725. ქარქაშის გარეშე **ხანჯალს** ვერ ატარებ.

\* \* \*

3726. **ხასიათი** ცვლის სილამაზეს.

\* \* \*

3727. როგორც ადამიანი, ისე მისი **ხასიათიც** მუდმივად ცვალებადია.

\* \* \*

3728. კარგი ჩვეულებები კარგ **ხასიათს** ქმნიან.

\* \* \*

3729. ნამდვილ **ხასიათს** ბოლომდე ვერავენ დამალავს.

\* \* \*

3730. განმარტოებით მღვარი **ხე** კარგად შლის ტოტებს.

\* \* \*

3731. მოჭრილი **ხე** მალე ხმება, მაგრამ არც მოსაჭრელს ასცდება იგივე.

\* \* \*

3732. **ხე** ორი მიმართულებით იზრდება: ტანით – სიმაღლეში, ფესვებით – სიღრმეში.

\* \* \*

3733. **ხე** უფესვებოდ და ფესვები ხის გარეშე ვერ ცოცხლობენ.

\* \* \*

3734. მაღალ **ხეს** ფესვები ღრმად აქვს გადგმული.

\* \* \*

3735. ჭკვიანი ყველა მხარეს **ხედავს**.

\* \* \*

3736. მეამბოხეს **ხელისუფლება** ქმნის.

\* \* \*

3737. კარგი **ხელოვანი** ბუნების კარგი მცოდნეა.



3738. ხელოვანი ბუნებასა და ადამიანს შორის შუამავალია.

\* \* \*

3739. ბრწყინვალე ხელოვნება მისი შემქმნელი ხალხის ბრწყინვალეობას ადასტურებს.

\* \* \*

3740. მოქანდაკის ხელოვნებას შეუძლია ქვაში აზრი ჩააქსოვოს.

\* \* \*

3741. ხელოვნება გარდაქმნის ადამიანს.

\* \* \*

3742. ხელოვნება ალამაზებს სულს.

\* \* \*

3743. ხელოვნება ბუნების თარგმანია.

\* \* \*

3744. თუ ხელოვნების ნიმუშის ნახვით ვახერხებთ მისი ავტორის ამოცნობას, ესე იგი ის არსებობს მასში.

\* \* \*

3745. ხელოვნების მუზეუმი თავმოყრილი ხელოვნებაა.

\* \* \*

3746. ხელოვნების შედეგრი ღუმს, იაფფასიანი კი ყვირის.

\* \* \*

3747. ხელოვნების ჭეშმარიტება სინამდვილესთან სიახლოვეა.

\* \* \*

3748. ხელოვნური ბრწყინვალეობა ადვილი დასაკარგია.

\* \* \*

3749. ხეხილი, რომელიც ყველგან ხარობს, ყველა ბაღს უნდა ამშვენებდეს.

\* \* \*

3750. თუ ადამიანის გულის მოგება გინდა, ზრდილობით და სიტყვა-პასუხით უნდა მოხიბლო.

\* \* \*

3751. თუ ფიქრობ, რომ იმდენად ხიბლავ ადამიანებს, რამდენადაც შენ გგონია – ეს შეცდომაა.

3752. ქალაჩუნას ხელში ბასრი **ხმალიც** კი დაჩლუნგდება.

\* \* \*

3753. არ შეიძლება სერიოზულად **ხუმრობა** და მოწყენილად სიცილი.

**ჯაბანი, ჯანმრთელობა, ჯარისკაცი, ჯაჭვი,  
ჯილდო, ჯიში, ჯოჯოს მთი,**

3754. **ჯაბანი** თავის ეზოშია გულადი.

\* \* \*

3755. **ჯანმრთელი** ადამიანი არასოდეს განიცდის მომავალ სიკვდილს.

\* \* \*

3756. **ჯანმრთელობა** ის საკვებია, რომელსაც სიცოცხლე მთელი არსებობის მანძილზე იზოგავს.

\* \* \*

3757. **ჯანმრთელობა** სიცოცხლის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

\* \* \*

3758. ადამიანის ბედნიერებაში ლომის წილი მის **ჯანმრთელობას** უდევს.

\* \* \*

3759. დაკარგულ **ჯანმრთელობას** ხალისიც თან მიაქვს და სურვილებიც.

\* \* \*

3760. ვინც უფრო ხილდება საკუთარ **ჯანმრთელობას**, ის მეტ სიხარულს მოიმკის.

\* \* \*

3761. **ჯანმრთელობას** მოექეცი ისე, როგორც საყვარელ არსებას.

\* \* \*

3762. **ჯანმრთელობის** დაკარგვა იმდენად ადვილია, რამდენადაც ძნელია მისი დაბრუნება.

3763. ჯარისკაცი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრონია.

\* \* \*

3764. ჯაჭვის რგოლების გორაც რომ გედგას, არაფრის მაქნისია, თუ ერთმანეთს არ გადაება.

\* \* \*

3765. ზოგჯერ ჯილდოზე უარის თქმა მეტ ჯილდოს იმსახურებს.

\* \* \*

3766. ყოველი ცოცხალი არსება ცდილობს არ გაქრეს მისი ჯიში და ჯილაგი.

\* \* \*

3767. ვისაც ჯოჯოხეთის არსებობა სწამს, ბოროტებას მოერიდება.

### **ჰიპოთეზა, ჰონორარი, ჰორიზონტი, ჰუმანისტი**

3768. ჰიპოთეზა ხშირად რეალობის წინამორბედია.

\* \* \*

3769. ჰონორარი ახალისებს საქმის მკეთებელს.

\* \* \*

3770. ჰორიზონტს უფრო ადრე იხილავ, ვიდრე ქალის ხვაშიადს შეიტყობ.

\* \* \*

3771. ჰუმანისტი ადამიანი ცუდს არაფერს იქადაგებს.

## სარჩმვი

– ადამიანი, ადგილი, ადვილი .....	3
– ავადმყოფობა, ავი, ავკაცობა, ავტორიტეტი, აზრი, აზროვნება, ათასწლეული, აკრძალვა, ალაფი, ალკოჰოლი, ალყა, ამბავი, ამოძახილი .....	20
– არავინ, არამზადა, არარაობა, არეალი, არსებობა, არჩევანი, არწივი, ასაკი, ასვლა, ასპარეზი, ატომი, აუცილებლობა, აფორიზმი .....	25
– აღზრდა, აღმართ-დაღმართი, აჩქარება, ამკარა, აწმყო, ახალგაზრდობა, ახლობელი, ახალშობილი .....	28
– ბავშვი, ბედი, ბედნიერება, ბელადი, ბეჭედი ბიბლია .....	33
– ბოროტება, ბრალდება, ბრბო, ბრიყვი, ბრმა, ბრუნვა, ბრძენი, ბრძოლა, ბუნება .....	39
– გაბედულება, გადაწყვეტილება, გადაჭარბება, გაზეთი, გაზრდა, გამარჯვება, გამოგონება, გამონაკლისი, გამოსწორება, გამოყენება, გამოცდილება, განათლება, განადგურება .....	45
– განდიდება, განზრახვა, განსაცდელი, განძი, გარდუვალობა, გარჯა, გატაცება, გაუმჯობესება, გაცემა, გაცლა, გაჭირვება, გახსენება, გეგმა, გენი, გენიალური, გენიოსი, გერი .....	50
– გველი, გვირგვინი, გზა, გიჟი, გინება, გლეხი, გმირობა, გონება, გონებამახვილი, გრძნობა, გულგატეხილი, გულგრილი, გული, გულუხვი, გულფიცხი, გულჩვილი .....	54
– დაბადება, დავა, დავალება, დავიწყება, დათმობა, დაკარგვა, დაკრძალვა, დამარცხება, დამანსოვრება, დამოუკიდებლობა, დამსახურება .....	61
– დამტკიცება, დამცირება, დანაშაული, დანახვა, დაპირება, დარდი, დარიგება, დარწმუნება, დასაწყისი .....	64
– დაფასება, დაღლა, დაღუპვა, დაცვა, დაცინვა, დაწუნება, დახმარება, დახრჩობა, დაჯერება დგომა, დედა, დედამიწა, დედმამიშვილი, დემოკრატია, დიდება .....	66
– დრო, დუმილი, დღე .....	70

– ევერესტი, ეკალი, ეკონომიკა, ენა, ეპოქა, ერთგულება, ერთიანობა, ექო, ეჭვი .....	76
– ვარჯიში, ვერცხლისმოყვარეობა, ვნება, ზამთარი, ზარი, ზარმაცი, ზედმეტი, ზევით, ზიანი, ზნეკეთილი, ზნეობა, ზომა, ზომიერება, ზრდილობა, თავაზიანობა, თავი .....	79
– თავისუფლება, თავმოყვარეობა, თავშეკავება, თავხედი, თანაგრძნობა, თანამდებობა, თანამშრომლობა, თანხმობა, თაობა, თევზი, თესვა, თვალი, თვითკმაყოფილება, თვისება, თოვლი, თქმა, თხოვნა .....	83
– იარაღი, იდეა, იმედი, იმპერია, ინტელექტი, ინტერესი, ინტუიცია, ინფლაცია, ინფორმაცია, ისტორია, ისტორიკოსი, იუმორი .....	89
– კაბა, კალმახი, კანონი, კაცთმოძულე, კაცი, კაცობრიობა, კბენა, კეთება, კეთილგონიერება, კეთილი, კმაყოფილება, კომპიუტერი, კომპრომისი, კრიტიკა, კუთვნილება, კულტურა, კუჭი .....	94
– ლამაზი, ლექსი, ლუკმა, მანძილი, მარადისობა, მართვა, მართლმსაჯულება, მარტოობა, მასპინძელი, მალაღფარდოვნება, მახვილგონიერება, მახვილი .....	97
– მდიდარი, მდინარე, მებადური მეგობარი, მედია მეზობელი, მელოტი, მემუარები, მეტყველება, მეუღლე, მეფე, მეცნიერება, მზე .....	100
– მთა, მიბაძვა, მიზანი, მიზეზი, მიტევება, მიღება, მიღწევა, მიცვალებული, მიწა, მკვლეელი, მლიქვნელობა, მოგონება, მოღა, მოვალეობა, ღვაწლი .....	103
– მოთმინება, მოთხოვნილება, მოლოცვა, მომავალი .....	108
– მონა, მონაგარი, მონანიება, მოპარვა, მორიგება, მოსავალი, მოსმენა, მოსწავლე, მოტაცება, მოქმედება, მოწონება, მოხვეჭა, მოხუცი, მრისხანება, მსახიობი .....	111
– მსახური, მტერი, მტკიცება, მტყუანი, მუსიკა, მყიდველ-გამყიდველი, მშენიერება, მშვიდობა, მშობელი, მწარე .....	115
– მწერალი, მწვერვალი, მწვრთნელი, მწუხარება, მზვნელ-მთესველი, მხატვარი, მჯობნი, ნაბიჯი, ნადირი, ნაკადული,	

ნაკლი, ნაყოფი, ნაცნობობა, ნაძირალა, ნაწარმოები, ნაწილი, ნდობა, ნება, ნებივრობა, ნიჭი .....	120
– ობოლი, ომი, ოპტიმისტი, ორიგინალური, ოქრო, ოცნება, ოჯახი, პაექრობა, პასუხი, პატიება, პატივისცემა, პატრონი, პოვნა, პოლიტიკოსი .....	125
– პრობლემა, პროფესიონალი, პური, ჟინი, ჟურნალისტი, რეალობა, რეგენი, რეკლამა, რეკორდი, რელიგია, რისხვა, რჩევა, რწმენა .....	129
– საათი, საგანი საზოგადოება, საზრდო, სათნოება, საიდუმლო, საინტერესო, საკვები, სალოცავი, სამალავი, სამარე, სამართალი, სამკალი, სამოთხე .....	131
– სამყარო, სამშობლო, საოცრება, სარგებლობა, სარდალი, სარკე, სასაცილო, სასახელო, საიამოვნო, სასმისი, სასტიკი, სასჯელი, საუბარი, საუკეთესო, საფუძველი .....	135
– საქმე, საქციელი, საშინელება, საშუალო, საძაგელი, საწმისი, საჭიროება, საჭურისი, სახე, სახელი, სახელმწიფო, სახლი, სახრჩობელა, სახურავი .....	140
– სევდა, სიამაყე, სიამოვნება, სიარული, სიახლე, სიბერე, სიბნელე, სიბრძნე, სიბრძნისმეტყველება, სიბრძნისმოყვარეობა, სიდიადე, სიზარმაცე, სიკეთე, სიკვდილი .....	151
– სილამაზე, სიმამაცე, სიმართლე სიმდიდრე, სიმთვრალე, სიმკაცრე, სიმრავლე, სიმტკიცე, სიმღერა, სიმწარე, სინათლე, სინამდვილე, სინანული, სინდისი, სირცხვილი, სისულელე, სისუსტე, სისხლი .....	172
– სიტუაცია, სიტყვა, სიფრთხილე, სიღარიბე .....	184
– სიყალბე სიყვარული .....	187
– სიშმაგე, სიჩუმე, სიცარიელე, სიცოცხლე, სიცრუე, სიძნელე, სიძულვილი, სიძუნწე, სიწმინდე, სიჭარბე, სიხარული, სიჯიუტე.....	199
– სკლეროზი, სკულპტურა, სმა, სმენა, სრულყოფილება, სტარტი, სტუმარი, სულელი, სული, სურათი, სურვილი, სუსტი, სუფთა, სუფრა, სწავლა, სხეული, სხვაგვარი .....	211

– ტალანტი ტანჯვა, ტაში, ტვინი, ტირილი, ტკბილმოუბარი, ტკივილი, ტყუილი, უანგარობა, უბედურება, უგუნურება, უზნეობა, უკეთესი, უკეთურება, უკვდავება, უკიდურესობა, უმრავლესობა .....	217
– უპირატესობა, ურთიერთობა, უუნარობა, უფალი, უფროსი, უღელი, უღონო, უწმინდურება, უხერხულობა, ფათერაკი, ფანტაზია, ფასი, ფიგურა, ფიქრი, ფოთოლი, ფრთები, ფული .....	222
– ქალი, ქარიშხალი, ქება, ქეიფი, ქვა, ქველმოქმედება, ქვეყანა, ქვეშევრდომი, ქონა, ქონება, ქორწინება ქონი, ქურდი, ლალატი, ღარიბი, ღირებულება, ღირსება, ღმერთი .....	227
– ყრუ, ყურადღება, შედეგი, შედეგრი, შემთხვევა, შემოქმედება, შემოწმება, შენდობა, შენება, შენიშვნა, შერიგება, შესაძლებლობა, შესვენება, შეფასება, შექმნა, შეშა, შეცდომა .....	239
– შეძენა, შეძლება, შეწუხება, შეჯიბრება, შეველა, შევილები, შიში, შრომა, შური .....	244
– ჩამორჩენა, ჩაცმა, ჩვეულება, ჩრდილი, ჩხუბი, ცემა, ცეცხლი, ცივილიზაცია, ცილისწამება, ციფრი, ცნობილი, ცნობისმოყვარეობა, ცოდვა, ცოდნა, ცოლი, ცოლ-ქმარი, ცოცხალი, ცრემლი, ცუდი, ცხოვრება .....	253
– ძაგება, ძალა, ძალადობა, ძალაუფლება, ძარცვა, ძეგლი, ძვირფასი, ძილი, ძღვევამოსილება, ძლიერება, ძმა, ძნელი, ძუნწი, ძღვენი, ძღომა .....	266
– წაკითხვა, წამალი, წარმატება, წარმოჩენა წარსული, წერილი, წერტილი, წესიერება, წესრიგი, წვეულება, წვიმა, წვრილმანი .....	268
– წიგნი, წინააღმდეგობა, წინამძღოლი, წინაპარი, წინსვლა, წიხლი, წმინდანი, წონა, წყალი, წყალობა, წყარო, წყენა, წყობა .....	273
– ჭამა, ჭალარა, ჭეშმარიტება, ჭირი, ჭკუა, ჭორი .....	279
– ხალხი, ხანჯალი, ხასიათი, ხე, ხედვა, ხელისუფლება, ხეხილი, ხელოვანი, ხელოვნება, ხელოვნური, ხიბლი, ხმალი	

ხუმრობა .....	286
– ჯაბანი, ჯანმრთელობა, ჯარისკაცი, ჯაჭვი, ჯიღღო, ჯიში, ჯოჯოხეთი .....	289
– ჰიპოთეზა, ჰონორარი, ჰორიზონტი, ჰუმანისტი .....	290